

თბილისელი

საქართველო ბეჭედი ბაჯალთა რაიონის თბილისი - შიგ ჩ...

www.tbiliselebi.ge

№20 (699)

9-25 მაისი

1,50 ლარი



83. 14

რატომ არავის აკრიტიკებს სხალსოდ ზურა ყიფშიძე „ორ ვარსკვლავში“ და როგორ დაიყოლიეს ის ჟიურის წევრობაზე

83. 74

როგორ ეჩვეოდა ვასო ფხაკაძე სამი დღის განმავლობაში ლიკა მეტრეველისთვის „ცოლის“ დაქაჩვას და როდის მიიღეს მათ ოჯახის შექმნის გადაწყვეტილება

83. 2

რატომ არ გულშემატკივრობენ მეგობრები ლევან მასანიძელაშვილს და რისი გაკონტროლება უჭირს მას



83. 71

რატომ არის კანსარია აბრამიძე მაკა შალიკაშვილის, შორენა ბეგაშვილისა და კრისტი ყიფშიძის უბედურების სათავე და რას სთავაზობს ანრი ჯონსაძე ქალთა კალაძობაზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებს



83. 23

რატომ ვერ აღნიშნა ქორწინების 4 წლისთავი მანიკა ასათიანმა და ვის გამო ტირიდა ის ფლორენციაში მთელი კვირის განმავლობაში



83. 75

ვის მაგივრად ნერვიულობდა „ორ ვარსკვლავში“ ნიკო ბერიძე და რა ოცნებას აისრულებს ის მალე მეგობრებთან ერთად



83. 16

რა შეაჩინა თამარ ივარკი ფრანკო ქაფურაღიშ და როგორ იტანს ის საყვარელ მაგაქანთან განშორების კლიტ-პერიოდებს

მეგობრებთან კვირას გისურვებთ!



ლევან მასხინძე მსახიობობასთან არასდროს არანაირი შეხება არ მქონია, გარდასახვა მხოლოდ ამ პროექტში მომიხია. ბავშვობაში კი მეუბნებოდნენ – მსახიობი ხარ, მასხარაო, მაგრამ, ეს ძალიან ადრე იყო და, ალბათ, ძალიან ბევრ ბავშვს ეუბნებოდა ასე. იმის მერე მსგავსი უნარი ჩემში აღარავის დაუნახავს *(იცინის)*.

– პირველად რომ შემოთავაზება მიიღე, რა იფიქრე, რას მოგიტანდა ეს?

– ძალიან მაგრად გამიხარდა და დამინტერესა უფრო იმიტომაც, რომ, არც მსახიობობასთან და არც ცეკვასთან არასდროს არანაირი შეხება არ მქონია. ზოგადად, პროექტის იდეა გახდა ჩემთვის საინტერესო. ეს დიდი გამოწვევა იყო და ამიტომაც დავინტერესდით, თორემ, ისე, კონკურსებში მონაწილეობას აღარც ვგეგმავდი და არც სურვილი მქონდა. არა იმიტომ, რომ იმედგაცრუება მივიღე ან რამე არ მომეწონა, უბრალოდ, მომღერლის ცხოვრებაში ერთი კონკურსი საკმარისია *(იცინის)*. „საქართველოს ვარსკვლავის“ მერე ხშირად მეუბნებოდნენ, იქაც გადი, ამ კონკურსშიც გადი და ამაზე სულ ვხუმრობდი, „კონკურსა ბიჭი“ ხომ არ ვარ-მითქი *(იცინის)*. ერთხელ ვცადე და ამ ყველაფრისგან ძალიან დიდი სიამოვნება მივიღე. მეორედ ნამდვილად აღარ ვაპირებდი, მაგრამ, ამას კონკურსადაც ვერ აღვიქვამ, სულ სხვა რაღაცაა. მაინტერესებდა, შემიძლია თუ არა, მაქვს თუ არა იმის პოტენციალი, რომ სცენაზე ვიმუშაო როგორც მსახიობმა, ვიცეკვო და ასე შემდეგ.

– თან, აქ მნიშვნელოვანი ისიცაა, რომ არავინ ვარდება და ყველა ბოლომდე იღებს სიამოვნებას.

– გავარდნა, როგორც კონკურსის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი, ჩემთვის არანაირ პრობლემას არ წარმოადგენს. მაგრამ, რადგან ბოლომდე ხარ, შეგიძლია არა ერთი და ორი, არამედ, რვა და ცხრა როლი მოირგო, გაცალეებით მიმზიდველია, სიამოვნებას გაცალეებით მეტს იღებ.

– რა არის შენთვის კონკურსის ყველაზე დიდი სირთულე, რა გაშინებს?

– ცალ-ცალკე არაფერი არ მაშინებს, მაშინებს ყველაფერი ერთად. არ მაშინებს ცალკე მოძრაობა, ცალკე მსახიობობა, ცალკე სიმღერა, მაშინებს მათი ერთობლიობა და კარგი სინქრონი, რაც, საბოლოო ჯამში, ქმნის იმ არტისტს, ვისაც ასახიერებ. შეიძლება, ცალ-ცალკე ყველაფერი გააკეთო, იმუშაო, მაგრამ, როდესაც ეს ყველაფერი ერთობლიობაში მოგვყავს, სულ სხვა სირთულეები ჩნდება. ძალიან რთულია მიმიკებთან ბრძოლა. უცებ რომ საკუთარი მიმიკით იმღერებ, ეს, ალბათ, ყველას გვემართება. ჩემთვის მუსიკა თან სხვა რაღაცაა; შეიძლება, სხვისთვისაც ასეა, მაგრამ, მე როცა ვმღერო, ბოლომდე შევდივარ მუსიკაში და უღიდვს სიამოვნებას ვიღებ ამით. შესაბამისად, თუ მუსიკაში ვარ, ძალიან რთულია, პარალელურად იმაზე ვიფიქრო, რომ ჩემი უცესტი არ გავაკეთო; რომ რაღაც დავთრგუნო და ასე შემდეგ. შენი ორგანული, ნატურალური ქცევა ბოლომდე უნდა დამალო, რაც ძალიან რთულია.



ბავშვობაში რაღაცებს კი მეუბნებოდნენ – მსახიობი ხარ, მასხარაო, მაგრამ ეს ძალიან ადრე იყო

ლევან მასხინძე უნდა ვთქვათ, რომ ამ შოუს ნამდვილი აღმოჩენაა და ის ნამდვილად არის „ერთი ერთში“. მართალია, „საქართველოს ვარსკვლავიდან“ გამოიშინა, მის ნიჭიერებაზე ძალიან ბევრს ლაპარაკობდნენ, მაგრამ, ალბათ, ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ის შეძლებდა, ყოფილიყო მესი გრეციც, ბარი უაითიც და ბონოც. ამ ოთხშაბათის ის ეცდებოდა, დათო ხუჯაძის „ტავაში შეძერეს“ და გახდეს ქართული პოპ-მუსიკის ნამდვილი საკულტო ჯგუფის – „სახის“ ერთ-ერთი წევრი და ახლა უკვე რუსული ესტრადის ვარსკვლავი.

ჩატომ არ გულშემატკივრობენ მეგობრები ლევან მასხინძეს და ჩისი გაკონტროლება უჭირს მას

– ვისი განსახიერება იყო, შენი აზრით, ყველაზე წარმატებული შენთვის?

– წარმატებული იყო მესი გრეცი – კარგიც გამოვიდა და ჩემზე უკვე საუბრობდნენ როგორც არტისტზე და არა მხოლოდ მომღერალზე, ბევრი ქულაც მომიტანა და იმ „ლაივის“ ლიდერიც ვიყავი. ალბათ, ამ ფაქტორების გათვალისწინებით, ეს იყო ყველაზე წარმატებული, თუმცა, ასე გამოყოფაც არ მინდა, რადგან, ყველა როლი ჩემი შვილებივით არიან – სხვა დამოკიდებულება მაქვს არა მხოლოდ როლების, არამედ, ზოგადად, იმ არტისტების მიმართ.

– როცა ნომერს უყურებ, ფიქრობ, რა მაგარია, რომ ეს შეხვდა, ზუსტად მოირგო. მაგრამ, ეს, ალბათ, პოსტრეაქციებია – გაანჩნა, ვინ რას და როგორ მოირგებს

– თავიდან, როცა იგებ, ვინ ამოვიცა, არ იცი, რას და როგორ გეაქვთ. მერე უკვე იწყება მუშაობის პროცესი, იწყებ მიმსაგავებს, გიყვარდება კიდევ ესა თუ ის შემსრულებელი, ხედავ

რალაც ნაპერკვალს, რომელსაც აღვივებ და რალაც გამოდის. საბოლოო ჯამში, როდესაც შედეგს ხედავ, ხედები, რომ ეს ყველაფერი არცთუ ისე საშობი ყოფილა.

– თუ თანმიმდევრობით მუშაობ, ანუ, რა არის პირველი, რასაც აკეთებ?

– მე ასეთი მოდელი მაქვს: პირველ ყოვლისა, ვსწავლობ ტექსტს. ტექსტი უნდა ვიცოდე იმ დონეზე, რომ მისი „გამეჟანიკურება“ მოხდეს და არ დამჩქრდეს იმაზე ფიქრი, რა რის შემდეგ მოდის. მაგრამ, დამახსოვრება ჩემთვის ცოტა სხვა რაღაცაა, ვერ დავდგები და ვერ დავიზებირებ „ამის შემდეგ რა მოდის“ პრინციპით. ასე მიცვლია და აუცილებლად მაინცდება. ტექსტს ვიზებირებ მუსიკასთან და შერძინებასთან ერთად, სხვანაირად არ გამოდის. ამის შემდეგ „კუპლეტ-კუპლეტ“ ვმუშაობ და მერე ვინცე სიმღერის გაერთიანებას. ვმუშაობ განწყობაზე, მომღერლის შესრულების მანერებზე; მერე გადავდივარ მოძრაობასა და მიმიკებზე. ნელ-ნელა ვცდილობ, ამ სიმღერასთან ერთად გავაუმჯობესო მოძრაობა და მიმიკა და შევქმნა სრულყოფილი მთლიანობა.

– შედეგადები ძალიან გეხმარებია?

– მაქსიმალურად, მაგრამ, მათთვის მნიშვნელოვანია, შენ როგორ შრომობ, როგორ ცდი-

ლობ, რამდენად გინდა მაქსიმალური შედეგის მიღწევა. ისინი გაძლევენ რჩევებს, რეკომენდაციებს, თუმცა, თუ ეს ვერ გამოიყენე, ისინი ვერაფერს შეცვლიან. ამიტომ, ძირითადად, ბოლომდე შენზეა დამოკიდებული, როგორი გამოვა ნომერი, თუმცა, მათი რჩევები ძალიან მენებარება.

– ახლა ოთხშაბათს ვინ ხარ?

– დათო ხუჯაძე.

– ეს მომღერალი რომ შეხვდა პირველივე მოძრაობა ისეთი გააკეთე, რომ მისი სხეულის ენას აშკარად იცნობ.

– *(იცინის)* კი, ასე გამოდის. კარგი მოცეკვავე არც მე ვარ და, სავარაუდოდ, არც დათო ხუჯაძე. ასე რომ, სხეულის ენით და მოძრაობებით ერთმანეთს გავუგებთ *(იცინის)*. ალბათ, შევასრულებ სიმღერას – „მეგობრებთან ერთად“, რადგან ეს ნომერი აიყოლიებს დარბაზს და იქნება მზიარული და კარგი. „სახე“ რომ დაიშალა და, დამოუკიდებლად, ცალკე, დათო ხუჯაძე რომ დათო ხუჯაძე გახდა, ზუსტად გე სიმღერაა. ვნახოთ, „ჯანაიაც“ კარგია. ზუსტად არ ვიცი, რომელს შევასრულებ.

– მეგობრები, ალბათ, ძალიან გვულშემატკივრობენ და შენს ფანკლუბად გადაიქცენ.

– ჩემი მეგობრები ცოტა უცნაურები არიან, დიდი გულშემატკივრობით, აქტიურობითა და „ლევან, ლევანის“ ყვირლით, არ გამოირჩევიან. მაგრამ, ძალიან ნერვიულობენ და მათ გულშემატკივრობას ყოველთვის ვგრძობ. ბევრი არ დადის, რადგან, ნერვიულობის გამო სიამოვნებას ვერ იღებს და, ურჩევნია, მომდევნო დღეს სახლში ჩანანერი ნახოს.

– ვინ არის, ვინც სულ დადის და სულ გვერდში ვიდგას? ვიღაცა რომ „ლევან, ლევანს“ ყვირის, ამას მნიშვნელობა ხომ აქვს?

– რალაც მომენტში მნიშვნელობა ნამდვილად აქვს, მაგრამ, ამას განსაკუთრებულად არ ვაქცევ ყურადღებას. მიჩვენებია, არა ჩემმა მეგობრებმა, არამედ, უცხო ადამიანებმა დაიყვირონ ჩემი სახელი და ტაში დამიკრან – ეს გაცალიებით სასიამოვნოა. ეს ნიშნავს, რომ ობიექტურად მოსწონი. აბა, ჩემი მეგობრები, რასაც არ უნდა ვაკეთებდე ამ შოუში, თუნდაც მოცეკვავე ვიყო, ტაშს მაინც დამიკრავენ.

– მოცეკვავე ახსენე. როგორი მოცეკვავე გოგოები გყავთ?

– სასწაული! *(იცინის)* მართლა ძალიან მაგრები არიან. ამბობენ, ამ სეზონზე კიდევ უფრო ძლიერი მოცეკვავეები არიან?

– თბილისი აჩვენე ლევან?

– აჰაჰაა, კარგი იყო! ნარიყალადან ხედები არ მიჩვენებია! *(იცინის)* სხვათა შორის, ძალიან აქტიური გოგო-ბიჭები არიან. მე ვერც ერთხელ ვერ მოვახერხე მათთან ერთად წასვლა, მაგრამ, ვიცი, რომ „ჯეიდისის“ თანამშრომლებთან ერთად ხშირად დადიან გასართობად. დადიან „უნიქში“ ითანეს „ლაივებზე“ და მაგრად ერთობიან. მოკლედ, კარგი ტიპები არიან...

სალომე გველანიანი



დათო მახვილიძე (სამედიცინო ცენტრ „ლანცეტის“ პირისა და მარკეტინგის სამსახურის ხელმძღვანელი): სამედიცინო ცენტრის ასეთ პომპეზურ გახსნას არ ვეგვიმადი, მაგრამ, იმდენი საპატარო სტუმარი გვეწვდის, რომ სხვაგვარად არ შეიძლება. ჩვენ ყველას გაცნობიერებული გვექონდა, რომ ეს არის მნიშვნელოვანი მოვლენა არა მხოლოდ ჩვენი ქვეყნის, არამედ, მთელი რეგიონისთვის. პრეზენტაციას ესწრებოდა ოთხასამდე სტუმარი. მათ ვაჩვენეთ დოკუმენტური ფილმი, რომელიც გადაღებულია ჩვენი კლინიკისა და იმ პროფესორების შესახებ, რომლებიც ევროპიდან სპეციალურად არიან მოწვევნილები „ლანცეტში“ სამუშაოდ. ისინი ჩვენს სამედიცინო ცენტრში ჩაატარებენ ურთულეს ქირურგიულ ოპერაციებს, მათ შორის – ორგანოთა ტრანსპლანტაციას. უცხოელი კოლეგები უფრო ახლოს გავაცანით ჩვენი ცენტრის ქართველ ექიმებს, რომლებიც ნამდვილად მიეკუთვნებიან ქართული სამედიცინო სფეროს ელიტას. სტუმართა შორის იყო „ტომობას“ პრეზიდენტი, ის სპეციალურად ცენტრის გახსნისთვის ჩამოფრინდა თბილისში იაპონიიდან. „ტომობას“ პრეზიდენტმა გაჭრა ლენტე ბატონ ფარმან ჯეირანლისთან ერთად – ბატონი ფარმანი ცენტრ „ლანცეტის“ დირექტორია. იაპონიის ელჩმა ქართულად მიმართა დამსწრე საზოგადოებას. შემდგომ სტუმრებმა დაათვალიერეს ცენტრი, მისი ლაბორატორიები, მოდერნიზებული საოპერაციოები, რომლებიც აღჭურვილია ისეთი ბრენდების მიერ წარმოებული უნიკალური სამედიცინო ტექნიკით, როგორებიცაა „ტომობას“, „სიმენსი“, „ნიკონი“. ამ აპარატურით მუშაობენ ევროპიდან მოწვეული საუკეთესო ექიმები, მათ შორის – დანიელ აზულაი, რომელიც ევროპაში ძალიან ცნობილი და კომპეტენტური ექიმია ლივდის გადანერგვის მიმართულებით.



12 მაისს თბილისში ახალი სამედიცინო ცენტრი – „ლანცეტი“ გაიხსნა. მრავალპროფილურ, უნიკალურ სამედიცინო ცენტრს, რომელიც თანამედროვე ევროპული სტანდარტის ყველა მოთხოვნას აკმაყოფილებს, რეგიონში ანალოგი არ აქვს. ეს რომ ასე იქნებოდა, ამის შესახებ ჯერ კიდევ მანამდე განმარტავ, სანამ თბილისის შემოსასვლელში, აღმაშენებლის ხეივანის მეთორმეტე კილომეტრზე, მრავალპროფილური, კომფორტული შენობა დასრულებულ სახეს მიიღებდა. პომპეზურ პრეზენტაციას ქართული საზოგადოების ცნობილ სახეებთან, პოლიტიკოსებთან, დიპლომატიური კორპუსისა და ქართული სამედიცინო ელიტის წამომადგენლებთან ერთად, ესწრებოდნენ სტუმრები უცხოეთიდან, რომლებიც ამ დღეს თბილისში სპეციალურად ახალი სამედიცინო ცენტრის გახსნისთვის ჩამოვიდნენ. მათ შორის იყვნენ მსოფლიოში ყველაზე ავტორიტეტული პროფესორები, რომლებიც ახალ სამედიცინო ცენტრში ისეთ უნიკალურ ოპერაციებს ჩაატარებენ, რომელთა ანალოგი ამიერკავკასიაში აქამდე არ ჩატარებულა.

თბილისში უნიკალური მრავალპროფილური სამედიცინო ცენტრი „ლანცეტი“ გაიხსნა

306 ჩამოვიდა სამედიცინო ცენტრის პრეპანათიონზე თბილისში იაპონიიდან და რა უფასო ამინას სთავაზობს პაციენტებს ცენტრი დაუშვანებისთანავე

განყოფილებებთან ერთად. „ლანცეტის“ ტერიტორიაზევე გვექნება ფანგბადის მწარმოებელი საამქრო. ცენტრს აქვს საკუთარი აფთიაქი და კაფეტერია; ასევე, არის სასტუმრო 40 ნომრით. ამ სასტუმროში ცხოვრების შესაძლებლობა ექნებათ როგორც უცხოელ პროფესორებს, ისე სხვა ქვეყნიდან ჩამოსულ პაციენტებსა და მათ თანმხლებ პირებს. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ ქართველ პაციენტებს უცხოეთი ადარ მონიშნოს ნასვლა გამოკვლევებისა და მკურნალობისთვის, რაც მათთვის ძალიან ბევრ ხარჯთან და ტექნიკურ პრობლემასთან იყო დაკავშირებული; პირიქით, ისე შემოვატრიალებთ სიტუაციას 180 გარდაუსით, რომ უკვე ჩვენთან ჩამოვლენ იმ ქვეყნიდან, სადაც ჩვენს პაციენტებს უნდებოდათ ნასვლა. ამას შეეძლება დაბალანსებული ფასებითა და ცნობილი, ავტორიტეტული ექიმებით. პაციენტებს ექნებათ სამუალები, უფრო მისაღებ ფასებში მიიღონ იმ სტანდარტის სამედიცინო მომსახურება, რასაც მათ ცნობილი ევროპული კლინიკები სთავაზობენ.

– „ლანცეტის“ შესახებ თავიდანვე განმარტავ, რომ აქ ვაკეთებდა უნიკალური ოპერაციები. სხვა რა მიმართულებით იშვებებს ახალი სამედიცინო ცენტრი?



– „ლანცეტი“ არის მრავალპროფილური ცენტრი, სადაც წარმოდგენილი იქნება სრული სამედიცინო სექტორი ექვსი მიმართულებით: დიაგნოსტიკა, პოლიკლინიკა, სტაციონარი, საოპერაციო, პარაკლინიკური და ემერჯენსი. ცენტრში ფუნქციონირებს სრული პროფილი: ზოგადი ქირურგია, ორგანოების ტრანსპლანტაცია, გულმკერდისა და სასუნთქი გზების ქირურგია, გინეკოლოგია, უროლოგია, ორთოპედია, ნეიროქირურგია, ტრავმატოლოგია, სამშობიარო ბლოკი, ინ ვიტრო განაყოფიერება, ბავშვთა ქირურგია, ოფთალმოლოგია, ოტორინოლარინგოლოგია,

თორაკოაბდომინური ქირურგია, პლასტიკური ქირურგია, ყბა-სახის ქირურგია და ასე შემდეგ. ყველაზე მთავარი: ჩვენ გადაწყვიტეთ, ჩვერითო საყოველთაო დაზღვევის და სახელმწიფოს მიერ წარმოდგენილ ყველა პროგრამაში, რომლებიც გაუმარტივებენ ცხოვრებას ადამიანებს. ჩვენ არ გვინდა, რომ „ლანცეტი“ იყოს მხოლოდ მდიდრების ჰოსპიტალი. ჩვენი მიზანია, ცენტრის მაღალი სტანდარტის მომსახურებაზე ყველა ადამიანს მიუწვდებოდეს ხელი.

– როგორც ცნობილია, ახალი ცენტრის გახსნა მოსახლეობისთვის უფასო აქციით აღინიშნო. რა მომსახურების მიღება შეუძლიათ ადამიანებს ამ აქციის ფარგლებში?

– 21, 22, 23 მაისს ვაცხადებთ მოქალაქეების უფასო მიღებას. ცენტრის ქართველი და უცხოელი ექიმების მიერ ჩატარდება კონსულტაციები მათთვის, ვისაც ეჭვი ეპარება დიაგნოზში, რომელიც მას აქვს დასმული და მისი გადამოწმება სურს; ასევე, მათ ვისაც ერთ კლინიკაში ერთი დიაგნოზი დაუწყვეს, მეორე კლინიკაში – მეორე და სურს კომპეტენტური ინფორმაცია მკურნალობის კურსის შესახებ. ისინი მიიღებენ ძალიან მაღალი დონის კონსულტაციებს ყველა მიმართულებით: ორთოპედული, ძვალსასხარათა დაავადებების, მუცლისა და გულმკერდის ორგანოების, ოფთალმოლოგიური, ენდოკრინოლოგიური, უროლოგიური, ცენტრალური ნერვული სისტემის და ასე შემდეგ. ცენტრის ხელმძღვანელობას აქვს სურვილი, დახმარება გაუწიოს ჩვენს საზოგადოებას და მეორეს მხრივ, ადამიანებს გავაცნოთ ჩვენი ცენტრის შესაძლებლობები, ამიტომაც ამ დღეებში ველით ყველას „ლანცეტში“. ასეთი აქციები გამართება ხშირად, ასეთი ნათქვამი ხშირად მომისმენია სხვადასხვა კომპანიის მიერ, მაგრამ, მერე ასე არ ხდება ხოლმე. ჩვენს გუნდს, ფარმან ჯეირანლის ხელმძღვანელობით, დაევლილი აქვს, რეგულარულად ჩაატაროს ასეთი აქციები სხვადასხვა მიმართულებით.

P.S. „ლანცეტში“ თქვენს ჯანმრთელობასა და სიცოცხლეზე პროფესიონალი ექიმების გუნდი ზრუნავს. ცენტრის მაღალი, თანამედროვე ევროპული სტანდარტი და განსაკუთრებული დამოკიდებულება თითოეული პაციენტის მიმართ – ეს არის „ლანცეტის“ „სავიზიტო ბარათი“... ამაში შევინდობთ თავად დარწმუნდეთ – მიიღეთ მონაწილეობა უფასო აქციაში და ანდეთ თქვენი ჯანმრთელობა „ლანცეტის“ პროფესიონალ ექიმებს! ენევიტე ახალ სამედიცინო ცენტრს დაეთ აღმაშენებლის ხეივანის მე-12 კილომეტრზე, აგარული უნივერსიტეტის ასახვევთან!

თამუნა ნიშარაძე

– ექსპურსს, რომელიც ახსენეთ, ალბათ, დიდი დრო დასჭირდა, რადგან, საკუთარი თვალთ მიქვს ნანახი ცენტრის ძალიან დიდი და კეთილმოწყობილი ინფრასტრუქტურა.

– დიახ, ეს მართლაც ასე იყო. დღეს „ლანცეტი“ სამედიცინო სფეროში მთავარი გიგანტია, როგორც სტრუქტურულად ისე ტექნიკური აღჭურვილობით. ჩვენი ინფრასტრუქტურა, შეიძლება ითქვას, ძალიან მასშტაბურია. ეზო გათვლილია სამასზე მეტ ავტომობილზე – ესეც მნიშვნელოვანი ფაქტორია პაციენტისთვის. ძალიან ბევრი კლინიკაა, სადაც, სანამ შენობაში მოხვდები, დაიტანჯები, ჩვენ კი ვეცადეთ, რომ ყველა ტექნიკური პრობლემა ავგვირდებინა პაციენტისთვის. მათ შენობაში ხვდებიან ტრენინგავალი რეგისტრატორები და მაქსიმალურად კომფორტულ გარემოს სთავაზობენ. ყველას გვქონია შემთხვევა, როცა კლინიკაში მისულს მედპერსონალისგან უხეში პასუხი მიგვილიდა. ასეთი პრეცედენტი „ლანცეტში“ არ იქნება. სულ ახლახან ჩამოგვივიდა ჩვენი საკუთარი, მოდერნიზებული სასწრაფო დახმარების ავტომობილი, რომელიც მოემსახურება მძიმე პაციენტებს საქართველოს ყველა კუთხეში, განსაკუთრებული შემთხვევების დროს. ცენტრს აქვს ვერტმფრენის დასაჯდომი მოედანი, რასაც გამოვიყენებთ ფორსმაჟორულ სიტუაციებში გადაუდებელი სამედიცინო დახმარების აღმოსაჩენად. თითო სართულზე განთავსებული იქნება თითო განყოფილება, საოპერაციო და რეანიმაციულ



ფულიმწოდებელი

ანუ „სი თი პარკის“ მზრუნველი ამკლუა

რატომღაც, წერბელასავით სისხლისმწოველი (ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ცხადია, რომ „სისხლში“ ფული იგულისხმება) „სი თი პარკი“ ვერც ახლებმა მოგვაშორეს (მოსაშორებელი კი იმ მარტივი მიზეზითაა, რომ თეთრი საღებავით პარკირების ადგილების მონიშვნას საბავშვო ბაღის აღსაზრდელებიც შეძლებდნენ, პარკირების წესების დარღვევისთვის კი პატრულიც ფრიად წარმატებით დაგვაჯარიმებდა). უიღადა, რაკი ვერ თუ არ მოგვაშორეს, პარკირების ადგილების ღებვით „სი თი პარკიც“ მოგვისუქდა და, როგორც აღმოჩნდა, ჩვენი მერიაც.

სულ ახლახან კი მუქთად „ფულიმწოდებელმა“ მომხმარებელს ახალი სერვისი შესთავაზეს, სახელდობრ, უფასო რეგისტრაციის შემდეგ გვიპირდებოდა, რომ „ესემების“ მეშვეობით ოპერატიულად მოგვაწვდიან ინფორმაციას იმის შესახებ, თუ როდის გასდის პარკირების საშვს ვადა; შემთხვევით ხომ არ დაჯარიმდით და რომელ ავტოსადგომზე გადაყვანილი ჩვენი ავტომანქანა (აქამომდე საბოლოო უნდა გეძებნა).

ზრუნვა – ზრუნვად, თუმცა, გუმანი მკარნახობს, რომ „სი თი პარკის“ ამ უადგილო „მზრუნველობას“ (აქაოდა, ოღონდ მომხმარებელი გვეყვადეს კომპორტულად) მეტად პროზაული დატვირთვა აქვს: კერძოდ, ჯერ ერთი, კანონში არ არსებობს შესაბამისი მუხლი, რომელიც მძღოლს საქარე მინაზე „სი თი პარკის“ ინსპექტორის მიერ დატოვებული ჯარიმის გადახდას აიძულებს (იქნებ ქარმა წარიტაცა?!)) და ამ ბოლო დროს „სი თი პარკმა“ არაერთი საქმეც წააგო სასამართლოში საჯარიმო ავტოსადგომზე ავტომანქანების უკანონოდ გადაყვანის გამო.

შესაბამისად, თუ ჩვენ მათგან ან უკვე „ესემების“ მივიღებთ ინფორმაციას, ესე იგი, ინფორმირებულებიც გამოვდივართ. ასე რომ, ძვირფასო მძღოლებო, დარეგისტრირებამდე გაიხსენეთ გურამიშვილის შეგონება, რომ, „სულ ბნელია, რაცა ელავს!“

ოთხეული

ვერჯვრობით ისევ უცნობია, რით დასრულდება აღმოსავლეთ უკრაინის ტერიტორიული კუთვნილების საკითხი. მართალია, თავად აღმოსავლეთ უკრაინის მცხოვრებთა არცთუ მცირე ნაწილს თვალთვალის კრემლიანურ უჭირავს, თუმცა არც კრემლია იმდენად გულმოდგინელი (და ხელგამლილიც), რომ ახალი სარჩევები დიამატოს (ყირიმიც ცყოფა, სადაც პროლეტეტებზე ტალონების დარიგება დაინყო, როგორც ძველ, „კეთილ“ საბჭოთა დროს) ოღონდ.

ასეა თუ ისე, თავად უკრაინა (უფრო ზუსტად, რაც მისგანაა დარჩენილი) არჩევნების მოლოდინშია, მანამდე კი, სახელდობრ, ვენესუელის ხელისუფლება აცხადებს, რომ არ ცნობს უკრაინის ამჟამინდელ მთავრობას.

გომგომობები

თითქოს ის გაჭირვება არ ჰყოფნია, რომ რფ-ს მოსახლეობის ნახევარზე მეტი მიესალმება, სახელმწიფო ინტერესებით, მედიის მიერ ინფორმაციის არა მხოლოდ დამალვას, დამახინჯებასაც კი, როდესაც „როსკომნადზორის“ უფროსის მოადგილემ დაადასტურა, რომ რფ-ში, შესაძლოა, „ფეისბუქი“ და „ტვიტერი“ დაბლოკონ.

სახელდობრ, ბ-ნი ვადიმ ამპელოსკი ამბობს, რომ ასეთი შესაძლებლობა განიხილება და ამაში ვერც ვერანაირ რისკს ვერ ხედავენ (ან კი რა უნდა დაინახონ, როდესაც 70 წლის განმავლობაში „რკინის ფარდის“ მიღმა მშვენივრად არსებობდნენ?).

იქვე განმარტებს, რომ ზოგიერთი უცხოური ინტერნეტკომპანია არ მოდის რუსეთის ხელისუფლებასთან კონტაქტზე და ამიტომ (მომყავს ციტატა): „რუსეთის მოსახლეობას იყენებენ როგორც პოლიტიკის ინსტრუმენტს“ (რა თქმა უნდა, საკუთარი მოსახლეობა ინსტრუმენტად მხოლოდ საკუთარმა მთავრობამ უნდა გამოიყენოს). ამ ამბავს კი „როსკომნადზორის“ ხელმძღვანე-



„თვალი მიჭირავს კრემლზედა“

ბას, ვიდრე ქვეყანაში 25 მაისს საპრეზიდენტო არჩევნები არ ჩატარდება.

მეტიც, ვენესუელელები გმობენ ძალადობას (მომყავს ციტატა): „რაც „ნატოსა“ და აშშ-ს ხელშეწყობით განხორციელდა და საფრთხე შეუქმნა უკრაინის ერთიანობასა და სტაბილურობას მთელს ევროაზიურ რეგიონში“.

ბუნებრივია, ცხარედ საკამათოა, ვინ ვისა და როგორ შეუქმნა, თუმცა ის უკვე ამთავითვე ვიცით, რომ უკრაინის მთავრობის მოწყალე თვალებს არც ნაურუსა და არც ნიკარაგუას ხელისუფლებები არ აღიარებენ.

და ტვინბასანდრეკევი

ლობა განიხილავს როგორც „სოციალურ საფრთხეს“ და პრობლემის აღმოფხვრას სოციალური ქსელების მოშობით გეგმავს.

თუმცა ქვეშევრდომებს სოციალური ქსელით პრემიერ-მინისტრი დიმიტრი მედვედევს გამოეხმაურა და ჩინოვიკებს მოუწოდა: „ს პერვა პოდუმი, პოტომ – გოვორიო“. უფრო ზუსტად, შეუძახა: „ზოგიერთმა ჩინოვიკმა, რომელიც პასუხისმგებელი დარგის განვითარებაზე, ზოგჯერ ტვინი უნდა გაანძრიოს და არ მისცენ ინტერვიუები, სადაც სოცქსელების დახურვას გამოაცხადებენ.“

ეს კომენტარი იმედისმოცემია (თუ, რასაკვირველია, ბ-ნი მედვედევი იმას არ გულისხმობდა, ანონსების გარეშე მოაშთეთ სოცქსელები), რადგან რფ-ს მოსახლეობის დიდ ნაწილს კვლავ სჯერა, რომ კაპიტალიზმი ყარს და საბჭოთა კავშირსაც დღემდე ემაღლიერებინ (მათი მეტა-იტეტის სხვა არანაკლებ შოკისმომგვრელ დეტალებზე არ შეჩერდები), რაც იმას ნიშნავს, რომ სხვა პლანეტაზე სახლობენ, სოციალური ქსელების დაბლოკვის შემდეგ, ვფიქრობ, საერთოდაც სხვა ვალაქტიკაზე აღმოჩნდებიან.

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ყურნალი „თბილისელები“

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი ზაზა ახრობაძე
მთავარი რედაქტორის მოადგილე ალექსანდრა ნაპაიძე

პასუხისმგებელი რედაქტორი ზაალ ცინაძე

რედაქციის მისამართი:

თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის №47

შეკვეთის ფორმა

გვ. №47 ა

გვ. №47 ბ

თბილისელები

გვ. №47

ბანკი რასაპოსტა

აღსანიშნავი

ალ. ყაზბეგის ბაზარი

გ ა ნ ყ ო ფ ი ლ ე ბ ე ბ ი

პოლიტიკა რედაქტორი – ნინო ხაჩიძე, ყურნალისტი – თაშნაშა საგაბაშვილი საზოგადოება და კულტურა: ბოჩა განაპალიძე, ნინო ნულუკიძე, ნათია უტიაშვილი, სლოჯა გველსიანი, პაპ პატარაძე, ნონა ლათიშვილი, მარია ხიფარიძე, ხატია პარანაძე, ლალი შიქაშაძე, თაშნაშა ახრობაძე, თაშნაშა ნიხარაძე, პაპ სალაღანი, ქათი დიდაგულიძე

რელიგია: ნათია უტიაშვილი, თაშნაშა ახრობაძე, რეზა ტომარაძე კრიმინალი და სამართალი: ნინო ლაშაძე, პაპ პარანაძე

დაიჯესტი: ლაშა ბაბუღია, შაშანი რუსაძე, ანა თაშაუშვილი

მედია: ნინო ლათიშვილი, მანა ნუსუბიძე

სპორტი: ლაშა ბაბუღია, შაშანი რუსაძე

სტილისტ-რედაქტორი: თაშნაშა შამთარაძე

სტილისტი: ნანა ნარეთიანი

მთავარი რედაქტორის თანაშემწე: თაშნაშა ახრობაძე

ოპერატორი: მანა პარანაძე

ფოტორედაქტორები: თაშნაშა კვიციანი, ლეკო ხაჩიძე, თაშნაშა შატერვაძე

შეკვეთის ფორმა: ზაალ სულაპაშვილი, შაშანი უსაღაძე

დირექტორი: შაშანი ახრობაძე

ოფისმენეჯერი: ინგა პარანაშვილი

იურისტი: ქათი უტიაშვილი

მთავარი ეკონომისტი: ნანა ბირჩაძე

კომერციული მენეჯერი: მარინა შაშანიძე

ვებ-გვერდის მოვლა: ნანა პარანაძე

საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი: სოფო ლორია

დარგები: სოფო ლორია

სარედაქციო სამსახური: სოფო ლორია, მანანა დომიაშვილი, მანა შირცხალავა, ხატია უსაღაძე

მარკეტინგის მენეჯერი: ლაშა მათაშაშვილი

ტელ: 239-25-52; 599 10-15-20 239-23-52

სარედაქციო სახსარები: 593 38-75-61; 239-23-53

დამფუძნებელი: შპს „თბილისელები პლუსი“

იბეჭება გამოცემლობა „თბილისელები“

ვებ-გვერდი: www.tbilisebi.ge

ელექტრონული ფოსტა: tbilisebi2001@gmail.com; tbilisebi2001@yahoo.com



სკამზე დასჯულები

გაირკვა, რომ სასჯელსრულების დეპარტამენტის ხელმძღვანელობას ისეთი ოდენობის პრემიები ჩამოურიგებია საკუთარი თავებისთვის, როგორც საქართველოს მოქალაქეების აბსოლუტურ უმრავლესობას სიზმარშიც არ უნახავს, არათუ ცხადში მოუკრავს თვალი. მინისტრმა ბ-ნმა სუბარმა განმარტა, რომ, რაკი ზემოსხეებული დეპარტამენტი ქვეუწყებდა, პრემიების საკითხს თავად წყვეტენ, მაგრამ ისიც დასძინა, რომ სამინისტროსთან შეთანხმება აუცილებელი იყო, რაც არ მომხდარა. თუმცა დაბეჯითებით აღნიშნა, რომ ეს გაუმართლებელია და პრემიების გაცემის მოტივებიც აგვისსნა: წლის ბოლოსთვის ფული დარჩენილა, ამიტომაც ისინი პრემიების სახით თანამშრომლებისთვის გადაუნიღებიათ (უდაოდ, ჯობდა, უპოვართათვის მიეცათ, თუ მაინცდამაინც თავზე გადასდიოდნ).



განდაცვის მინისტრი დავით სერგეენკო კი

დასაოკებლები

დაგვირდა, რომ პრემიებთან მიმართებაში უკვე დაწყებულია მუშაობა (ოღონდ არა ამ შემთხვევის გამო), „ვმუშაობთ, რომ შემოღებულ იქნას უნიფიცირებული პრემიების სისტემა, სადაც ჩადებული იქნება ლოგიკა – მაქსიმალური ზედა ზღვარი.“

მანამდე კი, შეგახსენებთ, რომ ჩინოვნიკებში ზეპირად ღირებული ავტომანქანებისადმი გამობატული ლტოლვის გამო, სახელმწიფო დაწესებულებების განკუთვნილი ავტომანქანების ღირებულების ზედა ზღვარი დაწესდა. ან კი, თუ ბ-ნ სერგეენკოს ვერწმუნებით, ლამს ჩინოვნიკთა პრემიებისადმი ფინსაც ამოსდებენ.

თუმცა ზემოთქმულს მიეყავართ ლოგიკურ დასკვნამდე, რომ სკამზე დასმის შემდეგ კუჭისა და ფეხის ზომა პლუს უსასრულობად იზრდება.

საგაზო ხაფანგში

ანუ ვის მოუნავს სუთქვის შეკავება

ჯერ კიდევ იანვრის თვეში მოუხსნა ცივილიზებულმა დასავლეთმა ემბარგო ირანულ ნავთობპროდუქტებს: სავარაუდოდ, იმის გამო, რომ გამოსწორების ტენდენციები შეამჩნია. ხოლო, თუ გავითვალისწინებთ, რომ ირანული გაზი რუსულზე გაცილებით კალორიული, ანუ მაღალი ხარისხისაა და რაოდენობითაც საკმაოდ, ცხადია, რომ რფ-ს მსხვილი კონკურენტი გამოუჩნდა (იმის გათვალისწინებითაც, რომ ირანი რუსეთს არ ესაზღვრება).



ვარიანტი ორი: ირანული ენერგომატარებლები ან სომხეთ-საქართველო-თურქეთის გავლით გადაედინება ევროპისკენ, ან თურქეთ-საქართველოს გზით. თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ არც რფ-ს სძინავს (დაიძინებს და დარჩება მშრალზე). ამიტომაც თადარიგი დაიჭირა და, როგორც მედიისთვის გახდა ცნობილი, სომხეთს ირანისგან ელექტროენერჯის სანაცვლოდ გაზის მიღება აუკრძალა.

ამჟამად სომხეთი ირანისგან ნახევარი მილიარდი კუბმეტრი მოცულობის გაზს იღებს, ხოლო 2013 წელს რუსეთთან გაფორმებული შეთანხმებით, ვალდებულია, რუსეთისგან 2,5 მილიარდი შეიძინოს, თუმცა თავად 1,8 მილიარდზე მეტს ვერ მოიხმარს. აქვე გატყვივით, რომ ირანის გაზი რუსულზე იაფია.

სომხეთს, რაკი რფ-ს ყურებით ჰყავს დაჭერილი, სავარაუდოდ, დათანხმება მოუნევს და, არანაკლებ სავარაუდოდ, იმასთან შეგუებაც, რომ ჩრდილოეთთან სუთქვის რეჟიმის შეთანხმებაც აუცილებელი გაუხდება.

გვერდები მოამზადა ნინო ხაჩიქიანი

თავგადასჯულები და შეთავსებულები

გაკუთვნით, მამრამ, არ გაკუთვნით

გასულ კვირას ბრატისლავაში გამართულ საერთაშორისო უსაფრთხოების ფორუმზე „ნატოს“ ან პოსტიდან მიმავალმა გენმდივანმა, რუსი ექსპერტის კითხვას, მიიღებს თუ არა საქართველო „მაფს“ ან, სულაც, ალიანსში მიპატიჟებას, ასეც უპასუხა და ისეც. ასე – შენიშნა, რომ „საქართველომ მიაღწია შესანიშნავ პროგრესს რეფორმების გატარებით, „ნატოსთან“ თავსებადობაც გაზარდა და ეს პროგრესიც ჯეროვნად უნდა აისახოსო, თუმცა, ისე – აღნიშნა, რომ ფორმებზე საუბარი ნაადრევია.

ოღონდ, გადაჭრით დაგვირდა, რომ ღია კარის პოლიტიკა გრძელდება და, თუ ახლებს არ შეუშვებენ, ღია კარიდან ჭიტიტის საშუალებას ისევ მისცემენ. მეორე მხრივ,

„სამაგალითო პროგრესში“ იგულისხმება (მომყავს ციტატა): „სამაგალითო არჩევნების ჩატარება, ავლანეთის სამშვიდობო ოპერაციაში წვლილის შეტანა.“



ბუნებრივია, თუკი შევეთავსეთ ერთმანეთს, ადრე თუ გვიან, შერწყმაც არ უნდა გავვიჭირდეს, ხოლო, თუ გავითვალისწინებთ, რომ აუზში წყლის ჩახსმა კარგა ხანია, გვირდებია, ჩვენ კი ზუსტად ამდენი ხანია, თავით მაინც ვხვებით, იმ ადრე თუ გვიანამდე, ყოველ შემთხვევაში, თავი მაინც გვექნება ქვასავით მაგარი.

პერსონალურ მონაცემები დაკარგულები

ისე მოხდა, რომ, თუკი აქამომდე მხოლოდ პერსონალურ მონაცემთა ბაზა გვექონდა, ახლა უკვე პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორიც გვეყავს, თუმცა, ამის მიუხედავად, ბოლო პერიოდში მოქალაქეთა პირადი მონაცემების შემცველი ელექტრონული ბაზების გაყიდვის ფაქტები გასშირებულა. გახშირება ხომ ერთი უბედურებაა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მეტად იაფადაც იყიდება ეს ჩვენი პირადი მონაცემები. კერძოდ, 1 400 000 კერძო პირის სახელის, გვარის, დაბადების თარიღის, ტელეფონის ნომრისა და მისამართის ღირებულება, სულ რაღაც, 100 ლარია, ხოლო 120 000 კერძო პირის ელფოსტის მისამართის ფასი, საერთოდაც – 70.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორმა მონაცემთა ბაზების მფლობელებსა და პოტენციურ შემძენებს მოუწოდა, პატივი სცენ საქართველოს მოქალაქეთა პერსონალური მონაცემების დაცვის უფ-

იაფფასიანები?!

ლებას, თუმცა მეეჭვება, მორალურმა წნეხმა გაჭრას. როგორც ჩანს, არა მხოლოდ მე, ეს ამბავი იქ, ზემოთაც, ეეჭვებათ. ალბათ, ამიტომაც, პარლამენტში პირველ ნომერამდე სპეციალური კომისიის შექმნას გეგმავენ, რომელმაც უნდა დაადგინოს, ბოლოს და ბოლოს, ვის ექნება ამ ჩვენს პერსონალურ მონაცემებზე წვდომის უფლება, ანუ, ვის ხელში აღმოჩნდება ეგრეთ ნოდებული „გასაღები“, რომლითაც ნებისმიერის შესახებ ზღვა ინფორმაციის მოპოვება შესაძლებელია. ჯერჯერობით ეს „ოქროს გასაღები“ (განა კუ ტორტილას), ძალოვნების ხელშია.

თუმცა ამ ამბის ფინალი მაინც იმაზე და მოკიდებული (რამდენი კომისიაც უნდა შეიქმნას), აღმოჩნდებათ თუ არა ჩვენს ძალოვნებს ისეთივე კეთილი გული, როგორიც სულგანათლებულ ტორტილას ჰქონდა!

წილის ტეფონი ინფიში

0902 200 206

0902 200 244

მობილურებიდან



ზარი ფასიანია



- 2 მილიარდამდე სამომხმარებლო სესხა გაცემული, არადა, ის ერთ-ერთი ძვირი საბანკო პროდუქტია. რას მოვიხმართ ამდენს?

- საბანკო ეკონომიკა, ზოგადად, სხვა ნიშნებთან ერთად, გულსხმობს სამომხმარებლო საზოგადოებასაც, მთელი ეკონომიკური მექანიზმი, სარეკლამო ბიზნესი, მედია, მიმართულია იქითკენ, რომ ადამიანები დაინტერესონ და მათთვის მიმზიდველი გახადონ ყიდვისა და მოხმარების პროცესი. ბევრი, სუბიექტური თუ ობიექტური გარემოებების გამო, ვერ უძლებს ამ ცდუნებას და არა მხოლოდ საქართველოში, მთელ მსოფლიოში და ცდილობს, ის მოთხოვნილებები, რომელთა დაკმაყოფილების რესურსი ამ მომენტში არ გააჩნია, დაიკმაყოფილოს მომავალი შემოსავლების ხარჯზე. ამ დროს ავინდებია ის ელემენტარული რამ, რომ, როდესაც ადამიანი ვარკვეული ვადით იღებს სესხს, ან ის საკუთარი ფულით უნდა გაისტუმროს და ის ფული უნდა გასაცეს სამუდამოდ. ასე რომ, საბანკო ეკონომიკის დამკვიდრებას და საეკონომიკური სფეროების სიუხვეს თან ახლავს დავალიანება და სამომხმარებლო კრედიტების სხვადასხვა ფორმით გამოვლენა.

- სტაბილური ეკონომიკისა და პოლიტიკის ქვეყნებში, ამას აქვს გამართობა, მაგრამ ისეთ არასტაბილურ გარემოში, როგორშიც ჩვენ ვცხოვრობთ, ცოტა რისიკიანი არ არის გრძელვადიანი სესხების აღება: სხვა რომ არაფერი, ქვეყანაში არ არსებობს ხანგრძლივი შრომითი ხელშეკრულებების პრაქტიკა?



სამომხმარებლო კრედიტის აღება იმას შვავს, როდესაც დამშუული ადამიანი სანოვაგით დატვირთულ სუფრასე მოხვდება შემთხვევით და გარკვეულ შინაგან კონტროლს კარგავს

- გასაგებია და ამ მხრივ საინტერესოა გერმანიის გაერთიანების გასწვრივ: დასავლეთ და აღმოსავლეთ გერმანიის გაერთიანების შემდეგ აღმოსავლეთ გერმანიაში მასობრივი ხასიათით მიიღო ძვირად ღირებული თანამედროვე ტექნიკისა და ავტომობილების შექმნამ, რის ფუფუნების უფლებასაც დასავლეთ გერმანიელთა ხშირად თავიანთ თავს არ აძლევდნენ. ეს იმას შვავს, როდესაც დამშუული ადამიანი სანოვაგით დატვირთულ სუფრასე მოხვდება შემთხვევით და გარკვეულ შინაგან კონტროლს კარგავს. შესაბამისად, ადამიანი იმ მომენტში ნაკლებ ყურადღებას აქცევს, რომ აღებული კრედიტი გადასაღებელია. არ მინდა, ისე წარმოვადგინო საქმე, რომ საქართველოშიც ასე იყო, თუმცა საკონტროლო და მომსახურებაზე გარკვეული დეფიციტის შემდეგ ბაზრის გახსნამ მოთხოვნილება გააძვირინა და მოთხოვნილების დაკმაყოფილება გვიწევს დღესაც ავანსად ხვალისდელი თუ ზეგინდელი შემოსავლების იმედზე. ჩვენი მოსახლეობის დამოკიდებულებას საბანკო სექტორისადმი, აჩვენებს იპოთეკით დატვირთული ქონების ოდენობაც, თუმცა სამომხმარებლო თუ იპოთეკურ სესხს ყოველთვის არ აქვს სამომხმარებლო დატვირთვა. ამ საბანკო ვალის დიდი ნაწილი ჩამოყალიბდა იმის გამოც, რომ ბოლო დრომდე არ არსებობდა სხვა შემცავებელი და სოციალური დაცულობის ინსტიტუტები: სადაზღვევო სისტემა, ჯანდაცვა და ასე შემდეგ. ხშირად ოჯახში ადამიანის კვანძობრივობის პრობლემა იყო არა მარტო კეთილდღეობისა და ოჯახის წევრის ყოფნა-არყოფნის საკითხი, არამედ მკვეთრად ცვლიდა ოჯახის ეკონომიკურ მდგომარეობას.

- გალარიების ერთ-ერთი მთავარი წყარო იყო სწორედ ჯანდაცვის ხარჯი.

- ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, ჩვენიან ბოლო დრომდე ჯანდაცვაზე გაღებული ხარჯის თითქმის 78 პროცენტით მოდიოდა მოსახლეობის ჯიბეზე. მაშინ, როდესაც საშუალო მსოფლიო მაჩვენებელი არ აღემატება 60 პროცენტს და რაც უფრო განვითა-

2014 წლის პირველი მარტის მდგომარეობით, მილიარდ 800 მილიონი ლარის სამომხმარებლო სესხისა გაცემული. 2013 წლის განმავლობაში კი ქართულმა ბანკებმა 8 მილიარდი ლარის იპოთეკით უზრუნველყოფილი სესხი გასცეს, იმის პარალელურად, რომ 113 000 ადამიანის ქონებაა გადაცემული აღსრულების ბიუროსთვის (ამ მონაცემში არ შედის მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და კერძო მეცხსეების მსხვერპლთა რაოდენობა). რატომ მიეძღვნენ საქართველოს მოქალაქეები საბანკო სესხებს და აღმოჩნდება თუ არა თავად ბანკები კლიენტებისთვის დაგებულ საკრედიტო მახეში? - თემაზე ეკონომიკის ექსპერტი იოსებ ბრჩვამაძე გვესაუბრება.

როგორ ახვევს საკრედიტო ბაზარი რეკონსტრუქციის პროცესს? ახალი სესხით ბალანსი, როლის ექვემდებარება 113 000 ადამიანი კლიენტის ქონებას გაყიდვა და როგორ ახვევს რეკონსტრუქციის პროცესს და აღმოჩნდება თუ არა თავად ბანკები კლიენტებისთვის დაგებულ საკრედიტო მახეში?

რეგულირება, მით უფრო დაბალია მოსახლეობის მონაწილეობის ნილი ამ ხარჯში. იმის გამო, რომ ჩვენთან ამის რესურსი სახელმწიფო ბიუჯეტს არ გააჩნდა, მოსახლეობა თავისი რესურსით ცდილობდა ჯანდაცვის ხარჯის დაფარვას. რა იყო ეს რესურსი? ან ფულადი დანახვა, რაც ძალიან მოკრძალებული ჰქონდა ჩვენს მოსახლეობას ან სესხის აღება. სესხის აღებისას გარანტიის სახით იდებოდა უძრავი ქონება. ანუ ერთი პრობლემა სამომხმარებლო სესხი, მაგრამ იპოთეკური სესხების დიდი ნაწილი აღებული იმის გამო, რომ არ არსებობდა ვეროვანი სოციალური დაცვა. ეს მხოლოდ ჯანდაცვის სფეროს არ ეხება, იგივე ეხება განათლების სფეროსაც, თუმცა განათლების სფეროში მთლიანი ხარჯების, დაახლოებით, ორი მეხუთედი მოსახლეობის ჯიბეზე მოდის, მაშინ, როდესაც ევროპაში ეს მაჩვენებელი გაცილებით დაბალია და 15 პროცენტს არ აღემატება.

- ვისარეგულბ შემთხვევით და ასეთ სტატისტიკას მოვიტან: მთავრობა უკვე გამოაქვეყნა იმ უმაღლესი დონე მონაცემები ჩამართული, რომლებსაც დააფინანსებს. სულ სახელმწიფო მისთვის მიწოდებული მონაცემები 15 000 სტრუქტურულ დაფინანსებას, თუმცა მხოლოდ 5 000 აბიტირინგს აქვს ამ მონაცემებზე შეტანილი განაცხადი.

- ადამიანი მიმართავს საბანკო სისტემას და ითხოვს სესხს, მაგრამ იქ მას საკმაოდ დიდი კონსტრუქციის პრობლემა ელოდება. მაგალითად, ბოლო მონაცემებით, სესხების საშუალო წლიური პროცენტი არის 19, მაშინ, როდესაც დემონსტრირებული სიდიდეა - 7,6 პროცენტი. სხვაბადა სესხებისა და დემონსტრირების საშუალო მაჩვენებლებს შორის, ანუ უზრუნველ რომ ვთქვათ, სრული მით შორის საკმაოდ მაღალია და 11,4 პროცენტს შეადგენს, მაშინ როდესაც ევროპაში თუ ბანკი 3-4 პროცენტთან მოგებაზე მუშაობს, თავს ბედნიერად გრძნობს. ჩვენიან სხვაბადა გაცემულ სესხებსა და მოზიდულ დემონსტრირების შორის საპროცენტო განაკვეთის მიხედვით საშუალო მსოფლიო დონეს 3-4 პროცენტს აღემატება.

- 2013 წლის განმავლობაში 8 მილიარდი ლარის იპოთეკით უზრუნველყოფილი სესხი გაიცა, ცოტა ბევრი არ არის ჩვენიან?

- ეს საქართველოსთვის საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია, თუმცა ვადიანი სესხების მოცულობა კიდევ უფრო მეტია, 10 მილიარდ ლარს აღემატება დღეის მდგომარეობით. არის ასეთი მაჩვენებელი: სესხების თანაფარდობა მშპს-თან, ამ მხრივაც ვერაფერობით ძალიან დიდი თანაფარდობა არ არის, შესაძლებელია დონეზე გაცემული. მაგალითად, საქართველოში, რომელიც არ ითვლებოდა საბანკო ეკონომიკის პერიოდად, კრედიტების თანაფარდობა მშპს-თან 80 პროცენტს შეადგენდა, ჯამში, როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ პირებზე. მართალია,

საქართველოში 10 მილიარდზე მეტი ვადიანი სესხისა გაცემული, მაგრამ არის ასეთი მაჩვენებელიც - ვადგადაცილებული სესხი. ასეთია 231 მილიონი ლარი. ჩვენიან იოლი სათქმელია, მაგრამ ეს ვადგადაცილებული სესხები სესხების საერთო მოცულობის მხოლოდ 2,2 პროცენტია.

- ჩვენიან საკმაოდ აქტუალურია სესხების ერთი ახალი სესხით გადაფარვის სქემა. ეს ჩვენ მიერაა მოგონილი თუ მანამდეც არსებობდა?

- ამაზე საავტორო უფლებას ჩვენ ვერ გინაცხვადებთ, თუმცა ყოველთვის არ არის ახალი სესხი უფრო მაღალი საპროცენტო განაკვეთის, ვიდრე წინა სესხები. თუმცა ზოგჯერ უფრო მაღალი პროცენტით ხდება გადახდა. მაგალითად, ბაქო-თბილისი-ჯარის რკინიგზის მშენებლობაზე თავდაპირველად აზერბაიჯანისგან ავიღეთ 200 მილიონი დოლარის კრედიტი შედარებით დაბალი პროცენტით, მაგრამ, რადგან ეს არ იყო საკმარისი, დამატებითი სახსრები მოიზიდეს უფრო მაღალი პროცენტით. ამის საპირისპიროდ 2008 წელს ევროზონის გამოშვებით აღებული თანხის რესტრუქტურისაცა მოხდა და 2011 წლის გაზაფხულზე მიღწეულ იქნა შეთანხმება, რომ მისი დაფარვის ვადა გადაინდგა 2013-ს ნაცვლად 2021 წელს, ანუ 8 წლით გადავადდებოდა. ამასთან, პროცენტის მომსახურების განაკვეთი შემცირდა 0,3 პროცენტით.

- მაგრამ წელთა რაოდენობა ხომ გაიზარდა, რამაც, საბოლოოდ, დასაბრუნებელი თანხის ოდენობა გაზარდა?

- გაიზარდა და 500 მილიონ ევროზე მოგინდეს 900 მილიონი ევროს გადახდა.

- მოქალაქეებიც ხშირად მიმართავენ ამ ხერხს.

- საბანკო დანესებულებებს შორის ინფორმაცია იცვლება და, თუ ევრეთ ნოდებულ შავ სიაში მოხდა ადამიანი, მას საკმაოდ გაუჭირდება კრედიტის აღება.

- შავ სიაში შეიძლება, არ არის.

- მესმის, მაგრამ მთლიანობაში ეს არის პრობლემის არა გადაჭრა, არამედ - გადავადება.

- ჩვენი ევროზონის არ იყოს.

- დაახლოებით, იგივეა. საბანკო სექტორი ხშირად ცვლის მომსახურების საპროცენტო განაკვეთს, რაც უკავშირდება არა იმდენად პოლიტიკის ცვლილებას, ან გამკაცრებას ან ლიბერალიზაციას, რამდენადაც ინფლაციის დონეს.

- და ვერაფრით მივანდით, რომ რეალური პროცენტი თქვენს დასავლეთშიც ასეა? ადამიანმა არ იცის, საბოლოოდ, რა თანხის დაბრუნება მოუწევს?

- ეს იქ ხელშეკრულების საგანია. როდესაც, პრობლემა 20 თვის განმავლობაში იღებთ სესხს, მართალია, ბანკი ყოველთვიურად თანაბარ თანხას გახდენებდა, მაგრამ ამ თანაბარ თანხას სხვადასხვა პროცენტით ანაწილებთ - თავდაპირველად იღებს პროცენტს და შემდეგ - ძირს. ასე რომ, შესაძლოა, თქვენ საბანკო განმავლობაში გადაუხადეთ ბანკს 3 000 ლარი, მაგრამ თქვენში დავალიანება 10 000-ლარიანი სესხიდან ისევ 9 500 იყოს, რადგან ბანკი ვერ თავის პროცენტს იბრუნებს და შემდეგ ძირითად თანხას. ბანკები მიდიან ამაზე და კლიენტი



ალექსიზოვილის კლინიკა

სერსეპლისა და სხსრების დაავადებების მკურნალობა ეფექტური და სწრაფი მეთოდით

დინარა ფარულაშვილი, 54 წლის, თბილისი.

ლიანაშვილი: წლის მალეების დისკოზი, იშიახი.

12 წელია, საბერძნეთში მძიმე ფიზიკურ შრომას ვწვევი. 2 წელია, დამეხყო წელის არემი ძლიერი ტკივილები, რომელიც მარცხენა ფეხზე გადადიოდა. როგორც ვახერხებდი, ათენში ვმკურნალობდი, მაგრამ პირობით, უფრო დაემძიმდა. შემდეგ გამიკეთეს კომპიუტერული გამოკვლევა. აღმოჩნდა, საოპორაციო დისკი (L5-11-მილიმეტრიანი თიაქარი). მუშაობა აღარ შემეძლო, სამსახურს ვკარგავდი. ოპერაციას ვერ გავიკეთებდი – შემეშინდა, რადგან დიაბეტი და მაღალი წნევა მაქვს. უსრნალოდანი შევიტყვე ამ კლინიკის შესახებ. ახლობელი გამოგვავხვდა ჩემი გამოკვლევებით და ნამულები, მალაშობი და დანიშნულება აქ გადმომიგზავნეს. 2 კურსი დამჭირდა, თავს არაჩვეულებრივად ვგრძნობ, თითქოს არც მტკიებია რაზე. ამ წერილს ახლობელს ვატყავ, დიდი სიყვარულით და იმედით.

ქალბატონო მანანა, ღმერთმა 100 წელი გამყოფოთ ჩვენს იმედად!

წერილის ანთება, რადიკულიტი, ოსტეოქონდროზი, დისკოზი (დისკოს თიაქარი) სახსრების დაავადებები (ანთება, მარილები), პოდაგრა, სქოლიოზი – აი, იმ დაავადებების არასრული სია, რომლებსაც ექიმი მანანა ალექსიზოვილი უსწრაფესი ეფექტით მკურნალობს. მას მკურნალობის საკუთარი, უნიკალური მეთოდი აქვს, რომლითაც მინიმალურ ვადებში იღებს საოცარ შედეგს და უამრავ იმედგადასწრულ ავადმყოფს უბრუნებს სიცოცხლის ხალისს.

თამაზა ნოზაძე, 47 წლის, ქობულეთი.

ლიანაშვილი: პოდაგრაული ართროზი.

ასეთი შემთხვევა არასოდეს მქონია: წინა დღეს ბიჭებმა კარგად ვიქეციეთ, დილით კი საშინელმა ტკივილმა გამაღვიძა. ტერფი ორი იმხელა იყო – დასიბუღო, გახურებული. მტკიოდა მუხლიც. ტკივილი ძალიან მწვავე იყო. ფეხი ვერ დავაბიჯე. შემეშინდა, გამოიძახეს სასწრაფო დახმარება. გამიკეთეს ნემსები. ცოტა მიყურდა და მერე ისევ... იქაურმა ექიმებმა ყველაფერი გამიკეთეს, მაგრამ სიარულს ვერ



ვახერხებდი. ნამულებმა გამოიზიანა კუჭიც და ნაღველიც. ამენია წნევა... ცუდ დღეში ვიყავი, შემდეგ ჩამოვედით თბილისში. მანანა ექიმმა ისე მიგვივლო, იმედი მოგვეცა. პირველივე პროცედურამ მომიხსნა ის მწვავე ტკივილი, იმავე საღამოს დამიცხრა დასიბუღო ფეხი და მეორე დღეს კონკრეტულად ჩემი ფეხით მივედი. მკურნალობას ვაგრძელებ. ძალიან კარგი შედეგი მაქვს. უღრმესი მადლობა ასევე სოსო ექიმს და ბატონ ზაზას ასეთი თბილი შეგვიძღვისა და პროფესიონალიზმისთვის.

ბუნებრივი მარტივად იკურნება

ელეა ოჩიაური, 52 წლის, თბილისი. შარბანის გავეყვით უსისხლო ოპერაცია. 1 წელი კარგად ვიყავი. მერე ისევ თავიდან დამეხყო სისხლდენა, კვანძები, ტკივილები, მკურნალობა. მივაკითხე ალექსიზოვილის კლინიკას, ნაილე მალაშობი, დანიშნულება. ტკივილი 2 დღეში მილიანად მომხსნა, სისხლდენა აღარ შემეშინებია. კუჭის მოქმედება პირველივე კურსზე გამოიხსნა. მკონდა ასევე, მებრძოლობა, ქოლესისტაზი, გასტროტი, ცისტატი, საუცხოო შედეგი მივიღე. 10 დღეში ალაგდა ეს ყველაფერი. ეს ვარდების თაიფული ჩემი ეზოსა და მანანა ექიმს მოვართვი.

დალი ასათიანი, 39 წლის, თბილისი. ჩემი დიაგნოზი ანალოგიური ნარალი და ჰემოროიდული დაავადება მესამე ხარისხის. დისბაქტერიოზი. ზამთარში გავცივდი, ფლტელების ანთება დამემართა.

მტკივნეული კვანძები, სისხლდენა, წვა, ქავილი – თემის დელიკატურობის გამო პაციენტები ხშირად ერიდებიან ექიმთან დროულად მისვლას, დაავადება კი უფრო მძიმდება და საკმარისი ჩარევამდე მიდის. ალექსიზოვილის კლინიკაში, სადაც ექიმი დედა-შვილი ქალბატონი მანანა და ბატონი სოსო მოღვაწეობენ, ბუასის მარტივად, არაქირურგიული გზით მკურნალობენ. მათ მეთოდს საოპერაციო შემთხვევების დიდი უმრავლესობა ექვემდებარება.

დამჭირდა ანტიბიოტიკები. დამემართა დისბაქტერიოზი. ეტყობა, ეს გახდა მიზეზი ამ ყველაფრისა. მწვავე ტკივილები დამეხყო, უშენაფეს... აქ ახლობლის რჩევით მოვედი... კიდევ კარგი, თორემ ქირურგის ჩარევას ვერ ავცდებოდი. ძალიან მსყაფილი ვარ. ერთმა კურსმა მომიხსნა ბუერი ჩივილი. დამრჩა მხოლოდ შემცირებული კვანძები. ახლა მიმაქვს მეორე კურსისთვის მალაშობი და მეყერა, ესეც ალაგდება.

უღრმესი მადლობა მანანა ექიმს და მის ვაჟს, სოსო ექიმს.

მისამართი: მეტრო „ნაძალადევთან“, ცოტნე დადინის ქუჩა №87 (ყოფილი რკინიგზის პოლიკლინიკა; კაბინეტი №18; №19. მიღება 12-დან 16 საათამდე, ნონანსარი ჩანერი. ტელფონები: 599-10-06-36; 599-57-16-99.

თამაზა ნოზაძე

მზად უნდა იყოს ასეთი მოულოდნელობისთვის.

- და ვეროპული ბანკებიც ასე იქცევიან?

– პრინციპი იგივეა, ოღონდ ევროპაში საბანკო პროცენტები დაბალია და, შესაბამისად, მომსახურების თანხის სიდიდეც ნაკლებია.

– ბინების დაგირავების პროცესში არაჯანსაღი დამოკიდებულება ჩნდება: ბინის პატრონები არარეალურად მაღალ ფასად აგირავებენ ბინებს და დიდი ალბათობით არ ექნებათ მოთხოვნილი თანხის დაბრუნების საშუალება და უძრავი ქონების ნაწილს ამ გზითაც კარგავენ ჩვენი მოქალაქეები.

– ეს ფაქტორი არის და ამაში თავიანთი წვლილი მიუძღვით საბანსო სექტორსა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს. ისინი ხელს უწყობენ არა საზოგადოების საშუალო ფენის ფორმირებას, არამედ – მის გაქრობას. ერთი ცნობილი პიროვნების გამოხატულების პერიოდში არაზომიერად მოვასხდინოთ: საბანკო სექტორი წარმატებით ასრულებს შუა ფენის გაკრეფას და საქმე იქამდე მიჰყავთ, თუ ასეთი ტენდენციები ვაგრძელებ, რომ საზოგადოებას აღარ ეყოლება საშუალო ფენა. მათი წარმომადგენლობა იქნება მცირე და სიმბოლური, ისეთივე, როგორც ზოგიერთ პოლიტიკურ პარტიას ჰყავს პოლიტიკურ ლანდშაფტში სიმბოლურად თავისი წარმომადგენელი.

- მაგრამ ეს ხომ არაგონივრულია? თუ სესხის აძლენ არ იქნა, ბანკები ფულს რომ იშვებ?

– ჩვენ ერთხელ გვექონდა საუბარი მოკლე და გრძელვადიან გეგმებსა და მერსპექტივებზე. მაგალითად, ნარკოტიკებით მოვაჭრე ხეიარის ნახულობს იმით, რომ საზოგადოების გარკვეული ნაწილი კრეატიული და შეძლებულია და იღებს შემოსავლებს, მაგრამ, თუ ყველა, ნარკოტიკებით მოვაჭრეების გარდა, იქნება გაბრუნებული და არ ექნებათ არსებობის უნარი, მოვაჭრე სარგებელს ვერ ნახავს. მაგრამ მოვ-

აჭრეს მაინც ურჩევნია, გაზარდოს ნარკოტიკების რეალიზაცია, მიიღოს შემოსავალი და იმ მომენტში გაიუმჯობესოს თავისი ფინანსური მდგომარეობა. დაუნდობელი და თამაშ შეფასება, მაგრამ ბანკების ასეთი პოლიტიკა ნაკრომოვაჭრეების მოქმედებას მაგონებს.

- ლაბტრეები და გათამაშებები დამახასიათებელია ღარიბი ქვეყნისთვის. მადლობა ღმერთს მათმა რაოდენობამ იკლო, მაგრამ ძალიან ბევრი ლომბარდია, მათი სიხვეცა-სახსხად მიუერთებს, რომ გვათიანად გვიჭირს?

– ეს მოუთითებს ეკონომიკურ გაჭირვებაზე და არა მარტო ეკონომიკურ გაჭირვებაზე, იმაზე, რომ საზოგადოებაში ჯერ კიდევ საშუალოზე მნიშვნელოვნად დაბალია ეკონომიკური გასართობი-კულტურებისა თუ კაზინოებისადმი რომანტიკული დამოკიდებულება და და ფიქრობენ, რომ შეძლებენ ერთი ხელის მოსმით ყველა პრობლემის გადაჭრას, ლომბარდებში საკუთარი გადაუდებელი საჭიროებისთვის შეიძლება, გაიმეტონ ოჯახის რელიკვია, ძვირფასი ნივთი, საკონონო ბეჭეტი და ასე შემდეგ. ეს ჩვენი დრამატული ცხოვრების ერთ-ერთი თვალსაჩინოებაა.

– მართალია, 8 მილიარდი ლარის იპოთეკური სესხი ვასცხვებანკებში, მაგრამ, ვოქცა, მესამედმა ვერ დააბრუნა სესხი, არის სამი მილიარდი უძრავი ქონების მყიდველი ჩვენთან? – მოხდება ის, რაც

დაემართა ამერიკის შეერთებულ შტატებს: იპოთეკით დატვირთული ბინები გადადიოდა ბანკების საკუთრებაში. ბანკები ფიქრობდნენ, მაინც ჩვენს საკუთრებაშია, მაგრამ ბაზარი გაჯერებული იყო. ასეთ მაგალითს მოვიტან: როდესაც პიკასო გარდაიცვალა, მისი ქონება, ნახატების ერთობლივი ჯამური ღირებულება, გამოვიდა ძალიან დიდი თანხა – 350 მილიონი დოლარი. პიკასოს გარდაცვალებისთვის ეს უზარმაზარი თანხა იყო, მაგრამ სპეციალისტებმა მაშინვე თქვეს, ასეთი ბაზარი მსატყობის ნაწარმოებებისთვის არ არსებობს. ანუ პიკასოს ყველა ნახატი რომ ასულიყო ბაზარზე, უბრალოდ ამდენი მყიდველი არ იქნებოდა. ასევე ამ შემთხვევაშიც: ამდენმა უძრავმა ქონებამ რომ მეპატრონე შეიცვალოს, ეს ნიშნავს იმ ფიზიკურ პირობის დამარცხებას, მაგრამ ბანკებს არანაირ შედეგს არ მოუტანს.

სინო ხაჩიძე

დეიკო (ანა) თოლუას გახსენება



2004 წლის 18 მაისი ულამაზესი დღე იყო თოლუების ოჯახში – დაიბადა პირველი შვილი, შვილიშვილი, შვილიშვილი, ოჯახის იმედი, ვაგრძელება – დეიკო... ხანმოკლე იყო ჩვენი სიხარული და ბედნიერება. ორი წლის შემდეგ, ისევე ზეცას მიაშურა ჩვენმა ანგელოზმა... დაგვტოვა და ახლა იქიდან გვიცავს და გვიფარავს.

ჩვენო თვალსაზრისით, ძალიან გვტყავს და გვიჭირს უშენობა. 18 მაისს 10 წელი შეგისრულდება. უკვე დიდი გოგო იქნები... აქედან გილოცავთ და გეფერებით, ჩვენო პატარა ანგელოზო. ღმერთმა სასუფეველი დაგიმკვიდროთ შენ და შენს გია მამიკოს... ძალიან გვიყვარხართ და გვენატრებით.

ოჯახი



კვლევა არ ჩამიტარებია, მაგრამ მგონია, რომ წრეგადასულ აგრესიასა და სიძულვილს ვაფრქვევთ. გადაჭარბებულია ჩემი შთაბეჭდილება?

დასაბუთებით, მეც ასე ვხედავ, თუმცა სპეციალური კვლევა არც მე ჩამიტარებია. ამიტომ ჩვენ უნდა ვილაპარაკოთ ჩვენს ვარაუდებზე. მართლაც, მაღალი აგრესიის დონე, თუმცა ვიტყვით, რომ აგრესიის დონე ყოველთვის მაღალი იყო საქართველოში. თუ დავუკვირდებით ჩვენს ყოფას და ყოფის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ელემენტს, როგორც არის კომუნიკაცია და კომუნიკაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ელემენტს, როგორცია სხეულის ენა, ვნახავთ, რომ შესტების სიხვე დაპარაკისას, ხმა-მაღალი ინტონაცია და დაუინებიო, მტკიცებითი ფორმით მიხვდა საუბრისას ჩვეულებრივი მოვლენა ქართულ რეალობაში. თამაშით დანაყბული და ძველი ბიჭის მუქარით დამთავრებული ქუჩაში.

დედებიც ხშირად ემუქრებიან შვილებს, ქმრებს - ცოლებს.

მუქარაზე აგებული საზოგადოება იყო და არის კიდევც, ამიტომ ვერ ვიტყვით, რომ აგრესიამ მოიმატა, ალბათ, ყოველთვის იყო, უბრალოდ, რაც იყო, უკეთ გამოვილინდა.

სამხრეთელებისთვის ზოგადად ხომ დამახასიათებელია ხმამაღალი ინტონაციები და აქტიური ფესტიკულაცია, ამის ნაკლებობას არც ევროკავშირის წევრი იტალიელები უჩივიან?

ერთი წლის განმავლობაში ცხოვრობდა ერთი ჩემი თბილისში და ასეთი რამ მითხრა, როდესაც ქუჩაში დავედივარ, ენა არ ვიცი, მაგრამ ისეთი განცდა მაქვს, რომ ყველა ერთმანეთს ეჩხუბება, ტონალობა აქეთ ისეთი. ჩემიგმა ერთმანეთს ამ ტონით რომ ელაპარაკონ, ჩახოცავენ ერთმანეთს, ამიტომ ვერ ნახავთ იმ ჩემს, ერთმანეთს რომ ხმამაღლა ელაპარაკებოდნენ, უფრო ხანა ხმამაღლა ლაპარაკს, რადგან ხმამაღალი ლაპარაკი გადადის ჩხუბში და ისინი ერთდებიან ჩხუბსო. როგორც ჩანს, ჩვენთან, ჯერ ერთი, ხმამაღალი ტონალობა და მეორე - ჩხუბს არ ერეიდეიან. არის ეთნოსები, სადაც ჩხუბი ტაბუირებულია, ჩვენთან არ არის და აგრესიას არ ერეიდეიან. პირიქით, თუ დააკვირდებით, გინება ყოველი ფეხის ნაბიჯზე გვეხმის, არათუ სხვისი, საკუთარი დედის გინება.

იოლი გამოსავალია, თან, გინების მოთხოვნილებას იკმაყოფილებენ და პასუხისმგებლობასაც იცილებენ თავიდან: ბოლოს და ბოლოს, დედა მათა და უნდა შეაგინებენ და უნდა - არა.

ანუ თავის თავსაც ანგრევენ, რადგან საკუთარი დედის გინება ნიშნავს, რომ ნიხლავე შენს წარმომავლობას. რაზე მეტყველებს საკუთრივ ეს მაღალი დონის აგრესია, როდესაც ადამიანი უაპელაციოდ მიმართავს ხმამაღალ ტონს და მაინცადამაინც მტკიცებითი ფორმით გამოხატავს თავის აზრს? ეს ჩემ ირგვლივ ნამდარუნებ ხდება, მათ შორის, ახლობლებშიც. უფრო მეტიც, დილაობით დავედივარ იპოდრო-



არის ეთნოსები, სადაც ჩხუბი ტაბუირებულია, ჩვენთან არ არის და აგრესიას არ ერეიდეიან. პირიქით, თუ დააკვირდებით, გინება ყოველი ფეხის ნაბიჯზე გვეხმის, არათუ სხვისი, საკუთარი დედის გინება

ყველას კარგად მოეხსენება, რით სრულდებოდა და სრულდება ჩვენს რეალობაში სუფრასთან თავშეყრა: საუკეთესო შემთხვევაში ჩოჩქოლით, უარესში - დაჭრა-მკვლელობითაც კი. თუკი ეს აფექტურობა სასმელს ბრალდებოდა, ან უკვე სოციალურ და მედია-სივრცეში სახეებით ფხიზელი ადამიანები ისეთ აგრესიას აფრქვევენ, მისი ენერჯიად გარდაქმნის საშუალება რომ იყოს, სამყაროს ასაფეთქებლად იკმარებდა. რა არის ჩვენს საზოგადოებაში არსებული აგრესიისა და სიძულვილის მიზეზი? - ამ არცთუ იოლ და პრობლემატურ საკითხში ფსიქოლოგი ნოდარ სარჯველიძემ გაგვარკვევს.

ჩაბომ ხსნიათლება ჩატიველი საზოგადოება აბრეიისა და სიძულვილის გეალი ღონით და ჩაბომ ვეჩ იხანს ჩატიველი თავის სივრცეში ნიქიარსა და გეომორფულ ალაიხანს

მზე და მხედებიან ადამიანები, რომლებიც დილიდან ლაპარაკობენ პოლიტიკაზე და ლაპარაკობენ აგრესიულად. არადა, დილის 7 საათია, ჩიტები ჭიკჭიკებენ, გარშემო სინუნუნა, მზე ანათებს, გაიხარე, რაღაც სასიამოვნო თქვი, ახალი დღე დაინიქე მშვიდად და კარგი ამბით. ვერბალური აგრესიაც ხომ აგრესიაა?! რის სიმბოლო შეიძლება, იყოს ეს ყველაფერი? ინდივიდზე თუ ვისუბრებთ, ასეთი უაპელაციო აგრესიული გამოხატუვა, როდესაც შემაკავებელ იმპულსებს არ მიმართავ, არის უმნიფრობის, ფსიქოლოგიური მოუწინფელობის გამოხატულება. ანუ ადამიანი ჯერ კიდევ ინფანტილურ ფეხაშია. ბავშვი ტირის, როდესაც სურვილი არ უსრულდება. პრობლემა არის არა აგრესია, არამედ მოუწინფელობა. ჩვენიან 60-80 წლის კაცსაც კი შეიძლება, ისეთ რეაქციები ჰქონდეს, რომელიც პატარა ბავშვს ან ქაბუკებს ახასიათებთ. რამდენი ისტორიული პროცესი გავიარეთ, გვყავდა შოთა რუსთაველი, მაგრამ ვერ მოვწინფიეთ. შალვა წულციბიძე ამბობდა მინაფულ საუბრებში, მე ქართველობის იდეა მიყვარსო. ანუ ყველა ქართველი არ ნიშნავს ქართველობას, ამ ქართველობას გამოხატავენ არის ნამყვანი შეილები. მასა სრულიად უმნიფვარია.

გემალ ქარჩხაძე ამბობს თავის ერთ-ერთ რომანში: ერთ თავისი უკეთესი კი არა, უარესი შვილი ინიშებოა.

ჩვენი უმნიფრობა განსაკუთრებით კარგად გამოჩნდა საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლით, ადამიანები ისეთი მოუზადებლები დახედნენ თავისუფლებას და დამოუკიდებლობას, რჩება შობაბეჭდილება, რომ ისევ მონობაში უნდათ დაბრუნება.

თუმცა ფრომს აქვს მოსაზრება, რომ ადამიანი მთელი სიცოცხლე მიიღვს მიღებული თავისუფლებისგან გაქცევისკენ.

მექანიზმები, რომლებიც ევროპაში ჰქონდათ თავისუფლებისგან გაქცევისთვის, ცოტა სხვა არის. იმ სირთულეებს, რასაც თავისუფლება უქმნის ადამიანებს, კომპენსაციას უკეთებენ ბევრი ნიქითის, კომფორტის შექმნით, ანუ არსებობს ამ ჩიხის დაძლევის კონსტრუქციული და დესტრუქციული გზები. ჩვენთან სულ დესტრუქციული გზებია.

არ გვაქვს იმდენი ფული, თორემ ჩვენც ფუფუნებაში გავეცეოდით, ალბათ, თავისუფლებას.

ბავშვები ვერ აგნებენ კონსტრუქციულ გზას და პირველი, რაც მოუვათ თავები, არის ის, რომ ინყებენ ტირილს ან ყვირილს. იგივეა ჩვენთან: ეს დიდი ბავშვები უცბად ტეზენ ყვირილს. მე უმნიფრობის პრობ-

ლემას უფრო ვხედავ.

ჰუმანიზმის ნაკლებობაც იგრძნობა, რაც ვლინდება არა მხოლოდ ადამიანებისადმი, მცენარეებისადმი, ცხოველებისადმი დამოკიდებულიაშიც, იმავე გარემოს დანაგვიანებაში.

დეჰუმანიზებულია საზოგადოება, ადამიანსა და მის სიცოცხლეს დაბალი ღირებულება აქვს ამ სოციალში.

დატირება რომ გრანდიოზული ვიქით? დატირება, რიტუალები არის ინფანტილიზმის გამოხატულება, იმდენი რომ, როდესაც ზრდასრული ხარ, მოსულ ჭირს მედგრად ეგებები. შეუპოვრობა არის მომწინფეულობის ნიშანი. ემოციების ფრქვევა კი - მოუწინფელობის უკონტროლო ემოციების ვგულისხმობ და არა საჩვენებელ, ეგზობიციონიზმზე დაფუძნებული ტირილის საჩვენებელ შოუებს. მოტირლები ვილაცქევიბს შემოსვლისას რომ ინყებენ ხმამაღალ ტირილს და ერთმანეთს ეჯიბრებიან. ეს ყველაფერი არის მომწინფეულობის გამოხატუვა. საქმე ის არის, რომ საზოგადოება დეჰუმანიზებულია არა მარტო პორიზონტალურად, ანუ საკუთრივ ადამიანები ერთმანეთთან ურთიერთობაში, არამედ - ვერტიკალურადც, ანუ ხელისუფლების ხედვაც დეჰუმანიზებულია. მაგალითის გეტყვი: შევარდნაძის დროს იყო ასეთი ფრაზა: ვისნავლოთ სახელმწიფოებრივი აზროვნება. არადა ჰუმანური აზროვნება უნდა ვისნავლოთ. სახელმწიფო მიაჩნათ უნდალეს ღირებულება, მაშინ, როდესაც არა სახელმწიფო, არამედ ადამიანი უნდალესი ღირებულება. ანუ სახელმწიფო უნდა იყოს ადამიანისთვის და არა ადამიანი - სახელმწიფოსთვის, მაგრამ ამის საფუძველია ქართული მენტალიტეტი. დიდ მკრეფელობას ვიტყვი: ავილოთ იგივე ილიას ლექსი ქართლის დედისადმი, როდესაც დედას შეილებს და საკუთარი ბედნიერებისთვის კი არ უნდა დედობა, არამედ, ერთისთვის, რომ მას შესწიროს ეს თავისი შვილები.

მაგრამ ილიას დროს კონტექსტი სხვანაირი იყო.

იყო სხვანაირი, მაგრამ საუკუნეების განმავლობაში ითესებოდა იდეოლოგია, რომ ადამიანი არის ერისთვის და სახელმწიფოსთვის და არა ერ და სახელმწიფო - ადამიანისთვის. ეს ლერძი შემოატარალა კანტმა, თორემ მანამდე ევროპაც ასეთი იყო; სწორედ ამ ახალ იდეას დაფუძნდა ევროკავშირი. იქიდან მოდის, რომ სპეციალური ბილიკებია უნარმეზღუდული ადამიანებისთვის, ველოსიპედიტ მოსიარულეთათვის, აქედან მოდის უმცირეობების უფლებები, რადგან მიიჩნევა, რომ ადამიანი თავისი უმცირეობითა და უმრავლესობით ზრუნვის საგანი უნდა იყოს. ჩვენს რეალობაში კი კონცეპტუალურად სხვა ხდება, არც ხელისუფლებას არ აქვს ჰუმანიტური ხედვები: გინდა ივანიშვილი ყოფილა, გინდა - სააკაშვილი და გინდა - ღარიბაშვილი. ყველანი არიან ავტორიტარები თავისი აზროვნების წესით, თუმცა უნდათ, რომ დემოკრატები იყვნენ, მაგრამ აზროვნების წესი, რომელიც არქეტაპულად გადმოეცათ წინა თაობებისგან, არის ავტორიტარული, დეჰუმანიზებული, რომელშიც უნდალეს იდეას უნდა შეენიროს ცალკე ინდივიდი.

ქვემოთ, ანუ ერთმანეთის მიმართ არაჰუმანური დამოკიდებულების მიზეზი რა არის?

პორიზონტალურადაც ასეთი მიდგომა.

ავტორიზებული თბილისის ტურიზმის აპაღამია
აგრძელებს მიღებას გიდის; ინტერნეტტექნოლოგის (კომპიუტერი); კორესპონდენტისა და მუსიკოს-რეპეტიტორის პროგრამებზე.
დიბლომი სახელმწიფოა, სწავლის ღირებულება ხელმისაწვდომი.
მისაღარი: კოსტავას N 47 (ფილარმონიასთან)
ტელ.: 2936603; 599188924; 2935430; 2999626.



რა უძრავ-მოძრავი ქონება, სალავოზიომ ანგარიშები და შემოსავლები ჰქონდათ ხელისუფლებათა ყოფნის დროს ნინო ბურჯანაძეს და ბაღრი ბიძაძეს

ებდა, ბაღრი ბიძაძე კი, როგორც მთავარი სამხედრო პროკურორი - 350-ს.

1999 წლის დეკლარაციაში ის სახელზე, რომ ნინო ბურჯანაძეს 32 000-იანი ავტომანქანა ჰყავს, ბაღრი ბიძაძეს - 77 000-იანი; წყვილის შემოსავალი იგივეა, ისევე, როგორც 2000 და 2001 წლებში.

2003 წლის დეკლარაციაში ის სახელზე, რომ ბაღრი ბიძაძეს მინის ნაკეტი შეუძენია საგურამოში, ნინო ბურჯანაძეს აღარ ჰყავს ავტომანქანა, სამაგიეროდ, ჰყავს ანზორ ბიძაძე, 25 000 ლარად ღირებული, ბაღრი ბიძაძეს ავტომანქანა არ გამოუცვლია. ნინო ბურჯანაძეს სადეპოზიტო ანგარიშზე კი უკვე 42 000 აშშ დოლარი ერთიანად. რაც შეეხება შემოსავლებს: ნინო ბურჯანაძის წლიურ შემოსავლს 2002 წელს 16 849 ლარი შეუდგენია, ხოლო ბაღრი ბიძაძის, როგორც გენერალური პროკურორის მოადგილისა, 4 200 ლარი, პლუს 720 ლარი სატელეფონო ხარჯისთვის.

2004 წლის დეკლარაციის მიხედვით, ბურჯანაძე-ბიძაძის ქონებრივ ჩამონათვალს და შემოსავლებს ოდენობაში არანაირი ცვლილება არ არის. 2004 წლის დეკლარაციიდან კი ვიგებთ, რომ 2003 წლის განმავლობაში ნინო ბურჯანაძის წლიური სახელფასო შემოსავალი 37 000 ლარი იყო, სადეპოზიტო უფლებმოსილების შესარულებლად 15 210 ლარი მიიღო, მივიღებთ ისთვის - 8 814 ლარი, მაკორიტარის ბიუროს

მომსახურებისთვის - 2 050 ლარი, ხოლო ბაღრი ბიძაძემ, როგორც საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარემ 17 000-მდე ლარი აიღო, სამივლინებო ხარჯებისთვის კი - 6 300 ლარი.

2005 წლის დეკლარაციაში, ქონებას უცვლელია და შემოსავლებიც თავისი ყველა კომპონენტით. 2006 წლის დეკლარაციაში ვიგებთ, რომ ნინო ბურჯანაძე „დოიჩ ბანკში“ სადეპოზიტო ანგარიშზე 42 000 აშშ დოლარს ინახავს, ხოლო „თი ბი სი ბანკსაზე“ - 30 000 აშშ დოლარს. 2004 წლის განმავლობაში ნინო ბურჯანაძემ - ხელფასის, სამივლინებო ხარჯისა და სადეპოზიტო უფლებმოსილების განხორციელებისთვის, საბოლოო ჯამში, 51 000-მდე ლარი აიღო. ბაღრი ბიძაძის, როგორც საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარის წლიურმა ხელფასმა 37 000 ლარი შეადგინა, ხოლო სამივლინებო ხარჯებისთვის 20 000 ლარი გამოიყუდა. 2006 წლის განმავლობაში ნინო ბურჯანაძემ 60 000 ლარადე ანაზღაურება მიიღო (სამივლინებო ხარჯების ჩათვლით), ხოლო ბაღრი ბიძაძის წლიურმა ხელფასმა 40 000-მდე ლარი შეადგინა, სამივლინებო ხარჯმა კი - 8 663 ლარი.

სულ ბოლო დეკლარაცია ნინო ბურჯანაძემ 2008 წელს შეავსო. მას უკვე აღარ ჰქონდა სადეპოზიტო ანგარიში „თი ბი სი ბანკში“. შემოსავლები კი შემდეგნაირი ჰქონდათ. ნინო ბურჯანაძემ, როგორც პარლამენტის თავმჯდომარემ, 2007 წლის განმავლობაში, 49 000 ლარი აიღო (პლუს - სამივლინებო ხარჯი 37 000 ლარი), ბაღრი ბიძაძემ - 47 000 ლარი, პლუს სამივლინებო ხარჯი - 33 000 ლარი.

ნიმოს ხაზიკა

„დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოს“ თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე 1964 წელსაა დაბადებული. უმაღლესი განათლება თსუ-ს იურიდიულ ფაკულტეტზე მიიღო. მისი დამთავრების შემდეგ კი ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლის კათედრის ასპირანტურა დაამთავრა. 1995-დან 2008 წლამდე საქართველოს პარლამენტის წევრი იყო. 2001-2004-სა და 2004-2008 წლებში საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე გახლდათ, ორჯერ - 2003 წლის ნოემბრიდან 2004 წლის იანვრამდე და 2007 წლის ნოემბრიდან 2008 წლის იანვრამდე - საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობასაც ასრულებდა. შესაბამისად, დეკლარაცია არაერთხელ შეუვსია.

მის მიერ პირველად შევსებული დეკლარაცია 1998 წლით თარიღდება, რომელშიც ოჯახის წევრებზე მიუთითებდა: მუხლელს, ბაღრი ბიძაძეს, დაბადებულს 1960 წელს და შვილებს 1985 წელს დაბადებულ ანზორსა და 1993 წელს დაბადებულ რეზოს. იმხანად ოჯახის ქონება შემდეგნაირი იყო: ნინო ბურჯანაძის საკუთრება იყო საცხოვრებელი სახლი თბილისში, 95 000 ლარად ღირებული; სახლი სოფელ ორბელიში, 15 000 ლარად ღირებული და 16 000 ლარად ღირებული ავტომანქანა. ბაღრი ბიძაძის საკუთრებას წარმოადგენდა აგარაკი ბორჯომში - 25 000 ლარად ღირებული; სახლი სოფელ ცხრუკვეთში, 8 000 ლარად ღირებული და 38 000-ლარიანი ავტომანქანა.

„ასოლოტ ბანკში“ დეპოზიტზე ნინო ბურჯანაძე 12 000 აშშ დოლარს ინახავდა, ბაღრი ბიძაძე - 28 000-ს. ნალდი ფუნის სახით კი, დეკლარაციის შევსების მომენტში, ნინო ბურჯანაძეს 3 500, ბაღრი ბიძაძეს 2 000, ანზორ ბიძაძეს 5 000, რეზო ბიძაძეს კი 2 000 ლარი ჰქონდათ. რაც შეეხება შემოსავლებს: 1997 წლის განმავლობაში ნინო ბურჯანაძემ, როგორც პარლამენტის წევრი, ყოველთვიურად 550 ლარს იღ-

ქართული რეალობა არის კონკურენტული რეალობა, ოღონდ კონკურენცია არა ძლიერთან, არამედ მასთან, ვინც მის გვერდითაა - მაგალითად, მეზობელთან, გინდ სუსტი ყოფილა, გინდ - ძლიერი. ვინც მის გვერდითაა, იმისკენ იყურება და იმას უნდა ჩაუდგეს ვიბრში. იმას კი არ იფიქრებს, რადგან მსოფლიო სტანდარტებია ასეთი, მეც ისეთი ვაგებობი, არა - ამას რომ ასეთი ჭიმპარი აქვს, მეც ასეთი უნდა მქონდესო. ერთ-ერთ სოფელში, რომელთანაც ნშირად მაქვს კონტაქტი, წყალი არ არის. ვეკითხები იქაურებს, რატომ არ გაქვთ წყალი? მასსუბოტენ - იმიტომ რომ ხელისუფლება არ გვაძლევსო. თქვენ რა შეგიძლიათ გააკეთოთ? მიღებთ უნდა ჩაყვაროთო. რა გიძლის ხელს, რომ მიღებთ ჩაყვაროთ? ფული უნდა შევაგროვოთ. ყველამ რომ შეაგროვოთ, რამდენია დასადებო? ლარ-ლარო. მე-რედა დადეთ ლარ-ლარი და შეაგროვოთ ფული-მეთუი. მართალი ხარ, მაგრამ გასათხრელი რომ არისო? გათხარეთ-მეთუი, მე რატომ ვავთხარო, ის რომ არ თხრისო?! ანუ კონკურენციაში ვილაქსათან არკეთებამი. უცნაური რამაა! შენებამი კი არა, არშენებამი. მართალია, ეს კერძო საუბარი იყო, მაგრამ ასეთ შემთხვევებს დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ხანდახან ერთი შემთხვევა გიხსნის მთელი სამყაროს არსს. თუ აქედან ამოვალთ, ეს არის ერთმანეთთან კონკურენტული საზოგადოება და არ არის ინდივიდუალისტური, ძალიან კოლექტივისტურია. უფრო მეტად ცხვრის ფარა და ყოჩებს მისდევენ.

- აბა, ქართველი ინდივიდუალისტია?
- ეს გამოვინილია. როგორც კი დინახავე ინდივიდუალიზმსა და განსაკუთრებულ ადამიანს, მაშინვე ჩაქოლავენ და გაჰყვებიან ყოჩს. არჩევნების დროს ერთ-ერთ ჩემს ნაცნობს უფთხარი ერთ-ერთ კანდიდატზე, მიეცი ხმა-მეთუი. მინც ვერ გავა, რატომ უნდა მივცე ხმა, ვინც მაინც გავა, იმას მივცემო. არადა, თუ ის მაინც გავა, შენ რატომღა აძლებ ხმას? იმიტომ

რომ კომფორმისტია თავისი ბუნებით, ცხვრის ფარა. ამდენად, ამ სიტუაციაში, როდესაც ადამიანები არიან კომფორმისტები და კოლექტივისტურ კულტურას წარმოადგენენ, მათ შორის შიდა კონკურენცია.

- ვინ უფრო მეტად კომფორმული იქნება?

- ვინ უფრო მეტად იქნება ცხვარი და არის კონკურენტული კომფორმისტი, ასე იგება საზოგადოების პოლიტიზაციის მაღალი ხარისხი. ვილაც ვახდებ უმრავლესობა და დაიწყება უმცირესობის ლანდლა, იმიტომ რომ ის ჩვენნაირი არ არის, შემდეგ ვადადის ეს სიძულვილში და აქედან გამომდინარე, გამოდის, რომ ქართველი მარტო თავისიანს, მხოლოდ და მხოლოდ თავის მსგავსს იტანს. სხვისი მოსმენაც არ უნდა. გულში მისთვის აუტანელია განსხვავებული აზრის მქონე. ამიტომ ქართველი თავის წრეში ვერ იტანს გამორჩეულ პიროვნებას, ნიჭიერს და არალცის გამკეთებელს. საქართველოში თქვენ ვერანაირ იდეას ვერ გაატარებთ, იმიტომ რომ დაგხვდებით უზარმაზარი ნინალმდეგობა. მაგრამ საქმარისია ამერიკამ, ძლიერმა უთხრას, ეს ფარა მაშინვე გაჰყვება ყოჩებს. აი, ასეთი სოციალიზმი. ამ ფარას არ აქვს თვითკმარობა, ის, რაც ილიამ უთხრა თავის საპროგრამო წერილებში: შენი თავი შენადვე გეყუდნესო. ამის ნაცვლად თითოეული მოთვანი ორიენტირებულია ორიენტაციაზე: ზოგი ამბობს, დასავლეთის ორიენტაციაო, ზოგი - ჩრდილოეთის, ზოგიც - სექსუალური ორიენტაციაო. ანუ ის კი არ არის საინტერესო, ვინ ხარ, არამედ ის, თუ რას მიაკუთვნებ საკუთარ თავს. ფარნავაზ მეფეს ჰქონია ასეთი ფრაზა: სახელმწიფოს, რომელიც სხვის იმედზეა, არაფერი გამოიყვია.

- ასე რომ ფიქრობდა, იმიტომაც შექმნა სახელმწიფო.

- ანუ მან თქვა, თვითკმარი თუ არ ხარ, არაფერი გამოიყვია. თვითკმარობა აკლიათ. არა თვითკმარი ადამიანები კი ძალიან აგრესიულე-

ბი არიან, არათვითკმარი ადამიანისთვის დამახასიათებელია ვილაქსი ძენა, ვისაც უქმეტეს.

- სულ ასეთები ვიყავით?
- „დავითიანს“ რომ ნაკითხავ, თითქოს დღევანდებლობა აღწერილი ან ილიას „ბედნიერ ერს“. ანუ ასეთები ვიყავით: უმნიშვარი ხალხი.
- აბა, რის ხარჯზე ვაგებელი?
- ეს გაძლებათ? ფიროსმანი მშვირი მოკვდა, ვაჟა-ფშაველა შიმშილით მოკვდა, არც კი ვიცით, შოთა რუსთაველს ჰქონდა თუ არა ბიოგრაფია, ვერ ვაიგებ, რა მოხდა. რა თქმა უნდა, სიკვდილის შემდეგ ყველა დაფასებულია, მაგრამ ადამიანს ხომ სიცოცხლე უნდა?! ილიას საერთოდ ტყვია ვესროლეთ შუბლში. არადა, ილიასნაირი მოაზროვნე შემურდებდა ნებისმიერ ერს არათუ ის საუკუნეში, დღესაც, ალბათ. სხვათა შორის, ილიას ჰქონდა ექსკლუზიური უფლება, დამით გაეღვივებინა იმპერატორი და რუსეთის „დუმში“ იმიტომ მიწვიეს, რომ მას უნდა ჩაეტარებინა სტოლინთან ერთად ეკონომიკის სფეროში რეფორმა. უზარმაზარი გაქაქების ადამიანი იყო და მოეკალით. ესე იგი, აგრესიის რამხელა მუსტიკა!

ნიმოს ხაზიკა

ნიმოს ხაზიკა

ნიმოს ხაზიკა

0902200200

SMS - 93094

დარეკვა
შავიქლიათ
ნავისიძია
ქსელიანი

ზარი ფასიანია





- ანტიტერორისტული ორგანიზაცია რატომ დააფუძნეთ, საიდან ელთი ტერორისტულ აქტებს?

- უნდა დავხსნათ ქართველ ერს. ტერორიზმი, რაც დღეს საქართველოში ხდება, შემოაქვთ ნარკოტიკები და ლუპავენ ქართველ ერს.

- მაშინ ანტინარკოტიკული დაგერქმითათ.

- ეს იგივე ტერორიზმი, რაც თავის დროზე ინგლისმა გაუკეთა ჩინეთს. რა მნიშვნელობა აქვს, რით მოკლავ ქართველ კაცს, ნაშლით თუ იარაღით?! ეს ერთი და იგივეა.

- რატომ გადანაცვით ჩამოსვლა, საბოლოოდ დაბრუნდით თუ დროებით?

- სულ ჩამოვედი იმის გამო, რომ აქ მყავს შვილები, შვილიშვილები, შვილთაშვილები, რუსეთში კი მეცხოვრებოდა მარტო ვცხოვრობდი ტყეში.

- ბოლოს რომ ვისაუბრეთ, როდესაც მოსკოვში იყავით, თქვით, ვნატავ და კოსმოსური თემით ვარ გატაცებული?

- ბევრი ნახატი მაქვს ძალიან, როგორც აივანოვსკი ზღვას ხატავდა, მე კოსმოსსა და უდაბნოს ვხატავ. ხელი მაქვს მიჩვეული. ასევე, ვხატავ პორტრეტებს. რამდენიმე პორტრეტი გავაკეთე, რაც აქ ჩამოვედი. ზემოთ გეშუაობ, აივანზე, გარეყული ჩემთვის, სავარჯიშო ოთახი მაქვს და იქ ვხატავ.

- მანამდე რატომ არ ჩამოდიოდით?

- სააკაშვილმა არ შემომიშვა, 10 წელს მაყურყუტა რუსეთში. რაღაც მიმი აქვს ამ ხალხს ჩემი და ვერ გავიგე რატომ.

- მგონი, აქვს ამ შიშს საფუძველი, თუ 1991 წელს გაიხსენებთ.

- ახლა მე ომს არ ვაპირებ, ერთადერთი ძალიან გავბრაზდი, პარლამენტმა კანონი რომ მიიღო. ერის შეურაცხყოფა, როდესაც პარლამენტი ჰომოსექსუალიზმს აკანონებს საქართველოში. მთელი ხალხი, სამღვდლოება, ჩვენ მივალთ, პარლამენტს შევუვარდებით და გამოვყრით-მეთქი და ატეხეს ერთი ამბავი, შემოგვივარდებო. შიშს დიდი თვალები აქვს და დაიწყეს თვალების დაპარუნვა.

- ვერ გავამტყუნებთ.

- მაშინ არ უნდა დაუშვა ის შეცდომა, რომ კავკასიაში ჰომოსექსუალიზმი დაამკვიდრო. ჰომოსექსუალები ყოველთვის იყვნენ და არიან, სარგებლობენ ყველა უფლებით, რითაც ნებისმიერი მოქალაქე, არავინ უშლიდა ხელს მათ.

- იმ კანონში არაფრის დაკანონებაზე არ არის საუბარი.

- ასეა თუ ისე, კანონი უკვე არის და კაცი ვერ მოკიდებს მათ უკვე ხელს. ჰომოსექსუალებს უნდა შეეძლოს არავინ ექცოდნენ. მაგრამ ამის დაკანონება არავის უცდია. ამაზე იყო მთელი დავა, ჩხუბი, უბედურება, ძალიან ცუდად მოიქცნენ, იმიტომ რომ გაისაბნეს თავები და ევროკავშირს შეუხსნენ. ევროკავშირში ჩვენ მაინც ვერ შევალთ, ისევე, როგორც „ნატოში“ ვერ შევადით. ასეთი ანეწილი ქვეყანა არავის სჭირდება და ვერც ამ კანონით შევალთ. ვერ ხედავთ, რომ რუსეთი დგას საქართველოს „ნატოში“ თუ ევროკავშირში შესვლის უკან?! ევროკავშირის შესვლის გამო დაიძალა უკრაინა. უკრაინელი ხალხის ფაშისტურმა გამოხდომებმა ისინი მიიყვანა დაღალა და 50-მილიონი-

საქართველოს ექსთავდაცვის მინისტრი თენგიზ კიტოვანი, თუმცა ათი წელია, მოსკოვში ცხოვრობდა, სამშობლოში დაბრუნდა, სამოქალაქო ანტიტერორისტულ ორგანიზაციაში ჩაუდგა სათავეში და პარლამენტის გამოყრასაც დაეპირდა (ანტიტერორისტული ორგანიზაციის მიზნების გამო). რაც შეეხება იარაღის მისაღებად, მის თენგიზ კიტოვანის გარდა, ორი დამფუძნებელი მყავს: ერთი, ასევე, ყოფილი მინისტრი, ოლონდ შხს-სი, რომან გვენცაძე და ერთი უშპროების გადამდგარი გენერალი ზურაბ ბაქრაძე. დაბრუნების მოტივებსა და სამომავლო პერსპექტივებზე თენგიზ კიტოვანი თავად გვიამბობს.

როგორ გაიგას თენგიზ კიტოვანი კოსმოსსა და უდაბნოს თემაზე, რა ბიოგრაფიული აქვს მისი საპარტოვლო მოსახლეობის დასახლება და რატომ დაიბრუნდა საპარტოვლო პარკშიაზის უდაბნოში

ნი ხალხი შუაზე გაიყო.

- თქვენც იზიარებთ რუსების შეფასებას, რომ უკრაინელები ფაშისტები არიან?!

- უკრაინელებს კარგად ვიცნობ, ნაციონალისტები არიან, მაგათი ნაციონალიზმის შედეგია, რაც მოხდა. ის უკრაინელები, რომლებიც სწორად უყურებენ მოვლენებს, სწორადაც იქცევიან, რუსეთთან შორს ყოფნა უკრაინას არ შეუძლია. ასევე,



იარაღიანმა ხალხმა ნესრიგი უნდა დაიცივას და არ უნდა ძარცვოს ხალხი. თუ ქვეყანაში იარაღიანი ხალხი არ არის, იქ არის ქაოსი

მართლმადიდებლური ეკლესიის მფარველობის ქვეშ არიან რუსები, უკრაინელები და ქართველები. ამის დამლა უნდა მასწავრო მოძრაობას. განსაზღვრული აქვთ, როგორ დამალონ: საქართველო ხომ დამალეს უკვე მიძის ხელით. მე მაქვს საბუთები, როგორ დაიხყო ომი 1992 წელს, როგორ დაიხყო მიშამ ომი. ჩვენ ერთი წელიწადი კიდევ გავტყუდით და იმიტომ გამათავისუფლა შევარდნაძემ თავდაცვის მინისტრობიდან, რომ ცოცხალი თავით არ გამოვიდოდი აფხაზეთიდან.

- შევარდნაძე ამბობს, 1992 წლის 14 აგვისტოს ვცდილობდი კიტოვანთან დაკავშირებას, რომ არ შესულიყო აფხაზეთში, მაგრამ ტელეფონთან არ მრდიოდა და ჩემს უკითხავად შევიდა აფხაზეთში.

- პირიქით, მაქარებდა, შედი შედიო, აი, საბუთი: 1992 წლის 11 აგვისტოში დათარიღებული: სახელმწიფო საბჭოს დადგენილებით, იმასთან დაკავშირებით, რომ ვლადისლავ არძინბას მეთაურობით სეპარატისტებმა პროვოცირება გაუკეთეს შეიარაღებულ კონფლიქტს, აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში მდგომარეობის დარეგულირების მიზნით სახელმწიფო საბჭო ადგენს, რომ ალექსანდრე ანტევაი შეყვანილ იქნას სამხედრო საბჭოს შემადგენლობაში და დაევალოს დროებითი სახელმწიფო ორგანოების შექმნა აფხაზეთის

ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

- ეს იცოდა ანტევაიძე?

- როგორ არ იცოდა?! ეგენი ხომ შევარდნაძესთან მუშაობდა ყველა?!

- მაშინვე იცოდით, რასაც ახლა ამბობთ, რომ აფხაზეთში ომი მის დასაკარგავად დაიწყო თუ მერე გაიგეთ?

- მაქარებდა შევარდნაძე, შედი, შედიო. მეც შაიშარად შევედი. დავიკავე სოხუმი, იმიტომ რომ ქართულმა მოსახლეობამ მოხოვა, შეგნაბდას ბატალიონი კი ჩემად გავგზავნე და მათ დავიკავეს ლესელიძე. ამის შემდეგ შევარდნაძეს უნდა ემოქმედა პოლიტიკურად, მაგრამ ის 26 აგვისტოს ამერიკაში წავიდა. მოვლარდა ანტევაიძე სპეცსამსახურებს, რომ ჩვენ ნავაგებდით ომს და ამერიკელები შემოიყვანდნენ თავიანთ ფარს. ეს გაიგეს რუსებმა და 3 სექტემბრის ხელშეკრულება გააფორმეს. შევარდნაძემ ისე გააკეთა, ვითომ მოატყუა რუსები. მაგრამ რუსებს ჩვენ ვერ მოვატყუებთ, საერთოდაც, რუსეთს ვერავინ მოატყუებს. ისინი სწორად აფხაზეთს ყველავარს. ერთი შეცდომა ის დაუშვეს, როდესაც ერთი მისცეს ამერიკელებს. დღესაც კაცმა არ იცის, რა მოხდება, მაგრამ მე ვეგრძობ, რომ უკრაინის ბედი გველის.

- გურიად, კახეთად და სამეგრელოდ დაშლა ელით?

- სოხუმი და სამაჩაბლო დაეკარგეთ, მიშამ 2008-ში ზუსტად იგივე გაიმეორა, რაც შევარდნაძემ გააკეთა 1992 წელს. რუსეთი არაფრით არ შემოიშრებდა აქ ევროპას, იმიტომ რომ საქართველო ერთადერთია კავკასიაში, რომელზეც გადის გზები ევრაზიაში ქვეყნებში. ამას არ დათმობს რუსეთი. ამათ რამდენიც უნდა იხტუნაონ, ეს ასეა, ასე იყო 200 წლის წინათაც და ეს ტრადიცია მოდის დღემდე. რუსი ცდილობს, დამალოს თურქეთიც, რომ გავიდეს ხნელთაშუა ზღვაში. თავის დროზე რუსეთს ცვირინი ააცალეს ბოსფორის ზღვაზე გასასვლელი. ფაქტობრივად, რუსი ჩაკეტოდა შავ ზღვაზე და სულ იმის ცდაშია, გავიდეს. მგონია, რომ პუტინი ამას აკეთებს. მე 4-5 წლის წინათ გამოვივდი რუსეთის ტელევიზიით და ვთქვი, რომ ყოფილ საბჭოთა კავშირზე შეიძლება, ამენდეს ევრაზიული სახელმწიფო.

- თქვენგან ხომ მოიპარა იდეა ალექსანდრე დეგენა?

- ამის შემდეგ თქვენს მათ. ეს იქნებოდა ყველაზე კარგი გამოსავალი ყველასთვის და არც უკრაინა ჩავარდებოდა ამ დღეში.

- საქართველოს მოსახლეობის სურვილი რომ არის ევროკავშირი და „ნატო“?

- საქართველოს მოსახლეობა გადაავარა მიშამ. 10 წელი იმდენი ცუდი რამ გააკეთა, რომ კაცი კაცს არ ჰგავს და ქალი - ქალს. ამდენი ნარკომანია.

- გასული საუკუნის 90-ან წლებში რომ ნევროშეხებული და ავტომატიანი კაცები დადიოდნენ, არც ისინი ჰგავდნენ, მაინცდამაინც, ნორმალურ კაცებს.

- იარაღიანმა ხალხმა ნესრიგი უნდა დაიცივას და არ უნდა ძარცვოს ხალხი. თუ ქვეყანაში იარაღიანი ხალხი არ არის, იქ არის ქაოსი.

- იმას ვამბობ, მაშინ ვარს ის იარაღიანი თავისი შეხედულებისამებრ რომ იცავდა კანონს.

(გაგრძელება მე-17 გვერდზე)

გამოინერეთ ჟურნალი „თბილისელები“
შინიდან გაუსვლელად ყოველ ორშაბათს
ფოსტალიონი მოგართმევთ სახლში
„მაცნე“ – 214-39-06;
„ზღანეცა“ – 251-75-21;
„ქლავასარვისი“ – 238-80-02;
„ინფოსარვისი“ – 234-11-40, 234-09-35;
„ჯეომედია“ – 295-51-70;
ქ. ბათუმი, „სალუქვაძე და კომპანია“ – 294-32-32



FRESCO | ფრესკო

სუპერმარკეტების ქსელი

ახალი სტანდარტი რითილ ბაზარზე

კორპორატიული შესყიდვები ყველაზე მოსახერხებელი პირობებით

➤ ყველაზე დაბალი ფასები საქართველოში

➤ უფასო კურიერული მომსახურება


➤ ყველა საჭირო საბუთით უზრუნველყოფა

➤ პროდუქციის ფართო არჩევანი

➤ პირადი მენეჯერის მომსახურება



577 31 20 06



კორპორატიული გაყიდვების მენეჯერი
გიორგი კალანდია

„ფრესკო“ შესახებ

სუპერმარკეტების ქსელი „ფრესკო“ საქართველოს ბაზარზე 2012 წლის იანვრიდან გამოჩნდა და დღეისათვის სამ სუპერმარკეტს ფლობს ვარკეთილში, მუხიანსა და ორთაჭალაში, რომელთა საერთო ფართი ჯამში 14,000 კვადრატულ მეტრს შეადგენს.

„ფრესკო“ მომხმარებელს საქართველოში ყველაზე დაბალ ფასებს, მაღალი ხარისხის მომსახურებას, კომფორტულ გარემოს, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტსა და 24-საათიან მომსახურებას სთავაზობს.

„ფრესკო“ კორპორატიული გაყიდვების შესახებ

„ფრესკო“ კორპორატიული მომსახურება იურიდიულ პირებს 2013 წლიდან შესთავაზა და დღეისთვის დაახლოებით 500 მსხვილ ორგანიზაციასთან თანამშრომლობს.

ჩვენი კორპორატიული გაყიდვების მომხმარებლების სპექტრი ძალიან ფართოა. ვემსახურებით როგორც სახელმწიფო, ასევე, კერძო ორგანიზაციებს, რესტორნებს, ბარებს, სა-

სტუმროებს, სამინისტროებს, სკოლებს, ბალებს, საავადმყოფოებს, სამშობიაროებს და სხვა დანერგებულებებს.

ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რომ მათი მოლოდინი გავამართლოთ, შევუქმნათ მომსახურების სრული კომფორტი. „ფრესკოს“ ქსელში არსებული სუპერმარკეტები 24 საათის განმავლობაში მუშაობენ და ნებისმიერი ორგანიზაციის წარმომადგენელს სუპერმარკეტში არსებულ კორპორატიულ სალაროსთან შეუძლია, განახორციელოს შესყიდვა, მიიღოს შესაბამისი დოკუმენტაცია და ამისთვის დახარჯოს მხოლოდ 10 წუთი.

როგორ უნდა გახდეს ორგანიზაცია თქვენი კორპორატიული კლიენტი?

კორპორატიული გაყიდვების სერვისით სარგებლობა შეუძლია, ყველა იმ იურიდიულ პირს, ვისაც სურს, მიიღოს მის მიერ შეკვეთილი ნებისმიერი პროდუქცია ოფისიდან გაუსვლელად, დაზოგოს დრო, ენერჯია და რაც მთავარია, ფული.

პროცედურა საკმაოდ მარტივია: მომხმარებელი/კომპანია გვიკავშირდება და „ფრესკოსთან“ აფორმებს ხელშეკრულებას, რომელიც არეგულირებს ანგარიშსწორებისა და მომსახურების პირობებს. ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, კორპორატიული გაყიდვების მენეჯერი მომხმარებლისგან შეკვეთას იღებს ელექტრონული ფოსტის, ან ტელეფონის საშუალებით, ფორმირებას უკეთებს და კურიერის საშუალებით აწვდის მისთვის სასურველ ადგილას, მაქსიმუმ, 24 საათის განმავლობაში.

რა არის თქვენი მომსახურების უპირატესობა?

ჩვენი უპირატესობები ძალიან თვალსაჩინოა: „ფრესკოსთან“ ურთიერთობით თქვენ იძენთ მუდმივ და სანდო პარტნიორს, რომელიც ზრუნავს თქვენზე, გიზოგავთ დროს, ენერჯიას და რაც მთავარია გაძლევთ მნიშვნელოვან ფინანსურ სარგებელს. უფასო კურიერული მომსახურება, ანგარიშსწორების მოქნილი პირობები, ყველა საჭირო დოკუმენტი უზრუნველყოფა, პირადი მენეჯერის მომსახურება – ეს ყველაფერი „ფრესკოს“ კორპორატიულ გაყიდვებს ნამდვილად განსხვავებულსა და შეუცვლელს ხდის.

კომპანიის სამომავლო გეგმები.

წლის ბოლომდე კიდევ სამი ახალი სუპერმარკეტის გახსნაა დაგეგმილი, საბურთალოზე (ვაჟა-ფშაველას გამზირისა და სანდრო ეულის კვეთა), ჩულურეთში (ჩიქობავას ქ. №22), ნაძალადეგში (გურამიშვილის გამზირი №61), რომლებიც უკვე მშენებლობის პროცესშია.

2015 წლის განმავლობაში კომპანიაში იგეგმება ქსელის კიდევ უფრო გაფართოება, რაც დამატებით 4 ახალი სუპერმარკეტის გახსნას გულისხმობს და 2015 წლის ბოლოს „ფრესკო“ ბაზარზე უკვე საკუთრებაში არსებული 10 სუპერმარკეტით იქნება წარმოდგენილი, რაც თავისთავად მეტ ადამიანს და ორგანიზაციას მისცემს საშუალებას გახდეს „ფრესკოს“ მომხმარებელი.

ეს ყველაფერი კი არის საფუძველი ჩვენი განაცხადისა ვიკით №1 კომპანია საქართველოს რითილ ბაზარზე.



ტელ: 2 907 907 / 577 31 20 06



FrescoRetailGroup



www.fresco.ge



ირაკლი ჯოლოსავა: გენეტიკოსისთვის ძალიან რთული კითხვაა, თუ რამდენი თაობა ითვლება ნათესავად. ეს, ალბათ, დაკავშირებულია არა მხოლოდ გენეტიკურ ასპექტებთან, არამედ ადამიანების რელიგიურ მრწამსთან და ასევე, საზოგადოების ეკონომიკურ თუ სოციალურ მდგომარეობასთან. რამდენადაც არ უნდა იყოს საზოგადოება მომზადებული იმისთვის, რასაც საუკუნეების განმავლობაში განმტკიცებული – ნათესავებს შორის ქორწინების შესაძლებლობა თუ შეუძლებლობა ჰქვია, ამის აღმოჩენის ძალიან რთულია. ჩვენს საზოგადოებაში ძალიან ბევრი მუსლიმანური რელიგიის წარმომადგენელია და ასეთი პაციენტები მეც მრავლად მყოფია. იმის მიუხედავად, მათ იციან, რომ სისხლიანი ნათესავებს შორის ქორწინების შემთხვევებში, არ არის გამოცხადებული, გარკვეული პათოლოგიების გახშირება, ასეთ ფაქტებს მაინც აქვს ადგილი. ჩემი პაციენტებიდან გამომდინარე, შემძლია ვთქვა, მუსლიმანებში ბიძაშვილ-მამამძღებლებს თუ დეიდშვილებს შორის ქორწინება მაინც ჰდება. როგორც ვიცი, ასეთი ქორწინებები დასაშვებია კათოლიკეებთანაც, მათი რელიგიური მრწამსი ამას არ კრძალავს. თუმცა, მე პირადად, ასეთ შემთხვევებთან შეხება არ მქონია. სისხლით ნათესავებს შორის ქორწინებას არ კრძალავს იუდაიზმიც, რაც შეეხება ქართველ მუსლიმანებს, მიუხედავად იმისა, რომ მუსლიმანები არიან, როგორც ჩანს, მათთან უშუალო კავშირში მყოფი მართლმადიდებელი ქართველების გავლენით, სისხლით ნათესაურ ქორწინებას თავადაც ურდებიან. ჩემი აზრით, ეს მაინც საქართველოში არსებული დამოკიდებულების შედეგია. მართლმადიდებელი საზოგადოებაში ნათესავებად ითვლებიან ადამიანები, რომელთა შორის „მანძილი“ გენეალოგიურ ხეზე საკმაოდ დიდია. ხშირად საკმაოდ გრძელი გზა გასავლელია, რომ განყიდეს ნათესაური კავშირი. შესაბამისად, გენმა გარკვეული სიხშირით ძალიან შორიდან შეიძლება „ამოყოს თავი“. ადამიანის გენეტიკურ აპარატში გენების განაწილება ისეთი კანონზომიერებებით ხდება, რომ გამოირჩევილი არაა, გენი ძალიან შორიდან აღმოჩნდეს „დედევანდელ“ ადამიანში. ამ შემთხვევაში, სხვადასხვა არ მაქვს მხედველობაში: სიმამლი, ხასიათი, თვალების ფერი და ბევრი რამ, მათ შორის, დაავადება. გენი შეიძლება იყოს როგორც დაავადების, ასევე ადამიანის ნიშან-თვისებების და უნარ-ჩვევების განმსაზღვრელი. მე ყოველთვის მანიჭერესებდა, თუმცა რატომღაც, სპეციალურად არ მიკითხავს საღვთო პირთათვის, მართლმადიდებლური წესით, როდის მთავრდება ნათესაური მდგომარეობა. ანუ, რა მანძილი უნდა იყოს გავლილი გენეალოგიურ ხეზე, რომ ადამიანებს ქორწინებაში შესვლის შესაძლებლობა მიეცეთ.

– საღვთო პირები ამბობენ, რომ ნათესაური კავშირი წყდება მეშვიდე თაობაში. თქვენს პრაქტიკაში თუ გქონიათ შემთხვევა, სისხლით ნათესავებს შორის არსებული კავშირის შედეგად გახშირებული გენური პათოლოგიებისა და ძირითადად, რა გენეტიკურ დარღვევებთან გვაქვს ხოლმე საქმე?

– პირადად მე, ასეთი შემთხვევა არ მქონია. თუმცა, ვიცი, რამდენიმე გვარი, რომლებიც ერთმანეთზე ქორწინდებიან. ისინი აღნიშნავენ, რომ ერთმანეთთან სისხლით კავშირში არ არიან. ამ ფაქტებით ცოტა შეგშფოთებულვარ კიდევ და მიკითხავს, მართლმადიდებლებში ხომ ხართ-მეთქი, რაზედაც მათ უთქვამთ, რომ მათ გვარში ქორწინება შესაძლებელია და სისხლით ნათესაური კავშირი არ აქვთ. ასეთ შემთხვევებში, მე პათოლოგიებს არც შევხვედრები. რაც შეეხება ახლო სისხლით ნათესაურ კავშირებს, სამედიცინო თვალსაზრისით, უარყოფით ასპექტებთან ერთად, რამდენადაც არ უნდა გავიკვირდეთ, დადებითიც აქვს. უარყოფითი ასპექტები-



სამედიცინო გადმოსახედიდან თითქოს შემთხვევითია, სად გარეგნობით გადადის გენი და სად ხასიათით და თვისებებით

მედიცინა და გენეტიკოსები ახლო ნათესაურ კავშირის „საზღვრებს“ ვერ ადგენენ, მართლმადიდებლური სარწმუნოება კი ამ კავშირს შეიღობს თაობით საზღვრავს და ახლო ნათესავებს შორის სქესობრივ კავშირს კატეგორიულად კრძალავს. გენი, უმცირესი ნაწილაკი, ადამიანის აგებულების და ცხოვრების ბევრ ფაქტორს განსაზღვრავს, შესაბამისად, სქესობრივი კავშირი ახლო ნათესავებს შორის მრავალი გენეტიკური პათოლოგიის განმსაზღვრელი ხდება. სტატისტიკის მიხედვით, რაც უფრო ახლო ნათესაურ კავშირში არიან მშობლები, მით უფრო მეტი პათოლოგიით იზადება ბავშვი. თუმცა, საოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ ამ მდგომარეობას თურმე ერთი დადებითი ასპექტიც ახლავს. რა ხდება ადამიანის გენეტიკურ აპარატში და რა კავშირშია ლირიკა გენეტიკასთან, ამის შესახებ ექიმ-გენეტიკოს ირაკლი ჯოლოსავასთან შეიტყობთ.

რა კანონზომიერება არსებობს გენეტიკაში და როგორ შეიძლება „ამოყოს თავი“ გენმა შორეული ნათესაურიდან

დან ყველაზე მნიშვნელოვანია შემდეგი: პიროვნებაში არსებული ერთი და იგივე დაავადების განმარტებული გენის მუტაციის სიხშირე მეტია, როდესაც ახლო ნათესავებს შორის ხდება სქესობრივი კავშირი. ერთი და იგივე დაავადების განმარტებული გენის ჩაზოდებისუნარიანობა ბიძაშვილებში ბევრად მეტია, ვიდრე აბსოლუტურად სხვადასხვა გენის ადამიანების კავშირის დროს. შესაბამისად, დაავადებული, პათოლოგიური ბავშვის გაჩენის ალბათობაც მატულობს.

– სტატისტიკის მიხედვით, რაც უფრო ახლო ნათესაურ კავშირში არიან მშობლები, მით უფრო სუსტი და ფსიქოპათოლოგიური იზადება ბავშვი.

– ერთი გენით განპირობებული დაავადებების რიცხვი ძალიან დიდია, რამდენიმე ათასი. ძალიან გავრცელებულია სინდრომი ამიოტროფიები, ნერვულთოვანი დაავადებები. ასეთი კავშირების შედეგად, შესაძლოა, დაიბადოს ბავშვი თა-

ვისებური გარეგნობით, რასაც თან ახლავს განვითარების ანომალიები, შეფერვება ფსიქოპათოლოგიურ განვითარებაში, სიმადლებში და ასე შემდეგ. მოსაზრება, რომ ამ კავშირების შედეგად შეიძლება, დაიბადოს ბავშვი სამი ფეხით, აბსოლუტურად არასწორია. ზოგადად, საჭიროა იმის ცოდნა, რომ ერთნარი გენის პირების შეხვედრა და შესაბამისად დაავადებული ბავშვის დაბადების მაღალი სიხშირე, უფრო მეტად ხდება ახლო, სისხლით ნათესაური კავშირების დროს. ახლა დადებით ფაქტორზე მოვასწავებ. ვინაიდან ახლო ნათესაური კავშირების მქონე წყვილებს თუ ოჯახებს, რომლებიც ერთი და იგივე დაავადების მქონე გენის მატარებლები არიან, უწინდებათ დაავადებული ბავშვი. ეს ნიშნავს, რომ ასეთი დაავადებული ინდივიდის გამრავლება, შეუძლებელია. ახლო ნათესაურ კავშირში მყოფი წყვილის მიერ დაბადებული ბავშვი ან ვერ აღწევს იმ ასაკამდე, როცა უნდა გამრავლდეს ან, ვერ შედის ქორწინებაში იმ დაავადების გამო, რაც აქვს და ამ გენს საბერძნული ნაილებს. ის ვერ გაავრცელებს იმ გენს, რაც მას აქვს და მიწი-მუშ, ორი დაავადების განმარტებული გენი დამთავრდება და დაიკარგება. ასე ხდება თვითოლიკავაცია იმ გენის, რომელიც გადაეცემა ახლო ნათესაური კავშირის შედეგად გაჩენილ ბავშვს. ეს იწვევს თვითგანმეხდას კონკრეტულ შტოში, რაც ან ურთიერთობის დადებითი ასპექტია. მართლმადიდებლებში გენური დაავადებები უფრო იშვიათია. არის ისეთი გენური დაავადებები, რომლებიც ნაყოფში ვერტიკალურად თაობიდან თაობაში გადადის. ასეთ დაავადებებს შორისაა სისხლის შემადგენლობა, ჰემოფილია, რომელიც დედისგან ბიჭს, ბიჭისგან ქალიშვილს გადაეცემა, ანუ ზოგადასწრებულად, საპირისპირო სქესზე გადადის.

– რაც შეეხება ხასიათს, უნარ-ჩვევებს, რა ხდება ადამიანის გენეტიკურ აპარატში, როდესაც ის თვისებებს გენეტიკურად იღე-

ბს არა დედისგან ან მამისგან, არამედ ნინა თაობებიდან.

– არაფერიც არ ხდება. ეს არის გენი და მორჩა (იციან). მსატვრობის ნიჭი შეიძლება, პასპაისგან აღმოჩნდეს შვილიშვილს. როცა ოჯახში ერთი თაობის წარმომადგენელი რეჟისორია, მეორე თაობის – მსახიობი, მესამე თუნდაც, თეატრმცოდნე, ეს, რა თქმა უნდა, გენეტიკის დამსახურებაა. ვერცო სწავლავარის და მიხელ ქთაურელის ოჯახი და მანამომავლობა ამის კარგი მაგალითია. გარეგნულ მონაცემებს განაპირობებს ერთი სახეობის გენები, შინაგან თვისებებს – მეორე. რამდენიმე თასეული გენიდან ზოგიერთი გარეგნულ თვისებებზე აგებს პასუხს – მელ-ოტი იქნება ადამიანი თუ ხშირთიანი, მსუქანი თუ გამხდარი, მაღალი თუ დაბალი; ზოგიერთი კი განაპირობებს შინაგან თვისებებს – ვინიანობას, ნიჭიერებას. ხომ გავიგონიათ, ბაბუამისიც მაგრად უკრავდა და ესეც რა მაგრად უკრავსო. ისიც ხომ გავიგონიათ, ეს მთლად მამას ჰგავს, მაგრამ ხასიათი დედის აქვსო. არ არსებობს კანონზომიერება, ქალისგან მეტი გენი გადადის შვილზე თუ მამაკაცისგან. ეს შესაძლოა, ერთნარი ინტენსივობით მოხდეს. პასუხისმგებლობა გენების გადაწინაშეობაზე, არ არსებობს. შესაძლოა, ერთ ბავშვში დედის გენები ჭარბობდეს, მეორე ბავშვში – მამის. გარეგნული ნიშან-თვისებებით გოგონები ხშირად მამებს ჰგავან, ბიჭები – დედებს. ალბათ იმიტომაცაა, რომ გოგონები მამებს განსაკუთრებით უყვართ.

– ეს, ალბათ უფრო ცხოვრების „ლირიკა“ ვიდრე – გენეტიკა.

– ვფიქრობ, რომ „ლირიკაც“ გენებით არის განპირობებული, ისევე როგორც ბევრი რამ ადამიანში, მათ შორის, სიყვარულიც. გენეტიკურად, ზოგს მეტად შეუძლია სიყვარული, ზოგს – ნაკლებად, ისევე, როგორც სიძულვილი და სიკეთე. ვერავინ შეგვედავება, რომ ბევრი ადამიანური რამ გენეტიკაზე მიდის.

– ანუ, გენი, ქრომოსომის უმცირესი ნაწილაკია იმის „გარანტი“, რომ ჭკვიანმა კაცმა ჭკვა უნდა გადასცეს შვილს გენეტიკურ კეთილბა – სიკეთე.

– არა, ამას არ ვამბობ. გენი ძალიან პატარაა, მაგრამ მასზე ეგება ადამიანის ძალიან ბევრი ნიშან-თვისება. გენს არც აქვს პრეტენზია „გარანტიობაზე“ და სწორედ ამას ჰქვია „გენმა დაიხსენა“. გენი კარგიც ისვენებს და ცუდიც. შესაძლოა, დაისვენოს ნიჭის განმარტებული გენმა, შესაძლოა პირიქით, უნიჭობის განმარტებული გენმა. ძველი წარმოდგენაა, გენეტიკურად ისეთი სიუხვე დაბერტყოს ბუმბერაზი, ნიჭიერი ადამიანის შვილს, რაც მის მშობლებს ჰქონდა. ეს არ ხდება ყოველ თაობაში. როცა უაღრესად ნიჭიერი ადამიანის, ფენომენს არ ჰყავს ასეთი ნიჭიერი შვილი, აი, ესაა გენის დასვენება. წარმოდგინეთ, ვაჟა-ფშაველას შვილი რომ ენა-ფშაველასნარი ბუმბერაზი ყოფილიყო, ან ლომონოსოვს თავისნარი შვილი ჰყოლიდა. ლეონარდო და ვინჩის შვილი რომ ლეონარდო და ვინჩი ყოფილიყო, ეს ხომ წარმოდგენილია? სამედიცინო გადმოსახედიდან თითქოს შემთხვევითია, სად გარეგნობით გადადის გენი და სად ხასიათითა და თვისებებით, თუმცა უნდა შეესაძლოა, ეს სულაც არ არის შემთხვევითი და უფრო მაღალ მატერიებში წყდება.



მიზა ცინაძე: ქართულ-ამერიკული კომპანია S-CAD Group სამი წლის წინ დაფუძნდა. ამერიკაში ცხოვრების 14-წლიანი პერიოდის შემდეგ, როდესაც პირველად საქართველოში დავბრუნდი, გადაწყვიტე, კომპანიის საქმიანობის არეალი განეზარდა და ჩემი ბიზნესი საქართველოშიც გადმომეტანა. დღეს კომპანიის ბაზაზე არსებობს სასწავლო ცენტრი, სადაც ნებისმიერ ადამიანს, ვაძლევთ მანქანა, შეისწავლოს ახალი პროფესია და შეიცვალოს ცხოვრების გეზი. პროგრამა AutoCAD, რომლითაც ჩვენ ვმუშაობთ უნიკალური კომპიუტერული პროგრამაა, რომელიც გარეშეც დღეს უკვე წარმოდგენილია საპროექტო, სამშენებლო, საინჟინრო, არქიტექტურული თუ მანქანათმშენებელი ფირმის ფუნქციონირება.

– თქვენ თავად ხართ ამერიკის მოქალაქე, როგორ მოხვდით ამერიკაში? როგორც ვიცოც, ძალიან საინტერესო ემიგრანტული ისტორია გაქვთ.

– ამერიკაში მოხვდი 90-იან წლებში. მაშინ თბილისში ძალიან მძიმე, გაჭირვებული პერიოდი იყო. ხელოვანისთვის იმ სოციალურ პირობებში ცხოვრება რთული გახლდათ, პატარა ბიზნესი მქონდა, რომელსაც აქ განვითარების არანაირი პერსპექტივა არ ჰქონდა. იძულებული გახვდი ოჯახთან ერთად ამერიკაში წავსულიყავი, ამერიკაში დამხვდა ჩემთვის აბსოლუტურად უცხო სამყარო. ჩვენ ჩავედით ნიუ-ჯერსის შტატში, ნიუ-იორკიდან ძალიან ახლოს მდებარე ქალაქ ბლუმფილდში. თავიდან ძალიან გამოჭირდა იქაურ რეალობასთან შეგუება, დაახლოებით ორ კვირაში უკან წამოსვლა მინდოდა. არ ვიცოდი, რა ჩამეცვა, როგორ მოვეცეულიყავი დაქირავებულთან სამსახურზე მისული – მეგონა, ხელფასის მოთხოვნა სირცხვილი იყო, ან არ ამიყვანდა სამსახურში თუ ჩემს «ფასს» ვეცეციდი (*იცინის*). ჩვენს ყოფას ართულვდა ის, რომ არ გვერინდა ფული. სასწრაფოდ მუშაობა უნდა დამეწყო, მაგრამ მქონდა ყველაზე დიდი პრობლემა – ენის ბარიერი. სკოლაში გერმანულს ვსწავლობდი, ინგლისურად მხოლოდ ორი სიტყვა ვიცოდი: გამარჯობა და ქოლგა.

– ქოლგა რატომ?

– ინგლისური ენის მასწავლებლის წყალობით. მას რატომღაც ძალიან უყვარდა სიტყვა ქოლგა და თუ რამეს ვგასწავლიდა, ყველაფერი ქოლგის გარშემო «ტრიალებდა» (*იცინის*). მასწავლებელს პირველად ქუჩაში გავედი და პურის საყიდლად მაღაზიაში შევედი, გამოიღვეს თითო ვანიშნი, რომ პური მინდოდა. გამომართლა და ებრაული ორგანიზაციის დახმარებით 34 წლის ასაკში მოხვედი ინგლისური ენის უფასო კურსებზე. მაშინაც ვიცოდი და მერე უფრო დავრწმუნდი, რომ არც ერთ ასაკში არაა გვიანი ცხოვრება თავიდან დაიწყო. ორი კვირა ვიარე სკოლაში და როგორც კი ცოტათუნინგლისური ვისწავლე, მაშინვე სამსახური მოვიპოვე. ძალიან პატიოსნად ვმუშაობდი. ამერიკაზე ისეთი წარმოდგენა მქონდა, მეგონა, ერთი წამი რომ გაჩერებულიყავი, ზედმხედველი მაშინვე საბაზროდან გამაგდებდა. მოკლედ, გაუჩერებლად ვმუშაობდი (*იცინის*). როცა იმ კომპანიიდან ახალ სამსახურში გადავედი, უკვე გამოცდილი თანამშრომელი ვიყავი და ინგლისურიც ვიცოდი. თან, ავტომანქანაც მყავდა, რომელიც ჩემი ძმის მეგობარმა მარჯუა. ეს ჩემთვის, როგორც ემიგრანტისთვის, დიდი ამბავი იყო. მართვის მოწმობა ავიღე, სამსახური უკვე მანქანით დავდიოდი. მივხვდი, რომ ცხოვრება არც ისე ცუდია და მას თავად ქმნი. ახალ კომპანიაში უფრო და უფრო რთულ საქმეებს მანდობდა უფროსი. მეც უამრავ იდეას ვანვლიდი, რის გამოც საქმე უფრო სწრაფად კეთდებოდა. ახალ კომპანიაში დავნერგე მეთოდი, რის შემდეგაც კომპანიის ხელმძღვანელისთვის უკვე ძალიან სანდო თანამშრომელი გახვდი, მით უფრო მას შემდეგ, რაც დიდი შეკვეთა ავიღეთ, რომელიც უზარმაზარი ბიზნესისთვის დიზაინერული პროექტის შექმნას უკავშირდებოდა. ამ პროექტისთვის საჭირო გახდა ჩუქურთმების გაკეთება. იქ გამომდგა ქართული მოხერხებულობა. დავამზადე დაზგა და ისეთი ბიზნესითევა დავაპროექტე, შემკვეთი ძა-

ლიან კმაყოფილი დარჩა.
– როგორ წამოიწყეთ ამერიკაში საკუთარი ბიზნესი?
 – საპროექტო-დინამიკურ კომპანიაში, სადაც მე ვმუშაობდი, იმდენი შეკვეთები გვეკონდა და ისეთი გამოცდილება მივიღე, ამ საქმეების გაძივლა დამოუკიდებლად შემიძლო. გავაკეთე პატარა ოფისი, ავიღე შეკვეთები. ისეთი სტიმული მქონდა, ღამეებს შორამში ვათენებდი. მალე სტავის აყვანაც დამჭირდა, რამდენიმე თანამშრომელი ავიყვანე, მერე უფრო გაიზარდა ჩემი საქმე.

როგორ გახდა ქართული აპრიკალი - მიზა ცინაძე წარმატებული კომპანიის ბოსი და ვის სთავაზობს ის თბილისში ახალი პროფესიის არჩევანსა და დასაქმებას

– ნარმატებული ბიზნესის მიუხედავად, თქვენ მაინც დაბრუნდით თბილისში.
 – წელწინადაც რამდენიმე თვე იქით ვარ, რამდენიმე თვე – აქით. პირველად თბილისში 2010 წელს დაბრუნდი, როცა დედა გარდაემცვალა. თბილისმა ჩემზე ისეთი საოცარი შთაბეჭდილება მოახდინა, შოკი ჩავვარდი. როცა თვითმფრინავმა თბილისს გადმოუფრინა და მე განათებული ქალაქი დავინახე, ჩემს ძმას ვუთხარი: მეონი, მფრინავს შევალა და მიუნებნი ჩამოვიყვანა-მეთქი. ამის შემდეგ ძალიან გავოცდი აეროპორტში. იმ საოცარი სიტუაციიდან, საიდანაც მე წავედი, დაბრუნდი აბსოლუტურად სხვა რეალობაში. აეროპორტში კი არ დამხვდა ქალი «ტაბურეტკაზე» და მეულის ბეჭედი კი არ ჩამიტყა საბუთებში, დამხვდნენ გაბიჭვნილებული ოფიცრები, ინგლისურად მითხრეს, კეთილი იყოს თქვენი ჩამოსვლა საქართველოშიო. ვიფიქრე, ეს სად ჩამოვედი, ეს სად მოვხვდა-მეთქი. სრული შოკი დამემართა.



– თქვენი ოჯახიც დაბრუნდა თბილისში?
 – ჩემი შვილები ამერიკაში წნაულებოვნ. უფროსი შვილი – ნათია, როცა წავედი, მაშინ წავიყვანეთ თან, უმცროსი – ნოდარი იქ დაიბადა, მაგრამ კარგად იცის ქართული ენა. ნათია ძალიან ხშირად არის თბილისში და როდესაც მე აქედან მივდივარ, ჩემს საქმეებს უძღვება. უფროსი შვილი ბიზნესში ჩემი მარჯვენა ხელია. ამერიკაში მუშაობს ჩემი მეუღლე, ის ერთი ხელის მოსმით ვერ მატოვებს იქაურ ცხოვრებას. მამა უკვე ხანდაზმულია, რამდენჯერაც შევთავაზე, თბილისში ცოტა ხნით წამოსვლა, ვერ დავითანხმე. ჩემი ოცნა ვერ გაუძღვლებს, – მუშაობდა. შინაგანად უჭირს, ადენი წლის შემდეგ სამშობლოსთან შეხვედრა. როცა თბილისში პირველად ჩამოვედი და რეგიონებს ვეწვიე, იმ უზარმაზარი ცვლილებების შემდეგ, რაც ქვეყანაში მოხდა, აღმოვაჩინე, რომ ამ ქვეყანას

ჰქონდა №1 პრობლემა. ეს იყო უმუშევრობა, რის შემდეგაც ამაზე აქტიურად დაიწყო ფიქრი. ახლობლებიც ხშირად მუშაობდნენ: მენ რა ვიჭირო, ამერიკელი ხარ, ფული გაქვს, შენთვის აქ ყველაფერი კარგადაა. არ იცი, ჩვენ რა დღეში ვართო. ამან ძალიან დამაფიქრა. სწორედ მაშინ მივიღე გადაწყვეტილება, რომ ჩემი ბიზნესის და კომპანიის ნაწილის აქ გადმოტანაზე მეფიქრა. როგორც კი თბილისში დაბრუნდი დავაფუძნე სასწავლო-საკვალიფიკაციო ცენტრი, ახლა უკვე რამდენიმე ჯგუფში ვიღებთ მსურველებს, რომელთაც საშუალება აქვთ დაუფლონ იმ ცოდნას და უნარ-ჩვევებს, რომელიც სჭირდება საინჟინრო, დინამიკურ საქმეს. ნარმატებული სპეციალისტების დასაქმება ხდება ჩვენთან. მათთვის კი, ვისაც ჩვენ ვერ ავიყვანთ, მუშაობენ აგენტები, რომლებიც მათ დასაქმებში დაეხმარებიან. კომპანია ახლახან დაასრულა უფასო ტრენინგკურსი სოციალურად დაუცველთათვის. სამომავლოდ კიდევ ბევრი ასეთი საცვლადობრივი პროექტი გვაქვს დაგეგმილი. იმისთვის, რომ შეისწავლოთ პროგრამა AutoCAD არც ტექნიკური განათლება აუცილებელი და არც ხაზვის ცოდნა. ჩვენ ვაძლევთ მანქანას ყველას, არა აქვს მნიშვნელობა ადამიანის ასაკს, პროფესიას, სქესს. მთავარია, გქონდეთ სურვილი, დაუფლოთ ახალ საქმეს და მოსინჯოთ საკუთარი ძალები, რომ დასაქმდეთ მაღალანაზღაურებად სამსახურში, სადაც თქვენ შეგძლებათ გააკეთოთ ინტერიერის, ავეჯის დიზაინი. ჩვენთან AutoCAD შეისწავლეს და უკვე ახალი პროფესიით მუშაობენ ადამიანები, რომლებიც სხვა პროფესიებს ვადრობდნენ. ჩვენ უკვე ასამდე კვალიფიკაციო ცენტრი მოვაშენებთ, რომელთა ნაწილი ჩვენთან მუშაობს, ამერიკულ შეკვეთებზე. სასწავლო საკვალიფიკაციო ცენტრში ასევე ვასწავლით კომუნიკაციის უნარ-ჩვევებს, საქმიანი ურთიერთობების დამყარების და საშუალოს მოძებნის სწორ სტრატეგიას. ვენმარნებთ პორტფოლიოს შექმნაში. გავითვალისწინებთ ის, რომ ჩვენთან სწავლის სურვილის გამოხატავენ როგორც ახალგაზრდები, რომელთაც ვერ არ გაუკეთებიათ პროფესიული არჩევანი, ასევე ის ადამიანები, რომლებიც მუშაობენ, მაგრამ არ არიან კმაყოფილი შემოსავლით, ან იმ საქმით, რასაც აკეთებენ და პროფილის შეცვლა სურთ. შესაბამისად, სწავლება არის როგორც დღის, ასევე საღამოს საათებში.

დინამიკურად პირებს დეტალური ინფორმაციისთვის შეგიძლიათ, დაუკავშირდეთ ქართულ-ამერიკული კომპანიის S-CAD Group «ტელეფონებზე: 2 93 55 51.

მისამართი: თბილისი, თაბუაშვილის ქუჩა №46, ამ-3 სართული.

P.S. საკუთარი ცხოვრების მთავარი შემოქმედი თქვენ თავად ხართ! არ გავიზაროლათ პროფესიაში და ვერ კიდევ ვერ მოხვდით თქვენი ადგილი ამ რთულ ცხოვრებაში? მიმართეთ ქართულ-ამერიკული კომპანიის, შეისწავლეთ საქმე, რომლის შემკვობითაც ახალი ცხოვრების დაწყება შეძლებთ. ეს გვიანი არასდროს არის, ეს S-CAD Group-ში უკვე ვერცა ადამიანმა გამოსცადა საკუთარ თავზე!

თამუნა ნიჟარაძე



- არაერთხელ ჰქონიათ მცდელობა, ამა თუ იმ პროექტში ჩართულიყავით და მონაწილის სტატუსით მიგელოთ მონაწილეობა. ბოლოს კი ფიურის ნევირ აღმოჩნდით პროექტში „ორი ვარსკვლავი“.

- თავიდან, ნოემ შემომთავაზა, მონაწილეობა მიმელო პროექტ „ცეკვავენი ვარსკვლავებში“, მაგრამ უარი ვუთხარა.

- თუმცა, ძალიან კარგად ცეკვაო.

- კი, მაგრამ 60 წლის ვარ. მიკერეული მაქვს ფეხები, ხელები, ორივე ფეხზე მენისკი მაქვს. აქილევის მყესი არ მაქვს, ძლივს დავდივარ და ამიტომაც, ვუთხარა ნოეს, რა დროს ჩემი ცეკვაა, პირველივე ტურის შემდეგ დავიბრუნებ-მეთქი. სპექტაკლში ან ფილმში შეიძლება, წავიცეკო, მაგრამ კონკურსისთვის მთელი 3 თვე ცეკვა, უკვე სიგიჟე იქნებოდა. მეორე წელს ამ პროექტში ჩემმა შეიღმა მიიღო მონაწილეობა და სხვათა შორის, ძალიან გამაყვირვა. ერთ-ერთ ტურში დახმარება მიხრვა და პატარა მონაკვეთში მეც ვიცეკვე. ძალიან გწერვილობდი, ჩემი ცეკვით არაფერი გავუფუჭო გიორგის და თავის შეწყვილეს-მეთქი. ნოეს „ცეკვავენი ვარსკვლავებში“ მონაწილეობაზე უარი რომ ვუთხარა, მერე შემომთავაზა, მამი „ორი ვარსკვლავი“ იმდერეო. ამაზე სულ გავგიჟდი, გავიჟდი, მე რომელი მომღერალი ვარ, შეიძლება მეგობრებს ბანებში ჩავენილო-მეთქი. კი, ფილმში მიმღერია და სპექტაკლშიც, მაგრამ ეს სხვა რამეა.

- ფიურის ნევირად ყოფნაზე როგორ დაგითანხმებ?

- იმდენად ველევადი იმაზე, რომ მე თვითონ უნდა მეღერა, ამ შემთავაზებაზე უკვე ადვილად დავთანხმდი. ოღონდ ნუ მამღერებთ და ჯანდაბას ჯოჯორიმი დავჯდები-მეთქი. თან გავიგე ია ნინიძე და თეანა კონტრძიძე უნდა ყოფილიყვნენ.

- შესამჩნევი იყო, რომ ძალიან გიჭირდათ კონკურსანტების შეფასება, განსაკუთრებით პირველ ტურებში.

- მართლა ძალიან მიჭირდა, რადგან საჯაროდ არ მიყვარს არავის შეფასება. გამოვიდე და ვთქვა, შენ იცი სიმღერა და შენ არა-მეთქი, ამის უფლებას ჩემს თავს ვერასდროს მივცემდი. თან, შენგან რაღაც შოუს თხოვენ, რითაც მაყურებელს გააკვირვებ. საერთოდ ვერ ვიტან სიტყვა შოუს, ისევე როგორც ვარსკვლავობას. ქართულ ბუნებაში არ ზის. შეიძლება, თქვა ნიჭიერი, განთქმული, კარგი ან დიდი მომღერალი, მაგრამ ეს ვარსკვლავიბუნობა და გოგონობა, არ მესმის.

- მართალია, არ აღიარებთ ვარსკვლავობას, მაგრამ ბევრი დამეთანხმება, რომ ზურა ყიფშიძე სხვა ქვეყანაში გაცილებით დაფასებული იქნებოდა.

- შეიძლება, საერთოდ არაფერი ყოფილიყო, არავინ იცის. რამდენია ნიჭიერი ადამიანი, ვისაც არ აქვს საშუალება, ან ვერ ახერხებს იმ საქმის კეთებას, რისი ნიჭიც აქვს. მსახიობის პროფესია საკმაოდ რთულია. ძალიან კარგად უნდა ისწავლო და დაუფლო ხელობას. ნიჭი, რომელიც ღმერთმა მოგცა, განავითარო და ხორცი შეასხა. ბევრი ძალიან ზერულად უყურებენ ჩვენს პროფესიას, რაც ასე არ არის. სულ მეუბნებოდნენ, რატომ რუსეთში არ დარჩი, რატომ იქ არ წახვედი, რატომ აქ არ წამოხვედიო. რამდენიმე ევროპული ქვეყნიდან შემომთავაზება მქონდა. ეგ კი არა, პოლინელივანმა გავაცდინე გადაღებები. რა ვიცი, ალბათ, ვერ ვარ კარგად, საქართველოს

ზურაბ ყიფშიძე დაიბადა 1953 წლის 10 აგვისტოს, ქალაქ თბილისში. 1970-1971 წლებში სწავლობდა თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალურ ინსტიტუტში. შემდეგ გადავიდა მოსკოვში და 1976 წელს დაამთავრა საკავშირო კინემატოგრაფიის ინსტიტუტი. სწავლობდა გერმანოვასა და მაკაროვის სახელობის ნოში. გადაღებულია 60-ზე მეტ ფილმში და მონაწილეობა აქვს მიღებული არაერთ სპექტაკლში. ბოლო დროს კი, ყველასათვის საყვარელი მსახიობი, პროექტ „ორ ვარსკვლავი“ ფიურის ნევირად გამოჩნდა - ყოველ ორშაბათს კონკურსანტებს საკმაოდ მოკრძალებულად აფასებს.

რატომ არაჰყავს აკრიტიკებს სახალსოდ ზურა ყიფშიძე „ორ ვარსკვლავში“ და როგორ დაიყოლია ის თიურის ნევირბაზე

გარდა, ვერსად ვიცხოვრებ, ვიცი, რომ მოკვდეები. ავსტალიაში ვიყავით კარგა ხანი და ერთი სული მქონდა, უკან როდის დავბრუნდებოდი. ამ დროს ძალიან კარგ პირობებში ვიყავით და არაფერი გვაკლდა. 35-ე კინოფესტივალზე, ფიურის ნევირ ვიყავი, მაგრამ ისეთი სიტუაცია იყო, წამოვედი. ნერვიული კაცი ვარ, ბებერი და ვერ გავძელი, შუა ფესტივალიდან გამოვიტეი მათ.

- როგორც ვიცი, ამაჰმად პეტერბურგში გაქვთ გადაღებები.

- ძალიან საინტერესო სამუშაოა. სხვათა შორის, ძალიან ნიჭიერი, თვითნასწავლი რეჟისორია, ელენე ხაზანოვა, რომელსაც ქართული ქმარი ჰყავს. ძალიან საინტერესო ფილმი აღმოჩნდა საინტერესო როლით. დილის 9-დან ღამის 2-მდე გაუჩერებლად ვმუშაობდით და 3 დღეში ერთი კვირის სამუშაო გვაკეთებოდა. მალე მეორე ბლოკი დაიწყება და მეორე გახმოვანება იქნება გერმანიაში. ძალიან საინტერესო შემადგენლობაა. ვმონაწილეობთ მე, ჩულებან ხამატოვა,



მანქანის მართვას რომ მასწავლიდნენ, მიიხრეს, მართვისას მთავარია, მგზავრი არ შეაშინო და დისკომფორტი არ შეუქმნაო. ასევე, ცხოვრებაშიც

მირონოვი და მერაბ ნინიძე.

- რაც შეეხება ქართულ კინოს, თუ ხართ დაკავებული?

- ერეკლე ბაღვაშვილის აქვს ძალიან საინტერესო პროექტი. მამუკა ჩარკვიანიც უნდა გააკეთოს ნახევრად დოკუმენტური ფილმი. რამდენიმე საინტერესო სცენა მიმიყვია, რომელიც ძალიან მომეწონა და სიამოვნებით დავცემოდა. ცოტა რთულია, შენი სცენარი მიიღონ, დავიმტკიცონ და ორი კაპიკი მოგცენ ფილმის გადასაღებად. იმედია, ამ საინტერესო პროექტს ერეკლე აუცილებლად განახორციელებს.

- თქვენს პროფესიაში ბევრია იმედგაცრუება და გულსიტყვნა, ისევე როგორც სხარული და წარმატება.

- კი, წამდვილად ასეა. ჩვენმა მიხაილ ივანიჩმა (თუმანიშვილმა) 70 სპექტაკლი გააკეთა და აქედან 7-ს ახერი ხელს, რომელსაც მიჩნევდა, რომ ასე თუ ისე გამოვიდოდა. რამდენი წლები და შრომა წავიდა, რომ ეს 7 გამოსულიყო 70-დან. იგივეა ჩვენთანაც. პირადად მე, ჩემი მონაწილეობით გადაღებული ფილმებიდან, რამდენიმესი არ მრცხვენია. მაგალითად ასეთია: ზაზა ურუშაძის „სამი სახლი“, გიორგი შენგელაიას „კომპოზიტორის მოგზაურობა“, სადაც ერთი გველა მაქვს და იმისი არ მრცხვენია. „მარტოველა მონადირეში“, მერაბ თავაძის „ბრავო, ალბერ ლოლომ“ რამდენიმე სცენა, არც მისი მრცხვენია და რაც მთავარია, ყველაზე ძალიან არ მრცხვენია, გო-

დერი ჩოხელი „ცოდვის შვილები.“ ჩემს დროს როლებს ისე არ ირჩევდნენ, როგორც ახლა. ერთ-ხელ მომცეს როლი, სადაც უნდა მეთქვა: „ლენინი მოკვდა!“ ვერ ვამბობდი ამ ლენინი მოკვდას და სოფიკო ჭიაურელი დამცინოდა. დედაჩემი მეუბნებოდა, ჩემზე ივარჯიშე, ვითომ მე მოკვდი და გამოგივო. ამ ლენინი მოკვდას გამო, ერთი კვირა გადაღებას ვშლიდი. ერთხელაც შემოვივი და ცოტა დიდი პაუზა გამომივიდა. სოფიკომ მომამბა: რა იყო, შვილო, ისეთი სახე გაქვს, თითქოს ლენინი მოკვდაო. ძალიან მაგარი ქალი იყო.

- მსახიობობა რომ გადაწყვიტეთ, დედას რეაქცია როგორ იყო?

- სხვა არაფრის კეთება არ ვიცოდი და ამიტომ, ეს გადაწყვეტილება მოულოდნელი წამდვილად არ ყოფილა ოჯახში. წინაპრები ფილოლოგები, მასწავლებლები და ფიზიკოსები მყავდნენ. ფიზიკა-მათემატიკაში, სამუშაოზე, ვერ ვივარჯიშვ, რასაც ახლა ვნანობ. შეიძლება, ფიზიკოსი ან მათემატიკოსი არ გამოხვდებოდა, მაგრამ ორივე ისეთი მეცნიერებაა, ცხოვრებაში, ლოგიკასა და ფილოსოფიაში აუცილებლად გამოგადგება. რაც შეეხება ჩემს სწავლას, ექსტრენად დავამთავრე. ფეხში ვიყავი დაჭრილი, ორი წელი ვკოჭლობდი, ტრიაფი-კული წყლები და რაღაცეები გადავიტანე. თან, ცუდქი და სამუშაოზე, ცუდი მოსწავლე ვიყავი. სკოლიდან გამომაგდეს და ამიტომ, ექსტრენად დავამთავრე. სად უნდა წავსულიყავი, თუ არა თეატრალურ ინსტიტუტში. ამ სფეროში ვიყავი გაზრდილი და 13 წლისა მაკი ხევიანში გადამიღეს, 16 წლისა „ლენინი მოკვდაო“ და ასე შემდეგ. სხვათა შორის, ინსტიტუტშიც ძალიან ცუდად ვიქცეოდი. პირველად რომ გამომაგდეს ინსტიტუტ-დან, ისე არ შეწყინა. პირველ კურსზე კინოს გადაღება არ შეიძლებოდა. აი, მეორედ უკვე მიხაილ ივანიჩთან რომ მოხვდები, მიხვდები, ეს საქმიანობა ხელნამოსაკრავი არ იყო. პირველად რომ გამომირიცხეს, „ნუთისოფელს“ ვიღებდით, მეორედ კი „როცა აყვავდა ნუში.“ ძალიან მაკარი იყო ეთერ ნიკალაევანა (რეჟისორი). ერთხელ ხუმრობით მითხრა: აი, რა კარგი ვეწინ ინსტიტუტიდან რომ გავაგდე, თორემ რუსეთში ხომ ვერ აღმოჩნდებოდიო. რომ ამბობენ, არაფერს შეცვლიდი ჩემს ცხოვრებაში, მე ზუსტად ვიცი, რომ ძალიან ბევრ რამეს შევცვლიდი. უფრო მეტს წავიკითხავდი, უფრო მეტს ვიმოგზაურებდი და უფრო მეტად მოუფულიდი საკუთარ თავს. ჩემს თავს მართლა არ ვუვლი, ვგულისხმობ, სივარტეს, სასმელს და ასე შემდეგ. ახალგაზრდობაში ვერ ვგრძნობდი ან ყველაფერს, მაგრამ 60 წლის რომ გავხვდი, ყველაფერს სხვანაირად ვუყურებ.

- პირველი შეფასება, როგორც მსახიობის, როგორი იყო დედის მხრიდან?

- მოსწონდა, მაგრამ ქათინაურებს არ მეუბნებოდა. ჩვენ საერთოდ ერთმანეთს უფრო ვაკრიტიკებდით, ვიდრე ვაქებდით. პირველი სერიოზული როლი „მუშანიკის ნაშენში“ მქონდა, ვარსკენი პიტიახშს ვთამაშობდი. ძალიან მომწონდა და ველევადი. საერთოდ, ერთი პერიოდი ოქროს ხანა მქონდა - ერთ დღეს ვარსკენი პიტიახშს ვთამაშობდი, მეორე დღეს ლუსივა კაბელინის „საქმის“, სადაც მთავარი, სახანათო როლი მქონდა, მესამე დღეს - „ბაკალას ღორებს“, მეოთხე დღეს - „დონ ჟუანს“, მეხუთე დღეს - „ჩვენს პატარა



ქალაქს." მსახიობისთვის ბედნიერებაა თუ ასეთი პერიოდი გაქვს. ასე რომ, ასეთი ოქროს ხანავე მქონდა.

– დედა ქათინაურებს არ მეუბნებოდა და უბრატესობას კრიტიკას ანიჭებდაო. ახლა როგორ ხდებდა, თქვენ და გიორგიც აკრიტიკებთ ერთმანეთს?

– კი, სხვათა შორის, გიორგი ძალიან მაკაცრად სჯვის მარტო როლს კი არა, საერთოდ, ჩემს გამოჩენას ეკრანზე. ძალიან გაღიზიანებული იყო „ორ ვარსკვლავში“ ჩემი ფიურის როლით. ბოლო შოუზე მითხრა, არა უმავსო. მანადე სულ მაკრიტიკებდა: ან იმომორი სად გეკარგება, ან ლაპარაკიო. ქაქანტრესტი ხარ და იქ რატომ ჩემდებიო. არადა, მეგობრები მირეკავდნენ, მოდი, რა, ზურა ბერეს ნუ ილაპარაკებ, ძალიან მოკლედ თქვი: „ისეს, ნოუ, ოქეი“. პროექტი რომ დაიწყო, ჩემი სისულელების ლაპარაკით მეგავსუბე, ალბათ, ყველა.

– მუსიკასთან თავად როგორი დამოკიდებულება გაქვს?

– ბავშვობაში დრამზე ვუკრავდი. „ვეჯილი“ გვექონდა ანსამბლი. ნუგზარ კვამალი, გია ეფგვერაძე – ცნობილი მხატვარია, გერმანიაში ცხოვრობდა და არაჩვეულებრივი, ჩვენი მამუკა დუმბაძე, რომელიც ისტორიკოსია. სხვათა შორის, სერიოზულად ვუკრავდით, ვანსუბედით მეზობლებს და იყო ერთი ამბავი. მერე დედაჩემმა მიგვიყვანა მარჯანიშვილის თეატრში. ზაფხულობით ბრიგადებით დადიოდნენ სხვადასხვა ქალაქში, რომლებსაც ჩვენც დავეყვებოდით. მთელი პროგრამა სკეჩებზე იყო აგებული. ჩვენ აკომპანემენტს ვუკრებდით, შიგადაშიგ კი „როლინგ სტუენტს“ და „ბითლზებს“ ვუკრავდით. მასსოვს, სოხუმში ძალიან ბევრი ხალხი მოვიდა, „ბითლზები“ გვეგონა თავი, ხალხის კორიდორში გავდიოდით. მოკლედ, თითქმის მთელი საქართველო მოვიარეთ. 13-14 წლის ბიჭებისთვის ყოველდღე კონცერტი, მართლა ძნელი იყო. ამის შემდეგ, უკვე მე და ნუგზარ კვამალი სერიოზულად ვუკრავდით ყირიმში. 3 წელი დავდიოდით. ერთხელ გრაცკი ჩამოვიდა და ერთად დავეუკარიით. ახლა ხელით თუ აყვები რამეს, თორემ ჯოხი 30 წელია, ხელში არ მჭერია. არტეკის ბანაკში, კონცერტის დროს მთხზვევით გადაგვიღეს ფილმი. საცეკვაო „შტატცალმადაკაზე“ ვუკრავდით. ფილმი კადრი ჩვენით იწყება. მართალია, სხვა სიმღერა დაადეს მერე, მაგრამ ვიზუალურად ვჩანვართ.

– როცა გიორგიმ პროფესიად მსახიობობა აირჩია, როგორ მიიღეთ მისი გადაწყვეტილება?

– გიორგის შემთხვევაში ძალიან უცნაური რამ მოხდა. ლენუკა იყო ძალიან არტისტული. ყოველ საღამოს კონცერტებს ვცინებდა ჩემს ცოლის დასთან, ეკა გოცირიძესთან ერთად, რომელიც სერიოზული მხატვარია და კვირისზე ცხოვრობს. მოკლედ, საღამოობით სახლში თეატრი გვეკონდა. გიორგი პირიქით იყო, საერთოდ არ ერეოდა ამ წარმოდგენებში. მასსოვს, ისე სწრაფად ლაპარაკობდა საერთოდ არ მესმოდა, რას ამბობდა. რომ ვეტყვი, ცოტა ნელა ილაპარაკე, არაფერი მესმის-მეთქი, ნერვიულობისგან კიდევ უფრო ჩქარა იწყებდა ლაპარაკს. თან, ძალიან მორცხვი იყო. გაკვეთილის მოყოლაც კი რცხვენოდა კლასში. ამის გამო, ზოგი „ორიანებს“ უწერდა, მაგრამ ზოგი, შედიოდა მის მდგომარეობაში, შესვენებაზე ცალკე გაჰყავდათ და ისე იბარებდნენ გაკვეთილს. უმაღლესში ჩაბარების დრო რომ მოვიდა, გამომიცხადა, რეჟისორი უნდა გავხდეთ, მაგრამ საბედნიეროდ, თვითონვე გადაიფიქრა.

– ძალიან მეგობრული ურთიერთობა გაქვთ შეილებთან.

– ზედმეტად მეგობრული. შეილი მტრად გაზარდა, მიყვრად გამოგადგებაო, ეს ვერ გავითვალისწინებ. საერთოდ, ჩვენ რომ ანდაზებით გვეცხოვრა, ახლა ნამდვილ კომუნისში ვიქნებოდით. შეილებთან, რა თქმა უნდა, ვმეგობრობ, სხვაანარად არ შემიძლია. მკაცრი მამა ვერ გამოვიყენებ, მაგრამ თუ რამე არ მომწონს, ფეთქებები კი ვარ.

- **საკმაოდ ადრე დაოჯახდით.**
- ძალიან, ძალიან მიყვარდა და მიყვარს ჩემი მეუღლე და არანაირად არ ვნანობ, რომ 24 წლის ასაკში დაოჯახდი. მართალია, სულ ვჭრებოდა, მაგრამ...
- **ჩხუბი ხომ მეტ-ნაკლებად ყველა ოჯახშია.**

– არა, ჩვენ ძალიან ვჩხუბობთ. შეილები გვეუბნებიან, ასე თუ ვერ იტანთ ერთმანეთს, ერთად რატომ ცხოვრობთ. ვერ მოსვენეთ ერთმანეთი, გაყრილიყავით, ვინ არ გამოვრებულაო. ამაზე მერე ჩვენ ვეჩხუბებით მათ: რას ამბობთ, გიჟები ხომ არ ხართ, ეს ჩხუბი, ის ჩხუბი არ არის, თქვენ რომ გგონიათო. პირველად ლელა, ვასო გოძიაშვილის გასვენებაში ვნახე. მერე სულ დიდუბის პანთეონთან ვტრიალებდი, რატომღაც მეგონა, რომ იქ ცხოვრობდა სადღაც ახლო-მახლო. მერე ინსტიტუტში შევხვდით, ლილი იოსელიანის ჯგუფში სწავლობდა, თან ჩემი ძმაკაცის კურსელი იყო. მერე ძმაკაცი მანამედა, რადგან სამ დღეში ერთხელ მეუბნებოდა მისი ტელეფონის ერთ ციფრს. ძალიან კარგი პერიოდი იყო და დღემდე კარგად მახსენდება. ფაქტობრივად, ლელა თავისი კარიერა ოჯახს შეწირა, ითამაშო რაღაცებში, მიხალ ივანიანიანაც იყო, მაგრამ აღარ გააგრძელა ეს საქმე. დღემდე იშვიათად დადის თეატრში, რადგან ძალიან აღიზიანება და ახლაც აღიზიანებს ინტრიგები, რაც თითქმის გარდაუვალია, როგორც ყველა სხვა პროფესიაში, ასევე ჩვენთანაც. მართალია, მე ძალიან იშვიათად მხვდნენ ინტრიგებში, უფრო მეტიც მიხალ ივანიანმა, ვერ გამხვია და ახლა მით უმეტეს. უბრალოდ, ჩემზე ამბობენ, მძიმე ხასიათი აქვსო.

– მართალია?

– ალბათ, ვანსუბე სხვას ჩემი ექსცენტრიკულობით, ოფოფებით, ქიყებით, უთქმელობით, ან პირიქით, თქმით. გარშემო არავინ არ უნდა შეაწუხო. მანქანის მართვას რომ მასწავლიდნენ, მითხრეს, მართვისას მთავარია, მგზავრი არ შეამჩიო და დისკომფორტი არ შეუქმნაო. ასევე, ცხოვრებაშიც.

– ბოლო დროს ხშირად ლაპარაკობენ ლენუკას და თქვენი მეუღლის საქორი ოპონციის შესახებ, რომელიც უკვე გაკეთდა და ლმერთის წყალობით, ყველაფერმა კარგად ჩაიარა.

– ანევიზიმის ოპერაცია, როგორც იცით, ძალიან ძირი ჯდება, მით უმეტეს, ორი ოპერაცია უნდა ჩატარებულიყო.

– როგორ გაიგეს ანევიზიმის შესახებ?

– ჩემს მეუღლეს თავი სულ აწუხებდა, იძახდა შიდა ქალის წნევა მაქვსო. თავებრუხვევებიც ჰქონდა. რა თქმა უნდა, მე არ მიჯერებდა, მაგრამ ლენუკამ თავისი გაიტანა, დაავლო ხელი დედამისს და ექიმთან წაიყვანა. თავში ანევიზიმის შესახებ რომ გაიგეს, ანერვიულდა, თვითონაც გაეცინჯა და მასაც არ აღმოაჩნდა? ბომბზე ვიჯექით, ფაქტობრივად. წარმოიდგინეთ, მე რა დღეში ვიქნებოდი. საბედნიეროდ, გამოჩნდნენ ლეთისნიერი ადამიანები, განსაკუთრებით მამუკა ქაცარავა მერიდიანი. ვისაც არ უნდა ვუხსენო ეს კაცი, ყველა აქებს და ადივობს. საერთოდ, არ ვიცნობდი მამინ. ქეთი დოლიძემ ძალიან დიდი როლი ითამაშა, ყველას გაგებინა ჩვენი ამბავი, თავის თავიც შეაწუხა და სხვებიც. მამუკას რომ უთხრა ეს ამბავი, რეანიმაციიდან დამიკრეს, თვითონ ნაოპერაციებში ყოფილა იმ დროს, ძალიან რთული ოპერაცია გაიკეთა. მითხრა, ნუ გემინია, არ ინერვიულო, გამოვალ საავადმყოფოდან და რაღაცას ვიზამთო. ქნა კიდევ. ნაწილი ჯანდაცვამ გადმოგვირიცხა ქეთის დაუინებელი თხოვნით, მამუკა ხაზარაძე დამეხმარა, თემურ ჩხეიძე, დათო ახვლედიანი. შეიძლება, მათ სახელებს არ უნდა ვამბობდ და სულ არ უნდათ ამის გაუღრებება, მაგრამ სხვაანარად არ შემიძლია. ყველას ძალიან დიდი მადლობელი ვარ.

მარიკა ხიჭუაძე

შეკითხვა ექიმს



კითხვა პასუხზე „კვალანი“ დერმატო-კოსმეტოლოგი მაკა დოდოვაშვილი.



– ძალიან დიდი ხანია, მანუხებს კანის სინით, ლოყებზე და ცხვირზე განსაკუთრებულად. მეტად მიღიზიანდება სიცხეში, ემოციურ ფონზე და ცხარე კერძების მიღებისას. ეშვებუბა ამ პრობლემას?

– ეს კლინიკური ნიშნები ახასიათებს როზაცეას, იგივე ვარდისფერ აკნეს პირველ სტადიას, რომლის დროსაც კანზე გამოხატულია მხოლოდ სინითლე და კუპეროზი (წვრილი, ზედაპირული კაპილარები). პრობლემა ნამდვილად მოგვარებადია, თუმცა სჭირდება სწორი მართვა. უპირველესად, აუცილებელია, ყველა მამოვოცირებელ და გამღიზიანებელ ფაქტორს მოერიდოთ. მათ რიცხვს მიეკუთვნება: მზე, ცხელი და ცხარე კერძები, ნითელი ღვინო, ანუ ის ფაქტორები, რომლებიც სისხლძარღვების გაფართოებას იწვევს. აუცილებელია მზის დამცავი ფაქტორების შემცველი კრემების რეგულარული გამოყენება. დერმატო-კოსმეტოლოგის მიერ იგეგმება ანტიკუპეროზული მოვლის პროცედურები როგორც კაბინეტში, ასევე სახლის პირობებში: სინითლის სანინალმდეგო, ანტიკუპეროზული კრემები, ნიღბები, შრატები, აპარატული მკურნალობა, ლაზერული და IPL მეთოდებით.

– მანუხებს სახის ქავილი, რა შეიძლება იყოს ამის მიზეზი?

– უპირველესად, უნდა გამოირიცხოს კონტაქტური ალერგიული რეაქცია სახის კანის კოსმეტიკური მოვლის საშუალებებზე. დიაგნოზის დასაზუსტებლად, საჭიროა დამატებითი ანამნეზის შეროვება: არის თუ არა ქავილთან ერთად გამოწყარია; თუ – კი, მამინ რა ტიპის გამონაყარი; უკავშირებთ თუ არა კოსმეტიკური საშუალებების გამოყენებას, მზის ინსოლაციას, რაიმე სახის ქიმიური საშუალებების გამოყენებას და ასე შემდეგ.

P.S. თქვენთვის საინტერესო შეკითხვით შეგიძლიათ მიმართოთ კლინიკას ტელეფონის ნომერზე: 230-00-30.



თამარ ივარი: ბავშვობაში უცნაური ოცნება მქონდა, ძალიან მინდოდა, ნაყინის გამყიდველი ვყოფილიყავი. მთელი დღე ველოდებოდი, როდის ჩამოვივლიდა ჩემს ქუჩაზე ნაყინის გამყიდველი და დაიძახებდა: „მარო-ყვინთი!“ **(ივინის).** სულ ვფიქრობდი, რა ბედნიერი ადამიანია, ყუთში ალბათ ხუთასი ნაყინი უწყვია და რამდენსაც უნდა, იმდენს ჭამს-მეთქი. მთელი ბავშვობა მისი მშურდა. ნაყინს რომ ვჭამდი, დედამინაზე ყველაფერი მაგინყდებოდა. რომ ნამოვიზარდე, მერე ბალერინობაზე ვოცნებობდი. ჩამოვიცვამდი ზღვის გასაბერ რგოლს, გადავაფარებდი ქვედაბოლოს და სარკის წინ ვცეკვავდი. მამამ პუანტიბუც მიყიდა და უბედნიერესი ვიყავი. საათობით ვცეკვავდი, ხან ვვარდებოდი და ცერებზე დგომით, გადატყაული მქონდა ფეხის თითები და მუხლები. თუმცა, ეს გატაცებაც, გატაცებად დარჩა, რადგან ტკბილეუ-ში მიყვარდა, პუტკუნა ბავშვები ვიყავი და მიხვდი, ჩემგან ბალერინა ნაკლებად დადგებოდა. მერე მსახიობობა მოვიინდომე და ვოცნებობდი, ერთ დღეს ფრანკო ძეფირელის გავიცნობ, შეამჩნევს ჩემს სამსახიობო ნიჭს და გადამიღებს თავის ფილმში-მეთქი.

- დღეს, საკმაოდ პოპულარული მომღერალი ხარ და უცხოეთის არაერთ სცენაზე გამოდიხარ. დავიჯერო, ფრანკო ძეფირელი იმ ვერ შეგამჩნია?

- სხვათა შორის, „ტურანდოტი“ რომ უნდა მეძღვრა, რეჟისორი ძეფირელი გახლდათ. უკვე ძალიან მოხუცია და თან, რეპეტიციას რომ გავდიოდით, ოპერაცია გაიკეთა და ვერ მოდიოდა. ერთ დღესაც, გვითხრეს, ხვალ, თავად ფრანკო ძეფირელი მოდის რეპეტიციის ჩასატარებლად. მთელი ღამე არ მიძინია, ვფიქრობდი, ბავშვობის ოცნება ამიხდა-მეთქი და მისი ფილმები, კადრებივით გადიოდა ჩემს თავსწინ. მეორე დღეს, სანამ მოვიდოდა, ყოველ ხუთ წუთში პომადას ვისვამდი, პუდრს ვიცხებდი და სარკე არ გამოვდია ხელიდან, თითქოს ქასთინგზე გავდიოდი **(ივინის).** მოკლედ, მობრძანდა „ლიმუზინით“ და დარბაზში შემოვიდა ინვალიდის ეტლით. ძალიან მოხუცია, მაგრამ ულამაზესი მამაკაცი, ქერა, ცისფერთვალება. ისე ვუყურებდი, როგორც რელიკვიას და ვაცნობიერებდი, ვის წინ ვიდექი. „ჟორჯლოლიც“ კი დავლიე, ისე იმ-ოქმედა ამ რეჟისორთან შეხვედრამ. ძლივს იჯდა ეტლში, ამომხედა და თქვა: უი, რა ლამაზი ლიუ მყოლიაო. მკითხა, საიდან ხარ, რა ლამაზი თვალები გაქვსო. ხომ იყო ძალაგამოცლილი? რომ დაიწყო რეპეტიცია და გაისმა მუსიკა, სულ დაავიწყდა თავისი ავადმყოფობა და პრობლემები. შემართებით ნამოდგა ფეხზე და ისეთი მკაცრი გამოიმეტყველება ჰქონდა, ეს უნდა გენახათ. ისე გვანვალა, იმდენი შეინიშნა მოგვცა, ისეთი კატეგორიული იყო, ისეთი მოთხოვნები ჰქონდა, გადაგვქანცა **(ივინის).** ეს რეჟისორი ჩემთვის ცოცხალი რელიკვიაა. სხვათა შორის, საქართველოში დავგაპტიე. მითხრა, ძალიან ბევრი მსმენია თქვენი ქვეყნის შესახებ და მიინდა იქ ჩასვლა, მანტერესებს თქვენი ქვეყნის კულტურის ნახვაო. მაგრამ, იმდენად მოხუცია და ავადმყოფობს, სავარაუდოდ, ამას ვერ შეძლებს. თავადაც აღიარა, ალბათ, ვერ შევძლებ საქართველოს ნახვას, უკვე ასაკში



სულ ახალ-ახალი მწვერვალების დაპყრობაზე ვფიქრობ

ქართველი სოპრანო თამარ ივარი, ძალიან თბილი, მოსიყვარულე და გულახდილი ადამიანია. მომღერალი, უცხოეთში დიდ წარმატებებს აღწევს და ამისთვის ძალიან ბევრს შრომობს. მაგრამ, როგორც კი დრო გამოუჩნდება, მაშინვე საქართველოში მოდის, რადგან მისთვის მთავარი საყვარელი და ახლობელი ადამიანების გვერდით ყოფნაა. რატომ უნდა მას ბოლო დროს ქმრის, რაულის გარეშე ხშირად ყოფნა, რა ოცნება ჰქონდა ბავშვობაში და რას გრძნობს ის სამშობლოში ჩამოსვლისას, ამაზე ინტერვიუში გვესაუბრება.

რა შეაჩინა თამარ ივარი ფრანკო ძეფირელი და როგორ იზანს ის საყვარელ მამაკაცთან განშორების ბლიც-პერიოდს

ვარ და ავადმყოფობაც მიშლის ხელსო.

- თამარ, იღბიანი ხარ - სასიმღერო კარიერაშიც საკმაოდ დიდ წარმატებებს მიიღწიე და პირად ცხოვრებაშიც შეხვედი ადამიანს, რომელსაც ძალიან უყვარხარ, გიყვარს და ერთად ბედნიერად გრძნობთ თავს. როგორ გგონია, ქალის ბედნიერებისთვის ეს საკმარისია?

- ვერ გეტყვი, პირადი ცხოვრება და კარიერა მოვიწყვე და ამის გამო, უნდა მოვდუნდე და დავტკბე იმით, რაც მაქვს-მეთქი. სულ ძიებაში ვარ. რასაკვირველია, ეს პირად ცხოვრებას არ ეხება, რადგან ჩემი სიყვარულის ისტორია ვერონაში დაიწყო და, მე და რაულს ძალიან გიყვარს ერთმანეთი. კარიერაში კი სულ ახალ-ახალი მწვერვალების დაპყრობაზე ვფიქრობ. ნებისმიერი მომღერლისთვის საოცნებო როლები განმისახიერებია, მაგრამ აქ კიდევ უფრო მეტის გაკეთება მინდა. ზოგადად, მინდოდა მეგრძოლი ვარ. არ მინდა საკუთარი თავი გავთვალო ხშირად იმის თქმით, რომ ბედნიერი ვარ, მაგრამ ამას ვერ უარეყოფ **(ივინის).** თუმცა, გამოგიტყდებ-

რის ცხოვრებაში ხდება და არც მე ვარ გამონაკლისი. ერთი პერიოდი, ჩემი ცხოვრება პრობლემებით იყო სავსე, სცენაზე ვიდექი, მაგრამ ყელში ბურთი მეჩხირებოდა სიმღერის დროს და არ მემღერებოდა. შესაძლოა, ამას მსმენელი ვერ ამჩნევდა, მაგრამ მე ხომ ვხვდებოდი? ეს ის მომენტი იყო, როცა საკუთარი თავი თავად უნდა ამეყვანა ხელში და სხვა ვერ მიშველიდა.

- ამ დროს მეგობრის გვერდით ყოფნა, მისი რჩევა და დახმარება ხომ ყველაზე კარგი დამამშვიდებელი და აუცილებელია?

- მე მყავს, 2-3 „გურუ“, ვისაც ვენდობი და პატივს ვცემ. თორემ, ვითომ „გურუები“, იმდენია ჩემს გარშემო, ვერც დავთვლი. მე იმის თქმა მინდა, რომ თავად უნდა ეძებო პრობლემს საკუთარ თავში და ასე, უფრო ადვილად მოგვარებ. თუ სულურად და ფიზიკურად დანაწარმებული არ ვარ, ისე საღად აზროვნება მიჭირს. ამიტომ, ალელგებული და აფორიაქებული თუ ვარ, ვიკეტები ოთახში და თვითონვე ვინაწარებ თავს.

- ამ ბოლო დროს, საკმაოდ ხშირად ჩამოდიხარ საქართველოში. ამის მიზეზი ნოსტალგიის მოძალბაა თუ ქმრის ბიზნესი, რომელსაც ის საქართველოში გვეგაპტის?

- როცა თავისუფალი დრო მაქვს, საქართველოში გამოვრბივარ. დედა და რაულაც აქეთ არიან და ძალიან მენატრებიან. დიას, რაულმა, ბიზნესი წამოიწყო და აქეთ უნდა ყოფნა. თუმცა, ვენაშიც ხშირად ჩამოდიხარ.

- მერე, მასთან ასეთ განშორებებს როგორ იტან?

- ფანტასტიკურად **(ივინის).** დიდ ხანს რომ ერთად ვართ, ორი-სამი კვირა ერთმანეთისგან ვისვენებთ. რომ შეხვდებით, ისე ვივსებით განშორებული, მონატრული სიყვარულით. მინი ბლიც-განშორებები, უფრო აახლებს სიყვარულს და შეყვარებულ წყვილის ურთიერთობას. რამდენიმე დღე რომ ვერ მნახავს, მირეკავს: და მეუბნება: თამარ, შენი ჩხუბიც მომენტატრა, მირჩევნია მეჩხუბო, მეჯიჯლინო და ჩემს გვერდით იყო **(ივინის).** რაული რომანტიკული ადამიანია და სულ ცდილობს, სიურპრიზებით გამანებვიროს. რომ არ ველოდები, ისე დამადგება ხოლმე თავზე ვარდების თაიგულით.

- თუ საიდუმლო არ არის, რა ბიზნესის ნაშრომებს გვემავს რაული?

- რაც შეეხება ბიზნესს, მანქანების რეცხვის ქსელის გაკეთება უნდა ინოვაციური მეთოდებით. ბიზნესის და ოფისების დასუფთავების მომსახურება. ვფიქრობ ხოლმე, ცუდი ყოფილა ბიზნესმენის ცოლობა, თუ ასეთ განშორებასთან არის დაკავშირებული-მეთქი **(ივინის).** მაგრამ, არც ხელოვანი ქალის ქმრობა ადვილი. ის განშორების ორი-სამი კვირა, ძალიან მალე გადის, რადგან ორივე დაკავებული ვართ. თუმცა, საღამოობით, „სკაიპით“ საათობით ვსაუბრობთ.

ნონა ღათაძიძა

მიზანდასახული და მეგრძოლი ვარ. არ მინდა საკუთარი თავი გავთვალო ხშირად იმის თქმით, რომ ბედნიერი ვარ, მაგრამ ამას ვერ უარეყოფ **(ივინის).** თუმცა, გამოგიტყდებ-

ფრანკო ძეფირელი, მსოფლიო რელიკვია, საპარტოლოში დაგვაპტიე. მითხრა, ძალიან ზგობი უმსახურ და მიინდა იქ ჩასვლა, მანტერესებს თქვენი ქვეყნის კულტურის ნახვაო

ით, ხმამაღლა ვერიდები იმის თქმას, რომ ბედნიერი ვარ, გულში კი ხშირად ვიმეორებ. მე ბედისწერის მჯერა და იმის, რომ ჩემს ცხოვრებაში რაღაც მომენტები მაღლა, ზემო-აში იწერება. მას ვერც დავაჩქარებ, ვერც ავცდები და ვერც გავუსწრებ. თუმცა, მთლად ბედისწერას არ ვარ მინდობილი. კარგი, ბედნიერი და სიურპრიზი, რაც ჩემს ცხოვრებაში ხდება, ეს ბედისწერა და მაღლა იგვემება, მაგრამ თუ არ ვიშრომე და შექმნილ პრობლემას თავად არ გავუმკლავდი, ამას ზემოდან ვერაფერ მომიგვარებს. მაგალითად, არც ერთ მომღერალს არ უყვარს ჩავარდნის პერიოდებზე საუბარი, თუმცა, ეს ნებისმიე-



ინციდენტი საუბრები

ჩემი მეგობარი გაუმხალე სიყვარულით გარდაიცვალა

ბავშვობის მეგობარი მყავდა. შეიძლება ითქვას, ერთად გავიზარდეთ, რადგან, ჩვენი დედებიც მეგობრობდნენ და თან, ერთ ეზოში ვცხოვრობდით. ლამაზად არ ითვლებოდა, მაგრამ, თავისი სტილი ჰქონდა, თუმცა ისეთი ჩემი, მორცხვი და თავმდაბალი იყო, ბიჭებში დიდ ინტერესს არ იჩვენებდა. სიყვარული მისთვის არასდროს არავის აუხსნია, ყველა ძმობას და მეგობრობას ეფიცებოდა. ჩვენი სამეგობრობის ბიჭების პირველი მესაიდუმლო ანაწი იყო: ბიჭები მას ანდობდნენ თავიანთ შეყვარებულებთან შერიგებას, მასვე ეკითხებოდნენ რჩევას და ისიც ყოველთვის ყველას გვერდში ედგა. ჩვენ ყველას გვგვამდა კვალობები ანაწი გარდა. ერთ-ორმა ბიჭმა კი მოინდომა მასთან ურთიერთობა, მაგრამ, ორივე ტაქტიკიანად ჩამოიშორა. როგორც კი ამ თემაზე ჩამოვუგვდებდი ლაპარაკს, გაიცინებდა და მეტყობდა, ნამდვილ სიყვარულს ველო. 25 წლის ასაკშიც კი სჯეროდა თუთ რაშე ამხედრებული რაინდის არსებობის. რომ გავიზარდეთ, ჩვენი სამეგობრობიდან ყველა გათხოვდა და დაცოლშვილდა, მხოლოდ ანაწი დადიოდა კენტიდა. ვერაფერ ვეღარ ვიცოდით ერთმანეთისთვის, მარტო ანაწი ახერხებდა ყველასთან ურთიერთობას, ის იყო ჩვენი დამაკავშირებელი რგოლი.

ცოტა ასაკი რომ მოგვემატა, ჰყავდა რამდენიმე თავყვანისცემელი და ცოლობაც სისხოვეს, მაგრამ, ყველას უთარი უთხრა, მიუხედავად იმისა, რომ არც ერთი არ იყო დასაწევი. თან, მართლა სერიოზულადაც მოსწონდათ. ხომ ასეთი სული და გული იყო ჩვენი სამეგობრობის, ყველა მას ვუმხედელი საიდუმლოებებს, თვითონ კი არავის არაფერს უყვებოდა თავისი გრძნობების შესახებ. რამდენჯერმე ნანყენმა



ვუსაყვედურე კიდევ ამის გამო, მაგრამ, ღიმილით მიპასუხა, არაფერი მაქვს მოსაყოლი და ტყუილს ხომ არ გამოვიგონებო.

ერთხელ შაკოს ვუთხარი (ჩვენს ერთ-ერთ მეგობარს), ყველაზე ახლოს მაინც შენთან არის ანაწი და იქნებ შენ დაელაპარაკო, რა სჭირს, რატომ იქცევა ასე-მეთქი. შაკომ მითხრა, რამდენჯერმე ვცადე ამ თემაზე დალაპარაკება, მით უმეტეს, რომ ერთ ჩემს ნათესავს შეუყვარდა და გავაცანი კიდევ, მაგრამ უფრო ჩაიკეტა და კარგა ხანს ჩემთან დალაპარაკებასაც კი ერთდებოდა. მოკლედ, ვერაფრით გავიგეთ, რატომ ცხოვრობდა ასე განდეგილივით და რატომ გაუშობდა ბიჭებს. არადა, ისეთი გოგო იყო, ბედნიერი იქნებოდა ის კაცი, ვისი ცოლიც გახდებოდა. თვითონ შაკო ცოცხალი „ბაბნიკი“ ბიჭი იყო, ყოველ მეორე თვეში ახალი შეყვარებული ჰყავდა და ყველას ანაწი აცნობდა – შენ რომელიც მოგებნობდა, იმას შევირთავ ცოლად, შენს შეფასებას ყველაზე მეტად ვენდობიო. ანაწი კი მხოლოდ იღიმებოდა და შაკოს სულ იმას ეუბნებოდა, მთავარია, შენც გიყვარდეს და მასაც უყვარდე, ცალმხრივი გრძნობით ოჯახი არ შედგებაო.

ერთი სიტყვით, მთელი ჩვენი სამეგობრობის საფიქრალი ანაწი იყო. ასე გავიდა წლები. შარშან კი, 38 წლის ასაკში, სრულიად მოულოდნელად, ანაწი ავად გახდა და ლოგინად ჩავარდა. ექიმებმა ვერაწარი დაგნოზი ვერ დაუსვეს. მხოლოდ წყნობა, ბინა გაეყიდათ და გერმანიაში წავსვანათ, მაგრამ ანაწი არაფრით არ ქნა – აზრი არ აქვსო.

სიკვდილის წინა დღეს დამიბარა, მარტო შენ მოდიო. გიყვით გავვარდი. ისედაც ყოველდღე დავდიოდი მასთან, მაგრამ, იმ დღეს გულმა ცუდი მიგრძნო. რომ მივედი, ყველა გაუშვა ოთახიდან და მითხრა, არ მინდა, ისე

წავიდე ამქვეყნიდან, რომ ჩემი საიდუმლო არ გაგანდო. მერე პატარა რეგული მომცა და მითხრა, სახლში რომ მიხვალ, მაშინ წაიკითხე და არავის უთხრაო. ცოტა ხანს კიდევ ვისაუბრეთ და მერე მითხრა, თუ არ გენყინება, წადი, მარტო მინდა დარჩენაო. დარდიანი წამოვედი. მთელი ღამე ანაწის ჩანაწერების კითხვაში გავატენე. იმდენი ვიტყვი, დილით თვალები აღარ მიჩანდა. იმ დღიურებიდან გავიგე, რომ ჩემს მეგობარს მთელი ცხოვრება შაკო უყვარდა და მას ელოდა. არადა, არასდროს უგრძნობინებია მისთვის, ბოლომდე ერთგული მეგობრობა გაუწია.

ცოტა რომ მოთენდა, ანაწისთან გავიქციე, მინდოდა, დაელაპარაკებოდი შაკოზეც, მასზეც და, საერთოდ, ყველაფერზე, მაგრამ, დავაგვიანე – ჩემი უსათნოესი მეგობარი გარდაცვლილი დამხვდა. დედამისმა მითხრა, დილით ოთახში რომ შემოვედი, უკვე აღარ სუნთქავდა, მაგრამ, ხელში შაკოს სურათი ეჭირა და გაღიმებული წავიდა უფულოთარი.

ერთი წელი გავიდა მას შემდეგ და ანაწი დღემდე ტკივლად მაქვს გულში ჩარჩენილი. არც კი ვიცი, რა დავარქვა მის წასვლას, რა იყო ამ ახალგაზრდა, ჯანმრთელი ქალის ასეთი მოულოდნელი სიკვდილი, ალბათ, გაუმხელელი სიყვარული.

თიკა, 39 წლის.

რედაქციაში შემოსული უამრავი წერილიდან ამოვარჩიეთ საუკეთესო ამბავი და ვთავაზობთ მკითხველს. „ინციდენტი საუბრებისთვის“ ისტორიები შეგიძლიათ გამოგზავნოთ ელექტრონული ფოსტით: tbiliselebi2001@gmail.com
ან მოიტანოთ რედაქციაში წერილის სახით.

(მე-10 გვერდიდან)

- იარაღიანმა კაცმა უნდა დაიცვას საქართველო და წესრიგი. „მხედრობი“ არ უნდა გაეფეხილებინა შევარდნაძეს, მერე კი მიხვდა, რომ მექცობა იყო და დაიჭირა ჯაბა.
- გვარდიას და „მხედრობის“ რატომ ჰქონათ ცუდი დამოკიდებულება, რას ვერ იყოფდით?
- მე ხმას არ ვიღებ, როცა ამბობენ ესა და ეს იყო კიტოვანის შეცდომაო. გოგა ხანდრავასაც ვუსმინე ამას წინათ ტელევიზიით, არადა, გოგა ხანდრავა დამნაშავეა თავის ერთან.
- რაში?
- ამას თავის დროზე ვიტყვი. გოგა ხანდრავა, ციხეში იყო, სხვები მე გამოვიყვანე 1991 წლის კიბიდან და ყველაზე გაუშევი სახლებში.
- უკვე ამდენი წელი გავიდა, როგორ ფიქრობთ, 1991 წლის სწორად მოიქცით? ღირდა იმ ომის წამოწყება?
- ვუყურებდი ტელევიზორს და უცებ ჯაბა გამოდის, მე შევუთვალე შევარდნაძეს, ჩამოვიდესო. შე მამაცხოვნიებულისმილო, მკითხე მე, რომ შეუთვალე? მე არ მინდოდა შევარდნაძის ჩამოსვლა, იმიტომ რომ ჯაბა მაგისი აგენტი იყო. შევარდნაძემ დახოცა ყველა თავისი ახლობელი: სოლოკო ხაბიშვილი დაწყებული და ჯაბათი დამთავრებული.
- თბილისის ომზე კითხეთ: ისევ ისე მოიქცეოდით?
- მე არც ვაპირებდი თბილისის ომს და საერთოდ ომს არ ვაპირებდი. შევუთვალე კიდევ ზვიადს, ვინც პირველად გაისერის, ნაგებს ომს-მეთქი. მე 24 დეკემბერს ჩამოვიდი აქ, როცა გამსახურდიამ ესროლა თავის ხალხს და მომიტინგეებს. მაშინ დაიჭრა რომან გვენცაძე.
- არავის დაუდგენია, ვინ ისროლა პირველმა.
- მე გეტყვით: ზვიადი იქ არ ყოფილა, მისი ოჯახის წევრმა ქალებმა გასცეს ბრძანება. შე-

როგორ გაიგება თენგივ კიბოვანი კოსმოსისა და უღანოს თემა, რა ბეროკრისტული აქტუაობან აპირებს საქართველოს მოსახლეობის დასაცავს და რატომ დაეშვა საქართველოს პარლამენტს შენობიდან გამოყვით

ვარდნაძეს ჩემი უწინააღმდეგე იყო, იცოდა, არაფერს და ვუთმობდი. მაგის პოლიტიკას მე არ ვეთანხმებოდი. ერთხელ შევედი, ეგ და ჯაბა ისხდნენ, დამიძახა, თენგივ, ბოლოს და ბოლოს ვერ მიხვდი, რომ მე და ჯაბა „ცეცერუს“ აგენტები ვართო?! მაშინ მიხვდი, საით მიდიოდა საქართველოს გეზი.

- საით?
- მაშინ დაიწყო შევარდნაძემ ამერიკელების შემოყვანა და ევროპაში ბავარიანობა.
- განმეორებდით თბილისის ომს, თავიდან რომ მოგვეცეთ ცხოვრების დანყების შანსი?
- თბილისის ომი გამოიწვია იმან, რომ გამსახურდიამ გააუქმა გვარდიას. ამბობდა, არაო, მაინც შინაგანი ჯარი იყოო, მაგრამ მე ხომ ვიცი, რომ გააუქმა?! ამით საქართველოს მოუსპო დამოუკიდებელი ჯარი და ეს იყო დიდი შეცდომა. მე ვარ არ და ვაძვალე და წავედი რკონის ხეობაში, რითიც საქართველოს შევუნარჩუნე შეიარაღებული ძალები. როგორ შეიძლება, ამ ჯარის დამლაშება?! ის ხე მოჭრა, რომელზეც იჯდა. ცოლმა და ცოლისდამ დაღუპა გამსახურდიას, მათმა შვილმა პოლიტიკამ, რასაც ისინი კარნახობდნენ, იმას აკეთებდა. თუ ჯარს ისევ დაშლიდა, მე არ დავაშლევინებდი. მაშინ, პირქით, გავარდიე ჯარი, რკონის ხეობაში რომ გავიყვანე. 28 აგვისტოს ჩამოვედი და მარტო შევედი ზვიადთან. ვუთხარი, რატომ ამბობ ჩემზე, რომ ოპოზიციაში გავიდა-მეთქი. არა, თენგივ, ჩემი ძმა ხარო, მაკოცა. წამო-

ვედი, მაგრამ მეორე დღეს ჩემი ლანძღვა დაიწყო. დაემორჩილა პუტჩის და მოანერა ხელი ჯარის გაუქმებაზე, მე ამას არ დავთანხმდები, იმიტომ რომ ჩემი სისხლი და ხორცი იყო ჩართული ჯარის მშენებლობაში. ამ იერკავკასიაში პირველები ვიყავით ჩვენ, რომლებმაც დამოუკიდებლობის შემდეგ ჯარი შექვემნი. რუსებს გადმოვაცემინე შეიარაღება და ყველაზე დიდი შეიარაღება გვექცინდა.

- ვითომ გამოვიყენეთ რამეში?
- ვერ გამოვიყენეთ. სწორია... მანამდე მე და ზვიადი ახლობლები ვიყავით და თავის დღეში მასთან ომზე არ მოფიქრია. მე არასდროს ვყოფილვარ ზვიადის მტერი და გული მწყდება, რომ შემდეგ ასეთი ურთიერთობა ჩამოყალიბდა ჩვენ შორის. ერთ ამბავს გიამბობთ: ვეფხვაძეს და ჯაბას უნდოდათ ზვიადის მოკვლა, ჩემთან მოვიდნენ და მითხრეს, ვისაუბრეთ, ჩვენ შორის ომი დაიწყება, თუ ზვიადს მოკლავთ-მეთქი. მათ თქვეს, ისე ვთქვითო ... ერთი საინტერესო ამბავიც მოხდა: ვალერი ჩხვიძე, უშიშროების პოლიკონიკი გავგზავნე გროზნოში ჩემად, რომ ჩამოეყვანა ზვიადი. მაგრამ მანამდე დადაჭერინა და სამი თვე ჰყავდათ ჩრჩენს დატყვევებული. პირველად ვამბობ: ზვიად გამსახურდიას მინშვნადა თავდაცვის მინისტრად, იმიტომ რომ იცოდა, ნებისმიერ ომს მოვიგებდი. გროზნოში, ფაქტობრივად, ხელი ჰქონდა მონერლი თავდაცვის მინისტრად ჩემი დანიშვნის ბრძანებაზე.

ინო ხაჩიკა



–ექსკლუზივი: ჩვენი სიმატლის რეპორტაჟი–

ექსკლუზივი: ჩვენი სიმატლის ხეპოხტაფი „ხოდესაც ვთქვი, ხომ ზედმეტ წონას დავიყლებდი, ჩემმა დაქალებმა კახგად იხადისეს...“

... მაგრამ დღეს მათ შურით ჩემი ახალი სილუეტის!

გაეცანით ანას ისტორიას, რომელიც გვიმხუთს, თუ როგორ შეძლო ზედმეტი კილოგრამების დაკლება 2 თვეში და ყველას გაოცება მოახერხა!

ერთი წლის წინ ვიწონიდი 160 კგ (სიმატლე 1.70 მ). მინდა გითხრათ, რომ ძალიან მანუხებდა ჩემი სხეული.

ისევე როგორც ჩემ მდგომარეობაში მყოფმა ბევრმა აღამიანმა, მეც ბევრი რამ ვცადე გასახდომად. ყველაფერი ჩამოვთვლას არ დავინწყებ, მაგრამ ერთი რამ ცხადია: ეს ყველაფერი უარყოფითი შედეგით დამთავრდა. მაგრამ არაფერი არ გამოდიოდა და უფრო და უფრო უიმედობა მეუფლებოდა.

აკვირებული მქონდა ჩემი წონა და ამის გამო უფრო მეტად ვსუქდებოდი. ყველაზე მჯავრი დიეტებითაც კი ერთ გრამსაც ვერ ვიკლებდი, თითქოს ერთი ჭიქა წყალიც კი მასუქებდა! აღარ ვიცოდი რა შექნა. ის იყო ხელი ჩავიქნიე და შევეგუე იმ აზრს, რომ მუდამ მსუქანი ვიქნებოდი, რომ...

... აღმოვაჩინე „რატაც“, რამაც საბოლოოდ დამაყუბინა

შვილთან ერთად ექიმის მისაღებად ვათავლიერებდი სამედიცინო ჟურნალს, სადაც ვნახე სტატია გახდომის სფეროში შვეიცარიის ტაბორატორიის ახალ აღმოჩენასთან დაკავშირებით. ცნობისმოყვარეობის გამო დავინწყე კითხვა. როდესაც კითხვას მოვრჩი, მივხვდი, რომ სწორედ ეს იყო ჩემი ჭარბი წონის პრობლემის მოგვარების გზა. მტკიცე განწყობით დავიწყებდი, რომ იმ დღესვე ვიყიდი, ჩავიწერე მისამართი, სადაც SlimNature (სლიმნეიჩარის) ყიდვა შეიძლებოდა.

ამის თაობაზე ველაპარაკე ჩემს ექიმს. მან დამიდასტურა, რომ დღეს ეს ყველაზე უკეთესი გასახდომი საშუალებაა, რომელმაც თავი დაიმკვიდრა ამ სფეროში. რეკლამები ისაა, რომ ხილის მჭავაზე სპეციფიკური წყალმცენარის დამატებით აქტიური აგენტების ეფექტურობა გაათავსებულა. შედეგად თქვენი ორგანიზმის ნაგროვები ცხიმი ლოკალიზებულია და ძირითადად და საბოლოოდ შეუბრუნებლად არის დამწვარი, ამავდროულად, საკვების შაქარი და ცხიმი, რომლებიც უსარგებლოა თქვენი ორგანიზმისთვის, განეიტვალდებიან ჩანაცვლებითი პროცესებით, წყალმცენარე ქლოროფილს საშუალებით, რომელიც SlimNature-ს შემადგენლობაშია. რამდენიმე სპეციალიზებულმა ჟურნალმა უკვე მიულოცა ტაბორატორიას, რომელიც აწარმოებს SlimNature-ს ეს მნიშვნელოვანი აღმოჩენა, რომელიც ხელს უწყობს სიმსუქნის წინააღმდეგ ბრძოლას.

პირველივე დღეებში დავიკელი 2 კგ!

როდესაც SlimNature-ის მიღება დავიწყე, ვერც კი წარმომედგინა, რომ უკვე ახალგაზრდობის წონის დასაბრუნებლად დროის ათვლა დანაწყო... თანაც იმ დღეს ჩემი გოგოს დაბადების დღე იყო და დიდი შოკოლადის ტორტი გავაკეთე. როგორც ყველამ, მეც ვჭამე ტორტი, რადგანაც კარგად არის განმარტებული, რომ თავი არ უნდა შემეხლებოდა და დიეტა არ უნდა დამეცვა.

მეორე დღეს გულაჩქარებული შევლექი სასწრაფო. და აი, საოცრება – 5 კგ მქონდა დაკლებული! თვალსაც არ ვუჯერებდი!

ერთ კვირაში უკვე 7 კგ. შემდეგ დღეებში, ვარგავდი საშუალოდ 1 კგ-ს დღეში. როდესაც სარკეში ვიხილდებოდი, განსხვავება შესამჩნევად იყო. თვალის დახამამებაში ვდნებოდი, ეს მთავრად იყო!

პირველი კვირის ბოლოს დავიკელი 7 კგ და უფრო მოტივირებული ვიყავი, რომ წარმატებისათვის მიმეღწია.

მხოლოდ 2 თვეში მე დავიკელი 43 კგ! შემდეგ ყველაფერი ისე წარიმართა, როგორც სიხმარში. ეს მართლაც ძალიან იოლი იყო. მე მხოლოდ SlimNature-ის დახმარებით ვსვამდი და რეგულარულად ვიკლებდი კვირაში 5 კგ-ს.

ნელ-ნელა ვხედავდი, თუ როგორ ვარდაიქმნებოდა ჩემი უფროსი სხეული ჩემი საოცნებო სილუეტად. **ჩემი მეუღლე გაოცებული იყო სწრაფი შედეგით!** როდესაც სასწრაფო საბოლოოდ 65 კგ-ზე



შედეგები მიღებულია მხოლოდ 2 თვეში

ანანაძე



შემდეგ

SlimNature (სლიმნეიჩარი) – იმ ბარანტირებული შედეგები

- **სუფი:** -14 – 17 სმ
- **ზომა:** 12 – 18 სმ
- **თამბაქო:** 9 – 16 სმ
- **საჯდომი:** 12 – 19 სმ
- **ბარძაყები:** 7 – 15 სმ

გაჩერდა, ბედნიერების ზენიტში ვიყავი! მე მოვახერხე 43 კგ-ის დაკლება! 54 ზომიდან გადავიდი 40 ზომამდე! რა ბედნიერი ვიყავი! მე მქონდა ტანის, ბრტყელი, არანაირი ცელულიტი, არამედ სრიალა და მკვირი ბარძაყები, თუძოებზე ქონი გამიქრა, ხოლო მუხლები და მუცლები დაიხვეწა. როდესაც ჩემმა მეუღლემ ნახა, რომ ისეთი გამხდარი ვიყავი, როგორც ქორწინებამდე, მიხსნა, რომ ჩემით ამაყობდა. ეს ჩემთვის საუკეთესო კომპლიმენტი იყო.

ახლა ჩემი ჯერია, ვიხალისო... ჩემი დაქალები გაოცდნენ ჩემი ახალი სილუეტის ნახვით. ზოგიერთმა ჩემი საიდუმლოს გამხელა მთხოვა და მე მათ ვუთხარი, როგორ შევქმენი 43 კგ-ის დაკლება ასე მცირე დროში. ყველანაირი ძალისხმევით, შიმშილისა და დიეტის გარეშე. მათ თვითონაც სცადეს SlimNature და თითქმის ყველა გახდა.

მას შემდეგ აღარ ვასუქებულვარ. დღეს უკვე ამ უცნაურ გამოცდილების მე-15 თვეა და ერთი გრამითაც არ მომიმატებია. მე არ მჭირდება, თვალყური ვადევნო ჩემს კვებას და შემოდის რაც მინდა ის გავაკეთო. უკვე აღარ მანუხებს ზედმეტი წონა. **ჩემი რეალური ისტორია ამტკიცებს Slimnature-ის ეფექტურობას.** მთელი გულით მინდა, რომ ყველა ქალმა, ვისაც გახდომა უნდა, დაიბრუნოს მომხიბლავი და გამხდარი სილუეტი. სწორედ ამიტომაც დავათხმობი, რომ ჩემი ისტორია გამოქვეყნებულიყო პრესაში. ყოფილი მსუქნისგან ეს წარმატების ყველაზე მეტი მტკიცებულებაა! ამგვარად, ვინც ჭარბი წონით იტანჯება და ვისაც უკვე აღარაფერის არ სჯერა, ვურჩევ, გამოცადოს Slimnature. ნახავთ, რომ ეს იოლი და ეფექტურია.



გახდომა: კიდევ 650 ადამიანს ვეძებთ, ვისაც სურს სწრაფად გახდომა!



მედიკოსი, ლაბორატორიის ხელმძღვანელი, საერთაშორისო სპორტმედიკოსი ს.პოლუხაიძე

მნიშვნელოვანია: ეს აქცია ეხება იმათ, ვისაც სურს ცოცხალი გახდეს ახლა!

ახალ ისტორიამ, რომელიც წაიკითხეთ, ალბათ გაგაოცებთ. მაგრამ ეს ცალკეული შემთხვევა არაა, პირიქით. ამ ახალი აღმოჩენის წყალობით 2894 ადამიანმა შეძლო დაეხმობა და ჯამში მათ დაიკლეს 37900კგ! და ამიტომაც დარწმუნებული ვართ, რომ თქვენც დაიხმობთ SlimNature-ის მეშვეობით.

რატომ გინდათ გახდომა?

ამაზე გვიფიქროს? იფიქრეთ იმაზე, რის გაკეთებას შეძლებთ, იმაზე როგორი თვალთ შებენი ყველაფერს ზედმეტი კილოგრამების შემდეგ. ნამდვილად გინდათ გახდომა? და თანაც მარტივად? გინდათ დაიბრუნოთ ღამისა და დღის სილუეტები და სექსუალური სილუეტები? ჩაიკვით ისე, როგორც ეს სურს?

თუ თქვენი პასუხია კი...

წაიკითხეთ როგორ დაიხმობთ რისიკს გარეშე

კიდევ ერთხელ გიმეორებთ, რომ სულ ცოცხალი 5 კგ მინიმუმ უნდა გქონდეთ დასაკლები. თუ ეს ასეა, მაშ დღესვე იმოქმედეთ და ისარგებლეთ ჩვენი 30% სპეცემოთავაზებით, რომელიც განკუთვნილია ამ ჟურნალის მკითხველისათვის. რათა იყოთ შერჩეული გამოიყენეთ მანძი და დარეგისტრირდით www.slimnature.net ან დაგვიკავშირდით ტელ: 2244 024; 2244 025.

SlimNature გაგახდენთ იმ შემთხვევაშიც, თუ აქამდე არაფერმა არ გაჭრა. მისი კალორიების ჩანაცვლებით მოქმედებით თქვენი საკვები აღარ გადაიქცევა ცხიმების მარაგად. არამედ თქვენი სხეული უზრუნველ გამოიყოფს იმას, რაც მას არ სჭირდება. SlimNature არის 100% ნატურალური პრო-

იუოყმანოთ და რამდენიმე კვირაში დაიბრუნოთ საოცნებო სილუეტი. რათა იყოთ შერჩეული გამოიყენეთ მანძი და დარეგისტრირდით www.slimnature.net ან დაგვიკავშირდით ტელ: 2244 024; 2244 025.



ჩვენმა ჰეივებამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა სიმსუქნის წინააღმდეგ ბრძოლაში.

დუქტი, ყველაწარმოების გვერდითი მოვლენების გარეშე. წონას ჯარგავთ ბუნებრივად. დიეტისა და იმედიგაცრეების გარეშე. ამიტომაც, თქვენს ინტერესებში შედის, რომ აღარ

რა ღირს დაკლება Slimnature-ით?

თქვენ ალბათ ფიქრობთ, რომ ასეთი მნიშვნელოვანი აღმოჩენა ძვირი იქნება. მაგრამ დამზიდებით, ეს ასე არაა. SlimNature ისეთივე ეფექტურია, როგორც ქირურგიული ლიპოსუქცია, მაგრამ მისი ფასი ამგვარი ჩარევის მეთადიდევ არაა. ჩვენ მხოლოდ ის გვინდა, რომ თქვენ შეძლოთ გახდომა ისე, რომ ფულმა დახარჯოთ არაა შუქი. ამიტომაც გთავაზობთ მნიშვნელოვან 30%-იან ფასდაკლებას Slimnature პაკეტის ყიდვისას, რომელსაც აირჩევთ ქვემოთ მოცემულ კუპონზე.

მნიშვნელოვანია!

თუ თქვენ ძალიან სწრაფად ხდებით (იკლებთ 7 კილოზე მეტს კვირაში) გირჩევთ, შეწყვიტოთ SlimNature-ის მიღება 2 დღის განმავლობაში და შემდეგ გააგრძელოთ მანძი, სანამ არ მიიღწევთ სასურველ წონას.

www.slimnature.net

Slimnature (სლიმნეიჩარი) = კილოებით ხილს + ქლორელა კონცენტრირებული ერთ კაფსულაში

SlimNature ძირითადად დამზადებულია ტროპიკული ხილის მკვებებისაგან (AHA), რომლის გასახდომი ეფექტურობა საეჭვო აღარაა. რეკომენდებული ისაა, რომ ხილის მკვებებზე სპეციფიკური წყალმცენარის დამატებით აქტიური აგენტების ეფექტურობა გააძლიერებულა. შედეგად თქვენი ორგანიზმის ნაგროვები ცხიმი ლოკალიზებულია და ძირუელად და საბოლოოდ შეუბრუნებლად არის დამწვარი.

კალორიებით ჩანაცვლებითი მოქმედებით.

საკვების შაქარი და ცხიმი, რომლებიც უსარგებლოა თქვენი ორგანიზმისთვის, განიცარდებიან, წყალმცენარე ქლორელას საშუალებით, რომელიც SlimNature-ის შემადგენლობაშია. მაშასადამე შემდგომში თქვენ აღარ გასუქდებით. ეს უდავოდაა დამტკიცებული. ქლორელა ცხიმებისა და კოქსინების ნამდვილი შთანთქმავია, მდიდარია მინერალებითა და მიკროელემენტებით

(იგი შეიცავს 17 ვიტამინს და მინერალს, 18 ამინომჟავას და ვიტამინ B12). იგი აძლიერებს, ხელს უწყობს ორგანიზმის რემინერალიზაციას და დეტოქსიკაციას. ახალნაშებს ორგანიზმს. ციტრუსის Aurantium სამაგად მოქმედებს ცხიმების გამოდევნასა და მათ წვაზე და ამაღლორულად ზრდის თერმოგენეზს, რომელიც არის გახდომის გამომწვევი ბუნებრივი პროცესი.

სანახობრივი შედეგები.

SlimNature-ის კოქტეილის გასახდომი ეფექტი მაშინვე შესამჩნევია:
1. ცელულიტი ქრება და თქვენი კანი ნაზი და სრიალა ხდება.
2. თქვენი მუცელი უკლებურად და მკვირვია პირველი დღეებიდანვე.
3. თქვენი სილუეტი მთლიანად ტრანსფორმირდება და იღებს ღამის ფორმებს, ჯარგავთ სანტიმეტრებს იქ, სადაც სჭირროა.
4. Slimnature ხელს უშლის ახალი ცხიმების დაგროვებას, მაშასადამე, შემდგომშიც იწარჩებთ სასურველ წონას.



ქლორელის მისი კალორიული სიჩქარე 6000-ჯერ მეტია, ვიდრე სხვა ნებისმიერ კალორიულ პროდუქტს.

5. შედეგები გარანტირებული და მდგრადია. ნელ-ნელა ეს პრეპარატი მთლიანად ანეოსიგებს ნივთიერებათა ცვლას. ისარგებლეთ ჩვენი 30%-იანი შემოთავაზებით! დიახ! ამ ჟურნალის ყველა მკითხველს ჩვენ ვთავაზობთ სპეციალურ 30%-იან ფასდაკლებას SlimNature-ის ოფიციალურ ფასზე. რათა იყოთ შერჩეული გამოიყენეთ მანძი და დარეგისტრირდით www.slimnature.net ან დაგვიკავშირდით ტელ: 2244 024; 2244 025.

ისარგებლეთ ჩვენ 30%-იანი შემოთავაზებით!
დიახ! ამ ჟურნალის ყველა მკითხველს ჩვენ ვთავაზობთ სპეციალურ 30%-იან ფასდაკლებას SlimNature (სლიმნეიჩარი) - ის ოფიციალურ ფასზე.

გახდომის კუპონი

ღია, მეც მინდა დავიყო ჭარბი წონა SlimNature-ის მეშვეობით. თქვენი 30% ფასდაკლებით კმაყოფილი დარჩები

- SlimNature (სლიმნეიჩარი) N1, 6 კგ-მდე დასაკლებად 59ლ (ნაცვლად 85ლ)
- SlimNature (სლიმნეიჩარი) N2, 7 დან 12 კგ-მდე დასაკლებად 89ლ (ნაცვლად 127ლ)
- SlimNature (სლიმნეიჩარი) N3, 13 დან 18 კგ-მდე დასაკლებად 129ლ (ნაცვლად 185ლ)
- SlimNature (სლიმნეიჩარი) N4, 18 კგ-ზე მეტის დასაკლებად, 149ლ (ნაცვლად 215ლ) რომ მიიღოთ სლიმნეიჩარის კაფსულები, ესტუმრეთ ჩვენს ვებ გვერდს ან დაგვიკავშირდით www.slimnature.net ოფისი მუშაობს დღის 9 სთ-დან საღამოს 21 სთ-მდე, კვირის გარდა
ტელ: 2244 024; 2244 025.

იჩვენეთ! პირველი 100 შეყვთა მინორებული იქნება სრულიად უფასოდ. ჩვენი უქსარეს სერვისით. ასევე შეგიძლიათ ადგილზე შეიძინოთ SlimNature შემდეგ მისამართზე:

პეიის ქ. 34, მესამე სართული, თბილისი 0172





ნაცომა არ ეუბნია ზოგინათ ქალს ქმრის ღალატის და როგორ აძლიან ის ანის წინააღმდეგ იმუნიტეტს

თუ რაციონალურად ფიქრს ვისწავლით, მალევე მივხვდებით: ცხოვრება მეტად ხანმოკლეა იმისთვის, რომ მუდმივად გვებრალებოდეს საკუთარი თავი, დიდხანს გვახსოვდეს წყენა და არ ვაპატიოთ ადამიანებს შეცდომები. გასაგებია, რომ გულის ტკენის დავიწყება ადვილი არ არის, მაგრამ მუდმივად ამაზე ფიქრი უარესად გვაზარალებს – ნეგატიური ინფორმაცია სულ უფრო ღრმად ილექება ტვინში და არ გვაძლევს სიხარულის, ბედნიერების საშუალებას.

ჩვენ სწორად თავად ვირთულებთ ცხოვრებას, როცა არ გვინდა, გავთავისუფლდეთ წარსულის მიძიმე შედეგებისგან და არ ვვდამთ ნაბიჯს უკეთესი, მშვიდი და სიხარულით სავსე ხვალისდელი დღისკენ...

თიონა (29 წლის): მეც ჩვეულებრივი ქალი ვარ – ცოტათი ეჭვიანი, ემოციური და ზოგჯერ ხედმეტად მგრძობიარე. გულთან ისე ახლოს მიმაქვს უმნიშვნელო წვრილმანები, რომ მერე ვბრაზობ, რისთვის ვიმწარებ ცხოვრებას-მეთქი. ვიყოთ გულახდილები და ვაღიაროთ – უფრო სწორად, თავად ვართ დამნაშავენი იმაში, რომ ჩვენს ყოფას სიხარული აკლია.

– რას ვერ ვაკეთებთ, რომ სიხარული იყოს ჩვენი თანამგზავრი? პრობლემის იზონორირებაა მიზანი?

– დაახლოებით. ჯერ უნდა ვისწავლოთ გარჩევა, რომელი პრობლემაა „დასაიგნორირებელი“ და რომელი – არა. ხომ არ შეიძლება, ყველაფერზე, ზოგჯერ სრულიად უმნიშვნელო წვრილმანზეც კი ინერვიულო?!

– ღალატი უმნიშვნელო წვრილმანია? ამაში ვერ დაგვთანხმდები.

– არც უნდა დამეთანხმოთ, იმიტომ, რომ ღალატი ვერ იქნება უმნიშვნელო პრობლემა. მაგრამ მე ვლაპარაკობ იმაზე, რომ ღალატის შედეგებმა არ უნდა მოგინაძლოს მთელი დარჩენილი სიცოცხლე, ამაშია საქმე. ჩვენს სიცოცხლესთან, რომელიც საკმაოდ ხანმოკლეა და ჩვენს ჯანმრთელობასთან შედარებით, რომელიც არ არის გარანტირებული, ღალატი რა მოსატანია! ძალიან მინდა, სწორად გამიგოთ. როცა კაცი ქალს ღალატობს, ის, უპირველესად, საკუთარ თავს უქმნის პრობლემას – ეს ხომ აქსიომაა. რა თქმა უნდა, ძალიან მტკივნეულია ღალატი, საშინლად შეურაცხმყოფელი და დამორგუნელო, მაგრამ, ქვეყნის აღსასრული ნამდვილად არ არის და ამაღ არც უნდა ვაქციოთ. მე და ჩემს ქმარს ისე გვიყვარდა ერთმანეთი, ზოგჯერ ამ სიყვარულით სუნთქვაც კი მეკვროდა ხოლმე. ვისთვისაც ეს გრძობა ნაცნობია, ის მიმიხვდება. სამი წელი შვილიც არ გავაჩინეთ, რომ არაფერს შეეშალა ხელი ჩვენი ერთად ყოფნისთვის. უერთმანეთოდ ერთ საათსაც ვერ ვძლებდით. ჩემი ქმარი კმაყოფილი იყო იმით, რომ მე შვილის გაჩენას არ ვფიქრობდი – ჯერ ადრეა ჩვენი ვინმეზე ზრუნვა, ცოლი ჩემთვის გაჭირდებაო.

– ანუ, თქვენ შორის გაუგებრობები იმიტომ დაიწყო, რომ ბავშვის გაჩენა გადაწყვიტეთ?

– მთლად ასეც არ არის. ამკარად უკმაყოფილება არ გამოუთქვამს. რადგან ასე გინდა, გააჩინეო, მითხრა, მაგრამ, მოულოდნელად გაჩნდა პრობლემა – ვერ ვფეხმძიმდებოდით. ეს ისეთი სტრესი აღმოჩნდა, რომ ყველა სფეროზე აისახა. სექსიც აღარ იყო სიამოვნების, ბედნიერების მომტანი. ჩემი ქმა-

რი თავიდან გაგებით ეკიდებოდა ამას, მაგრამ, ნელ-ნელა „დაიგრუზა“ – მე ბავშვისა და ორსულობის გარდა აღარაფერზე ვლაპარაკობდი.

– თავს იდანაშაულებთ იმაში, რომ ქმარმა გიღალატათ?

– არა, რა სისულელეა! უბრალოდ, გიხსენით ჩემს მდგომარეობას იმ მომენტისთვის. ჩავიციკლე დედობაზე და შვილზე. ვტიროდი, ვნერვიულობდი, განვიცდიდი, სასწაულის მოხდენას ვნატრობდი. ექიმებთან მკითხავევებზე გადავედი. ჩემი ქმარი მეხვეწებოდა, შეჩერდი, ასე არ შეიძლება, უნდა დამშ-

არც ერთ პასხს არ უნდა, ხალხში პისკლისას იმ სკდებოდეს ცოლი, რომელიც სულ ტირის და ნუნუნებს; არც სქამს მოუხდება ასეთ ქალთან

ვიდდე, თორემ, ეგრე გაგიყვებოდა. ბოლოს ხელი ჩაიქნია და, ეტყობა, მაშინ გადაწყვიტა, ვილაც მოეძებნა გულის გადასაყოლებლად.

– აი, ასე – გადანწყობა და გიღალატათ? საერთოდ, ასე ხდება?

– არ ვიცი, საერთოდ როგორ ხდება. ანუ, იმის თქმა მინდა, რომ მამაკაცების ფსიქოლოგიას კარგად არ ვიცნობ. ის კი არა, ჩემი ქმარიც კი სრულიად არაპროგნოზირებადი აღმოჩნდა ჩემთვის. გონება რალაცას მკარნახობდა – რაციონალურს, მაგრამ გული სძლევდა და ქმარს ჩხუბი დაეუნყე – რატომ გადაიფიქრე და რატომ აღარ გინდა, გვერდით დამიდგე, აღარ გიყვარვარ და ჩემგან შვილიც აღარ გინდა-მეთქი? ავიკელი საყვედურებით. ვჩხუბობდით, ვიბუტებოდით... დავლაღეთ ერთმანეთი. არც ერთ კაცს არ უნდა, სახლში მისვლისას იქ ხვდებოდეს ცოლი, რომელიც სულ ტირის და ნუნუნებს; არც სექსი მოუხდება ასეთ ქალთან. სულ ასეთ რალაცებებზე ვფიქრობდი, როცა ქმრისთვის ღალატის პატიება გადავწყვიტე. ძალიან ბევრს ვფიქრობდი და ეს არ იყო ადვილი. იცით, კიდევ რას მივხვდი? – არ უნდა გეშინოდეს ქმრის ღალატის.

– ეს რას ნიშნავს? რატომ უნდა მეშინოდეს?

ნოდეს ან რატომ არ უნდა მეშინოდეს?

– გეტყვით, ბევრი ქალისთვის ღალატი ქვეყნის აღსასრულია და უსაშინლესი კატასტროფა.

– არ არის ასე?

– არა, ნამდვილად. არ უნდა ჩაიციკლო ამ საკითხზე, არავითარ შემთხვევაში! როგორც არ უნდა გიყვარდეს, მამაკაცი მთელ სამყაროს ვერ დაიტევს. ცხოვრება მის გარეშე ჩვეულებრივად გრძელდება და, არცთუ იშვიათად, მას სხვა მამაკაცი ანაცვლებს. ხვდებით, ხომ, რაზე ვლაპარაკობ? ერთ დღეს ისე ვიჩხუბეთ, რომ ოთახში თევზები დაფრინავდა. დაგლენეთ ყველაფერი და ერთმანეთს უსაშინლესი სიტყვები ვუთხარით. ჩემი ქმარი დალალა ამ ყველაფერმა და დედამისთან გადავიდა ცოტა ხნით. ერთმანეთს მტრებზე დაგვმორდით. ნერვული აფეთქების ზღვარზე ვიყავი, მაგრამ, რამდენიმე დღის მეტი ვერ გაძელი. იმანაც ვერ გაძლო და ორივემ ვაღიარეთ – ჩვენ უერთმანეთოდ არ ვვარგავართ. სიმშვიდე საკმაოდ დიდი ხნით შევინარჩუნეთ. მე უკვე ვხვდებოდი, რომ, შვილის ყოლას ვინ ჩვივის, ქმარსაც დავკარგავდი. იმიტომ, მოვეშვი ნუნუნსა და ზღუქუნს. ბოლოს და ბოლოს, უშვილო წყვილები ჩვენ გარდა სხვებიც არიან, მაგრამ, თავზე ნაცარს არ იყრინან, მით უმეტეს, ერთმანეთს არ ხოცავენ და არ ღანძლავენ. მეც უნდა გავჩერდე-მეთქი. მაქსიმალურად შევეცადე, მაგრამ, ეტყობა, ჩემს ქმარში საწმუნარო ცვლილება უკვე მომხდარიყო. ყინული, რომელიც ჩვენ შორის გავაჩინეთ, თავის საქმეს აკეთებდა და, უცებ აღმოჩნდა, რომ ფეხმძიმედ ვიყავი. ამ შოკის მომგვრელმა ამბავმა ძალიან შემაშინა. რალაც პერიოდის განმავლობაში ქმარს ვერც კი ვუხუბნებოდი. ისიც, რალაცნარად, შორიდან მივლიდა, თითქოს მორიდებით და დარცხვენით. ბოლოს ერთმანეთის პირისპირ დავრჩით და მე ვუთხარი, რომ ბავშვს ველოდებოდი. ისე მიყურებდა, არ სჯეროდა. შევუნხდი – არ გაუხარდა-მეთქი. უცებ საერთოდ წავიდა. შევმოთხიდა. ვერ მივხვდი, რა დაემართა. სანამ მოვიდა, საკმაოდ ვინერვიულე, თუმცა, არ დამირეკავს მისთვის.

– არ იფიქრეთ, რომ, შეიძლება, ვინმე ჰყოლოდა?

– იცით, რაშია საქმე? შიში იმისა, რომ ქმარი მიღალატებდა და სხვას გაიჩენდა, არასდროს მქონია. იმიტომ არა, რომ არ მიყვ-



ნირო ვარსიმაშვილი – ქესტნასანი და ნათელხილვილი, ზინს თქვენს სხოვრეას უკეთესოჯისკენ უხვხის როგორ დავამარცხოთ ზოროტი ქალა, ბავიხსნათ ბადი და მოვიზიდოთ ბარაქა

ნირო ვარსიმაშვილი დღეს თბილისში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ექსტრასენსი და ნათელხილვილია. მის შესახებ ქართულ პრესაში არაერთხელ დაწერია. მკითხველის ინტერესის გათვალისწინებით, ჩვენ კვლავ მოგახვდით ინფორმაციას ამ ქალბატონის შესახებ, რომლის ფენომენალური ნიჭზეც თბილისში საოცარ ისტორიებს ყვებიან. უკვე სამ ათეულ წელზე მეტია, რაც ნირო ვარსიმაშვილი ადამიანების დახმარებას ცდილობს და მათ ცხოვრებას უკეთესობისკენ ცვლის.

– ქალბატონო ნირო, დღეს რას მოიცავს თქვენი ნათელხილვი?

– ყველა იმ პრობლემას, რაც აწუხებთ ადამიანებს. ვმუშაობ ოჯახის აღდგენასა და დაკარგული პიროვნების დაბრუნებაზე, ჯადოს მოხსნაზე, ბედის გახსნაზე, ბარაქის მოზიდვასა და ეკონომიკურ პრობლემებზე, ვკურნავ სხვადასხვა შიშს, ნევროსს. პროცედურები განსაკუთრებულად ეფექტურია იმ თილისმების შემთხვევებით, რომელსაც 16 კომპონენტის შემადგენლობით ვამზადებ. პროცედურის შემდეგ ადამიანის ბედი თავისუფალია კეთილი მომავლისთვის. ვაკეთებ თილისმებს ბარაქასა და ნარმატებებზე, ჩემი მუშაობის სტილი განსხვავებულია – მე შეხმარება სპეციალური ლიტერატურა, რომელიც სოფელ კაბალაში მცხოვრებმა 81 წლის მამაკაცმა გადმომცა თხოვნით, მისი გზა გამეგრძელებინა, რადგან ეს ხილვაში ჰქონდა ნახაზი. რამდენიმე წლის წინ, ნასვლა მოიხინა საბერძნეთსა და მოსკოვში. იმ ექ სხვადასხვა პიროვნების თხოვნით და მიწვევით ჩავდი. ისინი ჩემი ძველი კლიენტები იყვნენ და არაერთხელ გავუწვი დახმარება. დღეს მათთან მუშაობას ტელეფონის საშუალებით ვახერხებ.

ქალბატონ ნინოსთან ყოველთვის ხალხმარელობა, ჩვენ რამდენიმე ადამიანს საკუთარი ისტორიების გაზიარება ვთხოვეთ.

ბავშვალა ჭაღინაი (60 წლის, თბილისი): ნირო ვარსიმაშვილი ერთ-ერთ ტელეგადაცემაში ვნახე და მამინევი გამახსენდა ათი წლის წინანდელი ისტორია, როცა მან ჩემს მეზობელს დაკარგული შვილი აპოვნინა. ის ბავშვი აყვანილი ჰყავდათ მშობლებს. ეს რომ გაიგო, სახლ-

იდან გაიქცა. ორი წელი ეძებდნენ, პოლიციამაც კი ვერ მიაგნო. ნინომ პირდაპირ მიუთითა მათ ბავშვის ადგილსამყოფელი. რომ არა ნირო, ის ოჯახი ბავშვს ალბათ ვერ იპოვიდა. ამ ამბიდან 5 წელი იყო გასული, როცა მეც შემექმნა ოჯახური პრობლემები. ჩემი ვაჟიმეილი ამორალურ ქალს გადაეკიდა და მის გამო ცოლი და ორი შვილი მიატოვა. ოჯახი დაენგრათ. ტვინი ისე ჰქონდა არეული, ბავშვების ნახვაც კი არ უნდოდა. მამინევი ნინოს ძებნა დაიწყო, გავიგე, რომ საბერძნეთში იყო ნასული. ჩემდა ბედად, ერთ თვეში ბრუნდებოდა თბილისში. სამი-თხუთი ვიზიტი დამჭირდა. ნინომ ჩემი შვილის კუთვნილი ნივთები მიმატანინა. რამდენიმე თილისმა გამომატანა, რომელიც ჩემს რძალს გადაეცემა. სამი თვეც არ იყო გასული, გაქცეული შვილი ოჯახს დაუბრუნდა. მას შემდეგ ნინოზე ძვირფასი არავინ მყავს. ახლა ჩემი მეორე შვილის გამო ვარ მოსული, რომელსაც ფინანსური პრობლემები შეექმნა. ნინოზე ძლიერი ბარაქის მოზიდვამ არავინაა. ორი სენსია, რაც აქ მოვლავარ და უკვე ვგრძნობ, რომ ჩემს გოგოს საქმეები უკეთესად მისდის.

მადლიანა ბირკაია (45 წლის, ბათუმი): ნირო ვარსიმაშვილის შესახებ თქვენი ჟურნალიდან შევიტყვე. იმ პერიოდში ვალეების გამო სახლის გაყიდვას ვფიქრობდი, მაგრამ თითქოს რაღაცამ შემკრა, სახლი ვერ გაიყდა. ნინომ მითხრა, მაგ ბინაში საგვარეულო ჯადოთა გაკეთებულია. მასწავლა, როგორ უნდა „გამეთავისუფლებინა“ სახლი. ყველაფერი ისე გააკეთე და ერთ თვეში საოცრება მოხდა – სახლი იმაზე ბევრად მეტად გავყიდე, ვიდრე ვგეგმავდი. ამას ჩემს ცხოვრებაში კიდევ ერთი საოცრება მოჰყვა – ოჯახი დაენგრეული მქონდა, იმდენ პრობლემამი ვიყავი გავხვეული, საერთოდ არ ვფიქრობდი დაოჯახებას. კიდევ ერთს გეტყვით: ოჯახი ისე დამენგრა, შვილი არ მყე-

ლა. მასსოვს, ნინომ პირველივე ვიზიტზე მითხრა: რალაც მშენებლობას ვხედავ, რომელთანაც შენი ბედია დაკავშირებული. შენ მალე გათხოვდები და ტყუილებს გააჩენი. ჩემს ასაკში ტყუილების გაჩენა ნარმოუდგენელი იყო, გათხოვებასაც აღარ ვფიქრობდი. ჩემდა გასაოცრად, მეგობარმა სამსახური შემოთავაზა ერთ-ერთ სამშენებლო ობიექტზე, სადაც გავიცანი უცხოელი ინჟინერი, რომელიც ბათუმში დროებით იყო ჩამოსული. ოთხ თვეში დავქორწინდი და ცხრა თვეში ტყუილი ბიჭი გავაჩინე. ამის მეტი რა მოგეყვით. ერთს გეტყვით, რომ ნირო ვარსიმაშვილს აქვს ხილვები, რომელიც აუცილებლად სრულდება.

ნუნუ მელაშვილი (65 წლის, ვორი): ჩემმა შვილმა კოტემ უნივერსიტეტი წარმატებით დაამთავრა, მერე ასპირანტურაშიც სწავლობდა. იმის მიუხედავად, რომ ძალიან ბევრს ცდილობდა, ვინ აღარ შეაწუხა, სამსახური ვერ იძოვა. მაშინ მეზობელმა მამამი ნირო ვარსიმაშვილის შესახებ ძლივს დავითანხმე ჩემი შვილი, რომ წამომყოლოდა. ხომ იცით, კაცების ამბავი. აქ მოსვლიდან ერთ თვეში, მოხდა სასწაული – კოტემ მუშაობა დაიწყო. მერე ნინომ აჩრებ, ამ ბიჭს ბედის გახსნაშიც უნდა დავხმარო. 40 წლის კაცის დაოჯახება იოლია? რამდენიმე თილისმა მოგვცა, კოტე ამ თილისმებს ატარებდა. ორ-სამ თვეში სამსახურიდან მომავალმა ქუჩაში მშვენიერი გოგო გაიცნო და ძალიან მალე მასზე დაქორწინდა კიდევ. სასწაული არ არის ეს, აბა, სხვა რა დავარქვამ?

ქალბატონ ნინოსთან დასაკავშირებლად დარეკეთ ტელეფონზე: 597 82 68 68 (ჩანერა წინასწარ).

მისამართი: თბილისი, ნითელწყაროს ქუჩა (მეტრო „ავლაბართან“).

არდა. პირიქით, ძალიან მიყვარდა. უბრალოდ, ვხვდებოდი, რომ თუ ეს მოხდებოდა, მე მაინც ვერაფერს შეეცვლიდი და ფაქტთან შეგუება მომიწევდა. ქალმა ასეთი რალაცისთვის ყოველთვის უნდა მოამზადოს საკუთარი თავი და მამინ ლალატისაც არ შეეშინდება.

მტკივნეულია ღალატი, საშინლად დაჰმტკივნეული, შუშარხმეოფელი, მებრამ, მამინის აღსახრული ნაქმრულად არ არის და ამაღ არნ შნლა მამინი

– შიში ხომ არ არის მთავარი? მეგონი, ლალატი სხვა შინაარსის პრობლემაა.

– რა თქმა უნდა, მეც მაგას ვამბობ. შიში საერთოდ არაფერ შუაშია. თუ ეს მოსახდენია და გარდაუვალია, მაინც მოხდება და, წინასწარ ნერვიულობას რა აზრი აქვს, რატომ უნდა დაიპროგრამო თავი „ნეგატივით“?! მოვიდა რალაც კოლოფით. მომტანა ძვირფასი საუქარი და ისე მიყურებდა, იმეხვდი, სათქმელი ჰქონდა. ეგრევე ვიეჭვე, რა შეიძლებოდა, ყოფილიყო. საკმ-

აოდ მშვიდად მვიდებოდი ამბავი იმის შესახებ, როგორ ვერ მოერიდა თავს, როგორ გამოიჩინა რალაც მომენტში სისუსტე და მილაღატა, რასაც ახლა საშინლად ნანობს. მეუბნებოდა ამ ყველაფერს, მიყურებდა და აშკარად აოცებდა ჩემი ურეაქციობა. ბოლოს მკითხა – არ გადარდებს ეს ამბავი? მე ის დამადარდიანებდა, რომ გაჩუმებულიყავი და ისე გავგვრძელებინა ჩემთან ურთიერთობა. რადგან მომიყვები მომხდარის შესახებ და აშკარად ნანობ ამას, შევძლებ, მოგცე შანსი. მით უმეტეს, რომ ამით შანსს საკუთარ თავსაც ვაძლევ-მეთქი. აქ გამომადგა ჩემი მეორე „გამომუშავებული“ იმუნიტეტი. წინასწარ არაფრით არ უნდა ინერვიულო იმაზე, რაც, შესაძლოა, საერთოდ არც მოხდეს.

– თქვენს შემთხვევაში ხომ მოხდა?

– მერე რა, მთავარი ის იყო, რომ მე დავხვდი ამ ამბავს მომზადებული, ანუ, ყოველგვარი ისტერიკის გარეშე. ამით ჩემი ქმარი კიდევ უფრო დავანამუსე, კიდევ უფრო მეტად შეაწუხა დანაშაულის განცდამ. მაღლიერია იმით, რომ ვაპატიე და მიცემულ შანსს კარგად იყენებს. მე ამაზე ვიფიქრე და რაციონალურად გადავწყვიტე. არ ვიცი, შეიძლება, ამაში ორსულობაც დამეხმარა, მაგრამ, ფაქტია, რომ გავუმკლავდი ისეთ დამანგრეველ მოვლენას, როგორც ღალატია.

დალი მიქაბაძე

რედაქციაში წერილი მოვიდა

ქალები სულ მამაკაცებზე ნუნუნებენ, ჩვენი არ ესმითო. ახლა მე ვარ ისეთ მდგომარეობაში, რომ თქვენ უნდა მირჩიოთ რამე – ვერ გავიგე, ვუნდოვარ თუ არა ჩემს შეყვარებულს. 31 წლის არის და, როგორც კატა თავვს, ისე მათამაშებს. პირველი არასდროს მირეკავს და ერთხელაც არ უთქვამს თბილი სიტყვები, თუმცა, მხვდება, ესმის ჩემი და ცოლადაც მომყვება. მაგრამ, მე მინდა, რომ ვუყვარდე, ის კი დუმს..

გამომხმარება: თითოეულ ადამიანს საკუთარი წარმოდგენა აქვს სიყვარულზეც და იმაზეც, როგორ უნდა იყოს ურთიერთობა ქალსა და მამაკაცს შორის. როგორც ჩანს, ამ მხრივ თქვენი და თქვენი საცოლის შეხედულებები ერთმანეთს არ ემთხვევა. პირდაპირ ჰკითხეთ, რატომ არ გამოხატავს გრძნობას აქტიურად და, ნახეთ, რას გიპასუხებთ. თუმცა, სავარაუდოდ, მისთვის სიყვარულის ამ ფორმით გამოხატვა, ანუ, ნაკლები ემოციურობა, ნორმალური უნდა იყოს.

ფსიქოლოგი მამლა რუბაშიძე



- ნატა, როგორ მოხვდი „TV 11-ში“
 - გასული წლის სექტემბერში ტელე-იმე-
 ახზე გადაიდა სერიალი „ჩვენი ამბავი“, რო-
 მელშიც მე ქეთის როლს ვთამაშობდი. გახს-
 ნოვთ, ალბათ, ეს სერიალი. ის დაახლოებით
 4 თვის განმავლობაში ვადიოდა ეთერში. ამ
 სერიალის დახურვის პერიოდი დაემთხვა „TV
 11-სთვის“ მზადების პროცესს. არხის პრო-
 დიუსერებთან ერთად, განიდა იდეა, გავგეკ-
 ეთებინა გადაცემა მოდაზე, ოღონდ ეს გლა-
 მურული კი არ უნდა ყოფილიყო, არამედ –
 პრაქტიკული და დავინყეთ ამ იდეის განხი-
 რცილება.

- შედეგი სახეზეა – „მოდა ონლაინ“
 უკვე 3 თვეზე მეტია, წარმატებით ვადის
 ეთერში. ვინ გეხმარება?

- მასალას თვითონ ვიძიებ და ტექსტსაც
 თვითონ ვწერ. ტექსტის რედაქტირებასა და
 ჩანერაში კი, მეხმარება გადაცემის პროდი-
 უსერი ირაკლი ვახტან-
 გიშვილი. ირაკლი რომ
 არ იყოს, არ ვიცი, რა
 მეშველობდა.

- როგორ, შენ თვი-
 თონ, დავესხები ამ
 გამოთქმაში და „დაძ-
 რები“ ინტერნეტში ამ-
 დენი ინფორმაციის მო-
 საპოვნელად?

- მე თვითონ დავძე-
 რები (იცინის). ეს ცოტა
 რთული პროცესია, სამ-
 აგიეროდ, შედეგია ძალ-
 იან სასიამოვნო. ჩვენ
 გვინდოდა, მაქსიმალურ-
 ად პრაქტიკული ყოფი-
 ლიყო, რომ ჩემი რჩევე-
 ბი და მიგნებები მაყურ-
 ებელს გარდერობის გა-
 ნახლებაში რეალურად
 დახმარებოდა. თუ გამ-
 ოხმავრებასა და ჩვენს ფესბუქ-გვერდს და-
 ვუჯერებთ, მგონი, ეს შეეძელით. რაც ძალ-
 იან მახარებს.

- სახელი ვინ შეურჩია გადაცემას?

- სახელწოდებასთან დაკავშირებით გვქო-
 ნდა ძალიან ბევრი ვერსია. გვინდოდა, გადა-
 ცემის შინაარსი მის სახელწოდებაში კარგ-
 ად გამოკვეთილიყო და იდეების გენერირე-
 ბის შედეგად, მივიღეთ – „მოდა ონლაინ“.

როდესაც რომელიმე მოდის ჟურნალს ვა-
 თვალყურებ, ან ტელევიზორში ვხედავ ცნო-
 ბილ ადამიანს, ჩემდაუნებურად, გონებაში
 მიტივტივდება მისი სამოსის ფასი, ბრენდი
 და ონლაინ მაღაზია, სადაც შეიძლება მისი
 შეძენა. თავს ძალას ვატან, რომ ეს ყველ-
 აფერი ხმამაღლა არ ვთქვა და სადაც ვარ,
 იმ წრეში არ ჩავატარო „მოდა ონლაინ“ (იც-
 ინის).

- თვითონ სად და როგორ იმოსები?

- რა თქმა უნდა, ძალიან მომწონს ჩემი
 ვარსკვლავური მიგნებები, მაგრამ შედარე-
 ბით დაბალფასიანი, ალტერნატიული მიგნე-
 ბებითაც მშვენივრად ვიმოსები. ასე რომ, ჩე-
 მი გადაცემა, როგორც მაყურებლის, ასევე
 ჩემი გარდერობის განახლებაშიც მეხმარება.

- დანშუებული ვარ, შენს მრავალრი-
 ცხოვან მაყურებელთა შორის, უმრავლე-
 სობა ქალია, თუ სრული უმრავლესობა,
 არა.

- თავიდან ჩვენც ასე გვეგონა და ეს

3 თვეზე მეტია, რაც „TV 11-ზე“ ვადის ნატა ზარნაძის საავტორო გადაცემა
 „მოდა ონლაინ“ და უკვე საკმაოდ ბევრი თაყვანისმცემელი ჰყავს. ნამდვილად
 ახალი სიტყვაა ქართული ტელევიზორისთვის ეს გადაცემა. დანშუებული ვარ,
 ნატასთან სტუმრობით, არამხოლოდ ჩემს, არამედ ძალიან ბევრი ტელემაყურებლის
 ცნობისმოყვარეობას დავაკმაყოფილებ. მით უმეტეს, რომ ის ძალიან უშუალო და
 გულახდილი რესპონდენტი აღმოჩნდა.

**როგორ შევიძინოთ პირიანი საომი იაფად ინტერნეტში
 „კომილი“ ბაიკზე და როგორ აქვია „მოდა ონლაინს“ ნაყვანა
 ნატა ზარნაძე გახატვა თავისი საქმიანობის ერთ-ერთ სურსათს**

გადაცემა გათვლილი იყო ქალებზე. ამიტ-
 ომ, ლოგიკურია, რომ პირველი ორი გადაცე-
 მა მხოლოდ ქალებისთვის მომზადდა. მაგ-
 რამ, აღმოჩნდა, რომ მამაკაცებიც ინტერეს-
 დებიან იგივე თემით და მათაც სურთ, ძვი-
 რიანი ტანსაცმლის იაფად შეძენა. ამიტომ,
 დავამატეთ კაცების რუბრი-
 კაც. დღესდღეობით, ჩვენს
 ფეისბუქ-გვერდზე გამოხმა-
 ურებებს თუ გადავავლებთ
 თვალს, კაცებიც ზუსტად იგ-
 ივე დონით აქტიურობენ, რა
 დონითაც – ქალები.

- დანშუებული ვარ,
 მშვენივრად ერკვევი და
 ჩვენც ვაგვარკვევ, თუ რა
 ბრენდებს ანიჭებენ უპირა-
 ტესობას ვარსკვლავები?

- შემიძლია ვთქვა, რომ
 ერთ-ერთ ყველაზე გემოვნე-
 ბიან ჩამცემლებად მსოფლიო-
 ოში ითვლებიან: სარა ჯესი-
 კა პარკერი, გვინეტ პელტრო-
 უ, ჯორჯ კლუნი, ჯასტინ
 ტიმბერლეიკი. ბრენდებიდან
 ფეხსაცმელზე თუ ვისაუბრ-
 ებ, რა თქმა უნდა, ქალებში
 დიდი პოპულარობით სარგე-
 ბლობს „კრისტიანი ლოუგტინი“, ქალის სამ-
 ოსიდან – „ოსკარ დე ლა რენტა“, „ბალენს-
 იაგა“, რა თქმა უნდა, „შანელი“. რაც შეეხე-
 ბა მამაკაცის სამოსს, კლასიკურ სამოსზე
 თუ ვისაუბრებთ, „არმანი პრაივი“ არის ჰო-

სტრატურაში კავკასიის უნივერსიტეტში. ახლა
 თამამად შემიძლია ვთქვა, რომ მაქვს ორი
 სპეციალობა. ვარ მსახიობი და დიპლომის
 დაცვის შემდეგ ვიქნები პიარის სპეციალის-
 ტი.

სატელევიზიო გადაცემის ნაყვანა, თავი-
 დან არც ისე ადვილი აღმოჩნდა ჩემთვის.
 ერთია, თამამობდე სცენას, იცოდე, რომ სა-
 დღაც, შორს კამერა გაფიქსირებს და მეორე-
 ეა, ესაუბრო უშუალოდ კამერას. ცოტა გამ-
 იჭირდა, მაგრამ დიდი შრომის შედეგად, ნელ-
 ნელა ეს დაბრკოლებაც გადავლახე. გადალ-
 ების პროცესში ჩემთვის ერთ-ერთი სირთუ-
 ლეა ტანსაცმლის ფასის დამასხვორება და
 ხშირად ამის გამო, რამოდენიმე დუბლი გა-
 მიფუჭება. მაგრამ, ჩვენი ოპერატორები და
 პროდიუსერები ძალიან მომთმენები არიან
 და ცდილობენ, ყოველი გაფუჭებული დუბ-
 ლის შემდეგ, მაინც გაილიონ.

- საკმაოდ მრავალფეროვანი და დატ-
 ვირთული რეჟიმით ცხოვრობ...
 - გეთანხმები. ამ ყველაფერთან ერთად,
 2 შვილის დეობა არც ისე თოლი საქმეა.
 მაგრამ, მაია და ნიკო კარგი ბავშვები არიან
 და მაძლევენ საშუალებას, სწორად გადავა-
 ნანილო დრო.

- დასვენების დღეები როგორი გაქვს?
 - დასვენების დღეები ვცდილობ, ბავშვებ-
 ბთან ერთად გავატარო, ან სამზარეულოში
 ვიტროილო. ძალიან მიყვარს საქმის მომზ-
 ადება და თუ ახლობლებსა და მეგობრებს
 დაუფუჯრებ, მგონი, კარგადაც გამოდის. ჩემი
 ეს გატაცება საქმიანობის ერთ-ერთ სფერ-
 ოდ ვაქციე და მალე ერთ-ერთ კულინარულ
 ჟურნალში სპეციალურ რუბრიკასაც მოვამ-
 ზადებ.

- მაშინ, სანამ იმ ჟურნალის ფურცლ-
 ებიდან გავიგებთ, იქნებ მანამდე, ჩვენც
 გავვანდო ერთი საფირმო რეცეპტი?
 - სიამოვნებით. ქართულ და ევროპულ
 ინგრედიენტებს გავაერთიანებ და ძალიან მა-
 რტივ, გემრიელ და განსხვავებულ კიტრისა
 და პომიდვრის სალათის რეცეპტს გავანდო-
 ბთ. სასურველია, ამ სალათისთვის გამოიყე-
 ნოთ, პატარა ზომის, ეგრეთ წოდებულ, ჩერი
 პამიდორო, კიტრი და მწვანელი „რუკოლა“,
 რომელიც უკვე ნებისმიერ დიდი სუპერმარკ-
 ეტების ქსელში იყიდება. კიტრს და პომიდვ-
 რს დაჭჭრი, რუკოლას გარეცხვის შემდეგ,
 დიდ ნაწილებად ხელით დავანანევრებთ და
 რაც მთავარია, სალათისთვის ყველაზე მნიშ-
 ვნელოვანი, ეგრეთწოდებული დრესინგია –
 ვიღებთ სვანურ მარილს, ზეთუნის ზეთს,
 ბლანტ ბალზამიკოს და ვაკეთებთ სოუსს, რო-
 მელსაც მოვსახამთ სალათის. დამიჯერეთ, ზა-
 ფხულის ცხელ დღეებში, ეს სალათა თქვენს
 ერთ-ერთ საყვარელ საკვებად იქცევა.

პაპ სალაღია



თამამად შემიძლია ვთქვა, რომ
 მაქვს ორი სპეციალობა. ვარ
 მსახიობი და დიპლომის
 დაცვის შემდეგ, ვიქნები
 პიარის სპეციალისტი

**ჩვენ გვინდოდა,
 მაქსიმალურად
 პრაქტიკული ყოფილიყო,
 რომ ჩემი რჩევები და
 მიგნებები მაყურებელს
 გარდერობის განახლებაში
 რეალურად დახმარებოდა**

ლივუდის მამაკაცების ფავორიტი ბრენდი.
 ყოველდღიურად ცალსახად ვერ ვიტყვი, მა-
 გრამ ხშირად აცვიათ „კომ დე გალსო“, „ლა-
 ნინი“. ფეხსაცმლის ბრენდებიდან კი, ლიდ-
 ერობს „მეისონ მარტინ მარჟილა“ და „სა-
 ლვატორე ფერაგამი“.

- ძალიან კარგად ერკვევი მოდაში, სე-
 რიალის გმირიც იყავი, ახლა გადაცემა
 მიგვავს, რას პროფესიის ხარ?

- დავამთავრე თეატრალური უნივერსი-
 ტეტი, ვარ მსახიობი. რალაც პერიოდი, ალ-
 არ მინდოდა მსახიობობა და ჩავაბარე მაგი-



მანიკა, გილოცავ ახალი გადაცემის დაწყებას, ნარმატებებს გისურვებ!

ჩვენი გადაცემა საღამოს 8 საათზე გადის, ცოტა ხანია, რაც ეთერშია და ძალიან მომწონს. რაც მთავარია, ჩემთვის ახალია, საიტერესო. „მალევიძარას განაც“ რადიკალურად განსხვავდება, თუნდაც იმით, რომ იქ ჩვენს ტექსტებს ვამბობდით, სუფილორის გარეშე. ეს უფრო ნიუსური ფორმატია, საინფორმაციო ხასიათის, თუმცა გასართობი. მაგრამ, მე არ ვხალისობ იმაზე, რასაც ვამბობ – იმ მომენტში, საინფორმაციო გადაცემის, ნიუსების წამყვანი ვარ. მოკლედ, მომწონს ეს ამბოლა – განსხვავებული და საინტერესოა. ვფიქრობ, კარგად მოვირგე. რთული არ არის, კარგია და მომწონს.

სერიოზული თემების გაშუქებაც გინდა, თუმცა იუმორით შეფუთულს.

კი, სერიოზულ თემებს ვიღებთ, მაგრამ მსუბუქე იუმორს ვრთავთ. რეალურად, ეს არის ახალი და აქტუალური ამბები, რომელიც მაცურებლად აღმოჩნდება მიგვაქვს. დილის გადაცემაც ძალიან მიყვარდა, მაგრამ საღამოს გადაცემაზე საინტერესო ყოფილა. თან, ახალია, დალაგების პროცესში ვართ და შეიძლება, რაღაც მოვაკლოთ, ან მივამატოთ. რაც მთავარია, ჩვენც მოგვწონს და ხალხსაც მოსწონს. „მალევიძარასთვის“ სიუჟეტებსაც ვაკეთებდი, ახლა აღარ მიწევს. საკმაოდ მოკლენიანი გადაცემაა, 5-დან 6 წუთამდე, მაგრამ ამ დროში ყველა მნიშვნელოვან და აქტუალურ ინფორმაციას ვატყვით. რაც მთავარია, ისე ვფუთავთ, რომ მაცურებლისთვის სახალისო იყოს და კარგად გაერთობ.

როდესაც პირველად ტელევიზიაში ამინდის პროგნოზი მიგაყვდა, თუ იფიქრებდი ან წარმოიდგენდი, რომ საბოლოოდ, გადაცემის წამყვანი გახდებოდი?

ტელევიზიაში ჩემი მისვლა შემთხვევით მოხდა. ამიტომ, მაშინ ვერაფერს წარმოვიდგენდი და ვერც ვერაფერზე ვიფიქრებდი. ახლა, როცა სერიოზულად ვფიქრობ შურნალისტობაზე, ამას კი არა, ბევრ სხვა რამესაც წარმოვიდგენ წამომავლოდ. უბრალოდ, ახლა, ამ ასაკში, სადაც ვარ, ძალიან მომწონს. სამომავლოდ, შეიძლება, სერიოზულ თემებზეც ავიღო გადაცემა, თოქ-შოუ. ანუ, იდეაში ბევრი რამ მაქვს. ვფიქრობ, საინფორმაციო გამოშვებებში მუშაობა შურნალისტობისთვის ძალიან დიდი გამოცდილებაა. ასე რომ, სამომავლოდ საინფორმაციო გადაცემაშიც გამოვცდი თავს. შემდეგ კი იმ გამოცდილებით შესაძლებელია, სერიოზული გადაცემაზე ვაკეთო. ასე რომ, ჯერ პატარა ვარ და ბევრი გამოცდილება მჭირდება. რაც მთავარია, რაც აქამდე გავაკეთე და რაც დაგროვილი მაქვს, ყველაფერი მესმარება. თან, საინფორმაციო ფორმატს ვერცხვად და შეიძლება ეს იყოს გზა, ხუმრობიდან სერიოზულ საინფორმაციომდე. ჯერ ყველაფერი წინაა და თან, გამოირიცხული არაფერია.

როგორი იყო შენი რეაქცია, როდესაც ამ გადაცემის წამყვან შემოგთავაზეს?

თავიდან ძალიან ბევრი ვერსია გაჩნდა იმასთან დაკავშირებით, რით დაგვაკვეთიყავი „მასეტრონი“, როცა ჩემი გადაცემა დაიხურო და მე იქ დავრჩი, არ წამოვიშვარე. ერთდროულად ბევრი ახალი გადაცემა დაიწყო, სანამ ყველაფერი დალაგდებოდა, ბევრ რამეზე იყო საუბარი. საბოლოოდ, ყველაზე ერთად ამ გადაცემაზე შევამჩრეთ არჩევანი. ადრე ხომ იყო „ვასიკოს ა(მ)ბები“, ახლა ეს უკვე „ახალი ა(მ)ბები“. იგივე არ არის, მაგრამ მაცურებლისთვის ცხადია, რომ ეს გადაცემა არ არის სერიოზული და იუმორშია გაკეთებული. თან, ისე მინიმალისტურად, რომ არავინ გააღიზიანოს. ანუ, გვინდოდა, მაცურებლისთვის ყოფილიყო ცოტა, მაგრამ ხარისხიანი, რომ არ მოგებებზე მუშობინა თავი.

როგორი სახელი აქვს „ახალი ა(მ)ბები“ ბუქსთან და მანიკასთან ერთად? სახლში

განახლებული „მასეტრონი“ ეთერში ბევრი ახალი გადაცემა დაიწყო, მათ შორის ერთ-ერთი, რომელიც საღამოს 8 საათზე გადის, არის „ახალი ა(მ)ბები“ ბუქსთან და მანიკასთან ერთად. ამ გადაცემით მშვენიერი მანიკა სხვა სხვა ამპლუაში წარდგა მაცურებლის წინაშე.

რატომ ვერ აღნიშნა ქორწინებას 4 წლისთავი მანიკა ასათიანა და ვის გამო ზიროლა ის ფლორენსიაში მთელი კვირის განმავლობაში

ბუქა, გადაცემაში ბუქა...

ეს ძალიან სასაცილო ამბავია. თავიდან, რომ წავიკითხე, ხუმრობა მეგონა. ყველას ეცინება სათაურზე.

როგორ მოქმედებს შენი „აბები“ შენს შემფასებლებზე?

პირველი მაინც პროდიუსერები, ტელევიზიაში მომუშავე ადამიანები არიან. მათ რომ მოსწონთ, თავისთავად, მეც მომწონს და მათთან ერთად, მეც კმაყოფილი ვარ. რაც შეეხება ოჯახის წევრებს, მათ ძალიან მოსწონთ – ბუქსაც, მამასაც.

გიოსაც (მანიკას შვილი) მოსწონს?

გიოს ყველაფერი მოსწონს, რაც ჩემთან არის დაკავშირებული. როცა სახლში მივდივარ, ვუყურებ ამ გადაცემას. გიო იცინის, ანუ პოზიტიურად განწყობა ხოლმე.

ამ გადასახედიდან, ალბათ, ფიქრობ, რომ სწორედ შურნალისტობა შენი პროფესიაა.

ბავშვობაში უფრო ვფიქრობდი, მსახიობობა მეცადა. მაგრამ, ჩემი აზრით, შურნალისტობა ჩემი პროფესიაა, თან ისეთი, რომელსაც გამოვიყენებ. 16 წლის ვიყავი, „რუსთავი 2-ში“ რომ მივედი და თითქმის 6 წელი გავიდა. ამ ხნის განმავლობაში, ბევრი რამ შევიძინე. ვერ ვიტყვი, რომ მაშინ რთული იყო. ეტყობა, ვამერების სიყვარული ბავშვობიდან დამყვა, ამიტომ პირველი ეთერიც არ გამჭირვებია. რაც მთავარია, არ ვიძაბები და მიმარწია, რომ ეს იმ შურნალისტობისთვის, ვისაც პირდაპირ ეთერში უნდა მუშაობა, კარგი თვისებაა. არ მძაბავს არც განათება, არც აუდიტორია, არც კამერები და ეს უფრო მეტად მესმარება. ამ ხნის განმავლობაში, ვფიქრობ, ბევრი რამ დამეძინა – მეტყველება, მოკლედ, ყველაფერი, რაც შურნალისტს სჭირდება. პლუს ამას, ბევრი მეგობარი შევიძინე. ბევრი პროფესიონალი გავიცანი, დავემეგობრდი. ბევრი პატივსაცემი ადამიანი გავიცანი „მალევიძარას“ ეთერის საშუალებით. ამიტომაც მომწონს ეს საქმე. თან, რაც მთავარია, ტელევიზიაში ისეთი გარემოა შინაურული, კომფორტული, ერთ გუნდად შექრული. არავინ გძაბავს – თან, ძალიან ბევრი ან ვართ და შესაბამისად, ყველას ერთმანეთის ამბავი გვაინტერესებს, კონკურენციის მომენტში არც არის.

პარალილურად, მოდლობასაც ავრძელებ. ცოტა ხნის წინ ფლორენციაშიც იყავი სხვადასხვა ჩვენებაში მონაწილეობის მისაღებად.

არ ვანებებ ამ საქმეს თავს. მინდა, ეს დრო გამოვიყენო. ახლახან გოგონები ვიყავით ფლორენციაში, აკადემია „იტალიანას“ ჩვენებებზე. აკადემიას 30 წელი მუსურულად, გრანდიოზული შოუ მოაწყვეს, რომელშიც 64 დიზაინერი მონაწილეობდა. 4 გოგო ვცხოვრობდით ერთად ნომერში. სამეგობრო ვიყავით ნასული და მოკლედ, ბევრი ვიგაფეთ, კარგად გავერთეთ. ერთად ამდენი ქ-

რთული უკვე სიციფა. ქუჩაში ხალხი ფოტოების გადაღებას გვთხოვდა, გვიღებდნენ, მოკლედ, კარგად ვერთობოდით. თან, საკმაოდ დატვირთული გრაფიკი გვექონდა, მხოლოდ გასართობად არ ვყოფილვართ. გვექონდა ფოთინგები, რეპეტიციები... ყველა ჩვენებას ცალკე დადგმა ჰქონდა, მოკლედ, საკმაოდ ბევრი შრომა გვეჭირებოდა.

ამდენი ხანი პირველად დატოვე გიო?

ერთი კვირით ვიყავი და ძალიან გამიჭირდა. ყოველდღე ვტიროდი, ვერ შევირგე ბოლომდე. გიჟი ხარო, – მეუბნებოდნენ. მაგრამ, როგორც კი ფოტოს დაინახავდი, მაშინვე ტირილს ვიწყებდი. ვაჭერდებოდი, მეურ ისევ... გიო ჯერ პატარაა, ბოლომდე ვერ ხვდებოდა ვერაფერს, თუმცა „სკაიპში“ რომ მსუფადავდა, სიცილ-ტირის ინყებდა. გიოს უფრო გაუადვილდა, ვიდრე მე. თან, დახანს მართო არასდროსაა. ძიდაც ჰყავს და ბუქსს დედაც ჩვენთან ცხოვრობს. ჩემ გარეშე არის ხოლმე და ამაზე ძალიან ვენერჯიულობ. არ მინდა, დედის სახელოვან მოკლედს ვფიქრობ, ყველა ბავშვი დედად უნდა გაზარდოს. ძიდა, ბებია კარგია, მაგრამ ბავშვისთვის მაინც მთავარი დედის გავრდით ყოფნაა. მეც ასე გავიზარდე, ამიტომ ვცდილობ, თავისუფალი დრო მასთან ერთად გავატარო. როცა გიოსთან ერთად ვარ, საერთოდ არაფერზე ვფიქრობ. მისი ყოველი ქცევა ჩემთვის სიურპრიზი და სასიხარულოა.

ბუქა რომ დატოვე ერთი კვირით, ხომ არ გააპროტესტა?

მიჩვეულია, რადგან თვითონაც ხან ბაზაზეა, ხან შეკრებებზე. სადაც არ უნდა წავიდეთ, მთავარი წყვილს შორის წდობაა, რაც ჩვენ გვაქვს. ბუქსგან მიჩვეული ვარ – ხშირად 2-3 დღე არ არის სახლში. ამიტომ, ამ რეჟიმს მივეჩვევი. გიოს დატოვება უფრო გამიჭირდა. თან ცოლ-ქმრის განშორება ცოტა ხნით კარგია, რომ გენატრება – უფრო კარგია.

აღნიშნავთ ხოლმე ქორწინებისა და სხვა თქვენთვის მნიშვნელოვან თარიღებს?

4 წელი გავვიხდა 18 აპრილს, მაგრამ ვერ აღვნიშნავ, არ ვიყავი თბილისში. 19-ში ჩამოვიდი, თვითმფრინავში შევესდი. 5 წელს, ალბათ, აღვნიშნავთ. 18 აპრილს ბუქა მეკითხებოდა: დღეს თუ იცი რა დღეაო – ერთმანეთს ვამოწმებდით. ის დღე მასსოვს კიდევ, რა დღიდანაც ერთად ვართ, ბუქსაც ასსოვს. ჩვენს ცხოვრებაში მაინც ყველაზე მნიშვნელოვანი თარიღი გიოს დაბადება იყო. ტაბუტე კი მაქვს ამის აღსანიშნავი. ამაზე ბედნიერი დღე არ მქონია. საიმოვნებო თარიღები 4 მერსი, თან მშვენიერი ფეხმძიმობა მქონდა, მაგრამ გიო პატარაა, ამიტომ ცოტა ხანს თავს ვიკავებ.



საიმოვნებო თარიღები 4 შვილს, თან მშვენიერი ფეხმძიმობა მქონდა



– მამაო, დღეს ბევრი მორწმუნე კითხულობს ფსალმუნებს. რატომ არის ფსალმუნების კითხვა აუცილებელი და მნიშვნელოვანი?

– ფსალმუნთა შინაარსის საერთო განყოფილებები რიცხოვნობით ათია – ისინი მოცავენ ფსალმუნების მთელ შემადგენლობას. მოკლედ რომ ვთქვათ, ფსალმუნები – ეს არის ყველასთვის ხელმისაწვდომი საავადმყოფო, სადაც ნებისმიერი დაავადება იკურნება. მისი სიტყვა ყველას მიესადაგება. არ არსებობს ადამიანი ისეთი ქმედება, განზრახვა, ვნება, აზრი, რომლის წინააღმდეგაც ვერ იბოვის ფსალმუნებში განკურნების საშუალება. როდესაც ფსალმუნებს ვგალობთ, ერთი შეხედვით, მხოლოდ სმენსა და სიტყვებს გამოვცემთ, სინამდვილეში კი, ჩვენს სულებს აღვამუნებთ. ფსალმუნები ღმერთთან საუბარია, ისინი ანგელოზებთან გვაახლოებენ და ემზაკვებს დევნიან. ფსალმუნი არის დაუძლეველი ფარი, რომელიც ადამიანებს საკუთარი თავისგან, ვნებებისგან და, იმავდროულად, ბოროტი სულებისგანაც იხსნის. მისი კითხვა ძალიან სასარგებლოა სულისთვის; ის ადამიანისთვის იგივეა, რაც ჰაერის მობრუნვა, სინათლის მოფენა. როგორც იცით, ფსალმუნები იგალობება კიდევ, რაც, როგორც დედაკაცებზე, ასევე მამაკაცებზე და არასრულწლოვანებზე საოცარ გავლენას ახდენს. უნდა ვიცოდეთ, რომ ყველა ადამიანი არის სული ორი ნაწილი: ერთი – გონიერი, მეორე – არაგონიერი და პირუტყვეული, სიამოვნება კი ერთანარად მოიცავს ერთსაც და მეორესაც და სწორედ ეს არის ფსალმუნების გალობის შემოღების პირველი მიზეზი. იმის გამო, რომ ემზაკვი სიამოვნების გზით ცდილობს, რაიმე მზაკვეული ჩანაფიქრი შემოგვაპაროს, დაგვლუმოს, თავის მხრივ, ღმერთიც სიამოვნების საშუალებით ცდილობს, გადგვარჩინოს ბოროტის მანქანებისგან, მაგრამ, ეს სიამოვნება განსხვავდება ემზაკვის შემთავაზებული სიამოვნებისგან – ეს მეორე მიზეზია; მესამე მიზეზი ფსალმუნთა გალობის შემოღებისა ის არის, რომ გალობას შეუძლია, მგალობელთა გულელებში დათესოს სიყვარული და ერთაზროვნება; მას, ასევე, შეუძლია ადამიანების შერიგება, ზემოქმედებს ადამიანის ხასიათზე და იწვევს მის გამოხსნორებას. შესაბამისად, მორწმუნეს შეუძლია, თავის ყოველდღიურ ლოცვაში ჩართოს „დავითნი“ – ფსალმუნნი, რომელიც 20 კანონისგან და 150 ფსალმუნისგან შედგება. ერთ დღე-ღამეში მთელი „დავითნის“ ნაკითხვისას მკითხველზე ღვთისგან გადმოდის დიდი მადლი. რადგან ძნელია ერთი ადამიანის მიერ ერთ დღეში მთელი „დავითნის“ ნაკითხვა, ამიტომაც იქმნება მკითხველთა ჯგუფი, რომლებიც დღეში თითო კანონს კითხულობენ, შესაბამისად, ისინი ერთ დღე-ღამეში ახერხებენ მთელი „დავითნის“ კითხვას და ერთმანეთს, ახლოდღეს, გარდაცვლილებს იხსენიებენ. ამ წესის შესახებ არ არსებობს ეკლესიური სწავლება, თუმცა, მისი შესრულება სასურველია ყველა ქრისტიანისთვის, რომლებსაც შეუძლიათ, გარკვეული დრო დაუთმონ ფსალმუნების კითხვას და ილოცონ როგორც საკუთარი სულისთვის, ასევე, ქვეყნისთვის, ოჯახისთვის, ჯგუფის წევრებისთვის და გარდაცვალებულთათვის.

– ლოცვების წიგნი წერია ლოცვა, რომელსაც „დედის ლოცვა“ ჰქვია და რომელსაც საკმაოდ დიდი ძალა აქვს.

– ლოცვას, სათაურით – „დედის ლოცვები“, საეკლესიო ლიტურატურა არ იცნობს, უბრალოდ, ჩვენში გავრცელებულ მშობლების ლოცვას თანამედროვე მართლმადიდებლებმა დედის ლოცვით, ეკლესიაში სიარულით, მოძღვართან ურთ-

უფალი ჩვენი ისეო ქრისტე ბრძანებს: „ითხოვეთ და მოგეცეს თქვენ; ეძიებდით და პპოვით; ირეკდით და განგელოთ თქვენ; რამეთუ ყოველი, რომელი ეძიებდეს – პპოვს და რომელი ირეკდეს – ვანელოს“. მაგრამ, საკითხავია, როგორ ვილოცოთ და როდის ვილოცოთ? უბირველეს ყოვლისა, ადამიანმა უნდა ილოცოს მთელი გულით და, თუ შეუძლია, ცრემლებითაც – მხოლოდ მაშინ ისმენს უფალი ჩვენი თხოვნას. ფსალმუნში ვკითხულობთ: „შვიდ გზის დღესა შინა გაქებდი შენ“ (ფსალ.118,164); საერთოდ, ბიბლიიდან ვიცით, რომ 7 რიცხვს აქვს დიდი სულიერი და ღვთიური ძალა. ამიტომაც, ჩვენი წინაპრები და, ზოგადად, მორწმუნენი, დღე-ღამის განმავლობაში შვიდჯერ ლოცულობდნენ ღვთის წინაშე და უფალიც უსმენდა და შეეწოდა მათ. გულმხურავლე ლოცვას რომ დიდი ძალა გააჩნია, ეს ყველა მლოცველმა ადამიანმა იცის, თუმცა, ლოცვის ნაკითხვასაც თავისი წესი და მნიშვნელობა აქვს. დღეს ლოცვის წიგნებში სწორად ამოიკითხათ ლოცვას სახელწოდებით „დედის ლოცვა“, რომელიც, წესით, ყველა დღეს უნდა ნაკითხვით, თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ მამებს არ აქვთ მათი ნაკითხვის უფლება. ამ საკითხის შესახებ გვესაუბრება ნარიყალას წმიდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, აბა ბიორკი (თავდოროპოვილი).

რატომ უნდა ევერჯებოდეს დედა ღვთის შვილის ყველა ასაკში მის სხონებას და როგორ განაგრძოს უფალი ანგელოზებთან ერთად ბავშვის აღზრდას

ცვა უნოდეს. ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ, რა ლოცვის ნაკითხვაც შეუძლიათ დედებს, იმ ლოცვის ნაკითხვა შეუძლიათ მამებსაც. რა თქმა უნდა, შეიძლება, დედის ნასაკითხი ცალკე ლოცვა არსებობდეს, მაგრამ, ლოცვას რომ განსაკუთრებულად ერქვას „დედის ლოცვა“, ეს, ეტყობა, შვილისადმი დედის განსაკუთრებულმა მზრუნველობამ წარმოშვა. რა თქმა უნდა, ამაში არაფერია ანტიეკლესიური და ანტირელიგიური. პირადად მე მამა ვარ ხორციელი შვილების და, ამით ჩვენ, შეიძლება, მამები გავაზარალებოთ. იმიტომ, რომ, შეიძლება მათ თქვან: არსებობს დედის ლოცვა, არ არსებობს მამის ლოცვა და, მოდი, ეს საქმე დედას მივანდოთო. საერთოდ, ამ ლოცვას „მშობლის ლოცვა“ ჰქვია და ყველა მშობელს შეეხებას, რომ ჩვენ გვიყვარს ჩვენი შვილები მგონება, დარიგება, ხანდახან მკაცრადაც, მაგრამ, არ ვლოცულობთ მათთვის უფლის წინაშე და, ვგვეგონია, რომ მხოლოდ დარიგებით და შეგონებით ვიხდით ჩვენს მოვალეობას.



ყოველ ადამიანში არის სულის ორი ნაწილი: ერთი – გონიერი, მეორე – არაგონიერი და პირუტყვეული. სიამოვნება კი ერთანარად მოიცავს ერთსაც და მეორესაც და სწორედ ეს არის ფსალმუნების გალობის შემოღების პირველი მიზეზი

– როგორ უნდა ილოცონ და რას უნდა ამაჯობოს ყურადღება მშობლებმა შვილების მიჯნობის დროს?

– ბავშვი რომ წამოიზრდებოდა და დავინახავთ, რომ მას პრობლემები აქვს, მერე ვინცებთ მის გამოსწორებას. სანამ ბავშვი წორჩია, მოზარდა, მანამდე უნდა აღმოვფხვრას მასში უკეთუბუნებისადმი ყველა მიდრეკილება. როდესაც ღმერთმა ქვეყნიერებას წარუღწა მოუქმობა, მან ნოს ცისარტყელა გამოუშავა და მისცა ალქმა, რომ დედამინას ადამიანთა ცოდვების გამო აღარ წარუღწის, რამეთუ ადამიანის ბუნება დაბადებიდანვე უკეთუბუნებისკენ მიისწრაფის. სწორად, როდესაც ვხედავთ, რომ ბავშვი კონიფორულ საცივებს სწადის, ვამბობთ, გაუმშავო, რაც არასწორია. თანამედროვე ბავშვები ძალიან გონიერები არიან და, ეს გონიერება რომ არ იყოს საეშმაკო და მშინვიერი, მას სწორი მიმართულება უნდა მიეცეთ. სამწუხაროდ, ჩვენ ამას თავიდანვე ვერ ვაძინებთ და, მერე, როცა დავინახავთ, რომ ჩვენი ბავშვის ნიჭიერება უკეთუბუნებას, ბოროტებას, ეშმაკობას ხმარდება, ვინცებთ თავში ხელის წაშვას, რაც ძალიან დაგვიანებულია. ამიტომ, მშობლებმა ლოცვით, ეკლესიაში სიარულით, მოძღვართან ურთ-

ერთობით, არ გამოვირცხავთ ფსიქოლოგის ჩარევასაც, უნდა იზრუნოს შვილის სულიერ მდგომარეობაზე. ბავშვებს, რომლებსაც ჰქვიათ ნინო, გიორგი, დავითი და ასეთი წმიდანების სახელები, უნდა იცოდნენ, რომ ეს უკვე მათი პასუხისმგებლობაა. მათ მარტო ის კი არ უნდა იცოდნენ, რომ ხატზე გამოსახული შუბოსანი მხედარი წმიდა გიორგია, არამედ, ისიც, თუ რატომ არის ის ძლევაშიყოლილი და რა დიდი ამაგი აქვს მას უფლისა და საზოგადოების წინაშე. ჩვენი წინაპრები ასე ზრდიდნენ შვილებს, გვირობის ამბებს უნერგავდნენ მათ. დღეს ბავშვები „გიორგი სააკაძეს“ და „ჯვარისკაცის მამას“ რომ უყურებენ, ეცინებათ, იმიტომ, რომ ისინი ჰოლოკოუდელი ტერმინატორების გამარჯვებით არიან მოხიბლულები და მათი ცნობიერება დამახინჯებულია.

– ამბობენ, მშობლის ლოცვას დიდი ძალა აქვს.

– ასეთი რამ გამიგია: დედის ლოცვას შეუძლია, შვილის სული ვჯავიხიტიდან იხსნასო. რა თქმა უნდა, ეს არ არის ეკლესიური სწავლება, მაგრამ ამით ჩვენი გონება უნდა გამახვილდეს იმაზე, რომ დედის ლოცვას ძალიან დიდი ძალა აქვს. თუმცა, ძალიან ბევრი მაგალითია სახარებაში, რომ მამა სთხოვს მაცხოვარს შვილის განკურნებას. ქართველებისთვის დედა – ღვთისმშობელია და, ასე უნდა ვავიფოთ, რომ დედის ლოცვა ღვთისმშობლის ლოცვასთან არის შეერთებული. თუ დედა ევერდება ღვთისმშობელს, მაშინ მისი ლოცვა ძლიერია. საკუთარი სიტყვებით ლოცვა უფრო მატერიალურია. ყველა დედა ღმერთის ნებისმიერ ასაკში უნდა ევერდებოდეს შვილის ცხოვრებას. ერთ სასულიერო პირს, გარდაეცვალა ჩვილი. როდესაც მასთან სასულიერო პირები მიდიოდნენ და ამშვიდებდნენ, ის პასუხობდა: მე აქამდე ვიცოდი, რომ უფალი ჩემი ახლობელი იყო, მაგრამ ახლა ის ჩემი უფრო ახლობელია, იმიტომ, რომ ჩემი შვილი მისი ოჯახის წევრი გახდაო. უნდა ვიცოდეთ, რომ, ცოცხლებიც და მიცვალებულებიც, ჩვენც და ჩვენი შვილებიც, უფალთან ვართ და მასთან ვიქცებით. ლოცვა დედისა ამ ყოველივეს ანუფემებს, აძლიერებს და ამტკიცებს. უნდა იცოდეს ყველა დედა, რომ, როდესაც მისი შვილი გარდაიცვლება, უფალი ანგელოზებთან ერთად განაგრძობს მისი შვილის აღზრდას. ლოცვა არის ზეგმი, დიდებისმეტყველება, თხოვნა, თავმდაბლობა. ლოცვა მარტო თხოვნა არ უნდა იყოს, ჯერ უნდა განვადილოთ და, არ უნდა დავგავინყდეს, რომ უფალმა თავის მხოლოდმოძილი ძე ჩვენ შემოგვწინა – ეს ყველა დედისთვის მაგალითი უნდა იყოს. მთავარია, ჩვენი შვილი არ იყოს უღმერთო, სექტანტი, დანარჩენს ყველაფერს ღმერთი დალოცავს, აკურთხებს და ჩვენი ლოცვაც შესძენილი იქნება.

ნათია უტიანოვილი



წმიდა ილარიონ ქართველის მიერ აღსრულებული სასწაულები

ქალაქის მთავრის ძის განაპურება

უფლის ნებით, წმიდა ილარიონი და მისი მოწაფე რომი შევიდნენ და სინმდეები მოილოცეს. წმიდანმა იქ ორი წელი დაყო და კვლავ კონსტანტინოპოლში დაბრუნდა. თესალონიკს რომ მიუახლოვდა, ქალაქის მთავრის კართან დასასვენებლად ჩამოვიდა. მთავრის მხევალმა სასახლიდან მთავრის 4 წლის ძე გამოიყვანა, რომელიც ცოცხალ-მკვდარი, დამბლადაცემული იყო და, წმიდა ილარიონის მახლობლად, მზის გულზე დაანგინა. წმიდანმა ქალს უთხრა: „დედაკაცო, წადი და წყალი მომიტანე“. წადიდა თუ არა ქალი, წმიდა ილარიონმა ჯვარი გადასახა ყრმას და თქვა: „სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა, შენ გეუბნები, ყრმაო, ცოცხლად ადექე!“ ყრმაც მამინვე განიკურნა.

წმიდანმა მას უთხრა: „წადი, შვილო, დედაშენი გეძახის“. ბავშვიც ადგა და სახლში შევიდა. მამინ წმიდა ილარიონი წამოდგა და სხვა ადგილას წავიდა, რათა არავის გაეგო ამ სასწაულის შესახებ. მხევალმა ყრმა ხელში აიყვანა და დედოფალს მიჰგვარა. ბავშვი დაწვრილებით მოუყვა ამ სასწაულის შესახებ. დედა მამინვე ქმართან შევიდა, ყველაფერი უამბო და ბავშვი აჩვენა. მამინ მთავარმა ბრძანა, სასწრაფოდ დაეცვათ ქალაქის კარიბჭე და წმიდანი მოეძებნათ. მართლაც, იგი კარიბჭის გარეთ, აღმოსავლეთის მხარეს იპოვეს, რადგან, ვერ მოეხერხებინა მთაზე დაფუძნებულ ქალაქში დამალვა. ყველა მის ფეხებთან განერთხა, ნეტარმა კი აკურთხა და წამოაყენა ისინი. ყოველივე მამინვე უწყა მთავარს, რომელიც წმიდანის შესახებდრად გამოვიდა, მის წინაშე მუხლებზე დაემხო და ფეხებზე ეამბორა ბერს. ნეტარმა ილარიონმა დალოცა იგი და წამოაყენა. მთავარმა წმიდანი თავის სახლში წაიყვანა და

სთხოვა, ამოეჩრია ის ადგილი, რომელიც მოწონებოდა და დაბინავდებოდა. ნეტარმა ილარიონმა მყუდრო და მოსახერხებელი ადგილი გამოარჩია და იქ ეკლესია ააშენეს. წმიდანმა ითხოვა, მხახველებს არ შეენუხებინათ და, ისიც დასძინა, რომ ცერცვისა და ორცობილის გარდა სხვა საკვები არ გამოეზავნათ ხოლმე მისთვის. ნეტარი ბერის მოღვაწეობით ბევრი ადევსო საღვთო მოშურნეობით და მისივე ხელით აღიკვეცნენ მონაზვნად.

წმიდა ილარიონ ქართველი და კოჭლი კაცი

წმიდა ქალაქ კონსტანტინოპოლის მოლოცვის შემდეგ წმიდა ილარიონ ქართველი ერთ მონაფესთან ერთად რომში გაემგზავრა წმიდა პეტრე და პავლე მოციქულთა საფლავების თაყვანსაცემად. თითხმეტი დღის მგზავრობის შემდეგ რომის კარიბჭესთან ერთი ბალი ნახა, რომლის კართანაც კოჭლი კაცი იჯდა. წმიდანი გვერდით მიუჯდა და უთხრა: „კაცი, ადექი და მომართვი ყურძნის ერთი მტევანი“. კოჭლმა უპასუხა: „აი, მამაო, ბალი და, რაც გსურს, თავად წაიღე, რადგან, მე ჩემი ცოდვების გამო არ შემიძლია ადგომა. ცამეტი წელია, რაც დავკოჭლდი და ამ ადგილზე უფალი მასაზრდოებს“. მამინ წმიდანმა ამოიხვეწა და მიუგო: „ადექი, ძმაო, უფალს უბრძანებია შენთვის!“ კაცმა მიესუსულად გამართა ფეხები, ადგა და ნაყოფის მოსატანად ვენახში შევიდა. წმიდა ილარიონი კი ადგა და სხვა გზით წავიდა. უკან მობრუნებულმა კაცმა წმიდანი ვერსად იპოვა, ძებნა დაუწყო და ქალაქში შევიდა. ამ საკვირველების დანახვაზე ქალაქის მოსახლეობამ კაცს გამოკითხვა დაუწყო, მანაც უამბო სასწაულისა და თვისი განკურნების ამბავი. ისინი დიდხანს ეძებდნენ წმიდა ილარიონს, მაგრამ ვერსად იპოვეს.

ჭეშმარიტი სარწმუნოება

ღვთის მიიღვას ღოცვას, ვინაოვის მიუხადავად

ერთხელ კუნძულ კვიპროსზე ისეთი ხანგრძლივი გვალვა ჩამოხდა, რომ ბალახი და ნაყოფი სრულიად გადახშა. ქვეყანა საშინელ მძიმეობას მოელოდა. იქაურმა ეპისკოპოსმა შეკრიბა ხალხი და დიდი მონივნებით შევედრა ღმერთს – პარაკლისი გადახადა, რომ კეთილშეზავებული ჰაერი მოევიწიებინა უფალს. გალობის დროს მას მოესმა ზეციური ხმა: „მიდი ქალაქის კართან და ნახე, ვინც პირველად ქალაქში შემოვიდეს, მას სთხოვე, რომ ილოცოს ღმერთი, მის ღოცვას შეისმენს უფალი“. ეპისკოპოსი დილის ღოცვის შემდეგ კრებულთა მივიდა ქალაქის კართან და დაჯდა. უცრად შემოვიდა ვიღაც მოხუცი ეთიოპი, რომელსაც მხარზე ერთი შეკვრა შუბა გავლი და გასაყიდა ქალაქში მიჰქონდა. ეპისკოპოსი ადგა და გააჩერა იგი. მოხუცმა ცხივით მოშორებით დააგლო, მღვდელმთავარს თაყვანი სცა და ღოცვა-კურთხევა სთხოვა; მაგრამ მღვდელმთავარმა თვითონ მას სცა თაყვანი და უთხრა: „მოხუცი, ღვთის სახელით გთხოვ შენ: ევედრე უფალს, რომ თავის ერს მონყალემა მოანიჭოს და ქვეყანაზე წვიმა მოაგვლინოს“. შემის მჭრელი მოხუცი გავერდა და, არ იცოდა, არ პასუხი გავცა; მაგრამ, როცა ისეთივე თხოვნა გაიგონა კრებულისგან, თქვა: „მე ცოდვილი ვარ, როგორ უნდა ვევედრო უფალს ერისთვის?“ მღვდელმთავარი დაუინებოთ სთხოვდა და, როგორც კი მოხუცმა, ღვთის სახელით ღოცვისადმი იძულებულმა, მიოდრიკა მუხლნი და აღაპყრო ხელნი ზეცას, მამინვე მოიღრუბლა და წვიმა წამოვიდა. ღოცვის შემდგომ ეპისკოპოსმა მოხუცს უთხრა:

ახლობლთა სიყვარულსა და საზოგადო სარგებლობისთვის, გვითხარ ჩვენ, როგორ ატარებ შენს ცხოვრებას, რომ ჩვენც, შენი მაგალითის მიმღებთა, შეგვექმოს ვერც ცხოვრება?

– შემინდვე მე, უფალი! – მიუგო მშვიდმა მოხუცმა, – მე კაცი ვარ, ცოდვილი, ვმობლვარ მისთვის, რომ ვიკებორო ამ აოუბაში; ყოველამე გამოვიდვარ ქალაქიდან, ერთ კონა შემას მოვეჭრი, გავყიდი და ამ შრომით ვმოულომ დილორ ლუქმას; არ მყვანან ნათესავნი, არა მატქს სახლი და ვიძინებ ეკლესიასთან; როცა ცუდი ამინდია, მთელი დღე და, ხან – ორი დღეც, არ ვჭამ. შრომის მერმე კი, რაც დრო მრჩება, ვატარებ ღოცვით.

მიიღეს რა სული ეპისკოპოსმა და კრებულმა, ადიდეს ღმერთი და მოხუცს უთხრა: „შენ დაამტკიცე შენზედ ჭეშმარიტება წერილისა, რომელიც იტყვის: „მსხემ ვარ მე ქვეყანასა ზედა“. მერმე ეპისკოპოსმა წაიყვანა ის თავის სახლში, მისცა თავისუფალი ბინა და, სანამ არ გარდაიცვალა, ასაზრდოებდა მას. ეს მოხუცი იყოს გულისხმისყოფელად ჩვენად, რათა არ განესაჯოთ კაცის კეთილმოქმედება მისი გარეგანი შეხედულებითა და მისი ტანისამოსით. „თვალნი უფლისანი მართალთა ზედა და ყურნი მისნი ღოცვასა ზედა მათსა... ხმობდეს მართალნი და უფალმან ისინი მათი (ფსალ. 33, 16-18; 1 პეტრე 3,12).“ ფრად შეძლებულ არს ღოცვა მართლისა შენვენად“ (იაკ. 5, 16).

მოაშადა რაჰვა ტომარაჰამ

მოძღვარი გვირჩევეს

კითხვა: როდესაც ადამიანი გარდაიცვლება, შეუძლიათ თუ არა გარდაცვლილის ოჯახის წევრებს ორმოცამდე სხვის სამძიმარზე ან დაკრძალვაზე წასვლა?

პასუხი: გარდაცვლილი ადამიანის სამძიმარზე ან დაკრძალვაზე წასვლა, რა თქმა უნდა, ნებისმიერ ადამიანს, ნებისმიერ მდგომარეობაში შეუძლია, თუ მას ამის სურვილი გააჩნია. მოყვასის ნუხილის გაზიარება ყოველი ქრისტიანის ვალია.

კითხვა: ჩამეტოვლება თუ არა ცოდვა მიტევებულად, თუ მას გულით მოვიწინებთ ხატებით და არა მოძღვრის წინაშე?

პასუხი: ხატების წინაშე ნათქვამი აღიარება

მიტევებულად არ ჩაგეთვლებათ, რადგან სინანულის საიდუმლო მოციქულთა დროიდან არსებობს და ის უფალიდან დაანება. ცოდვა მიტევებულად გეთვლებათ მას შემდეგ, რაც აღსარების შემდეგ მღვდელმსახური ნაიკითხავს შენდობის ღოცვას.

კითხვა: სამწუხაროდ, ჩემი მეგობარი მრუშობის გზას დაადგა, ვფიქრობ, გავწყვიტო მასთან მეგობრობა. რას მირჩევთ?

პასუხი: თქვენ მასთან მეგობრობა უნდა გააგრძელოთ და უნდა ეცადოთ, გაუღვიძოთ სინდისის ხმა, აუხსენით, რომ ის სწადის საკუთარი სულისთვის დამღუპველ ცოდვას და არ დააკლოთ ცდა, გააგებინოთ და გადააჩრინოთ თქვენი მეგობარი.

კითხვა: ყველა თვითმკვლელობა ითვლება თუ არა ცოდვად?

პასუხი: თავის მოკვლა უდიდესი ცოდვაა და ის მიუტევებელია. არსებობს ერთდერთი გამოხატვისი, როდესაც თვითმკვლელობა გიმრობის ტოლფასია. მაგალითად, ქრისტიანობაში დამკვებელია შეგნებული თვითმკვლელობა, რომელიც ჩადენილია საკუთარი ღირსების დასაცავად მოსალოდნელი ძალადობისგან თავის დასაღწევად. ასეთი მაგალითები ისტორიულად არსებობს.





2014 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ნომერ პირველი პარსკვლავები

თვეზე ნაკლები დრო რჩება იმ დღემდე, როდესაც სტარტს აიღებს მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში, რომელსაც 64-წლიანი პაუზის შემდეგ ბრაზილია მასპინძლობს. ვთავაზობთ „მუნდიალი 2014-ის“ ტოპ-ფეხბურთელებს, რომლებიც ჩემპიონატის ნომერ პირველი ვარსკვლავის სტატუსისთვის აპირებენ ბრძოლას.



ნეიშარაი - ბრაზილია
ამბობენ, რომ მის სახელს ბრაზილიაში უფრო ხშირად ამბობენ საუბარში, ვიდრე სიტყვა „მიყვარხარ“. ნეიშარაი ბრაზილიელების მთავარი იმედია და მისგან ელიან „ფიფას“ თასის მოგებას. „ბარსელონას“ ფორვარდს მსოფლიო ჩემპიონატის ბომბარდირობას უწინასწარმეტყველებენ.

კრიშტიანო რონალდუ - პორტუგალია
ფეხბურთის პორტუგალიელი თავის რიგით მესამე მსოფლიო ჩემპიონატზე მიემგზავრება და ამჯერად მისი „პროგრამა მინიმუმი“ პორტუგალიის ნაკრებთან ერთად ფინალში გასვლაა. რონალდუს შედეგიანობის გათვალისწინებით ეს არცთუ უტოპიურ გეგმად შეიძლება დასახელებდეს.

ლიონელ მესი - არგენტინა
არგენტინელი თავის იმავს ჩადენას, რაც გააკეთა დიეგო მარადონამ, ანუ, მესის წყალობით უნდა გახდეს არგენტინა მსოფლიოს ჩემპიონი. „ბარსელონელი“ ვარსკვლავისგან, ასევე, ბომბარდირობასაც ელიან.



ანდრეა პირლო - იტალია
ასაკუთარი ვარსკვლავი და „სკუადრა აძურას“ ინტელექტი, ანდრეა პირლო, მსოფლიო ჩემპიონატის დასრულებების შემდეგ იტალიის ნაკრებიდან მიდის და მისგან ერთგვ-

არ „ბოლო გასეირნებას“ მოელიან ფინალურ მატჩში.

ფრანკ რიბერი - საფრანგეთი
აღამიანი ნაირი სახით, იგივე ფრანკ რიბერი, საფრანგეთის ნაკრების შეტევების ლიდერი და მთავარი იმედია. რიბერისგან ფრანგები წინა მსოფლიო ჩემპიონატზე განცდილი ფიასკოს დაწინებებს ელიან.

ჩაი და ალფონსინია - ესპანეთი
„ფურია როხას“ პასის დიდოსტატები და მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ტანდემი, ბოლო პერიოდი, ესპანეთის ნაკრების ჰეგემონიას განაპირობებს მსოფლიო ფეხბურთში. ესპანეთის ნაკრებისგან ტიტულის დაცვას ელიან ფეხბურთის ქომაგები.

იაი ბუა - კოლუმბია
ამბობენ, რომ იაია ტურე ბურთის ფლობაში მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელია და მას ამაში აფრიკელი შამანები დაეხმარენ შელოცვებით. ტურემ ფენომენალური სეზონი ჩაატარა „მანჩესტერ სიტში“, რომელთან ერთადაც ინგლისის პრემიერლიგა მოიგო, ამჯერად კი ტურე და კომპანია მსოფლიო ჩემპიონატზე აპირებენ სრულ მობილიზებას.

ფილიპ ლაი - გერმანია
„გერმანული მანქანის“ მთავარი შემადგენელი ნაწილი და იოაჰიმ ლიოვის ძირითადი დასაყრდენი გერმანიის ნაკრებში, ფილიპ ლაი, მსოფლიოს სამგზის ჩემპიონების კაპიტანია და, ევროპული ექსპერტების აზრით, თუკი რომელიმე ნაკრებს ძალუძს, გაუწიოს კონკურენცია სამხრეთამერიკულ ნაკრებებს, ეს სწორედ გერმანიაა.

ლუის სუარესი - ურუგვაი
სუარესმა ფანტასტიკური სეზონი ჩაატარა „ლივერპულში“ და ამჯერად მისგან არანაკლებ ფანტასტიკას ელიან მუნდიალზე. საინტერესოა, მოახერხებს თუ არა ლუის სუარესი თავის წინაპრების შედეგის განმეორებას და ნაარსიმეგს თუ არა ბრაზილიას ტიტულს საშინაო მუნდიალზე, როგორც ეს 1950 წელს მოხდა.

ზნაოვა ზნაიონილას ჟოპაოუს

რუსმა ჩოგბურთელმა მარია შარაპოვამ განსაკუთრებულად მიულოცა „ჩელსის“ ბრაზილიელ მცველს, დავიდ ლუიზს, 2014 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ბრაზილიის ნაკრების 23-კაციან განაცხადში მოხვედრა და „ინსტაგრამის“ საკუთარ გვერდზე ბრაზილიის ნაკრების ფორმით გადაღებული ფოტო გამოაქვეყნა შესაბამისი წარწერით. „მარია შარაპოვა, დიდი მადლობა მხარდაჭერისთვის, მე ნამდვილად ვაფასებ ამას“, - არ დააყოვნა პასუხმა ფეხბურთელისგან.

საჩუქარი უტოსთვის

ლონდონის „ჩელსის“ კამერუნელმა ლეგიონერმა თანამემამულე კალათბურთელისგან, ლუეკ მბამუტესგან, რომელიც „ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის“ კლუბ „მინესოტა ტიმბერვულების“ ღირსებას იცავს, საჩუქრად მისიური მიიღო. „მადლობა ლუეკს შესანიშნავი საჩუქრისთვის“, - ასეთი კომენტარით გამოაქვეყნა დიდი ზომის მისიურში გადაღებული ფოტოსურათი სოციალურ ქსელში საშუალო ეტოომ.



მსოფლიოს ათი უპიკინი ქლუბი

გავლენიანმა ჟურნალმა „ფორბსმა“ ევროპის ათი უძვირესი საფეხბურთო კლუბის რეიტინგი გამოაქვეყნა, რომელსაც წელს ესპანური მადრიდის „რეალი“ ლიდერობს 3,44 მილიარდი დოლარით. მეორე ადგილზეა „ბარსელონა“ - 3,2 მილიარდი დოლარით, მესამეზე კი „მანჩესტერ იუნაიტედი“ - 2,81 მილიარდი დოლარით. ათეულში, ასევე, შევიდნენ: „ბაიერნი“ - 1,85 მილიარდი დოლარი, „არსენალი“ - 1,33 მილიარდი დოლარი, „ჩელსი“ - 868 მილიონი დოლარი, „მანჩესტერ სიტი“ - 863 მილიონი დოლარი, „მილანი“ - 856 მილიონი დოლარი, „იუვენტუსი“ - 850 მილიონი დოლარი, „ლივერპული“ - 691 მილიონი დოლარი.



სანიო ჩაოსი გავა გავა

მადრიდის „რეალისა“ და ესპანეთის ნაკრების მცველი, სერხიო რამოსი, მამა გახდა. 28 წლის ფეხბურთელსა და მის მეგობარ გოგოს, მოდელსა და ტელენამეყან პილარ რუბოს, მადრიდის ერთ-ერთ სამშობიაროში ვაჟი შეეძინათ, რომელსაც მამის პატივსაცემად სერხიო რამოს რუბო დაარქვეს. სერხიოსა და პილარის წყვილისთვის პატარა სერხიო პირველი შვილია.

გვერდი მოამზადა შუანი რუსუაქი

ეპიკური ტერიორისტები „კოკა-კოლას“ ნაყვალ „პაისი“ დაეპიკნენ

ეგვიპტურმა ტერიორისტულმა ორგანიზაცია, „ანსარ ბაით ალ-მაკადასმა“, კომპანია „პეპსის“ წინააღმდეგ ინტერნეტით მუქარის განცხადება გაავრცელა: გამაგრლებელი სასმელების მსოფლიოში ცნობილი მწარმოებელი ისლამისტებმა ეგვიპტის პოლიციისთვის პატიმრების გადასაცემად მიკროავტობუსების გადაცემაში დაადასმულეს და შურისძიებით დაემუქრნენ. ასეთი შემთხვევა ცოტა ხნის წინ მართლაც მოხდა ეგვიპტეში, თუმცა, ინტერნეტში გამოქვეყნებულ ფოტოზე აღბეჭდილ მიკროავტობუსებზე ნათლად ჩანს სხვა გამაგრლებელი სასმელების მწარმოებელი კომპანიის - „კოკა-კოლას“ ლოგოტიპი. „კოკა-კოლამაც“ არ დააყოვნა და მაშინვე განაცხადა, რომ აღნიშნული მიკროავტობუსები მათ არ ეკუთვნით და, სავარაუდოდ, პოლიციამ ლოგოტიპი შენიღბვის მიზნით გამოიყენა.

ღონღონი პაიკაჰანი და ეიღონათიუი სანღლი

ბრიტანეთი და ჩრდილოეთ კორეის დემოკრატიული რესპუბლიკა დიპლომატიურ სკანდალს გადაურჩნენ, რომლის პროვოცირება, თავისდაუნებურად, ლონდონელმა პარიკმახერმა - ნებეჩმა მოახდინა. სტილისტმა გადაწყვიტა, ფულის გასაკეთებლად გამოიყენებინა ვარკაცულეული ხბები, რომ ჩრდილოეთ კორეაში ყველა მამაკაცს თმას ქვეყნის ბელადის, კიმ ჩენ ინის ვარცხნილობის მიხედვით ჭრიან. პარიკმახერმა ეს კარგ მარკეტინგულ სვლად ჩათვალა და ვიტრინაში ჩრდილო კორეის მეთაურის დიდი პლაკატი გამოიფინა, წარწერით: „უკმაყოფილო ხართ თქვენი თმით? ჩვენთან ყველა მამაკაცი 15 პროცენტით იფავდ შეიჭრის თმას“. მისდა სანუხაროდ, თუმცა, საღონი ჩრდილოეთ კორეის საელჩოსთან ძალიან ახლოს ყოფილა, მისი წარმომადგენლებიც მალე დაადგინეს თავს და პლაკატის ჩამოსხნა მოსთხოვეს. ნებეჩმა განუმარტა, რომ ეს, უბრალოდ, პლაკატი და ისინი ყოველთვის იყენებენ სარეკლამოდ ცნობილთა სახეებს. „ეს ცნობილი სახე კი არა, ჩვენი ძვირფასი ბელადია“, - განუცხადეს მას და, შემინებულმა ინგლისელმა, ჩრდილოკორეელებისგან ყველაფერს უნდა მიელოდეს კაცო, პოლიცია გამოიძახა. თავის მხრივ, საელჩომაც გამოიძახა პოლიცია... საბედნიეროდ, ინციდენტი მშვიდობიანად დასრულდა.




კლანტის უხუცასი მილიარდების ტოპ-ხუთეული „ფორბსის“ პერსონით

2014 წლის მილიარდერთა რეიტინგის გამოქვეყნების შემდეგ „ფორბსმა“, ტრადიციულად, მათ შორის ყველაზე ასაკოვანი მილიარდერებისგან შემდგარი ტოპ-სია შეადგინა, სადაც უხუცესი ადამიანები მოხვდნენ მილიარდიანი კაპიტლებით.

დავიდ როკფელარი უფროსი - 98 წლის

გვარი, რომელიც მილიარდობით დოლართან და უდიდეს გავლენასთან ასოცირდება. როკფელერების საგვარეულოს ბიზნესის წარმართვის თითქმის სამსაუკუნოვანი გამოცდილება აქვს და ამ გვარის თითოეული წარმომადგენელი უდიდესი გავლენითა და პატივისცემით სარგებლობდა და სარგებლობს ამერიკულ ბიზნესს და პოლიტიკურ წრეებში. სწორედ ასეთად ითვლება ლეგენდარული ჯონ როკფელერის შვილიშვილი, დევიდ როკფელერ უფროსი, ცნობილი ამერიკელი ბანკირი და კაცობრიობის ისტორიაში პირველი მილიარდერის შთამომავალი, რომელსაც „ფორბსის“ 2014 წლის მილიარდერების ყოველწლიურ რეიტინგში 2,9 მილიარდი დოლარი კაპიტალი აქვს.



კირკ კერკორიანი - 96 წლის

სომეხი ემიგრანტების შვილმა, კირკ კერკორიანმა, 8 წლის ასაკში მიატოვა სკოლა და კრივით დაინტერესდა. სპორტში კერკორიანმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია, მაგრამ მიუხედავად ამისა მისი შემდგომი პროფესია თვითმფრინავის პილოტირება გახდა. სწორედ ასეთი გზით მოხვდა ის პირველად ლას-ვეგასში, სადაც დაგროვებული 60 ათასი დოლარით მცირე ავიაკომპანია - „ტრანს ინტერნეიშენალი“ დააარსა, რომელიც მოგვიანებით 104 მილიონ დოლარად გაყიდა. კერკორიანი სხვადასხვა დროს პოლიეფიდურ სტუდიებს - „იუნაითედ არტისტსა“ და „მეტრო გოლდუინ მაიერს“ ფლობდა. 2014 წლის მონაცემებ-

ით, მისი კაპიტალი 4,6 მილიარდ დოლარს შეადგენს.

კარლ ვლაშეკი - 96 წლის

ყოფილი ჯაზური პიანისტი და ავსტრიული საცალო ვაჭრობის ქსელ „ბილას“ დამფუძნებელი დღესდღეობით უმსხვილესი უძრავ-მოძრავი ქონების მფლობელად ითვლება ავსტრიაში. ვლაშეკის საკუთრებას წარმოადგენს ზალცბურგში მდებარე 5-ვარსკვლავიანი სასტუმრო „რედისონი“, ისტორიული შენობა ვენაში, სადაც განთავსებულია ავსტრიის საფონდო ბირჟა და, ასევე, ვენაში მდებარე 4 სასახლე. ახლახან ვლაშეკმა, რომლის სასცენო ფეხედონიში ჩარლი უოკერი იყო, გამოაცხადა ავტობიოგრაფიული წიგნი, სახელწოდებით - „კარლ ვლაშეკი - წარმატების საიდუმლო“. აღსანიშნავია, რომ რამდენიმე წლის წინ მილიარდერმა დაქორწინება გადაწყვიტა ქალბატონზე, რომლის ასაკსაც საუბრდაგულად მალავს პრესიგან, თუმცა, ფოტოგრაფიდან გამომდინარე, ვლაშეკის რჩეულის, რიკი შენკის ასაკი 45 წელს არ უნდა აღემატებოდეს. ცნობისთვის, ეს ქორწინება რომანტიკოსი მილიარდერისთვის რიგით მერხუთე იქნება. ვლაშეკის კაპიტალი 4,9 მილიარდი დოლარია.

ერიკა პოლ-შტროპერი - 95 წლის

95 წლის ერიკა პოლ-შტროპერი ფრანც და მარი შტროპერების შვილიშვილია, სწორედ მათ დაარსეს გერმანული კოსმეტიკის გიგანტიკომპანია - „ველა“. 2003 წელს „ველა“ „პროქტერ ენდ გემბლემ“ შეიძინა 4 მილიარდ დოლარად და წლის სახით ერიკას 1,1 მილიარდი დოლარი ერგო. ამჟამად ერიკა შვეიცარიაში ცხოვრობს და მის საკუთრებაშია მინერალებისა და მეტეორიტების მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი კოლექცია. პოლ-შტროპერის კაპიტალი 1,5 მილიარდი დოლარია.

ჰენრი ჰილმანი - 95 წლის

95 წლის მილიარდერი ჰენრი ჰილმანი 2,5-მილიარდიანი კაპიტალს ფლობს, რაც მას მექვიდრობით მამისგან, ჰენრი ჰილმან უფროსისგან შეხვდა. ჰილმანის კომპანია „ჰილმან ენდ კო“ ფლობს აქტივებს უძრავ ქონებასა და ვენჩურულ ფონდებში. გარდა ამისა, ჰილმანი ქველმოქმედებაშია ჩართული და კიბოსთან მებრძოლ პიტსბურგის ცენტრს ეხმარება, რომელიც მის სახელს ატარებს.

ოფრი ჰეპბერი - მსოფლიო კინემატოგრაფის პრინცესა

„რომაული არდადეგები“, „საუზმე ტიფანისთან“, „როგორ მოვიპაროთ მილიონი“, „ჩემი მშვენიერი ლედი“... - მისი ფილმების ჩამოთვლა შორს წავიყვანს. ის იყო მსოფლიო კინოს ნომერ პირველი პრინცესა და არის საკულტო მსახიობი, რომლის ფანკლუბი დღესაც მოქმედებს, ხოლო თავყვანისმცემელთა არმია მილიონობით ადამიანს ითვლის. 4 მაისს ლეგენდარულ ოფრი ჰეპბერს 85 წელი შეუსრულდება.

ოფრი ჰეპბერი ჭეშმარიტი არისტოკრატი იყო, მის ძარღვებში ცისფერი სისხლი ჩქეფდა - ოფრის დედა ნამდვილი პოლანდიელი ბარონისა და გახლდათ.



მეორე მსოფლიო ომის პერიოდში ოფრი ჰეპბერი ციკორის ფოთლებითა და ტიტების ბოლქვებით იკვებებოდა. მისი ეტალონური სიგამხდრე ნივთიერებათა ცვლის დარღვევის შედეგი იყო.

ომის დასრულების შემდეგ, ოფრის ოლგა ტარასოვას საბალეტო სკოლაში რომ ესწავლა, სადაც დიდი გადასახლი იყო, მისი დედა მდიდარ ოჯახში მოეწყო მოსამსახურედ.

მას შემდეგ, რაც ოფრი მთელმა მსოფლიომ გაიცნო, ტელეკომპანიები მისგან გვარის შეცვლას ითხოვდნენ, რათა ხალხს პოლიულის ვარსკვლავ კეტრინ ჰეპბერსი არ არეოდა, თუმცა, ოფრიმ სასტიკი უარი განაცხადა.

„რომაულ არდადეგებს“ ათი ათასამდე ადამიანს თვალწინ იღებდნენ რომის ქუჩებში. ერთხელ ფილმის რეჟისორმა სასტიკად გააკრიტიკა ოფრი ერთ-ერთი სცენის გადაღების დროს, რასაც ხალხის მხრიდან სტვენა მოჰყვა. ხალხმა დაარწმუნა რეჟისორი, რომ ოფრიმ კარგად ითამაშა ის სცენა და რეჟისორს გადააფიქრებინა კიდევ ერთი დუბლის გადაღება.

ოფრი ჰეპბერის საყვარელი მოდელო იუბერ დე ჟივანში იყო.

ოფრი სამჯერ იყო გათხოვილი, მისი მეორე მეუღლე მასზე 9 წლით უმცროსი იყო.

ოფრი ჰეპბერის გარდაცვალების შემდეგ ელიზაბეთ ტილორმა თქვა: „ღმერთს კიდევ ერთი ანგელოზი გაუჩნდა“.

გვერდი მოამზადა შპანნი რუსაქაძე

მსოფლიო ფაქტები

* საერთაშორისო კოსმოსური ხომალდების ბორტზე არის ზამბარებიანი სკამი, რომელიც უწინობის პირობებში კოსმონავტების ასანონად გამოიყენება.

* ერთ-ერთ ევროპულ სასტუმროში გამოაცხადეს ვაკანსია... მასხარაზე, სტუმრების გასართობად. მსურველს მოეთხოვება სწრაფი აზროვნება, შემოქმედებითი უნარი, სამსახიობო ნიჭი და უნდა შეეძლოს მუსიკალურ ინსტრუმენტზე დაკვრა.

* თულ-ავიგის სხვანარად „აივთრ ქალასკა“ უწოდებდნენ, რადგან შენობები ძირითადად თეთრი ფერისაა, მზის სხივები რომ აირეკლოს. ბაქოს ერთ-ერთ რაიონს, სადაც ძირითადად საწარმოებია განლაგებული და გამურული შენობებია - „მავ ქალაქს“ ეძახიან.

* შედეგთში გადანაცვლებს, ებრძოლონ უმოძრაობას და, ამიტომ, სტოკჰოლმის ფეხით მოსიარულეთა ერთ-ერთი გადასასვლელი-ესკალატორი, რომელიც უხმაუროდ მუშაობდა, გადააკეთეს „ფორტეპიანოს კლავიშებად“, რომლის საფეხურებიც ძალიან ხმაურობს.

* იაპონელებმა გამოუშვეს ყურსასმენები, რომელიც თვითონ არჩევს მარჯვენა და მარცხენა ყურს და ავტომატურად აყენებს მოსასმენად ოპტიმალურ ხმას.

* გასულ წელს, გამოკითხვაში - „ყველაზე შესაძინებელი“, რომელიც გრემის მწარმოებელმა კომპანიამ შარშან, ჰელოუინის დასასრულს ჩაატარა, პირველ ადგილზე ლედი გაგა აღმოჩნდა. გარდა გრემისა, ჰელოუინის დროს ყველაზე პოპულარული სწორედ მისი კოსტიუმი იყო.

* ავსტრიაში ყოველ წელს ტარდება მოყვარულ ევლოსიპედისტთა შეჯიბრებები. ორგანიზატორები სპეციალურად ამ ღონისძიებისთვის რამდენიმე ადამიანს ქირაობენ - ისინი მონაწილეთა ნასახალისებლად ფინიშთან ყველაზე გვიან მიდიან.

* ლოს-ანჯელესში, წარწერაში HOLLYWOOD, თითოეული ასოს სიმაღლე 15 მეტრია.

* სპეციალურად კოსმოსურ ხომალდ „იუნონასთისის“, რომელიც იუპიტერის შესასწავლად გაუშვეს კომპანია „ლეგომ“ ალუმინისგან სამი ფიგურა შექმნა: რომაული ღმერთის - იუპიტერის, მისი ცოლის - იუნონასი და გალილეო გალილეის.

* საბჭოთა პერიოდის დროს ყველაზე სუსტი „რკინის ფარდა“ უნგრეთს ჰქონდა - მხოლოდ ამ ქვეყანაში დადიოდნენ თავისუფლად ტურისტები, მათ შორის, დასავლეთ ევროპიდან და ამერიკიდან.



მშვიდ კუჭზე ვარჯიში ცხიმს არ წვავს

სირბილს გამაჯანსაღებელი ეფექტი მაშინ აქვს, თუ ადამიანი კვირაში ოთხჯერ, ნახევარი საათის განმავლობაში მაინც დარბის. მათ კი, ვინც ფიზიკურად მოუზადებელია, ორი თვე მაინც დასჭირდება შედეგის მისაღწევად. დაიწყეთ სირბილი კვირაში ორჯერ, ოცი წუთის განმავლობაში; დამატებით, კვირაში ორჯერ კი – ისეირნეთ.

სირბილი ბუნებრივი მოძრაობაა. ასე რომ, ყური უგდეთ საკუთარ სხეულს. ნუ შეუშინდებით მუხლის მაღლა აწევას და ტერფის წინ გაშლას. შეცდომა სირბილის დროს ცხვირით სუნთქვა. შეუძლებელია, ამ ხერხით ჟანგბადის იმ რაოდენობით შესუნთქვა, რომელიც კუნთებს სირბილის დროს ესაჭიროება. ისუნთქეთ პირით და ყურადღება მიაქციეთ, რომ ამოსუნთქვა ჩასუნთქვაზე ხანმოკლე არ იყოს.

სირბილი საჭიროა იმ ტემპში, როგორსაც შეძლებთ. ამ დროს საუბარიც უნდა შეგეძლოს. თუ ჰაერი არ გყოფნით და ბეჭებში ჩხვლეტას იგრძნობთ, ტემპი შეამცირეთ ან სწრაფ სიარულზე გადადით.

ზოგი ამტკიცებს, რომ დილით ვარჯიში მავნებელია, რადგან ორგანიზმს ისევ სძინავს; ზოგი კი ამბობს, დილით სირბილი მთელი დღის ტონუსს გვაძლევს. ორივე მასშინ, როცა ეს თქვენთვის ხელსაყრელია. თუ ადრე ადგომა გიჭირთ, საღამოობით ირბინეთ. ვარჯიშისთვის შეგიძლიათ, დასვენების დღეები გამოიყენოთ. თავდაპირველად, სწორი გზა შეარჩიეთ. აღმართი და დაღმართი კარგია, მაგრამ მათთან გასამკლავებლად ჯერ სწორად სირბილის ტექნიკა უნდა ათვისოთ და ორგანიზმის ამტანობა გაზარდოთ. სირბილის დროს, რაც უფრო ფართოა ტანსაცმელი, მით მეტია ჰაერის წინააღმდეგობა. შეარჩიეთ რაიმე მსუბუქი, ოფლგამტარი მისიური, ქარისგან დამცავი მოსაცმელი და პრაქტიკული სპორტული ფეხსაცმელი. დამწყებ მორბენლებში ტრავმების უმეტესობა ცუდი ფეხსაცმლის ბრალია. უხარისხო ფეხსაცმელი მძიმეა და ამიტომ, მეტისმეტად იტივრთება წვივები და ბარძაყები. ასევე, ისინი მინასთან შეხებისას არ ამორტიზირდება, რის გამოც ზიანდება მუხლები და ხერხემალი. კარგი სპორტული ფეხსაცმელი ხელს უწყობს ტერფის მდებარეობის სტაბილურობას, იცავს წვივ-ტერფის სახსარს, აუმჯობესებს მინიდან ტერფის აცილების ეფექტს.

მშვიდ კუჭზე ვარჯიში ცხიმს არ წვავს. თან, შეიძლება, შიმშილის გამო გულიც კი გაგიხდეთ ცუდად. ნახშირწყლების საკმაო რაოდენობის გარეშე ცხიმის წვა არ ხდება. ასე რომ, გირჩევთ, სირბილის დაწყებამდე ისაუზმოთ. კარგია ამ დროს შერეოს ფაფა, ხილი და ბანანი. ასევე, ხილის ან ბოსტნეულის წვენი. მინერალური წყალი მიიღეთ შეუზღუდავი რაოდენობით. სირბილის შემდეგ ჭამა კი თქვენს მიზანზეა დამოკიდებული: თუ გახდომა გსურთ, დასაშვებია მხოლოდ ადვილად ასათვისებელი მცირე ულუფა, მაგალითად, ხაჭო, მანონი, ბოსტნეულის სალათა. ვისაც ჭარბი წონა არ აწუხებს, შეუძლია, საკვების ჩვეულებრივი ულუფის მიღება.

თუ კუნთოვანი მასის გაზრდა გსურთ, სირბილის შემდგომ აუცილებლად მიიღეთ ნახშირწყლები და ცილებით მდიდარი საკვები.

როდის იწყავს სმენა დაქვეითებას

სმენის დაქვეითებას ბევრი დაავადება იწვევს. სმენის თანდათან დაქვეითებას კი, ადამიანი პროგრესულ სიყრუემდე მიჰყავს. სრული სიყრუე არის როგორც თანდაყოლილი, ასევე შეძენილიც. თანდაყოლილი სიყრუის მიზეზი შეიძლება, იყოს მემკვიდრეობითი, ორსულობის პერიოდში გადატანილი ინფექციები, მიღებული მედიკამენტები და ასე შემდეგ. სრული სიყრუე კი, შეიძლება, გამოიწვიოს ვირუსულმა ინფექციამ, დიდმა ხმაურმა, ოტოტოქსიკურმა პრეპარატებმა და ასე შემდეგ. სხვათა შორის, სიყრუეს ყბაყურაც იწვევს.

არსებობს ისეთი გაურკვეველი ეტიოლოგიის დაავადებაც, რომელიც უცარი სიყრუის, ანუ მწვავე ნევრიტის სახელით არის ცნობილი. კერძოდ, არის შემთხვევები, როცა ადამიანი ჯანმრთელი იძინებს, გამოღვიძების დროს კი ამჩნევს, რომ სმენა მკვეთრად დაქვეითებულია. ამ დროს შიგნითა ყურში სმენის ნერვის ნეიროეპითელზე ნერვის დაბოლოებები კვდომას იწყებს და სრული სიყრუეც კი შეიძლება, განვითარდეს.

ბავშვებში სმენის დაქვეითების მიზეზი ხდება ოტოტოქსიკური პრეპარატები ან დედის ორსულობის პერიოდში მიმდინარე დარღვევები. ასევე, გადატანილი ინფექციები – ყბაყურა, ქუნთრუმა, წითელა, მენინგიტი და სხვა.

ასაკის მატებას თან ახლავს სმენის დაქვეითება. ამას ფიზიოლოგიური სმენის დაქვეითება ეწოდება, რომელიც სმენის ნერვზე ასაკობრივი ცვლილებებისა და ნეიროეპითელის კვდომის გამო ვითარდება. სხვათა შორის, ამ დროს სმენის სრული აღდგენა შეუძლებელია, მაგრამ სიყრუის შეჩერება – შესაძლებელია.

ნაწილობრივი სმენის დაქვეითება ბევრი სახის შეიძლება იყოს, მაგალითად, ჩირქოვანი ანთების შემდგომი, ტრავმების შემდგომი, ოტოსკლეროზით გამოწვეული, ცხვირით სუნთქვის დარღვევის შედეგი და ასე შემდეგ. სრული სიყრუე კი ყოველთვის სმენის ნერვის პათოლოგიის შედეგია. სმენის ნერვის ნერვული დაბოლოებები ძალიან მგრძობიარე

და სუსტია. მასზე ადვილად მოქმედებს ყველა ოტოტოქსიკური ფაქტორი, მაგალითად, მედიკამენტები, ხმაური, ინფექციები. ასევე, სმენის დაქვეითების ერთ-ერთი რისკ-ფაქტორია სიგარეტის მოწევა და ალკოჰოლიანი სასმელების ხშირი გამოყენება. მედიკამენტებით სრული სიყრუის მკურნალობა ეფექტს ვერ იძლევა, მაგრამ თუ ეგრეთ წოდებული ნარჩენი სმენა აღინიშნება, მისი შემანარჩუნებელი მკურნალობა აუცილებელია. სიყრუის პროფილაქტიკას გაცილებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება, ვიდრე მის მკურნალობას, რადგან შესაძლოა, შეძენილი სიყრუის თავიდან აცილება. ასევე, აუცილებელია, მოერიდოთ ხმაურს, ორსულობის პერიოდში გადადებ ინფექციებს, ნერვულ სტრესს და ასე შემდეგ.

როგორი ხილი და პოსტნაული წვავს ორგანიზმში დაბროვილს ცხიმებს აკვილად

აუცილებელია, რომ ადამიანმა დიდი რაოდენობით ჭამოს ცხიმის დამწველი პროდუქტი. ცხიმების დამწველ პროდუქტებში კი შედის ყველა ის საკვები, რომელიც მნიშვნელოვანია არა მარტო დაბალი ენერგეტიკული ღირებულებებით, არამედ, ცხიმების დაწვის მაღალი უნარით.

* **ანანასი** შეიცავს ფერმენტ ბრომელაინს, რომელიც ბევრი გასასდომი პრეპარატის შემადგენლობაში შედის.

* **ავოკადო** ცხიმოვანი ხილია, მისი ცხიმი კი განსაკუთრებით სრულფასოვანი ცხიმწყავეა, რომელიც ნივთიერებათა ცვლის პროცესისთვის აუცილებელია. ავოკადოს ნაყოფი ხელს უწყობს სისხლში შაქრის მომატებას, ამავდროულად, აქვეითებს ინსულინის დონეს და მავნე ტკბილეულის მიმართ მოთხოვნილებას თრგუნავს.

* ცხიმების დაგროვების შემაფერხებლად ითვლება პარკოსნები – **ბარდა და სოია**. ეს მცენარეები შეიცავს საპონინებს, რომლებიც ქოლესტერინის მოლეკულებს დროებით აჩერებს, ანუ სანამ ისინი ნაწლავებიდან სისხლის მიმოქცევის სისტემაში მოხვდებიან.

* **სტაფილოსა და ვაშლში** შემავალი პექტინი საკვებ მასას ასეკლებს და ნაწლავებისკენ უბიძგებს; ასევე, აჩქარებს საჭმლის მონელების პროცესს და ხელს უშლის ცხიმების გარდაქმნას ცხიმოვანებად. უცხიმო პროდუქტების დიეტური ღირებულება კი ის არის, რომ, ცხიმების დაბალი შემცველობის გამო, შეგიძლიათ, რაციონში შეუზღუდავი რაოდენობით ჩართოთ. ეს განსაკუთრებით ეხება ბოსტნეულსა და ხილს. მათში კალორიები ცოტაა, სამაგიეროდ, ბევრია უჯვრედისი და სასარგებლო ფიტონაერთი.

* **კომბოსტო, სალათის ფოთლები და კიტრი** შეგიძლიათ, განუსაზღვრელი რაოდენობით მიირთვათ. მათ ორგანიზმიდან გამოაქვს ზედმეტი სითხე და საჭმლის მონელების პროცესს უწყობენ ხელს.

* **პომიდვარი** მდიდარია კალიუმით, რომელიც არეგულირებს წყალ-მარილის ცვლას ორგანიზმში, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს წონის სტაბილურობისთვის. ასევე, კარგია ამ მხრივ ვაშლის ძმარი, კერძოდ, გახსნილი



ექიმის რჩევები

1 ჩაის კოვზი ვაშლის ძმარი 1 ჩაის ჭიქა ანადულარ ცივ წყალში და უზმოზე დალიეთ. დღის განმავლობაში კი, სადილამდე და ვახშამამდე ათი წუთით ადრე, დალიეთ ნახევარ-ნახევარი ჭიქა. ის ბევრ ვიტამინს შეიცავს და ცხიმების დაწვის უნარი აქვს.

* რაც შეეხება **მწვანე ჩაის**, მის შემადგენლობაში ბევრი პოლიფენოლია, რომელიც აჩქარებს ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლას და ამით მეტი კალორია იწვება.

მეაუნა სამკურნალო პროდუქტია

მეაუნა გამოიყენება როგორც საკვებად, ასევე სამკურნალოდაც. მეაუნას ფოთლები შეიცავს დიდი რაოდენობით კაროტინს და ასკორბინის მჟავას, B₁, B₂, C და PP ვიტამინებს, მინერალურ ნივთიერებებს, კერძოდ კი რკინას, მაგნიუმს, ფოსფორს, გოგირდს, სილიციუმს. ასევე, ცილებს, შაქარს, ორგანულ მჟავებსა და მთრინილავ ნივთიერებებს.

სამკურნალოდ გამოიყენება მეაუნას როგორც ფოთოლი, ასევე ფესვი, ღერო და თესლი. მეაუნას აქვს ანთების საწინააღმდეგო, შარდმდენი, ჭრილობების შემახორცებელი და სისხლდენის შემამჩერებელი თვისებები. მეაუნა არ არის რეკომენდებული იმ ადამიანებისთვის, ვისაც ანუხებს წყლული, გასტრიტი ან ნიკრისის ქარი.

ნივთიერებათა ცვლის გასაუმჯობესებლად და მოსაწესრიგებლად, 1 სადილის კოვზ მეაუნას გამხმარ ფესვებს დაასხით 1 ჩაის ჭიქა მდულარ წყალი, გააჩერეთ დაახლოებით 20 წუთის განმავლობაში, გააცივეთ, გაწურეთ და დალიეთ 2/3 ჩაის ჭიქა, დღეში ორჯერ, ჭამის შემდეგ.

ქოლესტეროლის დროს 1 ჩაის კოვზ ახალგაზოგურულ მეაუნას ფოთლების წვენს დაუმატეთ ერთი ჩაის ჭიქა შაქრანი წყალი და დალიეთ დღეში ორჯერ, უმჯობესია, ჭამიდან ნახევარი საათის შემდეგ. ის, ასევე, კარგი ნალველმდენი საშუალებაა.

ეგზემის დროს 6 სადილის კოვზ დაქუცმაცებულ მეაუნას ფესვებს დაასხით 1 ლიტრი წყალი, გააჩერეთ ნახევარი საათით ნელ ცეცხლზე, შემდეგ გააგრილეთ და გაწურეთ. დაასველეთ ამ ნაყენში მარლა და დაიდეთ მტკიცე ადგილზე.

მეაუნას ფოთლები დიდი რაოდენობით შეიცავს რკინას, ამიტომ ის აუცილებლად უნდა მიიღოთ დაბალი ჰემოგლობინის დროს.

თუ კბილი გტკივთ, დალექეთ მეაუნას ფოთლები და ტკივილი აუცილებლად გაგივლით.

ალერგიის დროს კი, 1 სადილის კოვზ წვრილად დაჭრილ მეაუნას ფოთლებს დაასხით ორი ჭიქა წყალი, ადუღეთ დაახლოებით ათი წუთის განმავლობაში, ნელ ცეცხლზე და დადგით ნახევარი საათით ოთახის ტემპერატურაზე. დალიეთ 1/4 ჭიქა, ჭამამდე დაახლოებით 20 წუთით ადრე. სვით მცირე ყლოულებით ნელ-ნელა და სვენებ-სვენებით.

პომიდორი ადამიანის ორგანიზმისთვის აუცილებელი პროდუქტია

ყოველდღე 1 ჩაის ჭიქა პომიდორის წვენის დალევა ადვილად შეიძლება A ვიტამინის

პომიდორი: ჩემს გოგონას, რომელიც არის 14 წლის, როდესაც შია, უჩქარდება გული, მაგრამ, შეჭამს თუ არა, გადაუფულის. ეს რამე დაავადებაზე მიუთითებს?

პასუხი: აუცილებლად მაშინვე უნდა განისაზღვროს სისხლში გლუკოზის რაოდენობა, რათა დადგინდეს, ხომ არ არის ეს მდგომარეობა განპირობებული სისხლში გლუკოზის დონის მკვეთრი დაქვეითებით.

პომიდორი: პროსტატიტის სამკურნალოდ ჩემმა 65 წლის მამამ მიიღო, რომელსაც სვამდა დაახლოებით ერთი კვირა და დაწყებული ფარაათი. პრეპარატის მიღება აღდგომის დღეებს დაემთხვა და, იქნებ, ზედმეტი საკვებით გადაიტვირთა? შეეძლო ომნიკს, ფარაათი გამოეწვია?

პასუხი: რთულია, ერთმნიშვნელოვანი პასუხი გაცეთ, რადგან, პრეპარატის გვერდითი მოქმედება შეიძლება გამოვლინდეს როგორც დიარეის, ისე ყაბზობის სახით, თუმცა, არც უკონტროლოდ მიღებული საკვების მიზეზი გამოირიცხება. თუ ფარაათი ამ დრომდე გრძელდება, ნებისმიერ შემთხვევაში, რა მიზეზითაც არ უნდა იყოს გამოწვეული, გასტროენტეროლოგს უნდა მიმართოთ.

პომიდორი: თორმეტგოჯა ნაწლავის წყლის დროს რაე ნორმაში იქნება?

პასუხი: თუ პროცესი განმავადების ფაზაშია, მაშინ, ედსი (ეგრეთ ნოდებული როე) შეიძლება მაღალი იყოს.

პომიდორი: ერთი წელია, მარჯვენა ფეხი მიბუფდება, ახლა უკვე სიარულის დროსაც ხშირად დამენჯო დაბუფება და ყოველ დამით, დანოლის დროსაც, გთხოვთ, მირჩიოთ, ვის მივმართო და

რისი ბრალი შეიძლება იყოს?

პასუხი: ასეთი ჩივილის შესაძლო მიზეზი სისხლძარღვების ან ნერვის პათოლოგიაა. საჭიროა ხერხემლის სვეტის გამოკვლევა, რისთვისაც ორთოპედ-ვერტებროლოგს უნდა მიმართოთ. შედეგებიდან გამომდინარე, შესაძლოა, საჭიროდ ჩაითვალოს ნევროპათოლოგის ან ანგიოლოგის კონსულტაცია.

პომიდორი: რას ნიშნავს „რედსინდრომი“? ქართული დასახელება არ ვიცი.

პასუხი: ალბათ, გულისხმობთ red man syndrome-ს – ეს არის რეაქცია მედიკამენტ ვანკომიცინზე, რომლის გადასხმის დაწყებიდან 5-10 წუთის განმავლობაში შეიძლება აღმოცენდეს მთელი სხეულის სინითლე.

პომიდორი: მყავს 3 წლის ბიჭი რომელსაც აღენიშნება ბრტყელტერფიანობა. ექიმმა გვითხრა, 5 წლამდე თავისით გასწორდება. გთხოვთ, მირჩიოთ, როგორ მოვიქცე, რადგან, ეჭვი მეპარება, რომ თავისით გასწორდეს. არ მომწონს, ასევე, მისი ნეკნები – ქვედა ნეკნები ოდნავ გამონული აქვს და ხშირად ოფლიანობს.

პასუხი: ზოგადად, ტერფის თაღები 6-7 წლის ასაკში ყალიბდება, მაგრამ, ბრტყელტერფიანობისკენ მიდრეკილება ბავშვს შეიძლება 1 წლის ასაკიდანაც კი შენიშნოს მშობელმა. ასეთ დროს ორთოპედის კონსულტაცია საჭიროა. რაც შეეხება ოფლიანობასა და ნეკნების დეფორმაციას, შეიძლება, ეს ნიშნები კალციუმისა და D ვიტამინის დეფიციტს (რაქიტს) უკავშირდებოდეს. გირჩევთ, ბავშვი გამოცდილ პედიატრს აჩვენოთ.

რუბრიკას უძღვება ოჯახის ექიმი ბაია ნუსუბიკა

ინის დეფიციტს, რადგან, დაახლოებით 200 მილილიტრი პომიდორის წვენი 1 მილიგრამ კაროტინს შეიცავს, რომლის დღიური ნორმა 3 მილიგრამია. კაროტინი ადამიანის ორგანიზმში A ვიტამინად გარდაიქმნება.

პომიდორში, ასევე, ბევრია სხვა მნიშვნელოვანი ვიტამინებიც: B₁, B₂, C, PP და K; ასევე, ფოლიუმის მჟავა და მინერალური მარილები.

პომიდორში მცირე რაოდენობით არის: ცილები, გლუკოზა, ფრუქტოზა, საქაროზა და ორგანული მჟავები, კერძოდ, ვაშლისა და ლიმონის მჟავა, რომლებიც აუმჯობესებს საჭმლის მონელების პროცესს და ამცირებს ნაწლავური ბაქტერიების ზრდას. ამ თვისებების გამო, პომიდორი სამკურნალო და პროფილაქტიკური პროდუქტია.

პომიდორი თქვენს ორგანიზმს კაროტინით ამარაგებს.

სხვათა შორის, პომიდორი განსაკუთრებით სასარგებლოა გულ-სისხლძარღვთა სისტემის, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის სამკურნალო-



ოდ, გაცხიმოვნებისა და მარილოვანი ცვლის დარღვევის დროს.

პომიდორის რბილობი უებარი წამალია ჩირქოვანი იარების მოსაშუშებლად. მასში შემავალი კალციუმი და C ვიტამინი აუცილებელია ორსული ქალებისთვის.

გვერდები მოამზადა ნონა დათუბიკა



რისგან ავხალბდა სესილია თაყაიშვილი გასაოცარ ბრძენ და რაბომ ააბირა მან ლეხენდარული ბრიტანული ჯგუფის, „პინკ ფლოიდის“ დამაარსებელი როჯერ უოტერსი

„როცა მათხოვარს თამაშობ, უნდა გვეროდეს, რომ მათხოვარი ხარ; როცა ინგლისის დედოფალს თამაშობ, უნდა გვეროდეს, რომ დედოფალი ხარ“... სესილიას მათხოვრისა და დედოფლის როლებსა არაფერი ვიცი, ვიცი მხოლოდ ის, რომ 1955 წელს, მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე, მილერის „მარიამ სტოუარტში“ დედოფალი ელისაბედი ითამაშა, მაგრამ, ოღონდ ბებია – სახე, რომელიც მან „მე, ბებია, ილიკო და ილარიონში“ შექმნა, მის მიერ შესრულებული ყველა როლისგან ყველაზე შთაბეჭდილი და ძლიერია. იმისათვის, 55 წლის სესილია 70 წლის ოღონდ ბებიად რომ გადაქცეულიყო, წინა საღი კბილების ამოღება მოუწია. გარდა ამისა, ყველამ იცოდა, თუ რა საოცარი ოსტატობით აკეთებდა გრიმს, რაც მან საგანგებოდ შეისწავლა თავისი მასწავლებლისგან, საიმპერატორო თეატრის მსახიობ კრუჩინინისგან. ოღონდ ბებიას გრემი მართლაც რომ დაუნიჭყარია. ვერიკო ანჯაფარაძეც აღნიშნავდა, რომ სესილია არაჩვეულებრივად, უნაკლოდ უკეთებდა გრიმს, რაც თვითონ არ გამოსდიოდა.

გაჩოვა აარჩია, მაგრამ, ისევ და ისევ უოტერსმა, რომ მათხოვარსა შეხვედრად ითხოვა. მოკლედ, ორივე ვერსიაში კარგად ჩანს, რომ სესილია მუსიკოსის ძალზე მოსწონდა. (წყარო: ITV.ge)



„სესილიას მომხიბვლელი გარეგნობა არ ჰქონია. იგი საშუალო გარეგნობის ქალი იყო, რომლის სახეც და სხეულიც ნებისმიერ ცვლილებას ექვემდებარებოდა. სურათების გადაღება არ უყვარდა. მისი რამდენიმე სცენური სახე არ არის გადაღებული, განსაკუთრებით – კარიერის დასაწყისში. მოგვიანებით, როცა სახელგანთქმული გახდა ფოტოკორესპონდენტები გადაღებას სთხოვდნენ, უარს ვერ ეუბნებოდა. რაც დარჩა, იმ ფოტოებიდან ცხადად ჩანს, რომ საკუთარი გარეგნობით არასდროს დაინტერესებულა – არც თვალზე შეუღებავს, არც ვარცხნილობებს იკეთებდა, მზერა კი ნამდვილად ცვლებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი პოპულარული ადამიანი იყო, არ აინტერესებდა ჩაცმა-დახურვა, მოდას არასდროს აპყროლია – ამის არც სურვილი ჰქონდა და არც საშუალება. თავისი ჩაცმის სტილით ის უფრო სკოლის მასწავლებელს მოგაგონებდა. ასეთი იყო მისი სახლიც, სადაც, დღიდან გასუ-

კუთარი თვლით უნდა ენახა, თავისი ყურით გაეგონა. საერთოდ, მშვიდად ლაპარაკი არ შეეძლო. არაფრის მიმართ არ იყო გულგრილი, მაგრამ, ცრემლიანი სესილია არავის უნახავს. ძალიან შრომისმოყვარე ქალი გახლდა – თავდაუზოგავად შრომობდა როგორც შინ, ისე გარეთ. ყველაფერი მისი საზრუნავი იყო: შვილოშვილების სკოლა, მერე – უმაღლესი, საგზურები, აგარაკზე წაყვანა ნამოყვანა... მისთვის არაფერი იცვლებოდა არც პირად ცხოვრებაში და არც ხასიათში. საზრუნავი მხოლოდ ემატებოდა, მაგრამ, არც არავის უთმობდა. ის იყო დამოუკიდებელი ადამიანი და თავისუფალი შემოქმედი. ბავშვობაში, თურმე, ყველას აკვირდებოდა...



მოგვიანებით, თეატრიდან ნამოსვლის შემდეგ, შექმნა „ერთი მსახიობის თეატრი“ და მეგობრების წრეში ხან ეის თამაშობდა, ხან – ეის. უყვარდა განწყობათა კონტრასტი – ცრემლი, რისხვა, სიხარული, შიში, სიცილი.



– ძალიან ბევრ ქვეყანაში და ეს ჩემი ჰობია. მე გეტყვით, სად არ ვარ ნამყოფი და, ესენია: იაპონია, ჩინეთი და შვეიცარია. დანარჩენი, ყველგან გახლდით. არ მეტყულება ადამიანი, ვისაც მოგზაურობა არ უყვარს და ვფიქრობ, ყველა იმისთვის ვართ დაბადებული ამქვეყნად, რომ, რაც შეიძლება, ბევრი ახალი ქვეყანა ვნახოთ და შევიგრძნოთ უცხო გარემოს ხიბლი. ამაზე დიდი სიამოვნება, სხვა რა უნდა იყოს, არ ვიცი. ადამიანს რომ კითხავენ, რა გიყვარს ყველაზე მეტად და რა განიჭებს ყველაზე დიდ სიამოვნებასო. ზოგი პასუხობს, ჭამა, სიყვარული, მანქანა, აგარაკიო, მე კი დაუფიქრებლად ვპასუხობ, მოგზაურობა-მეთქი. ხან პარიზში ვარ, ხან ამერიკაში, ხან ისრაელში და ხან ესპანეთში.

ყველაზე მეტად რომელმა ქვეყანამ მოგხიბლა და სად აღმოჩნდი არარეალურ სამყაროში?

– ყველაზე მეტად ისრაელი მხიბლავს და ვგრძნობ ამ ქვეყანაში როგორ ვვარდები ტრანსში, სხვა განზომილებაში ვარ და თითქოს არაამქვეყნიური ვხდები. ამის ენით გადმოცემა, ცოტა რთულია. ფეხით მაქვს მოვლილი და ვგრძნობ მისი ძველი ადგილები, ქუჩები, მცენარეები და მინაც კი, როგორ ზეგავლენას ახდენს ჩემზე, უხილავი ენერჯით როგორ მავსებს. ამ არარეალურ სამყაროში ძალიან ბევრჯერ ვარ ნამყოფი და ვფიქრობ, ღმერთის საჩუქარია – იქ ჩავიდე და შევიგრძნო ამ ქვეყნის ემოცია, მისტიკური სიყვარული და არაამქვეყნიური შერქმევა. ემოციური ადამიანი კი ვარ, მაგრამ ეს ქვეყანა ისეთი შთამბეჭდავია, ვფიქრობ, მის უნიკალურ აურასთან, რაღაც უხილავი ძაფით ვარ მიჯაჭვული, ემოციებით გარშემორტყმული.

ესე იგი, იერუსალიმი არის ადგილი, სადაც შენ ზღაპრულ გარემოში ხვდები. მაგრამ, თუ არის ქვეყანა, სადაც თავს მე-

ტად თავისუფლად გრძნობ და სიყვარულიც გეძალბა?

– არის ასეთი ქვეყნები და ახლავე მოგახსენებ. მაგალითად, ძალიან მიყვარს ესპანეთი, ის ცეცხლოვანია, ვგრძნობ, როგორ მიორმაგდება ენერჯია. აი, პარიზში, ვარ ზედმეტად რომანტიკული. ეს ქვეყანა რომანტიზმის ცენტრია და როგორ შეიძლება, იქ ჩასული ადამიანი რომანტიკაში არ ჩაიძიროს. პარიზში რომ ვარ, არ მინდება სიმღერა, მინდა ვიჯდე, ვნრუპო ღვინო და ვუსმინო სხვების შესრულებულ, რომანტიკულ კომპოზიციებს. ანუ, საფრანგეთი ის ადგილია, სადაც არ მემღერება და მხოლოდ სიყვარულით ვტკბები. სხვათა შორის, პარიზი თბილისს მაგონებს, თავისი სიმშვიდით და შინაგანი ატმოსფეროთი. სულ მიკვირს მათი, ვინც უცხოეთში შოპინგებზე დაარბის, მაღაზიიდან მაღაზიაში გადადის და დატვირთული ბრუნდება გვიან სასტუმროში. არ ჯობია, ფეხით იარო, დაათვალიერო ქალაქი, მოინახულო უცხო ადგილები და ამით დატკბე? თუ ქვეყნის სანახავად მიდიხარ, ასეა, მაგრამ თუ საყიდლებზე, მაშინ გასავე-



პარიზში რომ ვარ, არ მინდება სიმღერა, მინდა, ვიჯდე, ვნრუპო ღვინო და ვუსმინო სხვების შესრულებულ, რომანტიკულ კომპოზიციებს

ხან პარიზში ვარ, ხან ამერიკაში, ხან ისრაელში და ხან ესპანეთში და ამაზე დიდი სიამოვნება, გმრ ნარამიძეა

ბია. ბევრი ვიცი, ჩადის უცხოეთში და რომ ჰკითხოთ რა ნახეო, მაღაზიის სახელების მეტს ვერაფერს გეტყვის. რასაკვირველია, მეც ვყვილდობო რალა-რალა-რალა, მაგრამ გემრიელი ექსკურსია და ამ ქვეყნის გემრიელობების დაგემოვნება, ყველაფერს მიჩვენია.

მგზავრობას როგორ იტან? დისკომფორტი არ გაქვს, ხშირად თვითმფრინავში რომ გინეცს ყოფნა?

– ვგიჟდები თვითმფრინავით მგზავრობაზე. მანქანით გადაადგილებას, ისევე ცაში გამოკიდება მიჩვენია და სულ ვამბობ, აერო-

პორტია ჩემი სახლი. ყველაზე კარგად ცაში ვგრძნობ თავს და მეზუმრებიან, ახლა ყველაფერის ყიფა მოსულა, იქნებ ერთი ღრუბერი იყიდო და იქ პატარა სახლი ააშენო, მაინც სულ ღრუბლებში ხარო *(იცინის)*. ამაზე, მართლა დაფიქრდი, კარგი დედაა *(იცინის)*. კი, იტყვიან, ნუცამ გააფრინა, ღრუბელს ყიდულობსო, მაგრამ მარსზე რომ ყიდულობენ ადგილებს, აბა, ესაა დალაგებულობა? *(იცინის)*.

უამრავ ქვეყანაში ხან ნამყოფი და თუ დააკვირდი, უფრო მეტად რომელ ხალხთან გვაქვს საერთო ქართველებს?

– ესპანელები ძალიან გვანან ქართველებს, თავისი ენერჯიულობით, სიფიქსით, ხისტი ხასიათით. მეცნიერებმა დამტკიცეს კიდევ, რომ ძველი ბასკები, წარმოშობით ქართველები იყვნენ. ასე რომ, საქართველოს და ესპანეთს ძალიან დიდი საერთო აქვს. იტალიელებს თეატრალური ხაზით ვამსგავსებ ჩვენს ხალხს, ზრალიღილებს კი – ძლიერი ბუნებით. მე სულის რეინკარნაციის მჯერა და ვამბობ ხოლმე, აუცილებლად, ნინა ცხოვრებაში, ეგვიპტელი ვიყავი, იქიდან მოდის ჩემი ფესვები-მეთქი. როგორც ისრაელში ვხვდები სასწაულ განწყობაზე, ზუსტად იგივე მემართება ეგვიპტეშიც. თუმცა, განსხვავება ის არის, რომ ებრაელები ჭკვიანები არიან, შეინარჩუნეს თავისი სულიერება და ძველს ფაქიზად დააშენეს ახალი ცივილიზაცია. ეგვიპტეში კი სფინქსისა და პირამიდების გარდა, თავისი ისტორიის ძარღვი დაკარგა. ასე რომ, დანამდვილებით ვიცი, მე ეგვიპტეში დავიბადე ნინა ცხოვრებაში, რადგან პირამიდებზე, მის ყოველ კვიმასა და სასწაულ შავ-

აზე ნოსტალგიას ჭკუიდან გადავყავარ და ხშირად მანუხებს. ეს ამოუცნობი ქვეყანაა და მისი ბოლომდე ამოცნობა შეუძლებელია.

უცხოეთში საინტერესო ამბები თუ გადაგხდენია თავს?

– უამრავი ისტორია მაქვს ასეთი გასახსენებელი, მაგრამ მე მოგიყვებით ფაქტებს, როცა ნამდვილად მივხვდი, სად ვიყავი და რა გარემოცვაში აღმოვჩნდი. მოკლედ, რომში, ცენტრში, რესტორანში გახლდით. კარგად გვახელით და გამოვედი. ჩავჯექი ტაქსიში და სასტუმროში აღმოვაჩინე, რომ საფულე მაგიდაზე დამრჩა. დაბრუნდი რესტორანში და გინდ დამიჯერე, გინდ არა, საფულე ისევ იმ მაგიდაზე, ხელუხლებელი დამხვდა. საქართველოზე რომ არ ვისაუბროთ, რუსეთში, ქინძისთავი რომ დავიგარდეს ქუჩაში, იმის აღება ვერ მოასწრებ, ისე აგნაპნაან ცხვირწინ *(იცინის)*. ამას წინათ, ჩემმა ამერიკელმა მეზობელმა საცხოვრებელი შეიცვალა. გადავიდა და ორი დღის მერე დამირეკა, რომ გადავიდიოდი, ტელეფონი ამომივარდა სადარბაზოში და გეხვეწები, ხახეო. ჩავედი და იქ იყო. ტელეფონი კი არა, კანს ვართ რომ დავტრჩხე ფეხი მოსკოვში, იმას წაგლეჯენ *(იცინის)*.

ნონა ლათიჟიძე



კლასნაოვის გაგზირაჲ ვლახარა შენობის სარაჲში 50 წლის განმავლობაში 6 ტონა ოქრო ინახებოდა

კრალჩეკის საჩუქარი

1920 წელს ჩეხეთის საეკსპედიციო კორპუსის ხელმძღვანელობამ, რომელიც ადმირალ კოლჩაკის მხარეზე იბრძოდნენ კომუნისტების წინააღმდეგ, კოლჩაკს უღალატეს, შეიპყრეს და კომუნისტებს გადასცეს. იმ დროს კოლჩაკი ციმბირის უმაღლესი მმართველი იყო და რუსეთის იმპერიის ოქროს მარაგი ჰქონდა, რომელიც 506 ტონა ოქროს ზოდებისგან შედგებოდა. კოლჩაკს ამ მარაგის გადასაღებად სურდა. ის იმედოვნებდა, რომ კომუნისტებს დაამარცხებდა, რუსეთში იმპეროლ მმართველობას აღადგენდა და თავის სამშობლოს სიმდიდრეს დაუბრუნებდა. თუმცა, მოლაპატე ჩეხები კომუნისტებს გაუჩინებდნენ, კოლჩაკი გასწირეს და 200 ტონა ოქრო, ფაქტობრივად, მოიპარეს, თავის სამშობლოში ჩაიტანეს და ჩეხეთის ოქროს მარაგს დაუდეს სათავე. მართალია, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ სტალინმა ორმაგად აზღვევინა ჩეხებს და ორჯერ მეტი ოქრო დააბრუნა საბჭოთა კავშირში, მაგრამ ჩეხი სამხედროების მამინდელი საქციელი ძალიან დიდი მასშტაბის კრიმინალური ქმედება იყო. ამგვარად, ირკუსტიკიდან ყაზანში წამოღებული 506 ტონა ოქროდან, თათრეთში მხოლოდ 300-მა ტონამ ჩააღწია. დანარჩენი 206 ტონა ოქრო ჩეხებმა სხვა გზით წაიღეს და მდევარი წითლებისთვის რომ თავგზა აერიათ, 200 ტონა ოქრო ჩეხულბერძე ტომრებში გადააწყვეს და მშვიდობიანად ჩაიტანეს პრალაში. დანარჩენი 6 ტონა ოქრო კი, რომელიც 10-10 კილოგრამიანი ზოდებისგან შედგებოდა, თორმეტი ყუთით თბილისში წამოიტანეს და ეროვნულ ბანკში ჩააბარეს შესახადად. ოქროს კურატორი ჩეხი მაიორი იერუი კრალჩეკი იყო. მან დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობას განუცხადა, რომ ოქრო ჩეხეთის კუთვნილება იყო და თანდართული ყალბი საბუთებიც წარადგინა. ამავდროულად, მოსკოვში შეიტყვეს, რომ რუსეთის იმპერიის ოქროს მარაგის ნაწილი საქართველოში იყო და ნოე ყორდანისა დაუყოვნებლივ მოსთხოვეს მისი დაბრუნება. სანამ წითლები ჩეხურ აფერას გააძვრავდნენ, ეგონათ, რომ თბილისში 206 ტონა ოქრო იყო. ყორდანისმა ლენინს საპასუხო ტელეგრამა გაუგზავნა და აცნობა, რომ თბილისში მხოლოდ 6 ტონა ოქრო იყო შენახული ბანკის საცავში და მისი უკან დაბრუნების მზადყოფნა განაცხადა. მაიორი კრალჩეკი კი დააპატიმრეს. მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღძრეს სხვისი ქონების ქურდობისა და საბუთების გაყალბების მუხლით. 1920 წლის 30 აგვისტოს, თბილისში მოსკოვიდან კომისარი ანტონ ჩხაიძე ჩამოვიდა, რომელსაც სპეცვაგონით 6 ტონა ოქრო და მაიორი იერუი კრალჩეკი უნდა წაეყვანა. 600 ცალი ათკილოგრამიანი ზოდები, რომლებიც ორმოცდაათ ყუთში იყო ჩალაგებული, სატვირთო მანქანაზე მოათავსეს და თბილისის რკინიგზის სადგურისკენ გაამგზავრეს. თუმცა, სატვირთო მანქანა, აწყობილი მარჯანიშვილის მოედნის კუთხეში აღმოჩინეს. ოთხ შეიარაღებულ ჯარისკაცს მაგ-

რად ეძინა დახურულ საბარგულში. კრალჩეკი კაბინაში თვლემდა. ხოლო კომისარი ანტონ ჩხაიძე და 6 ტონა ოქრო უგვალოდ გამქრალ-იყო. შემთხვევის ადგილის დეტალიზებამ გამოძიებლებს არაფერი მისცა კრალჩეკი და ჯარისკაცები კი ერთხმად ამტკიცებდნენ, რომ რაღაც კვალი შეისუნთქეს და მას მერე ღრმად ჩაეძინათ. კრალჩეკმა ისიც დააბატა, რომ ჩხაიძემ აირინალი გაიკეთაო სახეზე... მიუხედავად იმისა, რომ კრალჩეკი საბჭოთა რუსეთისთვის იყო გადაცემული და მისი ექსტრადაცია უნდა განხორციელებულიყო, მიულოდნელად მისი საქმე დახურეს და ის ჩეხეთში გაიშვეს, რუსეთს კი განუცხადეს, რომ ჩეხი მაიორი უდანაშაულო იყო...

ორმოცდაათი წლის ვაჟა

მარჯანიშვილის მოედანზე გაუჩინარებული ოქრო ჯერ დამოუკიდებელი საქართველოს უმწიროების ორგანიზებმა ეძებეს, მაგრამ ყოველად უშედეგოდ. შემდეგ კი ამ ოქროს „მეკა“ ეძებდა და ვერც მათ იპოვეს რამე. პარალელურად კი კომუნისტური უმძიროების ორგანი-

„ბაბუას“ სანჯუჭუჭა კონტინენტში 6 ტონა ოქროს ზოდები აღმოაჩინეს, რომლებზე ცამოაპიანი პრესი იყო აპოტეოზური

ები კომისარ ანტონ ჩხაიძის ძებნითაც იყვნენ დაკავებული, მაგრამ ვერც ის აღმოაჩინეს. ჩხაიძე სტალინის გამოგზავნილი იყო საქართველოში და მისი პოვნითა და სამაგალითოდ დასჯით პირადად დიდი ბეღადი იყო დაინტერესებული. მიუხედავად ამისა, ჩხაიძის კვალი ვერსად აღმოაჩინეს...

1970 წლის თებერვალში საბჭოთა კავშირში ამერიკის შეერთებული შტატების დიდი დელეგაცია იყო ჩამოსული, რომელშიც ბიზნესმენებიც შედიდნენ. იმ პერიოდში ამ ორი სუპერ-საბელმნიფოს ურთიერთობები ერთგვარად დაბა და საბჭოელებმა „რკინის ფარდა“ დროებით ასწიეს... 25 თებერვალს, ანუ საქართველოს გასაბჭოების დღეს, თბილისს ამერიკული დელეგაციის ერთი ჯგუფი ეწვია, რომელშიც ბიზნესმენი, დევიდ ჩოისი შედიოდა. მას ამერიკაში სასადილოების ქსელი ჰქონდა და თბილისში ორი ასეთი სასადილო გახსნის სურვილი გამოთქვა. ამ საკითხებს მოსკოვი წყვეტდა. საქართველოს „ცეკამ“ მოსკოვში წერილი გაგზავნა, რომელშიც ამერიკელი ბიზნესმენის სურვილზე იყო ლაპარაკი. მოსკოვმა ორი დღის მერე თანხმობა განაცხადა და წერილი ეწერა: „ჩოისის მოთხოვნის ფართები გამოუყავით“. საქართველოს „კავებემ“ კი ცენტრალური უწყებიდან ბრძანება მიიღო, რომ ჩოისისთვის თვალყური ედევნებინათ და დაედგინათ, თუ რეალურად რას ისახავდა მიზნად 30 წლის ამერიკელი ბიზნესმენის წინადადება.

დევიდ ჩოისმა სასადილოს გასახსნელად პლენანოვის გამზირზე მდებარე შენობის პირველი სართული და სარდაფი მოითხოვა, სადაც დღეს ერთ-ერთი კომერციული ბანკის ფილიალია. მეორე სასადილო კი, მას რუსთაველის გამზირზე უნდა გაეხსნა. ამერიკელი ბიზნესმენი, კონტრაქტის მიხედვით, სასადილოს რემონტსა და კეთილმოწყობას ამერიკიდან ჩამოიტანილი მასალითა და მუშახელით ახო-

რცილებდა. ამისთვის კი ის თავისი ფირმის მიერ დაქირავებული, მცირე სატრანსპორტო თვითმფრინავით სარგებლობდა. მოსამზადებელი საშუალები მარტის შუა რიცხვებიდან დაიწყო და „კავებემ“ თვალთვალი გააძლიერა.

ჩოისზე მიმავრებული, თორმეტკაციანი ჯგუფს, მაიორი როსტომ ჩიტაია ხელმძღვანელობდა. ის რეველარულად აგზავნიდა მოსკოვში ანგარიშს თავისი მუშაობის შესახებ და დირექტივებსა და ინფორმაციებს იქიდანვე ღებულობდა. 29 მარტს მაიორი ჩიტაია პირადად ინაურმა გამოიძახა და უთხრა:

– მოსკოვიდან ცნობა მივიღე, რომ დევიდ ჩოისი ანტონ ჩხაიძის შვილიშვილია. ის ოციანი წლების დასაწყისში კომისარი იყო და თბილისში 6 ტონა ოქროს წასაღებად ჩამოვიდა. შემდეგ კი ეს ოქრო გაქრა და მას უკვე ორმოცდაათი წელია, ეძებენ.

ქართველ ჩეხისტებს, ისევე, როგორც მოსკოველ უფროსობას, ჩოისი ჯაშუში ეგონათ. თუმცა, ამერიკაში მოღვაწე საბჭოთა რეზიდენტის მიერ ჩოისზე მოპოვებულმა ცნობებმა სულ სხვა შედეგი გამოიღო და ნათელი გახდა, რომ ანტონ ჩხაიძის შვილიშვილი, ბაბუას მიერ გადაძალადული ოქროს მოძებნასა და მის ამერიკაში გატანას აპირებდა. მით უმეტეს, რომ ჩოისის ფირმის მიერ დაქირავებული სატვირთო თვითმფრინავს არ ჩხრეკდნენ და მთავარი იყო მასზე ოქროს ზოდები დაეტვირთათ...

რუსეთის იმპერიის ოქრო

1970 წლის 12 მაისს საქართველოს უშიშროების კომიტეტის სპეციალურმა ოპერატიულმა ჯგუფმა, რომელსაც როსტომ ჩიტაია ხელმძღვანელობდა, თბილისის აეროპორტში, ამერიკული კონტინენტის თვითმფრინავის ტრაპთან ორი კონტეინერი დააკავეს. მაიორმა ჩიტაიამ დევიდ ჩოისი მანქანიდან გამოიხმო და ჰკითხა:

- კონტეინერებით რა გადაგაქვთ?
- ჩემი მუშების სპეციალური ვიზა და სამშენებლო საშუალებისთვის საჭირო ხელსაწყოები. რაშია საქმე?
- კონტეინერები უნდა შევამოწმო. გახსენით!

დევიდ ჩოისი დაუწინებოდა მოითხოვდა კონტეინერების თვითმფრინავში ჩატვირთვას და მათი გახსნის სასტიკი წინააღმდეგ იყო. თუმცა არაფერი გამოუვარდა და როდესაც ჯერ კონტეინერები გახსნეს, შემდეგ კი იქ მოთავსებული ხის ყუთები, მზის შუქზე ბაჯადლო ოქროსგან ჩამოსხმული ოქროს ათკილოგრამიანი ზოდები აღუვარდა, რომლებსაც რუსეთის იმპერიის ორთავიანი არწივი ჰქონდა ამოტვიფრული. დევიდ ჩოისი შევჩნეკოს ქუჩაზე მიიყვანეს, „კავებემ“ შენობაში, დაკითხვაზე, სადაც მან თქვა:

– ეს ოქრო ბაბუაჩემმა, ანტონ ჩხაიძემ და მისმა ორმა მეგობარმა, ყოველგვარი სისხლის გარეშე გაიტაცეს და თბილისში გადაძალეს. შემდეგ სამივე ჯერ თურქეთში გაიტაცა, შემდეგ ამერიკაში და იქ ერთობლივი ბიზნესი წამოიწყეს. ბაბუას მეგობრები ჯერ კიდევ ოციან წლებში დაიღუპნენ. ბაბუაჩემი კი ხუთი წლის წინ გარდაიცვალა და სიკვდილის წინ გამანდო რუსეთის იმპერიის ოქროს საიდუმლო...

დევიდ ჩოისი და მისი თანხლები პირები საბჭოთა კავშირიდან გააძევეს, სასადილოების მშენებლობა კი გააუქმეს და იქ სხვა ობიექტები გახსნეს. რუსეთის იმპერიის კუთვნილი 6 ტონა ოქრო, კიროვის ქუჩაზე მდებარე, ცენტრალური ბანკის სარდაფში შეინახეს, სადაც ის ერთხელ უკვე ინახებოდა. თუმცა, 1990 წლის დასაწყისში, როდესაც უკვე ნათელი იყო, რომ საბჭოთა კავშირი სულს დაფავდა, ის ოქრო და კიდევ სხვა საგანძურის საიდუმლოდ გაიტანეს ბანკიდან და მოსკოვში წაიღეს...





როგორ შექმნა ქალბა საყვარლის მკვლელ ქმარს მყარი პლიზი და რა დაუფიქრეს მათ კალაზა

54 წლის მერაბ გ-რის ცხედარი სამართალ-დაცველებმა საკუთარ ბინაში აღმოაჩინეს. გარდაცვლილს სასტიკად ჰქონდა დასახირობებული სახე. ბასრი საგნით კი, მიუღი ტანში ჰქონდა დასერილი. შემთხვევის ადგილზე მისულ სამართალდამცველებს ბინაში განზრახ მკვლელობის რეალური სურათი დახვდათ – ნახევრად შიშველ მდგომარეობაში მყოფი გარდაცვლილი მამაკაცი სამზარეულოს მაგიდის ფეხზე მოებდა, სუფრა კი გამოვლილი იყო. არყის დაცლილი ბოთლი და საჭმლის ნარჩენები მიუთითებდა, რომ მკვლელმა დანაშაულის ჩადენამდე, მასპინძელთან ერთად დალია, შემდეგ კი სასტიკად გაუსწორდა.

წინასწარი მოკვლევით გამოძიებისთვის ცნობილი გახდა, რომ მერაბ გ-რი საკუთარ ბინაში მარტო მას შემდეგ ცხოვრობდა, რაც ცოლს გამოირდა. მისი მეუღლე ქალიშვილთან ერთად საცხოვრებლად საბერძნეთში გადავიდა. მერაბ გ-რი წარსულში ორჯერ გახლდათ ნასამართლეთი – ერთხელ ხულოგნობისთვის, მეორედ ნარკოტიკების რეალიზაციისთვის. ამ დანაშაულისთვის მან გოსოსებს მიღმა რვა წელი გაატარა. ციხიდან გამოსულს ცოლ-შვილი საბერძნეთში წასული დახვდა. მათთან თავიდან ურთიერთობა ჰქონდა, თუმცა მკვლელობამდე ერთი წლით ადრე, ცოლ-შვილმა მასთან კავშირი განწყვიტა. მერაბ გ-რი მარტოხელა კაცის ცხოვრებას ეწეოდა. მას ხშირად ესტუმრებოდნენ ხოლმე ძველი მეგობრები თუ „ამფონები“.

ვინ იყო მკვლელობის დამსჯარდაცვლილის სტუმარი, გამოძიებისთვის იქამდე უცნობი გახლდათ, სანამ ამის შესახებ გარდაცვლილის ერთ-ერთმა მეზობელმა არ განაცხადა. პროფესიით ექთანმა ქალბატონმა გამოძიებას უთხრა, რომ მკვლელობის დამსჯარდაცვლილის ოთხ საათზე, როდესაც ავადმყოფ მეზობელთან გადადიოდა ნემსის გასაკეთებლად, მერაბ გ-რის ბინიდან გამოსული კოტე ი-ძე შეინწა. მის დანახვისთანავე ქალბატონმა გეზი შეიცვალა და სხვა მეზობლის ჩიხში შევიდა. ქალბატონის განცხადებით, ამას ყურადღება მხოლოდ მეორე დღეს მიაქცია, როდესაც მერაბ გ-რის მკვლელობის შესახებ შეიტყო.

სამართალდამცველებმა კოტე ი-ძის შესახებ ოპერატიული ინფორმაციის მიღების შემდეგ დაადგინეს, რომ მას გარდაცვლილთან წარსულში ახლო ურთიერთობა ჰქონდა. უფრო მეტიც, ნარკოტიკის აქტიური მომხმარებელი კოტე ი-ძე, რომელიც ასევე ნასამართლეთი გახლდათ, მერაბ გ-რისგან ხშირად მარაგდებოდა ნარკოტიკული საშუალებებით, რასაც თავად მოიხმარდა, ასევე, მეგობრისგან შესყიდულის რეალიზაციასაც ეწეოდა. სწორედ ამ ნიადაგზე ძველ მეგობრებს შორის დიდი უთანხმოება ჩამოვარდა. უსიამოვნებას იხიც დაერთო, რომ კოტე ი-ძემ ეჭვიანობა დაიწყო ძველ მეგობარსა და თავის ცოლზე მას შემდეგ, რაც შეიტყო, რომ წარსულში მათ სასიყვარულო ურთიერთობა ჰქონდათ. ეს ფაქტორი მამაკაცებს არ გაუხმაურებიათ, თუმცა მერაბ გ-რისგან რამდენიმე ახლოვებულმა საიდუმლოდ შეიტყო, რომ კოტე ი-ძე მათზე ძალიან ეჭვიანობდა. გამოძიების ეფისიით, მკვლელობის ერთ-ერთი მოტივი, შესაძლოა, სწორედ ამასთან ყოფილიყო დაკავშირებული. ეს ვერსია მით უფრო სარწმუნო გახდა, რაც მერაბ გ-რის მეზობლებმა დაადასტურეს, რომ ხათუნა ბ-ია ბოლო თვეებში რამდენჯერმე ნახეს მარტოხელა მამაკაცის ბინაში, საკმაოდ საეჭვო ვითარებაში.

სამართალდამცველებმა კოტე ი-ძე, მის წინააღმდეგ მოპოვებული მრავალი მტკიცებულების შემდეგ, დააკავეს. მან დანაშაულთან ყოველგვარი კავშირი უარყო. დაკითხა კოტე ი-ძის მეუღლე ხათუნა ბ-ია, რომელმაც ქმარს ისეთი ალიბი შეუქმნა, გამოძიებისთვის ნამდვილ თავსატეხად იქცა. სასამართლო პროცესზე ცხადი გახდა, რომ განსასჯელს და მის მეუღლეს ურთიერთგამომრიცხავი ჩვენებები ჰქონდათ მიცემული. საქმის პირველადი მასალებით, მკვლელობაში ეჭვმიტანილი კოტე ი-ძის მეუღლე ხათუნა ბ-ია აცხადებდა, რომ მკვლელობის დამსჯარდაცვლილი ქმარი სახლიდან არ გასულა და მის გვერდით ეძინა. წინასწარ გამოძიებაში იგივეს ამტკიცებდა განსასჯელი და მისი უფროსი შვილიც. თუმცა, მას შემდეგ, რაც მოპოვებული იქნა მტკიცებულება ექთანის ქალის ჩვენების მიხედვით, კოტე ი-ძემ ჩვენება შეცვალა და „გაიხსენა“, რომ იმ დამსჯარდაცვლილთან შეიარაღებული დაპირისპირება იყო. მაგრამ, რადგან მერაბ გ-რის ბინაში მუქი ჩამქრალი იყო, აღარ დაუძახა და ეზო რამდენიმე წუთში დატოვა. კოტე ი-ძე, გარდაცვლილის მეზობლის გარდა, ორმა მეძებარმა ძალმამაც ამხილა. ოდოროლოგიურმა, ანუ სუნის ექსპერტიზამ დაადგინა, რომ ის მერაბ გ-რის მკვლელობის ადგილზე იმყოფებოდა. მისი კვალი იყო დარჩენილი არყის ბოთლები, თოკები, ჭიქებზე არადა, ორი მეძებარი ძაღლის პარალელურად, არსებობდა ორი მოწმე, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ მკვლელობის დროს განსასჯელი მათ გვერდით იყო. მაგრამ, სამართალდამცველები ძაღლებს უფრო ენდნენ, ვიდრე – როგორც მოგვიანებით საქმის მასალებით დადგინდა, ცრუ მოწმეებს. მოგვიანებით ხათუნა ბ-იამ ჩვენება შეცვალა და აბსოლუტურად განსასჯელი ჩვენება მისცა. მან ქმარი მერაბ გ-რის მკვლელობაში ამხილა. საქმის მასალების მიხედვით, ხათუნა ბ-ია თავად დასჯარდაცვლილი რეპუტაციის ქალი გახლდათ, ცხადი იყო მან მკვლელობის შესახებ რაღაც იცოდა, თუმცა ქალის ჩვენებიდან რომელი იყო სარწმუნო, ამის დადგენა მხოლოდ მას შემდეგ მოხერხდა, რაც განსასჯელმა ჩადენილი დანაშაული აღიარა. დაკავებული მუღლის განცხადებით, რაც მან სასამართლო პროცესზეც დაადასტურა, გვიან ღამით, ქმრის ნაბიჯებმა გააღვიძა. ხათუნა ბ-იამ სისხლში მოსერული ქმარი რომ დაინახა, გონა, დაჭრილი იყო. ქალის შეკითხვაზე, რა მოხდა, რა მოვიგიათ, მამაკაცმა სახეში გაატყა და უთხრა: შენს საყვარელს ჰკითხე, იმევენად რომ გაგამზავებო. ამონაწერი ხათუნა ბ-იას ჩვენებიდან: „იმ დამსჯარდაცვლილმა, რა მოხდა. კოტე ხელზე დაიბინა და დაიძინა. დილით, როცა მერაბის მკვლელობის ამბავი გავიგე, მივხვდი, რაშიც იყო საქმე. ჩვენი უფროსი შვილიც ყველაფერს მიხვდა, მან დაინახა სისხლში მოსერული მამა. მაგრამ, კახას ვთხოვე, თუ დაკითხავდნენ, ეთქვა, კოტე იმ დამსჯარდაცვლილი იყო. კახა არ მითანხმებოდა, მაგრამ ბოლოს ვაიძულე, გამოძიებისთვის ეს ჩვენება მიცემა. თუმცა, მკვლელობიდან საკმაოდ მალე, მე თავად გამოვცხადე პოლიციამ და განვაცხადე მომხდარის შესახებ. გარდა იმისა, რომ კოტეს მანტაუს ველარ ვუძლებდი, იმისიც არ მასვენებდა. კოტეს ავადმყოფურ ეჭვიანობას შენარული მერაბი, რომელიც ჩემი ბავშვობის სიყვარული იყო, ძალიან მებრალებოდა და ქმარს ეს მაინც ვერ ვაპატიე“.

სასამართლო კოტე ი-ძის 10 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. ორწლიანი პირობითი მსჯავრი დაედო მის მეუღლეს, ხათუნა ბ-იას, რომელმაც გამოძიებას ცრუ ჩვენება მისცა და ამ დანაშაულებრივ ქმედებაში უფროსი შვილიც ავტომატურად ჩართო. თუმცა, ახალგაზრდა მამაკაცის ცხოვრების წესიდან გამომდინარე (ის მკორნელოვანი ბავშვის მამა და სპორტსმენი იყო), დამნაშავე ცოლ-ქმრის უფროსი შვილი სასჯელს გადაურჩა.

კაკა ბარაბაძე

რა მოხდა ამ დღეს

19 მაისი

1571 – დაარსდა ქალაქი მანილა – ფილიპინების დედაქალაქი.

1588 – დაიწყო ესპანური „დაუმარცხებელი არმადის“ ცურვა ინგლისის ნაპირებისკენ.

1802 – ნაპოლეონ ბონაპარტის ინიციატივით, საფრანგეთში დაარსდა საპატიო ლეგიონის ორდენი.

1906 – გაიხსნა სიმპლონის სარკინიგზო გვირაბი, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს იტალიას და შვეიცარიას.

20 მაისი

325 – გაიხსნა ნიკეის პირველი მსოფლიო საეკლესიო კრება, სადაც 111-ე ნომრად მიწვეული იყო ბიჭვინთის ეპისკოპოსი სტრატოვლი.

1498 – დასრულდა ვასკო და გამას მოგზაურობა.

1874 – ლევი სტრაუსმა გასაყიდად გამოუშვა თავისი პირველი ჯინსი.

1899 – ჯეიკობ ჯერმანი გახდა პირველი მძღოლი, რომელიც დააჯარა იმეს სინქარის გადაჭარბებისთვის (ის მოძრაობდა საათში 24 კილომეტრი სიჩქარით).

21 მაისი

1502 – ესპანელმა ზღვაოსანმა ხუან დანოვამ აღმოაჩინა წმინდა ელენეს კუნძული.

1809 – დაიწყო ასპერნის ბრძოლა, სადაც ნაპოლეონ ბონაპარტემ თავის ცხოვრებაში პირველი წარუმატებლობა განიცადა.

1877 – რუმინეთი გახდა დამოუკიდებელი სახელმწიფო.

22 მაისი

1849 – აბრამ ლინკოლნმა მიიღო პატენტის მის მიერ გამოგონებულ, მცურავ დოკზე. ლინკოლნი გახდა ამერიკის შეერთებული შტატების ერთადერთი პრეზიდენტი, რომელსაც ალბერტი ჰქონდა პატენტი.

1856 – მოსკოვში დაარსდა ტრეტიაკოვის სურათების გალერეა.

1908 – ძმებმა რაიტებმა მიიღეს პატენტი თავიანთ მფრინავ აპარატზე (თვითმფრინავზე).

1929 – იტალიაში ბენიტო მუსოლინიმ აკრძალა სილამაზის კონკურსების ჩატარება.

1972 – კუნძულ ცეილონის სახელი გადაერქვა და ეწოდა შრი-ლანკა.

23 მაისი

1904 – ვენაში გაიხსნა პირველი მსოფლიო ჩემპიონატი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში.

1934 – ამერიკის შეერთებულ შტატებში სპეცოპერაციისას პოლიციელებმა მოკლეს ცნობილი განგსტერები – ბონი პარკერი და კლაიდ ბეროუ.

1963 – ფიდელ კასტროს მიენიჭა საჭკოთა კავშირის გმირის წოდება.

24 მაისი

1830 – შტატ მერილენდში ამუშავდა პირველი რკინიგზა ამერიკის კონტინენტზე.

1844 – სამეულ მორხეს თაოსნობით გაიხსნა პირველი სატელეგრაფო ხაზი ვაშინგტონი-ბალტიმორი.

1899 – ბოსტონში გაიხსნა მსოფლიოში პირველი ფასიანი ავტოფარეხი.

25 მაისი

1895 – ოსკარ უაილდი ჩასვეს ციხეში ჰომოსექსუალიზმის ბრალდებით.

1953 – სუსტონში მუწყებლობა დაიწყო პირველმა კომერციულმა განმანათლებელმა ტელეარხმა.



ფლორის საყაროში



რუბრიკას უძღვება ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი აპირან გინაძე

ყვავილებს არ აქვთ სალაპარაკო ორგანოები, მაგრამ ისინი გულის ენას ქმნიან, რომლითაც გველაპარაკებიან და გრძნობენ.

ბოკათა

კითხვა: ჩემს პატარაძალას შეესია ჭია და ჭამს ფოთოლს. რით დავეხმარო?

პასუხი: მეტრო „დიდუბის“ მიმდებარე ტერიტორიაზე არსებობს სპეციალური მაღაზიები, სადაც შეგიძლიათ, შეიძინოთ ნებისმიერი შხამქიმიკატი. თქვენ კონსულტაციასაც გაგიწევენ კონკრეტულ წამალთან დაკავშირებით და შესაბამისად უმკურნალებთ მცენარეს.

კითხვა: როგორ გავახარო „მაიმუნის ყურები“?

პასუხი: ამ მცენარის სახელწოდება არის კატალპა, რომელიც მოგრძო ლეხანს

იკეთებს და მასში მოთავსებულია თესლი. ამ თესლის აღება შეგიძლიათ საქართველოშიც, კერძოდ თბილისის ბაღებში. მისი თესლის ჩათესვის შემდეგ თქვენ სრულყოფილ მცენარეს მიიღებთ.

კითხვა: როგორ მოვუარო ზამიოკუ-ლკას?

პასუხი: ის იოლად გასაზრდელი მცენარეა და არც განსაკუთრებული მოვლა სჭირდება. დროდადრო სიმშრალესაც იტანს, მაგრამ, შეიძლება, ფოთლები დასცვივდეს. თუმცა, თუ ჩამოვარდნილ ფოთოლს ტენიან მინაზე დადებთ, დაფესვიანდება და ორ წელიწადში ახალი მცენარე გექნებათ.

კითხვა: როგორი მორწყვა სჭირდება იუკას?

პასუხი: ზაფხულში, აქტიური ზრდის პერიოდში, ზომიერად დაატენიანეთ. ზამთარში, როცა ტემპერატურა დაბალია – შედარებით იშვიათად მორწყეთ. მცენარეს ძველი ფოთლები ფრთხილად მოაცილეთ (არ მოაჭრათ). აქტიური ზრდის დროს რეგულარულად მორწყეთ სასუქით. ზაფხულში შეგიძლიათ გარეთ გაიტანოთ.

კითხვა: როგორ სინათლესა და ტემპერატურას უძლებს ტოლმია?

პასუხი: ის ძლებს გაბნეულ შუქზე და ნახევრად ჩრდილიან ადგილას. სიბნელესა და სითბოში ფორმას კარგავს. ეს გამძლე

მცენარე ბუნებრივ პირობებს უკეთ ეგუება, ამიტომ, ოთახის მაღალმა ტემპერატურამ, შეიძლება, ფოთლები დაუზიანდოს. სასურველია თუ მას ჩრდილოეთის ან აღმოსავლეთის ფანჯარაზე მოათავსებთ.

კითხვა: რა ტემპერატურა და სინათლე სჭირდება ლანთანას?

პასუხი: მისთვის აუცილებელია კაშკაშა სინათლე, ამიტომ, ზამთარში ყველაზე ნათელ ადგილას დადეთ. სჭირდება ნორმალური ტემპერატურა. ზამთარში მინიმალური ტემპერატურაა 10 გრადუსი. თუ მცენარეს ფესვები ტენიანი აქვს, ზაფხულის სიცხესაც იტანს. ზომიერი კლიმატის პირობებში თავს მშვენივრად გრძნობს, სუბტროპიკებში კი სარეგულად იზრდება.

კითხვა: ბინაში ჩინური ვარდი მაქვს. იქნებ მასწავლოთ, რა რაოდენობით წყალი სჭირდება წელიწადის სხვადასხვა დროს?

პასუხი: დიდ მცენარეს ზაფხულობით რეგულარული მორწყვა სჭირდება. მინა მუდამ ტენიანი უნდა ჰქონდეს. ზამთრობით მორწყვა შეამცირეთ და მორწყვიდან მორწყვამდე მინას შემორობა აცადეთ. გაზაფხულზე ნიადაგის კალიუმიანი სასუქით განოყიერება ხელს უწყობს ყვავილობას.

მომზადდა თეონა გოზალიძის მიერ

ადვოკატი გირჩევთ

კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, რა სახის გარემოებების არსებობის შემთხვევაში ვერ მიიღებს სისხლის სამართლის პროცესში მონაწილეობას ადვოკატი, ანუ, რა გარემოებები გამორიცხავს საქმეში კონკრეტული ადვოკატის მონაწილეობას?

პასუხი: გაცნობებთ, რომ სისხლის სამართლის პროცესში ადვოკატის მონაწილეობის გამომრიცხავი გარემოებებია, ანუ, ადვოკატი ვერ მიიღებს მონაწილეობას სისხლის სამართლის პროცესში, თუ: ამ საქმეში მონაწილეობდა, როგორც მოსამართლე, ნაფიცი მსაჯული, პროკურორი, გამომძიებელი, სასამართლო სხდომის მდივანი, მონმე ან ექსპერტი; იურიდიულ დახმარებას უწევს ან უწევდა იმ პირს, რომლის ინტერესებიც ეწინააღმდეგება მის მიერ დასაცავი პრადლებულის ინტერესებს, რომელსაც ის წარმოადგენს; ნათესაური ურთიერთობა აქვს მოსამართლესთან, პროკურორთან, გამომძიებელთან ან სასამართლო სხდომის მდივანთან, რომელიც მონაწილეობს ან მონაწილეობდა ამ საქმის გამომძიებას თუ სასამართლო განხილვაში.

კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, რა სახის დაცვის სპეციალური ღონისძიებებია გათვალისწინებული კანონით სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეთათვის და ვინ განსაზღვრავს უშუალოდ ამ ღონისძიებების გამოყენების საკითხს?

პასუხი: გაცნობებთ, რომ პროცესის მონაწილეთა დაცვის ღონისძიებებია: მიკვლევის სანინააღმდეგო ღონისძიებების გატარება – საჯარო რეესტრში ან სხვა საჯარო ხასიათის ჩანაწერში პროცესის მონაწილის ამოცნობისა და იდენტიფიცირების შესაძლებლობის შემცველი მონაცემების, კერძოდ, სახელის, გვარის, მისამართის, სამუშაო ადგილის, პროფესიის ან სხვა შესაბამისი ინფორმაციის შეცვლა ან ამოღება; ვინაობის შეცვლა და მასზე ახალი დოკუმენტების გაცემა – ფსევდონიმის მიღება, გარეგნობის შეცვლა, ამოცნობისა და იდენტიფიცირების შესაძლებლობის შემცველი საპროცესო და სხვა დოკუმენტების გასაიდუმლოება; უსაფრთხოების ზომების მიღება (პირადი დაცვა, განგაშზე გამოძახება და სხვ.); საცხოვრებელი ადგილის დროებით ან სამუდამოდ შეცვლა; სხვა სახელმწიფოში გაყვანა (რელიგაცია). პროცესის მონაწილის დაცვის სპეციალურ პროგრამაში ჩართვისა და დაცვის კონკრეტული ღონისძიებების განხორციელების პროცედურებს ერთობლივად განსაზღვრავს საქართველოს იუსტიციისა და შინაგან საქმეთა მინისტრები.

კითხვა: გთხოვთ, განმიმარტოთ, სისხლის სამართლის პროცესში ვის მიერ და ვის მიმართ შეიძლება იქნეს გამოყენებული დაცვის სპეციალური ღონისძიებები?

პასუხი: განვიმარტავთ, რომ სისხლის სა-



რუბრიკას უძღვება ადვოკატი ირაკლი ბაზრიძე

უვიცობის სამეფოში თვით უწესიერესი ადამიანიც კი დამნაშავე ხდება. ანატოლ ფრანსი

მართლის პროცესის მიმდინარეობისას პროკურორი უფლებამოსილია, საქართველოს მთავარი პროკურორის ან მისი მოადგილის თანხმობით, გამოიყენოს პროცესის მონაწილის დაცვის სპეციალური ღონისძიება და დაცვის სპეციალურ პროგრამაში ჩართოს პროცესის მონაწილე ან პირი, რომელიც შეიძლება გახდეს პროცესის მონაწილე, მასთან დაკავშირებული პირი ან/და მისი ახლო ნათესავი, მათი თანხმობით.



რჩევები ავტომობილს მძღოლებს

კითხვა: ჩემს ავტომობილს, სრულიად მოულოდნელად და უმიზეზოდ, სიმძლავრე მოაკლდა და დაეწყო სხვადასხვა უცნაური პრობლემა. არც ხელსაწყოების დაფაზე ინთება რაიმე ნიშანი და ვერც ხელსაწვანა გაუფო რამე. გამოიძვალეს ჰაერის გამზომი, ეგრეთ ნოდებულ „ვოლტუზამერი“, შეამოწმეს კომპიუტერულ დიაგნოსტიკაზე, მაგრამ, არანაირი ცვლილება

ნუ ივლი მანქანით შენს მფარველ ანგელოზზე უფრო სწრაფად. მისაილ შუმასარი

არ ჩანს, არადა, პრობლემა არის – ავტომობილს სიმძლავრე აკლია და ვერაფერს ვშველით.

პასუხი: მიზეზი მარტივია. სანვავის სისტემაში არ იქმნება საჭირო რაოდენობის ბენზინის წნევა, რასაც დაზიანებული ბენზინის ტუმბო იწვევს. შესაძლოა, უბრალოდ, ბენზინის ფილტრი არ გქონდეთ გამოცვლილი. ისე, დიზელის ფილტრის გამოუცვლლობამაც შეიძლება გამოიწვიოს სიმძლავრის დაკლება, მაგრამ, დიზელის „ნასოსი“ პირდაპირ ძრავაზე დამაგრებული და ის მსგავს პრობლემებს არ ქმნის. ბენზინის წნევა კი სხვანაირად იქმნება – ჯერ ბენზინის ავზში, შემდეგ მილებით მიდის ფილტრთან და შედის სანვავის სისტემაში ძრავთან. თუ ფილტრი გაჭედდის, მას გამტარობა არ ჰყოფნის და, შესაბამისად, იმხელა წნევა, რამხელასაც „ნასოსი“

ქმნის არ იქმნება ჩაფრქვევის სისტემაში. ფეთქების სისტემაში ჩაფრქვევის ნაცვლად, სანვავი იღვრება და, შესაბამისად, სიმძლავრე ნაკლები აქვს, ნვა კი მეტი.

კითხვა: ამერიკულ მანქანებს საქართველოში საშინლად არ სწყალობენ. რის ბრალია ის?

პასუხი: თუ ხარისხის ნუნზე ვისაუბრებთ, მაშინ გააჩნია მარკას. ანუ, ვერ ვიტყვით, რომ ისინი უხარისხოა, უბრალოდ, ჩვენთვისაც და ევროპელებისთვისაც მინც უცხო სისტემაა. ჯერ ერთი, ამერიკული მანქანები სიჩქარესაც კი მიღებში ითვლიან. ელექტროსისტემებიც თავისებურად არის მოწყობილი, სხვანაირი ექსპლუატაციის პირობებია. სხვაგვარი სერვისი აქვთ. ანუ, თუ ამერიკულ მანქანას შეიძენ, ავტომატურად, ბევრი თავსატეხი გინდება.

კითხვა: მყავს ავტომობილი „ფოლკსვაგენ ჯეტა“. ეგრეთ ნოდებულ „რულევი კალონკაში“ მოიკლო სითხემ. მანამდე ესხა ნითელი სითხე. როდესაც დასამატებლად მივედი, გამყიდველმა სისტემაში ჩამისხა თეთრი სითხე და მითხრა, რომ ეს მის გამართულ მუშაობას პრობლემას არ შეუქმნიდა. შეიძლება თუ არა ნითელი და თეთრი სითხეების არევა და, თუ არა, რას დაზიანებს?

პასუხი: საჭის მექანიზმში თეთრი და ნითელი სითხის არევა არ შეიძლება. ზოგადად, სხვა სითხეების შემთხვევაში, ფერი შეიძლება იყოს მწარმოებლის მიერ მინიჭებული და, მთავარია, რაზე გინევს ის რეკომენდაციას, როგ-



რუბრიკას უძღვება საქართველოს ეროვნული საავტომობილო ფედერაციის პრეზიდენტი მავსულ მელაქი

შურალი „თბილისელები“ გირჩავთ:
* დაფიქრდით, სანამ დინეებთ ავტომობილის მართვას;
* ისარგებლეთ უსაფრთხოების ღვედებით;
* ნუ დასვამთ მცირეწლოვან ბავშვს ნინა საფრძელზე;
* მართვისას ნუ ისარგებლებთ მობილური ტელეფონით;
* გისურვებთ უსაფრთხო მგზავრობას!

ორი ტიპის სისტემაში ასხამ მას. მაგრამ, ჰიდრაულიკის სითხის შემთხვევაში, თუ თავიდან ასხია თეთრი ვასხამთ თეთრს; თუ ასხია ნითელი, ვასხამთ ნითელს. მათი არევა მექანიზმის დეტალების არგამართულ მუშაობას და დაზიანებას გამოიწვევს.

მოამზადა სალომე გველსინაძე

ვეტერინარის რჩევები

კითხვა: როგორ უნდა შევუნარჩუნოთ ძალის იმუნიტეტი და როგორ დავიცვათ ის სხვადასხვა ინფექციისგან?

პასუხი: ჩვენი ოთხფეხა მეგობრები საშიში იფექციებისაგან რომ დაეიცვათ, ამისათვის საჭიროა, მოვახდინოთ მათი დროული და სწორი ვაქცინაცია, რისი საშუალებითაც ხდება იმუნიტეტის ჩამოყალიბება. იმუნიტეტის ჩამოყალიბება ორგანიზმში არის ისეთი სპეციფიკური ლიმფოციტებისა და ანტისხეულების პროდუქცირება, რომელიც დაავადების აღმძვრელ მიკროორგანიზმებს განვითარების საშუალებას არ მისცემს. ასეთი ანტისხეულების არსებობა ორგანიზმში შეიძლება გავრძობდეს რამდენიმე კვირის ან წლების განმავლობაში, რომელსაც ხანგრძლივად დაიცავს ორგანიზმი. ასეთივე იმუნიტეტი ყალიბდება ძალღებში სწორი ვაქცინაციის შემდეგად. ვაქცინაციის მიზანია შექმნას აქტიური იმუნიტეტი და არ დაუშვას ცხოველის დაავადება. არსებობს მონოვაქცინები, რომლებიც უზრუნველყოფს იმუნიტეტის ჩამოყალიბებას მხოლოდ ერთი დაავადების საწინააღმდეგოდ და, ასევე, კომპლექსური ვაქცინები, რომლებიც უზრუნველყოფს იმუნიტეტის ჩამოყალიბებას ერთდროულად რამდენიმე დაავადების საწინააღმდეგოდ. ვაქცინაციის მიზანია, შეუქმნათ ლეკვებს აქტიური ვაქცინისმდგომი იმუნიტეტი, რაც ადრეული ასაკიდანვე შესაძლებელია. დედისგან მიღებული იმუნიტეტი ქვეითდება და ქრება 9-12 კვირის ასაკში. სასურველია, თუ ამ პერიოდისთვის უკვე დაწყებული ექნება ლეკვს აცრები. ადრეულ ასაკში დაწყებული ვაქცინაცია უზრუნველყოფს ანტისხეულების მაღალ კონცენტრაციას ორგანიზმში, რაც უზრუნველყოფს დაავადებისაგან ძლი-

ერ დაცვას. იმუნიტეტის გამომუშავება ორგანიზმში ხდება ვაქცინის შეყვანიდან 10-14 დღის შემდეგ. ამ პერიოდისთვის ლეკვის ორგანიზმში დასუსტებულია და მეტად მგრძობიარეა დაავადებების მიმართ. ზოგიერთ ვაქცინას სჭირდება განმეორებითი ვაქცინაცია, ანუ რევაქცინაცია და ისეთ დროს იმუნიტეტი ყალიბდება რევაქცინაციის მომენტიდან ორი კვირის ვასვლის შემდეგ.

კითხვა: მაინტერესებს, ევკვლება თუ არა ძალღს ხასიათი სტერილიზაციის შემდეგ და იმატებს თუ არა ის ნონაში?

პასუხი: ხვადებს, სქესობრივი ავზების დროს, შეიძლება, ჩამოყალიბდეთ განსაკუთრებით ძლიერი აგრესია მათთვის ძალიან ახლოებული ადამიანის და პატრონის მიმართაც კი. სტერილიზაცია აქვეითებს მათ აგრესიას და ცხოველები მართვადები ხდებიან. კითხვაზე, თუ როგორ იცვლება ძალღის ხასიათი სტერილიზაციის შემდეგ, შეიძლება, ვუპასუხოთ, რომ თითქმის ყოველთვის, აგრესიული ძაღლები ხდებიან უფრო წყნარები და მშვიდები. ძალღის ხასიათი ძალიან არის დამოკიდებული მის ტემპერამენტზე და იმაზე, თუ როგორი იყო ის სტერილიზაციაში. თუ ცხოველი იყო ძალიან აქტიური და მოძრავი, ის, როგორც წესი ისეთივე დარჩება. ზოგიერთი ძალღი სტერილიზაციის შემდეგ იმატებს ნონაში და, რა თქმა უნდა, ეს ფაქტი უნდა ჩაითვალოს სტერილიზაციის ნეგატიურ შედეგად, მაგრამ, უნდა გვახსოვდეს, რომ აქტიური რაციონით, დაბალანსებული კვებითა და საკვებში ნაკლები კალორიებით, შეიძლება, ვაკონტროლოთ ცხოველის სხეულის მასა და შევიწარმოოთ ის ნონაში. კიდევ უნდა აღინიშნოს ერთი უკუჩვენება, რომელიც ძირითადად აღინიშნება დიდი ტანის ვიშნებში – ესაა უნებლიე შარდავა, რაც გამოწვეულია იმით,



რუბრიკას უძღვება ვეტერინარის მეცნიერებათა დოქტორი ზაქარო ბაპიაშვილი


ადამიანებს ისევე რომ უყვარდეთ, როგორც ძაღლებს, სამყარო სამოთხედ იქცეოდა. ჯეიმს ღუგლანი

რომ საშვილოსნოს ამპუტაცია გაკეთდა ძალიან მაღლა, ყელთან ძალიან ახლოს და ამ დროს დაზიანდა შარდის ბუშტის სპინქტერი. სტერილიზაცია აუცილებლად უნდა ჩატაროთ ისეთ ძაღლებს, რომლებსგანაც არ იგეგმება შთამომავლობის მიღება. ეს ოპერაცია კარგია, ასევე, სარძევე ჯირკვლის სიმსივნეების განვითარების რისკის შემცირებისა და რეპროდუქციული სისტემის პათოლოგიების განვითარების შემცირების მიზნით. გაითვალისწინეთ, რომ პროფილაქტიკა ვაქცინებით ადვილია, ვიდრე შემდგომი მკურნალობა.

მოამზადა მარიკა სიდურაძე



(.....) ნაღირ-ავილი	ღამანდ-ილაგბელი რევიზორი ნელი...	მადალ შრის ლითონის ფული									
		ალქო-პოლური სისხელი	...ახმა-ღულინა		სამიანი ნარღვი		პატარა მწანე ბაყაყი				
11-მეტრ-იანი ღარბყვა						მობი-ლური ქარავი					
			ყანის მასალა					თინის ჭურჭელი			
თავისა-ბურება			მარხნი					თანა-ბარი შეღები			
იბალ-ქოვანი-ზიტორი ნინო....			უოუ-ლარული სისხელი						სამხი-რაბელი	ინგლი-სური ლულ-ხანა	
		ქალ-ბატონ სტოუნს კეკია			იხარეთ-ის მხარე შექსირ-ის გეგა	ღილო-გაბთა ნერილი		ბარათ-ავილი			
არსა-ქიძის ლაზური სახელი	სპარ-სელი ურბი ჯალალ-ედ-დინ...		წვარს ლეგავს საქმეზი ანუ?	შიური სხელი						ზარი ინდი-ელთა ტოვი	
			რგო-ლავით თამაში	ნახვა-ღის! (რუს.) ბეჭი		ჭურჭელი	მზის ღამელ-ბარი შუბი				
ნაღირი. კიბნა პატარა რიბი			აბეს-ალმის საბრფო				სახე-ლური ესპან-იოსები			ჭოტი მარიანი	
							საყანად გაქაფუ-ლი ტყე ზამბარა		სირიელი	ჩვენი ქიწკ-ქალაქი	
									...და ვვა		
	ინილე ფოტო - სოფელი?					საბარკ-ნეთის ღეღა-ქალაქი	ეირვე-ლი ვუ-ქებერი	ვა აზრის ტბა-ზევა			
	სამგზავრო საშუალებას და ქალაკის დიდვრას					აფუ-ს ქალაქი					
	ფუნკის ანბანი		ქვეყნის მოსახ-ლეობა			უღვრ-ბათის ღეღა-ქალაქი					
					უხევი ქსოვილი დიდი ჩაქერი				ალმოს-ავლედი მმართ-ველი		
	ქნელი		იორღა-ნიის ქალაქი		სქოლის მემო-ბარი					ქველ აპირსა	ღროშა უოსა-იტალი
					მეხსელის ენა დიდი შავი				ფართ-ობის საზოგი ერთეული	თეატრის განმ-ხნაღვა	შხა-შიანი ანუ?
	ქოვანი-ბურული შრიფტი	ქალაქი იბალიაში									
			(.....) ალი იბნ სინა				გამოუ-ღელი რუსეთის მხარე				ვეროვის მღინარა
	ხარი ვლადი-ვერი	ბეჭი მხარე								ანდელი. ქაბანი	აზრის ქონელი (.....)-ლანა
									იმივე მარსი უუბა-რევა		
	ქალის სამოსი	(.....) დანღარი					პოლი-ტიკოსი ირაქლი				
										ინეაბ-ულეობის საზოგი	სარახნი მხინილი
	ფანჯრის საფარი	ლინი. რინა ბაგირი			ფანჯრის ნიშანი	სარახნი საშუა-ღვა					
										ხელო-ნათა ბარათ-ინაზა	



ალბათ, ყველას უნდა, რომ იყოს ძლიერი, წარმართველი და აკონტროლებდეს სიტუაციას, მაგრამ ამას ლიდერის თვისებები სჭირდება. თქვენ გაქვთ ეს თვისებები?!

იყავით გულახდილი და შეამოწმეთ საკუთარი თავი:

1. ბევრვინაა პრობლემა იყო თქვენთვის მორჩილება?

- ა) დიას - 10 ქულა;
- ბ) არ მასსოვს - 5 ქულა;
- გ) არ ყოფილა მსგავსი არაფერი - 0 ქულა.

2. ფიქრობთ, რომ პროგრესი შეუძლებელია ძალაუფლებისმოყვარე და მართვის უნარით აღჭურვილი ადამიანის გარეშე?

- ა) დიას - 10 ქულა;
- ბ) არ ვიცი - 5 ქულა;
- გ) არა - 0 ქულა.

3. ფიქრობთ, რომ ჭეშმარიტ მამაკაცს აქვს უნარი, თავის ნებას დაუქვემდებაროს ქალი?

- ა) დიას - 10 ქულა;

ხართ ლიდერი?!

ბ) არ ვიცი - 5 ქულა;
გ) არა - 0 ქულა.
4. გიყვართ, როცა სხვა იღებს თქვენ მაგვრად გადაწყვეტილებას? ეს კარგია?

- ა) დიას - 10 ქულა;
- ბ) არ ვიცი - 5 ქულა;
- გ) არა - 0 ქულა.

5. ხომ არ ფიქრობთ, რომ ქალის ჭეშმარიტი ბუნება მორჩილებაა?

- ა) დიას - 10 ქულა;
- ბ) არ ვიცი - 5 ქულა;
- გ) არა - 0 ქულა.

6. ყველა პრობლემა ლიდერების ნაკლებობით აიხსნება - ეს ასეა?

- ა) დიას - 10 ქულა;
- ბ) არ ვიცი - 5 ქულა;
- გ) არა - 0 ქულა.

7. ყოველთვის კომფორტულად ხართ, როცა სხვა ადამიანებს მართავთ?

- ა) დიას - 10 ქულა;
- ბ) არ ვიცი - 5 ქულა;
- გ) არა - 0 ქულა.

8. არ შეგიძლიათ და არც გინდათ, ბოლომდე გაიხსნათ ვინმეს წინაშე?

- ა) დიას - 10 ქულა;
- ბ) არ ვიცი - 5 ქულა;
- გ) არა - 0 ქულა.

9. ადამიანების მართვას სიმშვიდე გირჩევნიათ?

ა) დიას - 10 ქულა;
ბ) არ ვიცი - 5 ქულა;
გ) არა - 0 ქულა.
10. ხშირად არის სიტუაციები, როცა ხვდებით, რომ ადამიანებზე კონტროლის უნარი სასიცოცხლოდ აუცილებელია?

- ა) დიას - 10 ქულა;
- ბ) არ ვიცი - 5 ქულა;
- გ) არა - 0 ქულა.

დაითვალით ქულა

70-100 ქულა: დიქტატორის ხასიათი გაქვთ, რომელსაც მიაჩნია, რომ ყოველთვის ყველაფერი ზუსტად იცის. ამიტომ, ყოველთვის ყველაფერში ამართლებთ საკუთარ საქციელს და ტერორით აკეთებინებთ ადამიანებს საქმეს.

50-70 ქულა: თქვენთვის დამახასიათებელია ჰარმონიულობა, სიბრძნე და ზუსტი ანგარიშგათვლები, ანუ, ყოველთვის შეგიძლიათ, ბრძნული გადაწყვეტილება მიიღოთ. თუ ადამიანები ლიდერად გალიარებენ, მხოლოდ იმიტომ, რომ თქვენ მიმართ დიდი ნდობა აქვთ.

0-50 ქულა: ნებისმიერი შენიშვნის, ნებისმიერი საყვედურის ჩაყლაპვა შეგიძლიათ, ოღონდ კი მშვიდად იცხოვროთ და ბევრი არაფერი მოგეთხოვებოდეთ. საკუთარ უსუსურობას გრძნობთ, მაგრამ არაფერს აკეთებთ, რომ რამე შეიცვალოს. ნუთუ თავი არ გეცოდებათ?!

ასტიკური ტრაქტია?!

ბოლო დროს გაჩნდა მოსაზრება, რომ პომპეი ანტიკური ტრაქტის შედეგად განადგურდა...

ვულკანი ვეზუვი შემთხვევით არ ამოქმედებულა. მისმა ამოფრქვევამ მთლიანად დაფარა ძველი, ანტიკური ქალაქები - პომპეი, ჰერკულანუმი და სტაბია. დღემდე ეს მოვლენა ყველაზე ცნობილ სტიქიურ უბედურებად არის მიჩნეული კაცობრიობის ისტორიაში, თუმცა, უკვე გამოითქვა ვარაუდი, რომ ამ ტრაგედიას ხელი ადამიანმა შეუწყო.

79 წლის 24 აგვისტოს, ვულკან ვეზუვის ამოფრქვევის დროს, იმაზე გაცილებით დიდი სითბური ენერგია გამოიყო, ვიდრე ატომური ბომბის აფეთქებისას ხიროსიმის თავზე. ფერფლის ღრუბელი და კვამლი 33 კილომეტრ სიმაღლეზე ავიდა. დაღუპული ადამიანების რიცხვმა ათობით ათასი შეადგინა. ვეზუვის ამოფრქვევამ და პომპეის განადგურებამ მუზა გაუღვივა მხატვრებს, კინემატოგრაფისტებსა და პროზაიკოსებს.

მეცნიერებმა შეისწავლეს ვეზუვის ამოფრქვევის ტიპი და დაადგინეს, რომ ის არ შეესაბამებოდა ამოფრქვევათა არც ერთ ტიპს. იტალიელმა გეოლოგმა ალბერტო დე სანტომ დიდხანს იმუშავა ამ საკითხზე. შეისწავლა ანტიკურ ავტორთა თხზულებები 79 წლის სტიქიურ უბედურებაზე და შემდეგი შინაარსის დასკვნა დადო: „ვულკანის შიგნით ბუნებრივ გამაღიზიანებელ ფაქტორებს და გეოლოგიურ პროცესებს ადგილი არ ჰქონია“. ხოლო ებრაელმა მკვლევარმა დანიელ კლუგერმა პირდაპირ თქვა, ვეზუვის ამოფრქვევა ხელოვნურად იყო გამოწვეული. თეორიულად ეს მართლაც შესაძლებელია. ყველა ვულკანი „უსაფრთხო“ და „მიძინებული“ მანამ, სანამ მისი ყელი, ანუ კრატერი მჭიდროდ არის დაცული ქვის „საცობით“. როცა მაგმისა და შინაგანი გაზ-



ების წნევის ზემოქმედებით ქვის ეს „საცობი“ ამოვარდება, იწყება ვულკანის ამოფრქვევა. რა თქმა უნდა, „საცობის“ ხელოვნურად ამოძრობაც შეიძლება და ვულკანი ამ შემთხვევაშიც ამოფრქვევა. დანიელ კლუგერის ვარაუდით, პომპეიში მრავლად ცხოვრობდნენ რომის მიმართ ბოროტად განწყობილი ადამიანები. ისინი იუდეველები იყვნენ, რომელთა ოჯახის წევრები 66-71 წლების აჯანყების დროს სასტიკად დასაჯეს - თითქმის 500 ათასი ადამიანი დაიღუპა.

გარდა ამისა, რომაელებმა დაანგრეს იუდეველთა წმინდა ტაძარი. გარდა ამისა, უამრავი იუდეველი გლადიატორი იყო პომპეოში და ისინიც ნატრობდნენ ამ ქალაქის განადგურებას. ასე რომ, მათ შეეძლოთ „ამოეგლოთ“ ვეზუვის ქვის „საცობი“ და ამ ტერორისტული აქტით გამოეწვიათ კატასტროფა.

ჯამოსური ჯოხი

სამხრეთ სირიაში არქეოლოგებმა უცნაური ნივთი აღმოაჩინეს, რომელიც დაახლოებით, ცხრა ათასი წლისაა. ეს იყო კვერთხი ორი ადამიანის გამოსახულებით. კვერთხი იპოვეს სამარხში, სადაც ასევე დამარხული იყო ოცდაათი თავმოკვეთილი ადამიანის ნეშტი. ყველაზე პოპულარული ვერსია ამ აღმოჩენის შესახებ ასეთია: ეს „ჯადოსნური კვერთხი“ მაშინდელ სირიაში საჭირო იყო საიქიო სულების გამოსაძახებლად, რათა შესრულებულიყო საგანგებო, საიმპერატორო რიტუალი. განსაკუთრებით შთამბეჭდავია კვერთხზე გამოსახული ადამიანების სახეები და მათზე აღბეჭდილი გამომეტყველება. ასეთი სიძველისთვის ნამდვილად მშვენიერებაა.

კვერთხი დამზადებულია ზებრას ნეცნისგან და სულ 12 სანტიმეტრია. ორი თვალდახუჭული ადამიანი მის ზედა ნაწილშია ამოტვიფრული.

გვერდი მოამზადა
ელენე ნულუკიძე



ჯალათის ნაჯახი

პრეტურ კონან დოილი

ის მოკლა ვინმე პუ... ტონმა, ანუ, პერსი ედლტონმა.

პოლმის ყურადღება არ მიუქცევია ლესტრეიდის სარკაზმისთვის, მაქებარი ძალღივით დადიოდა ოთახში და ყველაფერს „ყნოსავდა“. ხალიჩას ისევ აწნდა სისხლის ნაკვალევი მუქ ლაქად. პოლმსა ჯიბიდან განადიდებული შუშა ამოიღო, დაიჩოქა და ხალიჩას ჩააშტურდა. მერე ხელიც კი მოუსვა.

– მკვლელობის სალამოს წვიმდა? – იკითხა მოულოდნელად.

– სალამოს არა, სერ, დილით წვიმდა.

– კიდევ მაინტერესებს რამდენიმე დეტალი: თქვენი ბატონი მალალი მამაკაცი იყო?

– ო, დიას, სერ, ძალიან მალალი.

– ახალგაზრდა ედლტონი კი მასზე მალალია?

– რას ბრძანებთ, სერ?! – გაოცდა მსახურთუფროსი, – ბევრად დაბალია და სუსტი.

– მდაა... საინტერესოა, – პოლმი ისევ ხალიჩას ჩაპკირკიტებდა, – თუ შეიძლება, მომიტანეთ ტანსაცმელი, რომელიც პერსი ედლტონს ეცვა, როცა, თქვენი სიტყვებით, ბიძამისი მოკლა. დარწმუნებული ვარ, მხოლოდ სახელები ექნებოდა სისხლში დასერილი. გულისპირზე კი სისხლი არ იქნება.

– როგორ მიხვდით, სერ... – მსახურთუფროსმა გაოგნებულმა შეხედა პოლმსს, – ახლავე მოგიტანო.

პერანგის სახელები მთლიანად სისხლში იყო ამოსერილი, გულისპირზე ერთი წვეთიც კი არ აჩნდა.

პოლმსმა მოზეიმე სახით გადახედა ლესტრეიდს.

– ესეც ასე, ინსპექტორო. ესეც საკმარისია იმისთვის, რომ ვთქვათ: პერსი ედლტონი მკვლეელი არ არის!

– პოლმს! ძალიან ხმამაღალი განაცხადი ხომ არ არის? – შეჰყვირა ლესტრეიდმა.

– ინსპექტორო, ლოგიკა და აზროვნება ჩართეთ და მიხედვით. პოლკოვნიკი ძლიერი, ზორბა მამაკაცი იყო. მას ვილაღამ ნაჯახი, სხვათა შორის, ჯალათის ნაჯახი გახლავთ, რაც ძალიან საყურადღებოა, ისეთი ძალით ჩაარტყა, რომ თავის ქალა გაუპო. ჩვენი ექიმი გვეტყვის, რომ დაბალი და სუსტი ადამიანი ამას ვერ შეძლებდა – თავის ქალა საკმაოდ მკვირვია და მაგარი. ყურადღება მიაქციეთ კედლებს ბუხართან. სისხლის წვეთები გარკვევით ჩანს. როგორ ახსნით იმას, რომ სისხლმა ისე შადრევანით ამოასხა, კედლებიც კი გახუნდა, ახალგაზრდა ედლტონის პერანგის გულისპირი კი სუფთა დარჩა?!

– კი მაგრამ, მაშინ, ვინ არის მკვლეელი? – ამოიოხრა ინსპექტორმა და სასონარკვეთილმა გაშალა ხელები.

– აქვე ახლოს, სადმე, ტყის საჭრელი და სამხერხაო არის? – კითხვაზე კითხვით უპასუხა პოლმსმა.

– დიას, სერ, – უპასუხა მსახურთუფროსმა და ინსპექტორს გაოცებულმა შეხედა, – რამდენიმე მილის დაშორებით, ტყეში, სამხერხაო, ორი წელია, ვილაც ირლანდიელმა გახსნა.

– ნამოყვებით, ლესტ-

რეიდ, მკვლეელი უნდა დავაპატიმროთ. სხვათა შორის, ხალიჩა რომ კარგად დაგეთვალიერებინათ, ნახავდით, მასზე საკმაო რაოდენობით არის ნახერხი და ნოტიო ფეხსაცმლის ნაკვალევიც კარგად ეტყობა.

– ჯალათის ნაჯახი რალა შუაშია? არ მითხრათ, რომ მკვლელობა სპეციალურად შეარჩია ის კოლექციადან.

– დიას, სწორედ ამის თქმა მინდოდა. მკვლელობის მოტივი პოლკოვნიკის ნარსულში უნდა ვეძებოთ. ეს შურისძიება იყო, ლესტრეიდ. მსახურთუფროსო, ხომ არ გახსოვთ, თქვენს ბატონის ახლო ნარსულში რამე ისეთი გზავნილი ხომ არ მიუღია, რამაც გააბრაზა?

მსახურთუფროსი ჩაფიქრდა:

– დიას, სერ... რამდენიმე კვირის წინ მიიღო. რომ ნაიკთხა, ერთიანად განითლდა და წერილი ბუხარში შეაგდო.

– მიწების გაყიდვა კი ორი წლის წინ დაიწყო, ასე არ არის? დარწმუნებული ვარ, პირველი ნაკვეთი ტყიან ზოლში იქნებოდა. ჩემთვის ყველაფერი ნათელია. ნამოყვებით, ლესტრეიდ...

სამხერხაოს მეპატრონე თითქმის გოლიათი იყო. ლესტრეიდმა ისე დაადო ხელბორკილები, რომ მის სახეზე გაოცება სხვა ემოციით არ შეცვლილა.

– როგორ მიხვდით, რომ პოლკოვნიკი მე მოგკალი, სერ? – აღმოხდა ბოლოს.

– ლოგიკით, პენიტენციურ ტომას, ლოგიკით...

– იცით, არ ვნანობ, რომ მოგკალი. პოლკოვნიკი ედლტონი ნამდვილი ურჩხული იყო. მან გაძარცვა და მოაკვლევინა ჩემი ძმა. სანწყალი გრივლი. მისი დანაშაული მხოლოდ ის იყო, რომ ენდო ედლტონს. კალგურში, ოქროს საბადოზე, ძირითადად, ყოფილი კატორღელები შუშობდნენ. მათ მოკლეს ზედამხედველი და დაცვა. ედლტონის ყალბი ჩვენებით ჩემი ძმა დააპატიმრეს. სიმართლე მაშინ გაირკვა, როცა საცოდავი ედლტონი უკვე გასამართლებული იყო. მან მომხრჩვალა იყო. დაფიქრე, რომ შურს ვიძიებდი მისთვის. ედლტონმა, როცა მის ცხოვრებაში გამოეჩინა ჯერ ეს ტყის საჭრელი მიყიდა, მერე – ფერმაც, მაგრამ, ბოლოს მუქარაზე გადავიდა, რომ მეც იმ გზას გამოყენებდა, რომელზეც ჩემი სანწყალი ძმა გამგზავნა. ლაშქარით მასთან სალაპარაკოდ მოვედი და მოუთხოვე, ჩემი ძმის ნილი მთლიანად მოეცა, მან კი ვინება და ლანძღვა დამინყო... ველარ მოვიმიწინე, კედლიდან ჯალათის ნაჯახი ავიღე და ჩავარტყი – მან ეს დანაშაული...

თარგმანი
სინო ნულუკიძე

შერლოკ ჰოლმსს უმცროსი ედლტონის ინტერესების დამცველმა მაშინ მიაკითხა დახმარებისთვის, როცა ახალგაზრდა კაცი უკვე დაპატიმრებული იყო საკუთარი ბიძის მკვლელობისთვის. პოლმსმა და უოტსონმა ამ საბედისწერო შემთხვევის დეტალები დილის „თაიმში“ ნაიკითხეს. ტრაგედია გვიან ღამით დატრიალდა. მსახურთუფროსმა თავისი ბატონი, პოლკოვნიკი და მემამულე მატას ედლტონი, კაბინეტში, სისხლის გუბეში აღმოაჩინა. თავი ნაჯახით ჰქონდა გაჩეხილი. ის ნაჯახი მკვლელს იარაღების კოლექციიდან აეღო, კედელზე რომ იყო ჩამკერივებული... მთავარი ამ ამბავში ის გახლდათ, რომ მსახურთუფროსმა მოკვლულთან ჩაჩოქილი უმცროსი ედლტონი ნახა – მას გასისხლიანებული ნაჯახი ეჭირა ხელში და გაოგნებული დასჩერებოდა ბიძის გვამს. სწორედ ეს ფაქტი და, კიდევ ის, რომ წინა სალამოს ბიძამ და მძისპვილმა იკამათეს, პოლიციისთვის საკმარისი აღმოჩნდა ახალგაზრდა კაცის დასაპატიმრებლად. ოჯახის ადვოკატი კი ირწმუნებოდა, გა-



მორიცხულია, პერსის ბიძამისი მოეკლა, მასზე უწყინარ და წესიერ ადამიანს მსგავსი საშინელების ჩადენა არ შეეძლო, მით უმეტეს, რომ მოტივიც არ ჰქონდა საამისო.

– იცით, რის გამო იკამათეს მკვლელობის წინა სალამოს? – ჰკითხა პოლმსმა და ჩიბუხის მოუკიდა.

– დიას. ბოლო დროს პოლკოვნიკმა თავისი მამულების გაყიდვა დაიწყო, არადა, ამის არანაირი ფინანსური აუცილებლობა არ არსებობდა. პერსის ეს ანუშებდა და ბიძას სთხოვდა, მიწების განიავებაზე ხელი აეღო.

– საინტერესოა! ესე იგი, თქვენ ამბობთ, რომ პოლკოვნიკს ფინანსურად არ უჭირდა?

– არანაირად. საკმაოდ მდიდარი კაცი იყო.

– პერსი მისი პირდაპირი მემკვიდრეა?

– მისი მემკვიდრეც არის, მაგრამ, საკმაოდ შთაბეჭდილი მემკვიდრეობა დედისგანაც დარჩა. თუ ფიქრობთ, რომ შეიძლება მემკვიდრეობის გამო მოეკლა, თანაც, ასეთი მეთოდით, აბსოლუტური სისულელეა. ორი თვის შერთული ცოლი ჰყავს და ერთმანეთს შეშხარაინ.

– მდაა... ესეიქოლოგიური თვალსაზრისით, მართალი ბრძანდებით, ბედნიერი ადამიანები მკვლელობას არ სჩადიან, – დაასკვნა პოლმსმა და ექიმ უოტსონს მიუბრუნდა, – მოემზადეთ, მეგობარო, ფაულკს პარკში მივემგზავრებით, ადგილზე უნდა ვნახოთ ყველაფერი. იმედი მაქვს, პოლიციელებმა იქაურობა არ გადაქექ-გადმოქექეს.

მამულში ჩასულმა პოლმსმა სასტუმროში დაბინავდა არ ისურვა – ძალიან ჩქარობდა დანაშაულის ადგილის მონახულებას და კითხვებზეც არ პასუხობდა. პოლკოვნიკის სასახლეში შესულმა მისალბ ოთახში ინსპექტორი ლესტრეიდი დახვდათ, რომელმაც პოლმსის დანახვაზე ირონიულად ჩაიციინა:

– აქ თქვენ ვერაფერს გახვდებით, მისტერ პოლმს, ყველაფერი ცხადზე უცხადესია: ახალგაზრდა კაცმა ველარ მოითმინა, ვერ დაელოდა ბიძის ბუნებრივ აღსასრულს და მოკლა. მეტსაც გეტყვით: პოლკოვნიკი, როგორი გასაოცარიც არ უნდა იყოს, მაშინვე არ მომკვდარა... მოასწრო მსახურთუფროსისთვის ეთქვა, რომ

დაგზავნა 3 წლის ლიზი კაპელაშვილს შიპიძის სინოს დაგზავნაში!

3 წლის ლიზი ყაველაშვილი ექიმმა მცირე მენჯის ღრუს სიმსივნის დიაგნოზი დაუსვეს, რომელიც მის ჯამრთელობასა და სიცოცხლეს უდიდეს საფრთხეს უქმნის.

ლიზის სიცოცხლის შესანარჩუნებლად აუცილებელია სასწრაფო ოპერაცია ისრაელში.

გთხოვთ, გულთან ახლოს მიიტანოთ პატარა ლიზის შიში გასაჭირი და ერთად ვიზრდით მისი ლამაზი სიცოცხლის გადასარჩენად.

„ეპატი,“ „პილანი,“ „ჯიოსალი“: 0901 70 00 84.
„საპარტოპლოს პანკი“ GE40BG000000774324900.



ქალური შურისძიება

გაგრძელება. დასაწყისი
ინტერვიუ „თბილისელები“ №1-19(698)

მზიამ დიმიტრის მობილური აიღო, ნანიტას ნომერი მოძებნა, კაცებს ტუჩებზე თითის მიღებით ანიშნა, გაჩუმდითო და თავისი ტელეფონით დარეკა. ყურმილი მეოთხე ზარის შემდეგ აიღეს.



- გისმენთ, - გაისმა ქალის დაღლილი ხმა.
- ქალბატონი ნანიტა ბრძანდებით?
- დიახ.
- იცით, მე... - უცებ დაიბნა მზია.
- ვინ ხართ? - დაძაბული ხმით იკითხა ნანიტამ.
- შეიძლება, გაგიკვირდეთ, მე რომ გირეკავთ, მაგრამ, აუცილებლად მინდა თქვენ-

თან შეხვედრა და საუბარი, - მხნეობა მოიკრიბა მზიამ და შედარებით თამამად გასცა პასუხი.

- კი მაგრამ, ვინ ბრძანდებით? - კითხვა გაუმეორა ქალმა.
- უჰ, მაპატიეთ, დამავიწყდა, ჩემი თავი წარმედგინა, მე ბატონი დიმიტრის ექთანის და მომვლელი ვარ, მზია მქვია...
- თქვენ დიმიტრის დავალებით მირეკავთ?
- არა, ქალბატონო ნანიტა, გეფიცებო, მე თვითონ გირეკავთ.
- რა მოხდა, ცუდი ხომ არაფერია, როგორ არის თქვენი პაციენტი?
- უფლის წყალობით, უკეთესად.
- აბა, რატომ გინდათ, რომ შემხვედეთ?
- სალაპარაკო მაქვს თქვენთან ძალიან სერიოზულ საკითხზე.
- რა გარანტია მაქვს, რომ არ მატყუებთ? - დაეჭვებით ჰკითხა ნანიტამ, - იქნებ, სულ სხვა ვილაცხა ხართ?
- რატომ უნდა მოგატყუოთ, რა ინტერესი მაქვს?
- არ ვიცი. მე საერთოდ არ გიცნობთ და, რატომ უნდა შეხვდეთ?
- თქვენივე ინტერესებიდან გამომდინარე, - ხმა გაიმკაცრა მზიამ.
- ჩემი ინტერესებიდან? - გაუკვირდა ნანიტას.
- დიახ.
- კი მაგრამ, თქვენ რა შუაში ხართ ჩემს ინტერესებთან?
- გარემოებების დამთხვევით აღმოჩნდი შუაში, ქალბატონო ნანიტა, ჩემდაუნებურად და, მინდა, რაღაც გავარკვიო.

- რომ არ შეგხვდეთ, რას იზამთ, ძალას დამატანთ თუ სახლში მომივარდებით?

- რა თქმა უნდა, არა. უბრალოდ, ძალიან გთხოვთ, შემხვედეთ.

- კარგი, როდის გინდათ შეხვედრა? - უცებ გადაწყვიტა ნანიტამ.

- ხვალ, რომელ საათზეც თქვენ მეთყვით და სადაც თქვენ გნებავთ, - მომენტი არ გაუშვა ხელი-

დან მზიამ.

- შუადღე მირჩვენია, დაახლოებით პირველი-ორი საათი.

- სად შეხვდეთ?

- ჩემთან, სახლში.

- თქვენთან?! - დაიბნა მზია, - კი მაგრამ... -

- ხომ მითხარით, სადაც თქვენ გირჩევენიათო, ჰოდა, ჩემს სახლში მირჩევენია, უფრო სწორად, სხვა არჩევანიც არ მაქვს, რადგან, პრაქტიკულად აღარ გავდივარ გარეთ.

- რატომ? - თავისდაუნებურად წამოსცა მზიას და უცებ ენაზე იკბინა: - უი, მაპატიეთ...

- მოკლედ, ხვალ პირველიდან ორ საათამდე გელოდებით. რა მქვიაო, რა მითხარით?

- მზია მქვია, ქალბატონო ნანიტა. უკაცრავად, მისამართი მითხარით, თუ შეიძლება.

ნანიტამ მისამართი უკარნახა და ტელეფონი გათმია.

- გამოვიდა!.. - ოფლი მოინმინდა მზიამ.

- ესე იგი, ხვალ დიდი ამბები გველის, - თქვა გიორგიმ, - გეგმა შედგენილი გაქვს, როგორ უნდა ელაპარაკო?

- ქალებს ლაპარაკის გეგმა არ გვჭირდება, ამას თვითონ სიტუაცია გვიკარნახებს ხოლმე, - გაეღიმა მზიას.

ცოტა ხანს ყველა ჩუმად იყო, ბოლოს ისევ დიმიტრიმ დაარღვია სიჩუმე:

- ახლა რა უნდა ვქნათ? არ გინდა ხვალამდე გაძლება?

- გაძვლებთ როგორმე, - თქვა გიორგიმ, - წინადადება შემომაქვს, რომ „მკვდარი საათი“ მოვანყოთ, - ყველას გვჭირდება მოსვენება.

- მე თვალსაც ვერ მოვხუჭავ, - გამოაცხადა დიმიტრიმ, - ახლა რა დამაძინებს, გუული გახეთქვაზე მაქვს.

- ამიტომ, რამე დამამშვიდებელს გაგიკეთებ, მით უმეტეს, რომ დანიშნულებაშიც გინერია, - წამოდგა მზია და პარკიდან ახალი შპრიცი ამოიღო.

- აუცილებელია? - უმნოდ გაუძალიანდა ავაღმყოფი.

- აუცილებელია, - მკაცრად უპასუხა ექთანმა, - ეს დღეები სულ ემოციებსა და ნერვიულობაში გაატარე და ზედმეტი არ მოგივიდეს.

- მკლავში? - დანებდა დიმიტრი.

- არა, - მოკლედ უპასუხა მზიამ და დაელოდა.

დიმიტრიმ ამოიხრა, მორჩილად გადაბრუნდა გვერდზე და საბანი გადაიხადა. მზიამ შეუვალი სახით დაარჯო ნემსი, შემდეგ ნანემსარი ადგილი დაუზილა, საბანი დააფარა და შედარებით თბილად უთხრა:

- ბატონო დიმიტრი, ახალი კომპოტი მაქვს შენთვის, თუ გინდა, ერთ ჭიქას მოგიტან.

- კომპოტს კი არა, ისეთ ხასიათზე ვარ, დარიშხანსაც დავლევ.

- ახლავე მოგიტან, - გაუხარდა მზიას და სამზარეულოში გაიქცა.

- რას, დარიშხანს? - კითხვა დაადევნა პაციენტმა.

- ისე, კი ხარ დარიშხანის ღირსი, - გამოსძახა მზიამ ღიმილით.



არდო ჯგუფი

როდესაც ომი დაიწყო, ჩემი დასახლება დასაზარადა და არჩევნები დაიწყო და ახლოს სტანდარტით გავსა ბალანსის ზარები: ალო, მიხა მიხა 7 მილიონი აქ ალო, მალაზია მიხა 1 მილიონი აქ ალო, ბინა მიხა 500 000 აქ ალო.....

მარია 599 24 28 31



- ნახე, როგორ გამითამამდა და რამდენს მიბედავს? - ღიმილით შეხედა ღიმიტრიმ ძმას.

- ძალიან კარგი გოგოა, - თქვა ჩაფიქრებით გიორგიმ და კომპოტის ჭიქით დაბრუნებულ მზიას მუდარით ჰკითხა: - ერთი ჭიქა კომპოტი მე არ მეკუთვნის?

- ერთს კი არა, თუ გნებავთ, მთელ გრაფინს მოგიტანო, თქვენ ეს ნამდვილად დაიმსახურეთ, ბატონო გიორგი, - შეაქო მზიამ და კომპოტი მასაც გამოუტანა.

ამ უბრალო შექებას გიორგი ისეთ ხასიათზე დააყენა, სახიდან ღიმილი ვერ მოიშორა.

„როგორი განსხვავებულები არიან, - ფიქრობდა მზია და ჩუმად აკვირდებოდა ძმებს, - გარეგნობითაც, ხასიათითაც, თვისებებითაც, საქციელითაც... მოკლედ, ორი სხვადასხვა პოლუსია“...

მალე ნამალმა იმოქმედა და ღიმიტრის მშვიდად ჩაეძინა. დაღლილ გიორგისაც თვლებმა მოერია და სავარძელში გემრიელად მოენყო. მზიამ თხელი პლუედი შემოიტანა და ფრთხილად დააფარა. გიორგი გადაჩვეული იყო ქალის ზრუნვას და ეს ელემენტარული ყურადღება ისე ესაიშოვნა, კინაღამ ხელზე აკოცა ექთანს, მერე თვალები მილულა და ჩათვლია.

მზია ფეხაკრეფით გავიდა სამზარეულოში, კარი გაიხურა და ვაშხმის თადარიგს შეუდგა, თან ისევ ღიმიტრიზე ფიქრობდა. ცოტა ხნის შემდეგ აღმოაჩინა, რომ აღარ უყვარდა „თავისი ობოლი ბიჭი“, უბრალოდ, თანაუგრძნობდა და გულშემატიკრობდა, როგორც გასაჭირში ჩავარდნილ ნათესავს, რომელსაც მოვლა, ყურადღება და თანადგომა სჭირდებოდა... ამ აღმოჩენამ მზია, ცოტა არ იყოს, გააკვირვა, მაგრამ, საკუთარ თავს გამოუტყდა, რომ არც სინანული და არც წყენა არ უგრძნია, თუმცა, თვითონაც ვერ ხვდებოდა, რა იყო მისი ასეთი განწყობის მიზეზი. ერთი კი ნამდვილად იგრძნო - თითქოს ტვირთი მოეხსნა მხრებიდან და რაღაც მძიმე შეგრძნებისგან გათავისუფლდა.

ნანიტასთან შესახვედრად მზიამ დილიდანვე დაიწყო მზადება, უფრო სწორად, დილიდანვე ცდილობდა, ჩაეცხრო მღელვარება და სერიოზული და საქმიანი საუბრისთვის განაწყობო თავი. ნამდვილად არ უნდოდა, ღიმიტრის ყოფილ ცოლს ცანცარა და არამკითხველ გოგოდ მოსჩვენებოდა. ტანსაცმელიც კარგა ხანს არჩია და ბოლოს ჯინსის, ბოტასების და მაისურის ჩაცმა ამჯობინა - ასე უფრო თავისუფლად და უშუალოდ იგრძნობდა თავს. ჩვეულებისამებრ, ღიმიტრის ყველა პროცედურა ჩაუტარა, ავარჯიშა, ასაუზმა და ამასობაში ნასვლის დროც მოვიდა.

გიორგი დილით ადრე გაიქცა სამსახურში და მზიას ნასვლამდე ერთი საათით ადრე დაბრუნდა - უნდოდა, პატარა „გენერალური რეპეტიცია“ გაეყოლო. სამივე ღელავდა. მზია ცდილობდა, მხნედ ყოფილიყო და იქით აწყენარება კაცებს.

- პირდაპირ არ ჰკითხო, შენ ხომ არ გამოგზავნე ის წერილი, - უთხრა გიორგიმ.

- დარწმუნებული ვარ, იმ წერილთან ნანიტა არაფერ შუაშია, - თქვა ღიმიტრიმ, - თქვენ მას არ იცნობთ.

- მეც ასე ვფიქრობ, მაგრამ, შეიძლება, მასთან საუბარმა მიმახვედროს, ვინ არის წერილის ავტორი, - მზია უკვე მთლიანად ფლობდა თავს და მისი სიტყვები საკმაოდ დამაჯერებლად გაისმა, - ისე, ცნობისთვის, წერილი თან მიმაქვს.

- ეგ რაღა საჭიროა? - ალელდა ღიმიტრი.

- საჭიროა, - უპასუხა მზიამ.

- მაინც, რისთვის? - ჩაეძინა ღიმიტრი.

- თუნდაც იმისთვის, რომ, როცა ვეცხვი, ასეთი და ასეთი წერილი მოუვიდა ბატონ ღიმიტრის-მეთქი, ხომ შეიძლება, სიტყვაზე არ დამიჯეროს და მითხრას, მაჩვენეო?

- ჰო, მართალი ხარ, - დაეთანხმა გიორგი.

- გვეყოფა განხილვა, ჩემი ნასვლის დროა, - მზია ნამოდგა, - აბა, თქვენ იცით, ჭკვიანად იყავით, არ ინერვიულოთ და დამელოდეთ. ბატონო ღიმიტრი, არც ერთი ნამალი არ გამოტოვო, თორემ, გავზრახდები, იცოდე, - ისე მკაცრად და სერიოზულად თქვა გოგომ, რომ კაცებს გაეცინათ.

- ეს ისე შეიჭრა რაღაში, მალე კუთხეშიც დაგვაყენებს, თუ ყველაფერს არ დაუჯერებთ, - უთხრა ღიმიტრიმ ძმას, მერე სანოლში ნამოჯდა, ექთანს „ჩესტი“ აუღო და ხმამალა თქვა: - არის, უფროსო! თქვენი დავალება პირნათლად იქნება შესრულებული!

მზიამ შეიფერა ღიმიტრის „პატაკი“ და ახლა გიორგის შეხედა. ისიც აპყვა ძმას ხუმრობაში, ნამოდგა, ფეხს ფეხს ხმაურით მიადგა, გაშლილი ხელისგული საფეთქელზე მიიღო და გამოთქმით თქვა: - მზად ვარ, ბრძოლისა და თავდაცვისთვის! - და ამ პოზაში გაშეშდა.

- თავისუფლად! - ნება დართო მზიამ და გაეცინა, - ისე, შეგეძლოთ, ცოტა ნაკლებად გეყვირათ, ყრუ კი არ ვარ.

- ჩვენც როლებში შევიჭერთი, ჩემო კარგო, - გაღიმა გიორგიმ, - შენი პათოსი ძალიან გადამდები აღმოჩნდა.

- კაცმა რომ შემოგხედოთ, სერიოზული, დარბაისელი შუა ხნის კაცები ეგონებით, არადა, ისევ ბავშვობაში ხართ ჩარჩენილები. ასე მგონია, რვა წლის ბიჭებთან მაქვს საქმე, - თავი გადააქნია ექთანმა.



- რაო?! შუა ხნის კაცებიო?! - ერთხმად შეიცხადეს ძმებმა, - აი, ეგ კი არ უნდა გეთქვა. შუა ხნის კი არა, სიჭაბუკის შუა სტადიაში ვართ.

მზიამ შემწყნარებლურად გაუღიმა ძმებს, ჩანთა და სათვალე აიღო და გასასვლელისკენ გაეშურა.

- ნავედი! ნუ გემინიათ, არაფერი შემემლება! - მიაძახა კარიდან და გაუჩინარდა.

მარტოდ დარჩენილმა ძმებმა უმნეოდ გადახედეს ერთმანეთს და ჩაფიქრდნენ.

- იცი, როგორი შეგრძნება გამიჩნდა? - თქვა ცოტა ხნის შემდეგ გიორგიმ.

- მეც, - დაეთანხმა ღიმიტრი.

- რა - „მეც“, რაზე მეთანხმები, ჯერ ხომ არაფერი მითქვამს?

- მეც იგივე გრძნობა გამიჩნდა, რაც შენ, - ჩუმად თქვა ღიმიტრიმ.

- მაინც, რა გრძნობა? - ჩაეკითხა ძმა.

- თითქოს პატარა ვარ და დედამ ბნელ ოთახში მარტო დამტოვა, - მორცხვად თქვა ღიმიტრიმ.

- მართლა?! - გაუკვირდა გიორგის, - მეც უსუსლად იგივე დამემართა.

- მიგხვდი და იმიტომ გითხარი, მეც-მეთქი. საოცარი გოგოა მზია. გარდა იმისა, რომ მაგარი პროფესიონალია, მონოდებით არის მედიცინის მუშაკი. ასეთი ექთანს რომ არ შემხვედროდა, არ ვიცი, რა მეშველებოდა, - ჩაფიქრებით წარმოთქვა ღიმიტრიმ.

- ეს არ შეგხვდებოდა, სხვა იქნებოდა, კარგ ექთანს რა დავლევს, - გამომცდელად უთხრა გიორგიმ ძმას და თვალელები შეხედა.

- არა, მარტო პროფესიონალიზმს არ ვგულისხმობ. მზია ჩემზე ფსიქოლოგიურად დადებითად მოქმედებს. თან, თითქოს თბილი და დამთმობია, მაგრამ, რაღაცნაირი ისეთი შინაგანი ძალა აქვს, რომ მის სიტყვას დემორჩილო, - ღიმიტრიმ ვერ იგრძნო გიორგი.

ქველ-სახსართა პათოლოგიების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატიკული ართროზის, ანკილოზიკური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა; დაზიანებული ნრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა; მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციო სახსრებზე ძვლის მკვებავებით; წონის დაკლება თვეში 5-18 კილოგრამამდე, დეიტების, აკრძალვებისა და ვარჯიშების გარეშე, მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით; ასევე, სიმალეში ზრდა 2-დან 25 წლამდე, კურსის განმავლობაში 3-5 სანტიმეტრის მომატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით; ინდივიდუალურად შედგენილი პროგრამა - დანიშნულებით+ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

599-91-37-65 - ქ-ნი ქაიოჰანი; 2-47-58-83 - ოფისი.



გის გამომცდელი ტონი და მზერა.

- მართალი ხარ, - მაშინვე დაეთანხმა გიორგი, - შინაგანად ძალიან ძლიერი ადამიანია და, თან, ძალიან სუფთა და ალალი. ასეთი ცოლი ღვთის წყალობაა ნებისმიერი კაცისთვის, მით უმეტეს, რომ გარეგნობითაც არა უშავს და, ამ ყველაფრის გარდა, საკმაოდ გონიერი გოგოა.

- გონიერიც და, შენ წარმოიდგინე, ნაკითხი. მაგრამ, სამწუხაროდ, სწორედ ასეთ გოგოებს არ უმართლებთ ცხოვრებაში.

- რატომ, რამე შეემთხვა? - დაინტერესდა გიორგი.

- ჰო, არ ჰქონდა ბედნიერი ცხოვრება, მაგრამ, არ გაბოროტდა და ეს არის მთავარი.

- მართლა? - კიდევ უფრო მეტად დაი-

ნტერესდა გიორგი, - მაინც, რა დაემართა?

- არ გეწყინოს, მაგრამ, ვერ გეტყვი. არ გამოვა ლამაზი, სხვისი საიდუმლო გაიმბო.

- ორი სიტყვით მითხარი, - ცნობისმოყვარეობამ შეიპყრო გიორგი, - გეფიცები, ჩემგან ვერაფერს იგრძნობს.

- შენ რა „ლოუბაპიტნაია ვარჯარა“ ყოფილხარ, - გაეცინა დიმიტრის.

- საერთოდ, არ ვარ, მაგრამ, ახლა მართლაც

ძალიან დავინტერესდი, - შერცხვა გიორგის.

- კარგი, ორი სიტყვით გეტყვი: დედა ადრე მოუკვდა, მამამ შვილიანი ქალი შვირთო მეორე ცოლად, მერე საერთო შვილიც გაუჩნდათ და ასე იქცა მზია უფასო მოსამსახურედ. მერე ვიღაც ბიჭი შეუყვარდა იმასაც დაამორეს. მერე მამიდამ შეიფარა, ბოლოს კი თბილისში წამოვიდა და სამედიცინო ტექნიკუმში ჩააბარა. თურმე, მთელი ცხოვრება ექიმობაზე ან გამომძიებლობაზე ოცნებობდა. სხვათა შორის, წიგნების კითხვაც პატარაობიდანვე ჰყვარებია.

- იმიტომ ჩააბარე შენი საქმის გამოძიება? - გაელშია გიორგის.

- ჰო. თან, ერთი რღაც ისტორია მიაბ-

ბო, როგორ მიაგნო ბეჭდის ქურდს და მივხვდი, რომ მართლაც აქვს ანალიტიკური უნარი. გიჟდება დეტექტივებზე, თითქმის ყველა წიგნი წაკითხული აქვს ამ წანრში, რაც კი ქართულად არის ნათარგმნი და აღმერთებს მის მარპლს, - გაეცინა დიმიტრის, - ძალიან საინტერესო და კოლორიტული ადამიანია.

- მოკლედ, დიმიტრია გელოვანი, ოლონდ, აღმატებით ხარისხში, - გაეცინა გიორგის.

დიმიტრის ყურადღება არ მიუქცევია ძმის ხუმრობისთვის, ისევ სერიოზულად განაგრძო:

- აბსოლუტურად არ არის პროვინციელი გოგოს ტიპაჟი, ისეთი სიტყვა-პასუხი და საქციელი აქვს, გეგონება, ძალიან დახვეწილ ოჯახში გაიზარდა. სხვათა შორის, ჩაცმის გემოვნებასაც ვერ დაუნუნებ, რომ აღარაფერი ვთქვა მის კულინარიულ ნიჭზე და, ზოგადად, დისახლისობაზე, - დიმიტრი ცოტა ხანს გაჩუმდა და ჩაფიქრებით თქვა: - ისე შევეჩვიე, ასე მგონია, ჩემი უმცროსი დაა. თან, სულ მეშინია, რომ არ მიმატოვოს.

- და?! - დაეჭვებით ჰკითხა გიორგიმ, - მე კი მეგონა, სხვა ბაღჩაში ისროდი კენჭებს.

- რომელ ბაღჩაში? - ვერ მიხვდა დიმიტრი.

- მეგონა, შეგიყვარდა-მეთქი.

- შემიყვარდა?! - გაუკვირდა დიმიტრის.

- ასე რატომ გავოცდნ? ისე აქებდი და ადიდებდი, მეგონა..

- სულ ტყუილად გეგონა. ჯერ ერთი, ჩემს ასაკში და ჩემს მდგომარეობაში რა დროს სიყვარულია, თანაც...

- რა - „თანაც“? გინდა თქვა, რომ მაინც პროვინციელი გოგოა და შენს დახვეწილ სულიერ სამყაროს ვერ შესწვდება? - წაგესლა გიორგიმ.

- ეგ არაფერ შუაშია და ნუ მეიზიანებ. მე ძალიან მადლობელი და მადლიერი ვარ მზიასი, მაგრამ, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ შემიყვარდეს. რაც შეეხება პროვინციულობას, ამასთან დაკავშირებით მე ვეთანხმები ძალიან ჭკვიანურ ფორმულირებას, რომ პროვინციულობა არ არის გეოგრაფიული ცნება, ეს არის სულის თვისება. ვაკეში დაბადებულ-გაზრდილი ბევრი ქაჯი და გოიმიც მინახავს და სოფელში დაბერებული ბევრი დახვეწილი ინტელიგენტიც. ასე რომ, ცდები, როცა ასეთ ბრალდებას მიყენებ. გარდა ამისა, არც ერთი ჩვენგანი არ არის არც ხობხის და, მით უმეტეს, არც ვახტანგ გორგასლის ბიძაშვილი.

- მომწონს შენი აზროვნებაც და მსჯელობაც, აშკარად სულიერი გამოსწორების გზას ადგახარ, მაგრამ, რატომღაც, მეჩვენება, რომ მზიას უყვარხარ და, მეცოდება, რომ შენ საპასუხო გრძნობით...

- რა გინდა ჩემგან, გიორგი? - გაბრაზდა დიმიტრი, - არ მიყვარს ეს გოგო, როგორც ქალი და, რა ვქნა?! ვიცი, მეტყვი, თან გყვება და თვალბეჭდში შემოგციცინებსო, მაგრამ, მადლიერების გამო სიყვარული არ გამიგია. სიმართლე გითხრა, რომც შემეყვარე-

წინა ნომერში გამოქვეყნებული სპანსორდისა და სულოკუს პასუხები

Table with 10 columns and 20 rows of letters and numbers for a word search puzzle.

Table with 10 columns and 10 rows of numbers for a crossword puzzle.

Table with 10 columns and 10 rows of numbers for a crossword puzzle.

„თუ გამოიცნობთ“ რუბრიკის პასუხები: 1. დეკანი. 2. ეს იყო 4 ივლისი - ამერიკის დამოუკიდებლობის დღე. 3. ვენერა მელოტია. 4. ცხენის მოპარვა. 5. „ტეფალი“ - მის მიერ წარმოებულ ტაფებზე არაფერი დაეკრობა. 6. წმიდა პავლეს მოკვეთილი თავი გაგორდა, სამგან შეეხო მინას და ზუსტად იმ ადგილას ამოხეთქა შადრევნებმა. 7. კოქტეილის სანრუბავ ღეროს - გოფირებული ნაწილი. 8. გაფიცვის. 9. ლათინურს - ის გახდა პაპი იოანე მეცამეტე. 10. მანსარი; აქედან - მანსარდი.



ბოდა, მაინც არ ვაგრძნობინებდი და გულში ჩავიკლავდი.

- რატომ?

- იმიტომ, რომ არ ვიქნებოდი მართალი მზიას წინაშე. ისედაც იმდენი ტკივილი და ტანჯვა გადაიტანა ცხოვრებაში და ამ ახალგაზრდა ქალს რაში სჭირდება თითქმის თხუთმეტი წლით უფროსი, თანაც, ხეობარი და უხასიათო ქმარი?! მზია ჩემთვის არის კარგი ექთანის და კარგი მეგობარი, მეტი არაფერი.

- ისე, პრინციპში, მართალი ხარ. სხვათა შორის, მიხარია, რომ ჰუმანურად აზროვნებ. აშკარად გამოსწორების გზაზე ხარ დამდგარი. შენ რუსები არ გიყვარს, მაგრამ, ერთი კარგი ანდაზა აქვთ: „ნეტ ხუდა ბეზ დობრა“, რომელიც შენს შემთხვევაში ძალიან ამართლებს.

- მაგალითად? - იკითხა დიმიტრიმ და უცებ თვითონვე მიხვდა, რასაც გულისხმობდა გიორგი, თუმცა, აცადა, მას თვითონ გაეკეთებინა განმარტება.

- მაგალითად, ავარიამ, მართალია, ძალიან დაგასახიჩრა და ძლივს გადარჩი, მაგრამ, შენი ცუდი ხასიათი ნელ-ნელა სადღაც ქრება და მის ადგილს ადამიანების მიმართ კეთილგანწყობა იკავებს.

- მართალს მეუბნები? - გაუხარდა დიმიტრის, - ჩემს დასამშვიდებლად არ ამბობ ამას?

- მართალს გეუბნები და, მიხარია, ამ ცვლილებას რომ ვხედავ.

- შენ ვინ გითხრა, რომ მზიას ვუყვარვარ?

- ამას რა თქმა უნდა, საავადმყოფოდან მოყოლებული, მგონი, შენით სუნთქავს და ცოცხლობს. რა, შენ ვერ იგრძენი?

- ვერა, - თქვა დიმიტრიმ და უხერხულად იკითხა: - ახლა ხომ ვიცი შენგან. უნდა ვაგრძნობინო რამე?

- თუ ნამდვილად არანაირი გრძნობა არ გაქვს, არც კი გაბედო! - მკაცრად თქვა გიორგიმ, - ამით, გარდა ტკივილისა, შეურაცხყოფასაც მიაყენებ, რასაც მზია ნამდვილად არ იმსახურებს... კარგი, გვეყო მზიაზე ლაპარაკი, - იუხერხულა გიორგიმ.

- მართალი ხარ, მაგრამ, დრო რით გაცივანოთ? - იკითხა დიმიტრიმ.

გიორგიმ მხრები აიჩეჩა და გაჩუმდა, მაგრამ, ამ სიჩუმემ ისე დაამძიმა ჰაერი, ორივეს სული შეეხუთა და დიმიტრიმ სთხოვა, ფანჯარა გამოაღო. გიორგიმ ფანჯარა გააღო და ტელევიზორი ჩართო, რომ ეს აუტანელი ღუმელი მაინც დარღვეულიყო.

- ნეტავი ახლა რას შვრება ჩვენი გოგო? - მოულოდნელად ისე თბილად იკითხა გიორგიმ, რომ დიმიტრის თითქოს უცებ გაუნათდა გონება.

- მოიცა, მოიცა... აბა, ერთი თვალეპში შემომხედე, - უთხრა ძმას და ეშმაკურად გაუღიმა.

- რა იყო? - დაიბნა გიორგი.

- რა იყო და... - გაეცინა დიმიტრის, - აბა, ჩემო წესიერო და მორალისტო ძმაო, გამოტყდი, რაშია საქმე?

- რაში უნდა იყოს? - პასუხი აირიდა

გიორგიმ.

- არ გინდა, სიმართლე უთხრა შენს ერთადერთ ძმას? - გამომცდელად ჰკითხა დიმიტრიმ.

გიორგი პატარა ბიჭივით განითლდა და ცოტა ხანს ხმა არ ამოუღია, მერე კი თვალეპში შეხედა დიმიტრის და უთხრა:

- სანამ სიმართლეს გეტყვი, ერთ შეკითხვას დაგისვამ და შენც სიმართლე მიპასუხე, მპირდები?

- პიონერულ ფიცს გაძღვე! - გაეცინა დიმიტრის.

- ნუ მასხარაობ, მე სერიოზულად გელაპარაკები!

- კარგი, ბატონო, მეც სერიოზულად გპირდები, რომ სიმართლეს გიპასუხებ.

- შენ წელან რამდენიმე მიზეზი ჩამოთვალე, რის გამოც მზიას არ ან ვერ შეიყვარებდი და ძირითად მიზეზებად შენი ასაკი და ჯანმრთელობა დაასახელე.

- ჰო, მერე რა?

- მაინტერესებს, უფრო ახალგაზრდა რომ იყო, მაინც არ შეგიყვარდებოდა მზია?

- არა, - მაშინვე უპასუხა დიმიტრიმ, - და, იცი, რატომ?

- რატომ? - მოუთმენლად იკითხა გიორგიმ.

- იმიტომ, რომ, ზოგადად, მე არ ვარ ის კაცი, რომელსაც სიყვარული შეუძლია. ჩემი ცოლიც კი, რომელთანაც თითქმის თხუთმეტი წელი ვიცხოვრე, გაყარა და არ ვიცოდი ზუსტად, მიყვარდა თუ არა. მხოლოდ ახლა ვგრძნობ, რომ, მგონი, მაშინ შემიყვარდა, როცა ჩვენ შორის, პრაქტიკულად, უკვე ყველაფერი დამთავრებული იყო, მაგრამ, სამწუხაროდ, ძალიან დაგვიანებული აღმოჩნდა ჩემი გრძნობა. ისე, შენც მშვენივრად იცი, რომ, საბოლოო ჯამში, მე ერთი არასერიოზული, ხუმრუტებიანი და არასტაბილური კაცი ვარ. ამიტომ, შეიძლება ითქვას, რომ ეს გრძნობა უცხოა ჩემთვის. თანაც, საკმარისად მიმანჩია ერთი ქალის ცხოვრების არევა და გაუბედურება.

- ანუ, მზიასთვის არასდროს შეგიხედავს სხვანაირი თვალთ?

- შენ მართლა გარეკე ამ სიბერეში თუ რა დაგემართა? - უცბად გაბრაზდა დიმიტრი.

- კითხვაზე გამეცი პასუხი! - კატეგორიულად მოსთხოვა გიორგიმ ძმას.

- ვერ გავიგე, რა დაკითხვას მიწყობ? არა-მეთქი, ბატონო, არასდროს! ყველას და ყველაფერს გეფიცები! როგორ დაგარწმუნო?

- კარგი, მჯერა, - თქვა გიორგიმ და უხერხულად გაჩუმდა.

- ახლა მე გეტყვი რამდენიმე სიტყვას, - დიმიტრი სანოლში წამოჯდა და ძმას გამამხნეველად მიმართა: - გატყობ, გულგრილი არ ხარ მზიას მიმართ, ხომ მართალია?

- ჰო, ასეა, - უკვე თამამად უპასუხა გიორგიმ.

- მერე, რა გიშლის ხელს? ჩემი მიზეზი ნამდვილად მოგეხსნა.

- მეც ორი მიზეზი მაქვს, რომ ეს გრძნობა არ გავამჟღავნო.



- რა ორი მიზეზი?

- ერთი - ასაკი და, მეორე, რაც მთავარია, მზიას შენ უყვარხარ.

- რას ჩაიხვია ეს „შენ უყვარხარ“, ვერ გავიგე. რატომ ხარ ასეთი დარწმუნებული, თვითონ გითხრა?

- არა, მაგრამ...

- ჰოდა, ჯერ გაარკვიე და მერე ილაპარაკე! რაც შეეხება ასაკს, მართალია, თითქმის ოცი წლით უფროსი გამოდიხარ, მაგრამ, რა მოხდა, პატარა ბიჭივით გამოიყურები. ასე რომ, მიდი, მინაქი ცხოვრებას!

გიორგი ჩააფიქრა ძმის სიტყვებმა, მერე კი ისეთი სიცილი აუტყდა, კინაღამ დაიხრჩო.

- რა გაცინებს? - ჰკითხა დიმიტრიმ, თუმცა, თვითონაც იცინოდა.

- რა და, სუფთა ბრაზილიური თუ მექსიკური სერიალი გამოგვივიდა - ორი ძმა ერთმანეთში არკვევს, რომელს უყვარს სოფლიდან ჩამოსული ღარიბი, მაგრამ ლამაზი და წესიერი ახალგაზრდა გოგო.

- ჰო, მართალი ხარ, მართლა სერიალის სცენარი გამოგვივიდა, მაგრამ, რაღაც მომენტში მართლა მეგონა, რომ პატარა ბიჭები ვიყავით...

- პატარა ბიჭები რა შუაშია? - შეანყვებინა გიორგიმ.

- პატარა ბიჭები ვიყავით, რომლებიც თავიანთ ცხოვრებაში გამოჩენილი პირველი გოგოს ღირსებასა და ნაკლს განიხილავდნენ, - დაასრულა ფრაზა დიმიტრიმ.

- ჰო, შენც მართალი ხარ, - დაეთანხმა ძმა, - ეტყობა, რა ხნისაც არ უნდა იყოს მამაკაცი, მასში რაღაც დოზით ყოველთვის რჩება პატარა ბიჭი და ეს ძალიან კარგია.

- ვითომ? - დაეჭვდა დიმიტრი, - რით არის კარგი?

- ვითომ კი არა, ასეა. კარგი კი იმით არის, რომ, ეს იგი, ჯერ კიდევ არ ვართ ბებრები.

- წარმომიდგენია, რას იფიქრებს, ეს ყველაფერი მზიამ რომ გაიგოს, - თქვა უცებ დიმიტრიმ.

- არავითარ შემთხვევაში არ უნდა ვაგრძნობინოთ, თორემ, ზუსტად ვიცი, მიგვატოვებს, - შეემინდა გიორგის.

- ისე, მაგრამ კი დაგვაშინა ამ თითისტოლა გოგომ, - გაეცინა დიმიტრის და, ის იყო, კიდევ რაღაც უნდა ეთქვა, რომ უცებ შემოსასვლელ კარზე ზარის ხმა გაისმა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში



ყველა ქაში ერთნაირია

გაგრძელება. დასაწყისი
იხ. „თბილისელები“ №12-19(698)

იდეალური სიტუაცია

ფული აღენი ამბობდა: იდეალური ცოლი – ეს არის კარგი დედა, ინტელექტუალური ქალი, კულტურული არსება და ღამლამობით უზნეო, ყველაფერზე წამსვლელი საყვარელი... სათქმელად ადვილია, მაგრამ, აბა, სცადეთ და დააკმაყოფილოთ ეს ერთი შეხედვით მინიმალური მოთხოვნები?!

ვახომ ხალხი მოათვალეირა და შენუხებულს სახით გადახედა ცოლს.

– აუ, რაც მე ასეთ ფსევდობომონდურ თავყრილობებს ვერ ვიტან...

– ახლა ნუნუნი არ დაინყო, – გააფრთხილა ქეთიმ, – მე ძალიან მომწონს. არაჩვეულებრივი გარემოა. ყველაფერი ისეთი ღამაზაია... ღიზას აშკარად კარგი გემოვნება აქვს, არასდროს ღალატობს.

– აი, მაგამი კი ვერ დაგეთანხმები, თუ მისი და ზუკას ურთიერთობას გავითვალისწინებთ, – ირონიულად ჩაიცინა ვახომ.

ქეთიმ წარბი შეიკრა:

– არ გინდა. მაგაზე ნუ ვილაპარაკებთ, ჩვენი საქმე არ არის.

– მე ვამბობ, ჩვენი საქმეა-მეთქი?! – მხრები აიჩჩრა ვახომ, – შენ რომ თქვი გემოვნებაზე, მეც იმიტომ გამახსენდა ეგ ამბავი.

– ჰო, მართლა, შენები სად არიან? – მიიხედ-მოიხედა ქეთიმ, – რალაც, ვერავის ვხედავ.

– ჩვენ ცოტა ადრე მოგვივიდა მოსვლა, გამორჩევიან ეგენიც. რა ენაღვლებათ, მე კი მაინც ვნერვიულობ ცოტას.

– რატომ?

– სწორედ ზუკას გამო – რამე სიურპრიზი არ მოგვიწყოს.

– რა სიურპრიზი, არ მითხრა, რომ ისეც უყვარს ღიზა. რა აბსურდია!..

– შენ აბსურდი ეძახე და, გიგიმ თქვა, მთელი ოთახი ღიზას სურათებით აქვს აჭრელებული. ჭიქაზეც, საფერფლებზეც და ღამის ფარდებზეც კი, მისი ფოტოები აქვს ჩაბეჭდილი.

– მართლა? – ქეთის გაეღიმა, – ასეთი სულელია ზუკა?

– ჰო, ასეთი სულელია. ზოგადად, ასეთი სულელები ვართ კაცები, ჩემი ჩათვლით.

– ამას რატომ ამბობ? შენ საერთოდ რა შუაში ხარ? – ეწყინა ქეთის ქმრის სიტყვები, – როგორი უცნაური თქმა იცი ხოლმე.

– ჰო, კარგი, დაივიწყე. აგერ, შენი საყვარელი ღიზა მოდის და გაუღიმე. თან, არ და-

გავინყდეს, გემოვნება შეუქო, – მაინც ნაგესლა ვახომ. ქეთი დაიწყანა, მაგრამ ვერაფრის თქმა ვეღარ მოასწრო – ღიზას მიეგება და გადაკოცნა. მერე რამდენიმე ნაბიჯით უკან დაიხია და მის გამობერულ მუცელს ალტაცებულად მზერა შეავლო:

– ღიზა, როგორ შეცვლილხარ!.. როდის ელოდები? ალბათ, მალე.

– ანუ, ძალიან გავიბერე და დავუწნოვდი, ჰო? შემომხედე, რას ვკვარ. ველარაფერში ველარ ვეჭტევი... კაბაც კი ვერ შევარჩიე წესიერი. ჩემს ქმარს ვერ გავუტყებ ხათრი, თორემ, მე რა ხალხში გამოსაჩენი ვარ.

– პირიქით, არაჩვეულებრივად გამოიყურები. კაბაც მშვენიერია და შენც უკეთესობისკენ ხარ შეცვლილი. ის ძველი ღიზა აღარ ხარ, მაგრამ, მე ეს „ახალი“ გაცოლებით მომწონს.

– ჰა, ჰა, ჰა! – გადაიკისკისა ღიზამ, – როგორი საყვარელი ხარ, მშვენივრად გამიკეთე გული. შენი მუხლზეც ასეთი აზრისაა? – ქალი ვახოს მიუბრუნდა და კეკლუცად გაუღიმა.

– მე, ზოგადად, ვგიჟდები ორსულ ქალებზე – ეს ჩემი სისუსტეა, ამიტომ, ობიექტური ვერაფრით ვიქნები, – ორზროვანი პასუხი გასცა ვახომ.

– შენი ქმარი დიპლომატიური ნიჭით ყოფილა დაჯილდოებული. არ ვიცოდი... – ღიმილით აღნიშნა ღიზამ, – ქეთი, შენც ძალიან ღამაზი ხარ. წამოდი, აქაურობას დაგათვალეირებინებ. ლევანს ცოტა სხვანაირად ჰქონდა წარმოდგენილი, მაგრამ, რადგან მე მოვიკიდე ხელი, მთელი პროექტი თავდაყირა დაგუყენე. ზამთრის ბალი და ჩანჩქერიც კი დავამატებინე. ბიუჯეტიც დავარღვიე და გადავაჭარბე, მაგრამ, ღირდა ამად. ასეთი კაფე, მგონი, პარიზშიც არ არის... გახსოვს იქაური კრუასანები და ყავა? დამიჯერე, ღამის უკეთესს ვაკეთებინებ აქაურ მზარეულს.

– ფრანგია? – მოგონილი ინტერესით ჰკითხა ვახომ, თან თვალის აცეცებდა, იქნებ ვინმე ნაცნობი დაეინახო, მაგრამ, მხოლოდ ტელევიზიით კარგად გაპიარებული პერსონები ხვდებოდნენ თვალში... ბოლოს, როგორც იქნა, გიგა და თიკო შენიშნა საკმაოდ მოშორებით.

– თქვენ იფურტულეთ, მე ჩემიანებს ვნახავ, – უთხრა ქეთის და დარბაზის მოპირდაპირე მხარეს გაემართა.

– აბა, მითხარი, როგორ ხარ? – დრო იხელთა ღიზამ და ქეთის მხარზე მოქაჩა, – აღარ ჩხუბობ?

– მე ცვდილობ, რომ არ ვიჩხუბოთ, – ამოიხარა ქეთიმ, – თორემ, ამას რა გამოასწორებს. კაცები ყოველთვის ერთნაირები არიან.

– იდეალური ცოლი გინდა გახდე? პრინციპში, შეუძლებელი არაფერია – მონიშნომე და გამოვივა. არ დაგავინყდეს მთავარი კომპონენტი – კარგი სექსი, რომელიც ნებისმიერ ბზარს ანებებს, – გადაიკისკისა ღიზამ, – შეგიძლია, სიტყვაზე მენდო.

– ჰო, რა ვიცი. ვნახობ, იმ ინტრიგაზე რომ დაგთანხმდით.

– რომელ ინტრიგაზე? – ვერ გაიხსენა ღიზამ.

– თომასთან ვითომ ფლირტი რომ მქონდა. სულ ტყუილად წამოვიწყეთ ეგ ამბავი. პრობლემა, ალბათ, ისედაც მოგვარდებოდა, ახლა კი სინდისი მანუხებს და, რაც ყველაზე ცუდია, თანამშრომელთან შემექმნა პრობლემა.

– თანამშრომელი საერთოდ რა შუაშია? – მრგვალი, ღამაზი მხრები აიჩჩრა ღიზამ, საყვარლად რომ გამოუჩნდა მაქმანის თხელი კაბიდან.

– ისინი ხომ ხედავენ, თომა რომ მაკითხავდა. ჰოდა, ერთ-ერთმა, მგონი, დაურეკა კიდევ ვახოს. ახლა კი, აშკარად ეტყობა, არ გაახარა იმან, რომ ქმარს შევუვარდი.

– ამაზე ნერვიულობ? ქეთი, თუ სხვა პრობლემა არ გაქვს, ბედნიერი ყოფილხარ. ბოროტი და ბოლმა ქალების მეტი რა არის ამ ქალაქში?

– შენ მარტივად უყურებ ამას, მაგრამ, მთლად ასეც არ არის საქმე. ნატოს კიდევ რომ მოუწოდეს ვახოსთან დარეკვა და ჩვენი ურთიერთობის არევა, დარწმუნებული ვარ, შეძლებს ამას.

– იმიტომ, რომ შენ აძლევ უფლებას.

– უფლებას როგორ ვაძლევ, როცა ვეჩხუბე? – ამოიხარა ქეთიმ, – თუმცა, მანამდე, მისი გონის მოგება მინდოდა და ღამის შენს ნეველებზეც კი წამოვიყვანე.

ღიზამ უქმყოფილად გადააქნია თავი:

– არასწორად მოქცეულხარ, ასეთი შეცდომა როგორ დაუმე! საერთოდ არ უნდა მიგექცია მისთვის ყურადღება, არაფრად არ უნდა ჩაგვედო... უჰ, მომენტატრა შენთან ჭორაობა, მაგრამ, ახლა სხვა სტუმრებზეც უნდა მივხედო. ისე, თომა მგონი, მოვა აქ... – რა?! – გაფითრდა ქეთი, – რატომ დაპატიუე?

– იმიტომ, რომ ნინის საქმროა, ჩემი მეგობრის. ხომ არ ვეტყვიდი, არ წამოვიყვანო-მეთქი? უხერხულად გამოდიოდა.

– ვაიმე, ეგლა მაკლდა, – შეიცხადა ქეთიმ.

– ნუ დაფთვდი, არაფერიც არ მოხდება.

– რომ მოხდეს? ვახოც აქ არის. ღიზა, არ გეწყინოს და, უნდა წავიდე,

– გუბუნები, ნუ ფეთდები. ჯერ ერთი, ვახო თომას საერთოდ არ იცნობს, სახეზეც არ უნახავს და, რა უნდა მოხდეს? მეორეც – რას ეტყვი ვახოს, რატომ გავრბივართ ასე ჩქარაო?

– მოვიმიზეზებ რამეს.

– გუბუნები, დამშვიდდი. მე დამიჯერე. მიდი შენს ქმართან და გაერთეთ. ყველაფერი კარგად იქნება, მთავარია, შენს ვახოს სჯერა შენი.

– სწორედ მაგამი მეპარება ეჭვი, – სევდიანად გაეღიმა ქეთის, – ბოლო დროს რამდენჯერმე ისეთ აბსურდზე იეჭვიანა, რომ გავგიჟდი.

– ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებ წვრილმანებს და ეს არის შენი პრობლემა. წავიდი, სტუმრებს უნდა მივხედო. გნახავ კიდევ...

ღიზა დარბაზის სიდრმისკენ „გაშრიალდა“. ქეთიმ ამოიხარა და ქმარს დაუნყო ძებნა...

– ზუკა არ გინახავს? არ გამოჩენილა აქ? – ჰკითხა გიგიმ ვახოს.

– მოიცა, კაცო, რა დროს ზუკაა... – ვახომ თვალეზი მოჭყუტა და თიკო თავიდან ფეხებამდე მუჭტრის თვალით შეათვალეირა, – ვა! ეს თიკოა? გოგო, სად მალავდი ამ სილამაზეს?

– სად მალავდა და ფართუნა, უგემოვნო კაბებში, – დაასწრო პასუხი გიგიმ, – ჩემი დამსახურებაა, ასე რომ გამოიყურება.

– შენი კი არა, მამაჩემის, – სიცილით ჩაილაპარაკა თიკომ და ვახოს უნდობლად შეხედა, – მართლა მოგეწონეთ?

– ძალიან. გეფიცები, მოლოდინს გადააჭარბე. ძალიან მაგრად გამოიყურები, მართლა





საოცრად გიხდება ეს ყველაფერი. ოფისში იარე ასე ჩაცმულმა და კლინტიკებსაც მოიზიდავ.

- თქვენც ამ მასხარასავით ხუმრობთ, - ყასიდად გაბრაზდა თიკო და გიგის მკლავზე მოჰკიდა ხელი, - ნამოდი, კავალერო, სასმელი მაინც შემომთავაზე, ყელი გამიშრა. მიხედე შენს „დამას“...

- მთლად ზედაც ნუ მომწებები. გახსოვდეს, რომ ნებისმიერ წუთს შეიძლება ნინი დაგვატყდეს თავს.

- მაგ შენი ნინი ნუ მაშინებ... მოვიდეს და მეც ვეტყვი სათქმელს. აუფხსნი, რომ არაფერი მიჭირდები.

- ვითომ? აბა, დაიფიცე... - ვალში არ დარჩა გიგი.

- გეყოფათ, ლევანი მოდის ცოლთან ერთად! - გააფრთხილა ვახო ორივე, - ლიზასთან რომ დავტოვებ ქეთი, ნეტავ სად წავიდა? თიკო, შენ რა გჭირს, სად მიდიხარ?

- დავლევ რამეს, მართლა მწყურია, - თქვა თიკომ და, აპირებდა კიდევ წასვლას, რომ ლევანს ლამის პირისპირ შეეფეთა. დაბნეული ერთიანად განითლდა და გიგის გამეტებოთ ჩაასო მკლავში თითები.

- ნელა, გოგო, ხელი არ მომავლიჯო, - წასწრწრულა ბიჭმა, რომელიც მაშინვე მიხვდა გოგოს მღელვარების მიზეზს. არც ლევანი იყო უკეთეს დღეში. უხერხულად იმშუშნებოდა და თიკოს მხერგას არიდებდა. სიტუაცია ისევ გიგიმ გადაარჩინა:

- ბატონო ლევან, ყველაფერი შესანიშნავად გამოსულა, ძალიან მოგვწონს. გმადლობ, რომ მოგვწონივით. ლიზას იდეებმა აშკარად გაამართლა.

- ჰო, კარგი გამოვიდა. თქვენი მადლობელი ვარ, კარგად გართვით თავი ყველაფერს, - მშრალად და მოკლედ მიუგო ლევანმა, - ხელს აღარ შევიძლია, გაერთეთ, - შებრუნდა და ლიზაც თან გაიყოლა.

- ამას რა, არ გაუხარდა ჩვენი დანახვა? - გაუკვირდა ვახოს, - ეს რა შეხვედრა იყო? არადა, ისეთი გაბადრული მოდიოდა, ამას ვერც ვიფიქრებდი.

- ეტყობა, ცოლის გვერდით კომპლექსდება, - გესლიანად შენიშნა თიკომ და გიგის სახელოზე მოქაჩა, - ეგერ შენი ნინიც... გაიხედე, ბართან დგას. მაგრამ, მარტო არ არის, ვილაც ბიჭი ახლავს.

გიგიმ იგრძნო, რომ მთელ სხეულში ჟრუანტელმა დაუარა.

- რა ხდება? - ვახომ ჯერ გიგის შეხედა, მერე თიკოს, - შეთქმულება? ნინი? შენი ნინი?

- ჰო, ჩემი რომ იყო და ახლა კაცმა არ იცის, ვისია, - სარკასტულად ჩაილაპარაკა გიგიმ, - ქეთი მოძებნე და წავიდეთ, დავლიოთ. სასმელი მაინც იქნება ნორმალური, ამ „პეროგაყრილ“ ხალხს თუ გადაურჩა რამე.

- მდა... აშკარად რალაც ხდება და მე არ ვარ საქმის კურსში. ეს ჩემი ცოლი სადღა გაუჩინარდა?

- სად?! - თიკო ფეხის წვერებზე ნამოინია და ვახოს მხრებს მიღმა გაიხედა, - თუ არ მემძლება, ქეთიც ბართან დგას და იმ ბიჭს ელაპარაკება, ნინის რომ ახლავს.

ვახო მყისიერად შებრუნდა და იქით გაიხედა, საითაც თიკომ მიუთითა, მერე კი გიგის შეხედა მრავალმნიშვნელოვნად. იმანაც, გავიგეო, - თავი დაუქნია. ვახო ბარისკენ გაემართა, მაგრამ, გიგიმ შეაჩერა.

- მიიცა, ჯერ მოვიფიქროთ, რას ვაკეთებთ.

- შენ ფიქრობ, რომ ის არის?

- რა გითხრა, შეიძლება, ის არის, შეიძლება - არა. მაშინაც შორიდან დავინახებ.

- გიგი, იცოდე, დარწმუნებული უნდა ვიყო.

- აუ, ახლა შენ „გამიჭედე“ კიდევ. გუუბნები, მაშინაც შორიდან დავინახებ-მეთქი.

- კი მაგრამ, რაშია საქმე? - გულურბევითლოდ იკითხა თიკომ.

- შენ ეს არ გეხება, - უხეშად მიუგო ვახომ. გოგოს ეწყინა:

- თუ არ მეხება და ზედმეტი ვარ, საერთოდ წავაღო, არ არის პრობლემა.

- ნუ იბუტები და წამოდი! - შეუბღვირა გიგიმ და მეტი დამაჯერებლობისთვის ხელიც ჩასჭიდა...

- ქეთიმ მადლობა გადაუხადა თომას კოქტეილისთვის და ნინის გაუღიმა.

- ძალიან ლამაზი წვეილი ხართ. ნინი, შენი თომა ძალიან კარგი ბიჭია.

- „ჩემი თომა“... - სევდანარევი ღიმილით გაიმეორა ნინიმ, - ჰო, კარგი ბიჭია, - თქვენ ხომ ყველაფერი კარგად გაქვთ?

- ნორმალურად. მადლობაც ვერ გითხარით დახმარებისთვის.

- რას ამბობთ, სამადლობელი რა იყო. მიხარია, თუ რამეში გამოგადექით. ისე, გეტყობათ, რომ პრობლემა მოგიგვარდათ, მშვენივრად გამოიყურებით. თქვენი მეუღლეც აქ არის?

- ჰო. იმისი წყალობით აღმოვჩნდი ამ წვეულზე - ვახოს ფირმაში შეუკვეთეს სარეკლამო აქსესუარები.

- მართლა? მომწონს აქაურობა. ლიზას გამოვიდა, რაც უნდოდა, - ნინიმ მოქარგულ ხელსახოცებს დახედა, - ყველაფერი ისეთი დახვეწილია და ლამაზია...

- აქ ხომ არ ფიქრობთ ქორნილის გადახდას? - ჰკითხა უცებ ქეთიმ.

თომა განითლდა და ნინის შეხედა, რომელსაც ამკარად არ ესიამოვნა ქეთის შეკითხვა, უხერხულად აწვია თავი და ჯავრი ხელსახოცზე იყარა. ოქროსფერი ლოგოთი დამშვენებული კუთხე მოაგლოჯა და თითებით დაუწყო სრესა.

ქეთი მიხვდა: - მაპატიეთ, მგონი, მოვლენებს გაუხსნარო.

- არა, უბრალოდ, ჯერ მაგაზე არ გვიფიქრია, - სიტუაციის გამოხსნარება სცადა თომამ და ქალს შემრიგებლურად გაუღიმა.

- მართალია, - დაეთანხმა ნინიც, - ჯერ ბოლომდე ვერ ჩამოვყალიბებულვართ.

- შესის. ნავალ, ვახოს მოვძებნი.

- მე ლიზას ნახვა მინდოდა.

- ნელან ჩვენთან ერთად იყო, სადმე აქ იქნება... - ქეთიმ წვეილს გაუღიმა, თავისი ჭიქა აიღო და იქაურობას გაერადა. თომა ნინის მიაშტერდა.

- ასე ნუ მიყურებ, - გააფრთხილა ნინიმ, - ძალიან დავიბენი, როცა ქორნილზე დაინყო ლაპარაკი. ძალიან უტაქტოდ კი გამოუვიდა.

- რატომ? მგონი, საკმაოდ გულწრფელი იყო.

- გულწრფელობა უტაქტობას გამორიცხავს? - წამოეთოო ნინი, - მგონი, ადამიანს ასეთი უხერხული შეკითხვა არ უნდა დაუსვა, მით უმეტეს, როცა ის ადამიანი შენი მეგობარი არ არის.

- ნინი, ქორნილის ხსენებაზე ყოველთვის



ასეთი რეაქცია რატომ გაქვს? - თავი გადააქნია თომამ, - ქეთიზე საერთოდ არ ბრაზობ, აქ მე ვარ მთავარი დამნაშავე.

- შენ?! რა სისულელეა, საიდან მოიტანე? მართლა ძალიან უხერხულად ვიგრძენი თავი.

არ ვიცოდი, რა უნდა მეპასუხა. ვინ აცნობა ჩვენი დანიშნვის ამაზი, ეგრევე ქორნილზე რომ გადახტა.

- შეიძლება, ლიზამ უთხრა რამე...

- ჰოდა, მოვკლავ მაგ ლიზას, - ამოიხრა ნინიმ, - ჩემს ნაცვლად გადამწყვეტილებებს რომ იღებენ, მე აღარაფერს მეკითხებიან?

- რა მოხდა, აღარ გინდა ჩემზე გათხოვება? - პირდაპირ ჰკითხა ბიჭმა და, რატომაც, ხელი პიჯაკის ჯიბეში ჩაიყო, - მე კი სიურპრიზი მქონდა შენთვის.

- ისევ სიურპრიზი?! თომა, რამდენჯერ გითხარი, რომ...

- ჰო, ვიცი... ბევრჯერ მითხარი, რომ არ გიყვარს სიურპრიზები...

- „არ მიყვარს“ რბილად ნათქვამია, ვერ ვიტან!

- მაგრამ, ეს განსაკუთრებული შემთხვევაა, - თომამ ჯიბიდან ხელი ამოიღო და გამალა. ნინიმ ბროლის გამჭვირვალე კოლოფი დაინახა.

- რა არის ეს? - იკითხა შიშნარევი ეჭვით.

- გახსენი და ნახე.

გოგომ ყოყმანით გამოართვა კოლოფი, გახსნა და ბიჭს დამფრთხალი, განცვიფრებული მზერა მიაყარა:

- გაგიჟდი? ეს ბეჭედი, ალბათ, ძალიან ძვირი ღირს... ძალიან...

- შენც ძალიან ძვირფასი ხარ ჩემთვის, მაგ ბეჭედზე ბევრად ძვირფასია...

ნინიმ თავი ასწია და, უცებ, თომას ზურგს უკან მდგარი, მასზე და კოლოფზე მიმტერებელი გიგი დაინახა...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

მოგავლის ხელის უნიკალური მეთოდი
გაფრთხილება მოსალოდნელი საფრთხის შესახებ; უარყოფითი ენერგეტიკული ზემოქმედების (ჯადო, გათვალვა) დადგენა; ეზოთერიკულ-ფსიქოლოგიური დახმარება; ნარსულის, ანმყოსა და მომავლის თავისებურებებზე მსჯელობა; პრობლემის გადაჭრის საუკეთესო გზის დადგენა; დასმულ შეკითხვებზე პირდაპირი პასუხების მიღება.
ყოველივე ამას უძველესი და მეკვიდრებით მებუთე თაობაზე გადმოცემული მეთოდის დახმარებით გთავაზობთ ნინო ჯანელიძე.
ტელეფონები: 2-52-79-57, 2-52-87-58, 555-33-91-66.



ღმწავლოეთ ხატვას ზალოიქოსთან ერთად



1. თავით დაიწყეთ მულტიფიგურის გმიხის ხატვა



2. ჩახატეთ თვალი, მიახატეთ ყუჩი და ღუწურა



3. დაახველეთ თავის ხატვა



4. მიახატეთ ტანის



5. წინა და უკანა ფეხების ახ დაგავიწყდეთ



6. შემდეგ მიახატეთ ჯელი და დაახველეთ ნახატი



7. გააფუხადეთ




თბაკაპუბლიკის №36

ტელ.: 272 9191


ზალოიქოსთან ერთად სულაბაძის საბავშვო ჰუმორი



იპოვეთ ათი განსხვავება



როგორი ელექტროტექნიკაა შეერთებული ჩამართვალში



ღაესმარა გზის გაკვლევაში



კაკლის ხე (იბავ-არაკი)

გზის პირას ერთი კაკლის ხე იდგა, გამვლელი თუ გამომვლელი, ყველა ჯოხსა და ქვას ესროდა.

- რა უბედური ვარ, - თქვა ერთხელ განაწყენებულმა ხემ, - პირს ჩემი ნაყოფით იგემრიელებენ, მადლობას კი ასე მწარედ მიხდიანო.

ეს არაკი უმადურ კაცზეა ნათქვამი.

რიცხვრეზუსი ,6,, 10,, ,,0

ცივი იარაღი		შინაური ფრინველი		ერთგვარი სასამელი
				ყვავილი
რწმუნა				



ქურდული სსოვრება

● გაგრძელება. დასაწყისი
იხ. „თბილისელები“ №28-19(698)

აბრაღავა ძალიან ეშმაკი და მოხერხებუ-
ლი კაცი იყო, ამიტომ, ფანდს მიმართა: ქუ-
რდებთან ბრძოლის მთავარი მისია მის უწყ-
ებას – თბილისის მილიციის სამმართველოს
ეკისრებოდა და სწორედ ის უნდა ჩასდგომო-
და ამ საქმეს სათავეში, მას კი ამაში მონაწი-
ლეობის მიღება არ სურდა და, თავიდან რომ
აეცილებინა, ფეხი მოიტეხა... აქედან გამომ-
დინარე, ეს მისია მისმა მოადგილემ იკისრა
და მანამდე არნახული დევნა დაგვიწყო. აბ-
რაღავასთან საუბრის შინაარსი მხოლოდ ბე-
რძენას გავანდე, ჩემი დანარჩენი კოლეგები



კი გავაფრთხილე მოსალოდნელი საფრთხის
შესახებ და თითოეულმა მათგანმა თვითონ
მიიღო გადაწყვეტილება: ზოგი აქ დარჩა და,
ან გასროკეს, ან „ძაღლებს“ შეეკრა. ზოგიც
რუსეთში გაემგზავრა, მე და ბერძენა კი, მა-
რთალია, თბილისში დავრჩით, მაგრამ, მილი-
ციას ვემალეობდით, რომელიც რეგულარუ-
ლად გვაკითხავდა სახლში, პარალელურად
კი ერთ დიდ საქმეს ვამზადებდით. ეს საქმე
თბილისში უნდა გაგვეკეთებინა – ერთი წამ-
ლის ბარიგის სახლი გაგვექურდა, რომელს-
აც პირადად სამმართველოს უფროსის მო-
ადგილე მფარველობდა.

ანტიქურდული კამპანია უკვე სამი კვირ-
ის გაჩაღებული იყო და, როგორც უკვე ვთქვი,
ვინც რუსეთში არ გაემგზავრა, ან ციხეში
იჯდა, ან „ძაღლებთან“ იყო უკვე შეკრული,
მარტო მე და ბერძენა ვიყავით დარჩენილები
სვაბოდაზე. მართალია, ოფიციალური ძებნა
ჩვენზე არ იყო გამოცხადებული, მაგრამ, მი-
ლიცია ინტენსიურად დაგვედევდა. ჩვენ კი თავ-
ვისუფლად დავდიოდით ქალაქში და არაფრ-
ის ვეგმინოდა, რადგან, ჩემი ნაშა ერთ-ერთი
თავტრის გრიძორი იყო და მე და ბერძენა
ისე „დაგვაბურა“, რომ თავადაც კი ვერ გვცნო-
ბდა ხოლმე. თან, დროებით მასთან ვიყავით
შეფარებულები და მშვიდად ვიღებდით ნაკ-
ოლს. როდესაც ყველაფერი მზად იყო, მე და
ბერძენამ ბინის პატრონი სახლიდან ოსტატ-
ურად გამოვიტყუეთ, მის ბაითში შევედით
და იქაურობა პირნიმინდად გავასუფთავეთ. ფუ-
ლია და ძვირფასეულობის გარდა, ბარიგის

ბინიდან ბლომად წამალიც წამოვიღეთ, რომ-
ელიც რუსთაველის გამზირზე, ერთ-ერთ სა-
ნაგვე ურნაში ჩავყარეთ, ბენზინი დავასხით
და დაწვით... წლების შემდეგ, როცა საბჭო-
თა კავშირი სულს ლაფავდა, ბესარიონ აბრა-
ღავა შემხვდა. ის უკვე პენსიონერი იყო, მე
– სროკიდან ახალი გამოსული და თბილისში
სამი დღის დაბრუნებული. აღექსანდრეს ბა-
ლის გავლით ვორონცოვზე მივდიოდი. ქვემ-
ით რომ ჩავედი, მარცხნიდან მომესმა:

- კობრა!
- გავიხრდი და აბრაღავა დავინახე, რომე-
ლიც ხელს მიქნევდა და თავისთან მიხმობდა.
მე მივედი, ხელი ჩამოვართვი და ვკითხე:
- როგორ ხარ, ძია ბესო?
- როგორც პენსიაზე ნადრევად
გასულ მილიციელს შეეფერება, ისე.
- პენსიაზე გახვედი?
- მაიძულეს, – ხელი ჩაიქნია აბ-
რაღავამ, – ახალი კადრები მოგ-
ყავსო, თითქოს მე ცუდად ვმუშაო-
ბდი. რა შუაშია მილიცია და პოლი-
ტიკა, მე მხოლოდ პრისტუპნიკებს
დავდევი. რა, ახალი მთავრობის
დროს ქურდები და ბანდიტები აღ-
არ იქნებიან?!
- პოლიტიკა არ მაინტერესებს,
ძია ბესო, თუმცა, ყველგან ამ თემ-
აზე ლაპარაკობენ, – ვუთხარი აბრ-
აღავას.
- კობრა, სად იჯექი?
- მორდოვის „სტროგაჩებში“, ძია ბესო.
- ძალიან გაგიჭირდა?
- რუსეთში პირველად არ ვიყავი, მაგრამ,
წელს საშინელი ზამთარი იყო. ისე ყინავდა,
სანამ ძირს დაეცემოდა, ფურთხი ჰაერში იყ-
ინებოდა.
- არც აქაა კარგი სიტუაცია. ქვეყანა ძა-
ლიან არეულია, თუმცა, პოლიტიკაზე ლაპა-
რაკი არ გასურს, – მითხრა აბრაღავამ, შემო-
მხედა და განაგრძო: – კობრა, ერთი რაღაც
უნდა გკითხო და, თუ სწორ პასუხს არ გამ-
ცემ, ნურც ტყუილს მეტყვი და, პირდაპირ
მითხარი, ამ თემაზე არ მელაპარაკო.
- მკითხე, ძია ბესო, გისმენ.
- კობრა, ის ბარიგა ხომ შენ და ბერძენამ
გაქურდეთ და შემდეგ მთელი წამალი მთავ-
რობის სახლის წინ დაწვით?
- ეგ როდის, ფეხი რომ გქონდათ მოტეხ-
ილი?
- ზუსტად მაშინ.
- კარგი, გეტყვით, მაგრამ, ჯერ თქვენ
გამეცით სწორი პასუხი.
- აბა, მკითხე.
- ძია ბესო, თქვენ ხომ განგებ მოიტეხეთ
ფეხი, რომ ანტიქურდულ კამპანიაში მონაწი-
ლეობა არ მიგელოთ?
- კი, ასე იყო.
- ჰოდა, მე და ბერძენამ გავქურდეთ ის
დამპალი. მეტსაც გეტყვით, ზუსტად ვიცოდ-
ით, რომ მას თქვენი მოადგილე მფარველო-
ბდა.
- სამწუხაროდ, მართალი ხარ. ბიულეტე-

ნიდან რომ დავბრუნდი, ის დამპალი უკვე
ჩემს ადგილზე მოსაკალათებლად ემზადებო-
და და დედა ვუტირე.

- როგორ?
- როგორ და, მასზე თვალთვალი დავან-
ესე. ჩემი ბიჭები მის ყველა საუბარს ინერდ-
ნენ და ფირზე იღებდნენ. ყველაზე მთავარი
კი ის იყო, რომ ის პირველ მდივანს დასცინ-
ოდა, „სოფლელ ტეტიას“ ეძახდა და, როდეს-
აც მას ეს ფირი ვანახვე, მუხლებში ჩამივარ-
და და მთხოვა, რომ არ გამეწირა. ჩვენ შევ-
თანხმდით, რომ ის მოსკოვში, „ემვედეს“ აკ-
ადემიაში წავიდოდა სასწავლებლად, სამაგი-
ეროდ კი, კომპრომატს დავაკონსერვებდი.
- არ გენყინოს, ძია ბესო, მაგრამ მილიც-
იელობა და ასეთ სტრუქტურებში მუშაობა
ადამიანს ბევრ კარგ თვისებას აკარგვინებს,
თუმცა, ეს თქვენ არ გეხებათ.
- გეთანხმები, რომ ყოველთვის სუფთად
ვერ ვმუშაობდით, მაგრამ, ასეთი ნაძირლებ-
ის წინააღმდეგ სხვა გზა არ არსებობს. რა,
არ მეთანხმები?!
- პრინციპში, ასეა.
- რა თქმა უნდა, ასეა. თუმცა, ასეთი
დამპლები არ სწორდებიან. აი, თუნდაც ისევ
იმ ნაძირალაზე გეტყვი, აკადემია რომ დაამ-
თავრა, სამუშაოდ მოსკოვში დარჩა და ისევ
ნარკობიზნესში ჩაება. ძალიან შეტოპა და,
იცი, როგორ დაასრულა სიცოცხლე?
- როგორ?
- როგორ და, ის თავისივე კოლეგამ, რუ-
სმა პოლკოვნიკმა მოკლა „ემვედეს“ შენობა-
ში, მისივე კაბინეტში.
- რატომ, რა დაამაჯა?
- რა და იმ რუსი პოლკოვნიკის შვილი
წამალმა მოკლა. იმ რუსს კი უთხრეს, წამლ-
ის შემომტან ბარიგას შენი კოლეგა მფარვე-
ლობსო და შვილის სიკვდილით გამწარებუ-
ლმა მილიციელმა თავისი კოლეგა მოკლა.
- ღირსი ყოფილა.
- რა თქმა უნდა, – დამეთანხმა აბრაღ-
ავა და დაამატა: – უცოდველი არ ვარ, მაგ-
რამ არასდროს ვენდობოდი ნარკობარიგებ-
სა და მოძალადეებს. ამიტომ, ვერავინ იტყ-
ვის, ბესარიონ აბრაღავამ ბინძური ფული
აილოო.
- გეთანხმებით, ძია ბესო. აბა, კარგად
ბრძანდებოდეთ, მექრება, – ვუთხარი აბრ-
აღავას, ხელი ჩამოვართვი და წავედი, თან
მთელი გზა იმაზე ვფიქრობდი, რომ ადამი-
ანში შინაგანი პატიოსნება იყო უმთავრესი
თვისება.
- ჩემი იდეალი, ვასია ბრილიანტიც ასე ფი-
ქრობდა და მიაჩნდა, რომ ადამიანის უმთა-
ვრესი თვისება შინაგანი პატიოსნება იყო.
ერთხელ მან მითხრა:
- კობრა, რასაც ახლა გეტყვი, არ გაგი-
კვირდეს და არ თქვა, ბრილიანტი შეიშალ-
აო.
- არა, რას ამბობ, ძია ვასია, გისმენ.
- იცი რა, ძმაო, ქურდი – ქურდად და
ძალიან – ძალადა, მაგრამ, ადამიანში მთავ-
არი მანც მისი შინაგანი პატიოსნებაა და,



შეიძლება, ქურდი იყოს დამპალი, „ძალი“ კი – პატიოსანი. ხვდები, რას ვამბობ?

– კი, – მივუგე ბრილიანტს, თუმცა, კარგად ვერ მივხვდი, რას გულისხმობდა.

ძია ვასიამ შემომხედა, გაცინა და თქვა: – არა. ვერ მიხვდი.

– მართალი ხარ, ვერ მივხვდი, – გავნითლდი მე.

– კარგად მომისმინე და მიხვდები, – მითხრა ბრილიანტმა, – ბავშვობაში, როსტოვეკო ერთი უბნის რწმუნებული იყო – სტეპან კოლიადკო, მთასავით კაცი, უშიშარი, ძლიერი. რომ დაილაპარაკებდა, მისი ხმა ნოვოჩერკასკში ისმოდა. პრისტუპნიკებს არ ეპუებოდა და სამჯერ იყო დაჭრილი. ომის მძიმე წლები იდგა. ყველას უჭირდა. ჩვენ, ბავშვები, ხან რას ჩავიდნენ და ხან – რას. კოლიადკო ხშირად ჩაგვაველებდა ხოლმე, ერთ-ორს დაგვიღრიალებდა, ჭკუას დაგვარიგებდა და გამოგვიშვებდა. არ მახსოვს, რომ მაღალეტკისთვის ხელი დაერტყა. ცემა არ იცოდა, მაგრამ, ისეთი უფრა ჰქონდა, მისი ყველას ეშინოდა. ერთხელ, ჩემი ორი პაძელნიკი დღისით, მზისით უნივერსიტეტში შეძვრა საჩალიჩოდ, მე კი „ატასხე“ დავდექი. სად იყო და სად არა, კოლიადკო არ გამოტყვრა? რომ შევხედე, გავთეთრდი.

– რა იყო, ვასკა, რატომ გავთეთრდი? რამ შეგაშინა? – მკითხა უბნის ინსპექტორმა და გამომცდელად შემხედა.

ხომ არ ვეტყვი, ატასხე ვდავარ-მეთქი და მივუგე:

- სულაც არ გავფითრებულვარ.
- როგორ არა. რა გჭირს?
- ორი დღის მშვიდი ვარ და, ალბათ, ამიტომ, – ვუთხარი კოლიადკოს, რაც სულაც არ იყო ტყუილი, მაგრამ, ამის გამო არ დამიკარგავს ფერი.

კოლიადკომ მილიციელის „პაიოკი“ ამოიღო, მომცა და მითხრა:

- აჰა, ჭამე.
- გმადლობთ. არ მინდა, – მეუხერხულა მე. მან კი „პაიოკი“ ქვაზე დადო, უხმოდ შეტრიალდა და მძიმე ნაბიჯით განაგრძო გზა.

უცნუ უნივერსიტეტის ხის ნაგებობას ცეცხლი გაუჩნდა და გამოხმბარი ფიცრები ისე ააღდა, იფიქრებდი, ბენზინი გადაასხესო. უბნის ინსპექტორი შემოტრიალა, ჩემთან მოიბრინა, იქაურობას გამოძარდა და მითხრა:

– შენ რა, გაგაჟღი? ხომ ხედავ, როგორ იწვის, შეიძლება, ყოველ წუთში ჩამოინგრეს და შიგ მოგიყოლოს. მოკლე ჩართვა! ვეუბნებოდი „ტორგის“ უფროსს, ელექტროგაყვანილობა მოაწესრიგეთ-მეთქი, მაგრამ, არ გამოიგნეს. მეხანძრეების გამოძახებასაც კი არ აქვს აზრი, შენობა ათ წუთში ჩაიფერფლება...

– ძია სტიოპა, შიგნით ბიჭები არიან, – ამოვილულულულე მე.

– რაო?! – ერთი ეს თქვა კოლიადკომ, შემდეგ აღმოდებულ შენობაში შევარდა და იქიდან ჩემი გულწასული პაძელნიკები გამოათრია ხელში აყვანილი, რომლებსაც ერთი ნაკანრიც კი არ ჰქონდათ. თავად უბნის ინსპექტორს კი ტანსაცმელზე ცეცხლი ეკიდა. მძიმე დამწვრობები მიიღო და საავადმ-

ყოფოში დაწვინეს. ხუთი თვის მერე უბნის ინსპექტორი თავის სამუშაოს დაუბრუნდა და ჩვეული ენერგიით განაგრძო საქმიანობა. ყველაზე მთავარი კი, იცი, რა იყო? – რა, ძია ვასია?

– რა და, ის, რომ მას ჩვენ არც კი ვუხსენებიათ. მართალია, მაღალეტკები ვიყავით და ხანძარიც მართლა მოკლე ჩართვამ გამოიწვია, მაგრამ, ყველაფერს ჩვენ დაგვებრალებდნენ. მძიმედ დრო იყო და, თუ არ დაგვებრებდნენ, დიდ სროკებს მაინც აგვიდებდნენ. კოლიადკომ ეს ყველაფერი იცოდა და, რადგან შინაგანად პატიოსანი ადამიანი იყო, ეს ფაქტი დამალა. ანუ, მან, ფაქტობრივად, ქურდებს დააფარა ხელი, მაგრამ, ასე რომ არ ექნა, მაშინ უფრო დიდ ბოროტებას მისცემდა ზიდას.

– კარგი კაცი ყოფილა ეგ კოლიადკო, – ვთქვი მე.

– კი, ნამდვილად კარგი. ის ერთმა როსტოველმა ბანდიტმა მოკლა. კოლიადკო მას აფთიაქის ძარცვისას ნამოადგა თავზე, სადაც ის ნაძირალა მორფის ეძებდა – ნარკომანი იყო და ლოშკა ჰქონდა. ინსპექტორმა არ ესროლა, იმან კი აბრეზით გაუფატრა მუცელი, მაგრამ, ისეთი ძლიერი კაცი იყო, რომ ერთი კვირა იცოცხლა. მე და ჩემი პაძელნიკები მას საავადმყოფოში ვწვნივთ სანახავად და, რომ დაგვინახა, ძალიან გაუხარდა. შემდეგ თავზე ხელი გადაავისვა და გვითხრა:

– ბიჭებო, ვინც არ უნდა გამოხვიდეთ, შინაგანი პატიოსნება არასდროს დაკარგოთ. იცი, რაიღენი ვიტყვით? გადავწყვიტეთ, რომ ის ბანდიტი მოგვეჭებნა და დაგვებრიდა, მაგრამ, ის მილიციამ დაიჭირა და, ჯერ დახვერტა მიუსაჯეს, შემდეგ კი ოცდახუთი წლით შეუცვალეს. ათი წლის მერე მას მაგადანის ზონაში შევხვდი.

– მართლა?

– ჰო, მართლა და, ჩემი ბრძანებით იმ ნაძირალას ნირვა გამოუყვანეს. საოცარია, არა?! მე, ქურდმა, მილიციელის გამო შური ვიძიე.

ვასია ბრილიანტის მონათხრობმა ბევრ რამეზე დამაფიქრა. ბეზრეძელშიკი და კაცთმოძულე არასდროს ყყოფილვარ, მაგრამ, მას შემდეგ ყოველი საქმის მომზადებას ბევრად მეტი კრიტიკულობით ვუდგებოდი და დიდი ვგებგაბედი. ყოველთვის ცვდილობდი, რომ ძირითადი მორალური კრიტერიუმები არ დაემერღვა და „სუფთად“ მეჩალიჩა. ჩემს სი-



ტყვებზე მავანს, ალბათ, გაცინება და იტყვის: ქურდობა რომელი მორალური კრიტერიუმია... პრინციპში, ღვთიური ცნებებიდან გამომდინარე, ეს, რა თქმა უნდა, აბსოლუტური სიმართლეა. თუმცა, არსებობს რეალური, ყოველდღიური ცხოვრება, ყოველდღიური სინამდვილე და აქ უკვე ცოტა სხვა კატეგორიებით ხდება განსჯა. ქურდული იდეოლოგიიდან გამომდინარე, ქურდმა, საბოლოოდ, „ფაშისტი“ უნდა გაქურდოს. „ფაშისტი“ კი, ქურდული განმარტებით, ის მდიდარი ადამიანია, ვისაც თავისი ქონება უპატიოსნო გზით აქვს მოპოვებული. ასეთ კატეგორიაში კი შედიან: ნარკობარიები, სხვადასხვა კატეგორიის საეკულანტები, ეგრეთ წოდებული „ცეხავიკები“ და სხვა მსგავსი კატეგორიის ადამიანები. ჩემ მიერ ჩამოთვლილი კატეგორიები უფრო კომუნისტურ ეპოქას ეხება, მაგრამ, არც დღევანდელ დღეს განვიცდით მსგავსი სუბიექტების ნაკლებობას. თუმცა, ძველ დროსთან განსხვავებით, მათ ახლა კანონი იცავს და ლეგალიზებული არიან. ძველ დროსთან შედარებით, ჩემი აზრით, ასეთი კატეგორიის სუბიექტების მიმართ დღეს ბევრად უფრო გამართლებული და მორალურია მსგავსი ქურდული მიდგომა. ალბათ, სწორედ ამის გამო ხდება სუფთა ქურდული იდეოლოგიის ნგრევა და ქურდული სამყაროს ტრანსფორმაცია, რომ მსგავსმა კასტამ უსაფრთხოდ და კომფორტულად იგრძნოს თავი.

ქურდული გავებით, „ფაშისტი“ – „ფაშისტია“, მაგრამ, ზუსტად ვიცი, რომ თანამედროვე „ფაშისტები“ ძველებზე ბევრად უფრო სამშობელი და სისხლისმსმელები არიან და დრაკონული, ანტიქურდული 223-ე მუხლი მათი დიდი ძალისხმევის შედეგად შე-

მამაკაცების გავანსალების ცენტრი

პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაავარებაზეც); შარდვის პრობლემები: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი; განმეხდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან; ასევე, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ და სწრაფად გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა; „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა; ღვიძლის განმეხდა, ფუნქციის აღდგენა. საჭირო გამოკვლევები და დიაგნოსტიკა უახლოესი აპარატურით, ანონიმურობის დაცვით, მყარი, 100-პროცენტული შედეგით.

599-90-54-78; 2-34-02-38. – ოფისი. 1-50 მარაში



ქმნილი. როდესაც ეს უკანონო ნორმა ძალაში შევიდა, მე მეშვიდე იზოლაციის ჯურღმულში ვიხდიდი ბოლო სროკს და ერთმა ჩემმა ძალიან ავტორიტეტულმა კოლეგამ მითხრა:

– მორჩა, ძმაო, ამით წერტილი დაგვისცეს და, ან ამ ჯურღმულში ამოგვხდება სული, ან კაცობაზე ხელი უნდა ავიღოთ და გაგვრასტიტუტკდეთ. მე, პირადად, სიკვდილი მირჩევნია ქურდობაზე უარის თქმას.

მაშინ ჯერ კიდევ ბოლომდე გააზრებული არ მქონდა ამ მუხლის მთელი სისასტიკე და ვფიქრობდი, რომ, ეს ნორმა იმიტომ შემოიღეს, რათა ქურდებისგან გაეწმინდათ საქართველო. ამიტომ, ჩემს კოლეგას მივუგე:

– საშინელი მუხლი შექმნეს ამ ბოზებმა და, ალბათ, რუსეთში ან სხვა ქვეყნებში მოგვინებს გამგზავრება და იქ ცხოვრება.

ჩემს კოლეგას გაეცინა და მითხრა:

– შენ ფიქრობ, რომ საქართველოდან გასვლის საშუალებას მოგვცემენ?

– რა, არა?

– საქართველოდან გასვლას კი არა, ამოსუნთქვის საშუალებას არავინ მოგვცემს. ეს კანონი იმიტომ მოიგონეს, რომ ქურდული სამყარო მოსპონ.

– ეს არც ისე ავილია, – ვუპასუხე მე, – ეს ხომ კომუნისტებმაც კი ვერ შეძლეს და ესენი როგორ მოახერხებენ?

– როგორ და, ამ ბოზებს ბევრად უფრო დახვეწილი ტექნოლოგიები აქვთ. ამათი მიზანია ჩვენი მორალური განადგურება და, თუ ეს არ გამოუვათ, მხოლოდ ამის მერე – ფიზიკური მოსპობა. მათთვის მთავარია, ქურდობაზე უარი ეთქვას და ეს მთელმა ქვეყანამ გაიგოს. ამ ჯურღმულშიც ამიტომ გამოგვამწყვდიეს.

– ჯურღმულებით შეგვაშინებენ? – გამეცინა მე.

– ჩვენ ვერ შეგვაშინებენ, მაგრამ, მოიძებნებიან ისეთებიც, ვისაც შეაშინებენ, თუმცა, ეს არაა მთავარი. მთავარი ისაა, რომ ამ ბოზებს ჩვენი მოსპობის ოურიდიული ბაზა გააჩნიათ და ეფექტურადაც გამოიყენებენ მას. შენ ნახე, თუ ქურდების გაფუჭება ან უკან შებრუნება ციხის კარებთანვე არ დაიწყონ.

– ეგ როგორ? – ვკითხე კოლეგას, რადგან, უცებ ვერ მივხვდი, რას გულისხმობდა.

– როგორ და, გამოხვალ თუ არა გარეთ, ტელევიზიონშიკების მთელი ხროვა დაგვხვდება კამერებითა და მიკროფონებით და პროვოკაციულ შეკითხვას დაგისვამენ: „მართალ-

ია თუ არა, რომ ქურდობაზე უარი თქვით?“ დაეთანხმები – ვაია, იტყვი – არაო და – ვუი...

– შენც, ადეკი და უთხარი, კომენტარს არ ვაკეთებო.

– მაშინ, თვითონ „ძაღვები“ გკითხავენ ამას სახალხოდ – ამ კანონით მათ ამის უფლება აქვთ.

– გამოდის, რომ გამოუვალ მდგომარეობაში ვართ.

– კი. მასეა. ტუპიკში მოგვაქციეს და, თუ ამ კანონს არ გააუქმებენ, ძალიან მალე მოგვიღებენ ბოლოს.

ჩემი კოლეგა არ ცდებოდა. სწორედაც რომ ციხის კარებიდან აბრუნებდნენ უკან ჩვენს კოლეგებს, ხოლო, ვინც ეს აღარ ისურვა, მან ქურდობაზე ხელი აიღო და თავიც შეირცხვინა. თითქმის ასე არ მიქნეს მეც?! მართალია, ციხის კართან არ დამხვედრიან, მაგრამ, სამი დღის შემდეგ სახლში შემომიცივიდნენ და მიაჭულეს, პაბეგი ამეკოდა. ჩემს კოლეგას კი ჩემზე მეტად არ გაუმართლა – მას მართლაც ციხის კართან დახვედნენ შურნალისტები და პროვოკაციული შეკითხვები დაუსვდეს.

– კომენტარის გარეშე. არანაირ კომენტარს არ ვაკეთებ, – მიუგო შურნალისტებს მხცოვანმა ქურდმა და მანქანაში ჩაჯდომა დააპირა, მაგრამ ერთ-ერთმა, როგორც ჩანს, წინასწარ მომზადებულმა შურნალისტმა, მას მოულოდნელად ჰკითხა:

– მართალია, ბატონო, რომ თქვენ ქათმების საკანში ისხებო?

პატიოსანი ადამიანისთვის, მით უმეტეს – ქურდისთვის, მსგავსი რამის თქმა უდიდესი შურაცხყოფაა და მან პროვოკატორ შურნალისტს მუშტი სთხლიშა კბილებში. იქვე პოლიცია იმყოფებოდა და დააკავეს, პოლიციის განყოფილებაში გადაიყვანეს და საქმე აღუძრეს. თუმცა, სასამართლომდე საქმე არ მისულა – ჩემი კოლეგა იმავე ღამეს ინფარქტით გარდაიცვალა. მართალია, დიდხანს არც იმ პროვოკატორმა იცოცხლა – ის ბიჭი და მისი მეგობარი ბიჭი, ბინძური სასტუმროს ნომერში შიშვლები და ყელგამოჭრილები იპოვეს, მაგრამ, ამით რა ხეირი კაი ხალხს?

ციხიდან რომ გადიოდა, ის ჩემი ცხონებული კოლეგა კართან შედგა და მითხრა:

– არ გემშვიდობები. ნახავდი.

– სვაბოდაზე შევხვდებით, – მიუგე მე, მან კი თავი გააქანა და მითხრა:

– სვაბოდაზე არა, იმქვეყნად შევხვდებით.

ეტყობოდა, გრძნობდა ის ცხონებული, რომ დიდი ხნის სიცოცხლე არ ეწერა, მაგრამ ვინ წარმოიდგენდა, რომ სულ რამდენიმე საათი დარჩენოდა. არადა, საკმაოდ კერკეტი კაკალი იყო, ცხოვრებაში მრავალი უბედურება ჰქონდა გადატანილი და, ასაკის მიუხედავად, გულიც საკმაოდ მაგარი ჰქონდა. თუმცა, ყველაფერს თავისი საზღვარი აქვს და ყველაფერს ფოლადიც კი ვერ უძლებს... მიუხედავად ამისა, ქურდი ყოველგვარი განსაცდ-

ელისთვის მზად უნდა იყოს და არ უნდა მოტყდეს. ჯერ კიდევ ადრეულ ახალგაზრდობაში, ქურდად კურთხევადღე დიდი ხნით ადრე ვემზადებოდი განსაცდელის დასაძლევად და საკუთარ თავს ქურდული ცხოვრებისთვის მორალურ-ფსიქოლოგიურად ვამზადებდი. ჩვენს ტრიოს, მე, ყბედალოს და ხუჭუჭას, ერთგვარი გეგმაც კი გვქონდა შედგენილი, თუ როგორ უნდა გავგვეძლო ციხისთვის, ანუ, ყველა იმ გაჭირვებისთვის, რაც ქურდულ ცხოვრებაში შეიძლებოდა, შეგვხვედროდა. ეს იდეა, რა თქმა უნდა, ხუჭუჭას მოფიქრებული იყო და მანვე შეადგინა ეგრეთ ნოდებული „ტანჯვისა და გაძღების“ ნუსხა... ამ ნუსხის მიხედვით, ჩვენ ვიშმილობდით, ვიკაუბდით სხეულს, ვუძღებდით სიცხესა და სიცვიც. ვიკეტებოდით დახშულ სივრცეში, ღამით ვრჩებოდით სასაფლაოზე... ერთი სიტყვით, ყოველგვარ ხიფათსა და გასაჭირში ვიგდებდით თავს და ვინთობოდით... სხვათა შორის, ვიყივანის ამ თვითგავლილმა სკოლამ სამივეს კარგი სამსახური გაგვინა და ცხოვრებაში გამოგვადგა. ხუჭუჭას ყველაფრისთვის სახელის დარქმევა უყვარდა და ერთხელ, ეგრეთ ნოდებული „ნამების გაკვეთილზე“, ყბედალო კინაღამ მოკვდა. „ნამების გაკვეთილი“ გაგანია სიცხეში, ფუნქიკულიორის ტყეში ტარდებოდა. ტრუსის ამარა ყბედალოს სხეულზე შაქრიანი წყალი გადავავლე და ფიჭვის უზარმაზარ ხეზე მივაბით გაგანია სიცხეში. გემის მიხედვით, მას ასეთ მდგომარეობაში რაც შეიძლება დიდხანს უნდა გაეძლო. ანუ, მას უნდა გაეძლო ჭიანჭველებისთვის, რომლებიც მის შაქრიან სხეულს დაესოცდნენ.

– მე და კობრა აქვე ვიქნებით და, როცა გაძღების თავი აღარ გექნება, დაიყვირე, მოვალთ და გაგათავისუფლებთ, – უთხრა ხუჭუჭამ ყბედალოს და ჩვენ ოციოდე მეტრით ქვემოთ დავემვით, სადაც ბუნებრივი, სავარჯიშო ტრენაჟორები გვქონდა მოწყობილი და ვვარჯიშობდით. სამიოდე საათი ისე გავიდა, არც ყბედალოს ხმა გაგვივია და არც მისი ნახვა მოვინდომეთ. პაუზა რომ, ცოტა არ იყოს, სამიმი მოგვეჩვენა, ხუჭუჭას ვუთხარი:

– ბიჭო, რაღაც საეჭვოდ ჩუმადაა ყბედალო, მოდი, ავაკითხოთ.

– მოდი, – მითხრა ხუჭუჭამ და ზემოთ ავედი.

კიდევ კარგი, რომ ავედი. ხეზე მიმბულ ყბედალოს ათასობით მსხვილი ჭიანჭველა ჰყავდა შესული და მას შიშველი სხეულის ერთი ნერტილიც კი არ უჩანდა.

– ჩქარა, ავხსნათ, თორემ, ჭიანჭველები შეჭამენ! – ვიღრიალე მე და ყბედალოსთან მივევარდი, რომელიც გონზე არ იყო.

როდესაც ყბედალო ავხსენით და ჭიანჭველებიც მოვაშორეთ, ჩვენი ძმაკაცის დასიებული და განითლებული სხეული დავინახეთ, რომელიც ჭიანჭველებს დაეკბინათ. მას ისე ეწვოდა მთელი ტანი, რომ ტანსაცმელი ვერ ჩავაცვით, ტრუსებში გამოწყობილი ჩავიყვანეთ ქვევით და ტაქსით, სასწრაფოდ საავადმყოფოში მივიყვანეთ. რომ არა ხუჭუჭას მამა, რომელმაც ყველაფერი მოაყოლა, უსიამოვნება არ აგვცდებოდა მილიციისგან. ყბედალო კი ორი კვირა გაუნძრევლ-



ად ინვა სანოლზე და, რომ არა განსაკუთრებული მკურნალობა, ვინ იცის, ამ ყველაფერს რა გართულება მოჰყვებოდა. საავადმყოფოდან რომ გამოწერეს, მე და ხუჭუჭამ სახლში ვენციეთ მას და ხუჭუჭამ ჰკითხა:

– რას იტყვი, თანახმა ხარ, კიდევ ერთხელ მიგაბათ?

– რატომაც არა, თუ გინდა, ახლავე, – მიუგო ყბედალომ.

– ბიჭო! ჭიანჭველები რომ დაგესიენ, რატომ დროზე არ დაიყვირე? – ვკითხე ყბედალოს.

– ისე უცებ დამესიენ, რომ პირის დაღების შემეშინდა, არ ჩამიძვრენ-მეთქი, მერე კი გონება დავკარგე და ვერ შევძელი.

– არა უშავს, ძმაო. სამაგიეროდ, იმუნიტეტი გაქვს ჭიანჭველებზე და ველარაფერს დაგაკლებენ, – ხუმრობით უთხრა ყბედალოს ხუჭუჭამ, – რუსული გამონათქვამია: სწავლების სირთულეები ბრძოლას გაგაადვილებსო.

მე ხუჭუჭას შევხედე და ვკითხე:

– ისე, ჩვენში დარჩენ და, ჭიანჭველების შემოსევამ რა ბრძოლა უნდა გაუადვილოს ყბედალოს?

ჩვეულებისამებრ, ხუჭუჭას ყოველთვის ყველაფერზე მზად ჰქონდა პასუხი და არასდროს იბნეოდა, სიტყვას ჯიბეში არ ეძებდა. იმ მომენტში კი პატარა პაუზა გააკეთა და შემდეგ მითხრა:

– წარმოიდგინე, რომ ხუჭუჭა მეტროს ვაგონში ჯიბეგრობს და ამ დროს „დაინვა“. ხომ დაესევა მთელი ვაგონი ხალხი? ჰოდა, მაგათი გაძლება ხომ გინდა?

– მაიკა, რა, შაყირობ, ტო?! – ვუთხარი ხუჭუჭას, რომელსაც ეცინებოდა, ყბედალომ კი სრული სერიოზულობით დაამატა:

– რას ამბობ, ტო, ღმერთმა დამიფაროს! ერთი ვაგონი ხალხის დასევას ისევე ჭიანჭველების დასევა მირჩვენია.

მე და ხუჭუჭას სიცილი ავტიტყდა, რაშიც ყბედალოც ავყვავა და, რომ დავწყნარდით, ხუჭუჭამ მას უთხრა:

– შენ ისეთი სპეცი ხარ, ასეთი რამ არ გემუქრება და, შეიძლება, ისე გაატარო ცხოვრება, რომ ერთხელაც არ წახვიდე სროკზე.

ხუჭუჭა, როგორც ყოველთვის, მართალი აღმოჩნდა – ყბედალო ერთხელაც არ გაუსროკავთ ჯიბეგრობისთვის. ის მხოლოდ ერთხელ იჯდა ციხეში, თანაც იმიტომ, რომ ჯიბეგრობისთვის ვერ იჭერდნენ, იარაღი ჩაუდეს და დაიჭირეს. მიუხედავად იმისა, რომ, ყბედალოს თავად ვასია ბრილიანტის რეკომენდაცია ჰქონდა, ბერძენამ მაინც შეგზავნა ციხეში ქსივა და ქურდებს სთხოვა, რომ ყბედალოსთვის მიხედულიყვნენ. მაგრამ, ციხიდან მოიწერეს, ყბედალო ისეთი ტიპია, აქეთ მოგვხედვასო, თანაც, მაგადანიდან თავად ვასია ბრილიანტის ქსივა მივიღეთ და ყველაფერი რიგზეაო.

ყბედალო რომ ციხეში ჩასვას, ვასია ბრილიანტი მაგადანში იხდიდა სასჯელს და, მართლაც საოცარი იყო, რომ იმ სიმორიდან მისმა ქსივამ ჩვენსაზე ადრე მიადგინა ქურდებამდე. მართლაც რომ შესაშური ოპერატიულობა იყო – პრისტუპნი მირში „კავშირგაბმულობა“ ძალიან სწრაფად და ეფექტურად მუშაობდა. მე თვითონ ბევრჯერ შევსწრებოვარ ასეთი ოპერატიულობას და თვითონაც არაერთხელ მისარგებელია მსგავსი კომუნიკაციით. ყოველგვარ

რი გადაჭარბების გარეშე შემიძლია, ვთქვა, რომ შავი სამყაროს საკომუნიკაციო საშუალებები, ანალოგიურ სახელმწიფო სტრუქტურებზე არანაკლებად ორგანიზებული იყო და, ზოგ შემთხვევაში, მათზე ეფექტურადაც კი ფუნქციონირებდა. ამასთან დაკავშირებით ერთი ისტორია უნდა გავიხსენო, რომელიც ჯერ კიდევ ვაგანია კომუნისტური წყობის დროს მოხდა. იმ პერიოდში მორდოვის მკაცრი რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში ვიხდიდი სასჯელს. საშინელი ზამთარი იდგა, დეკემბრის მინურული. სველი თოვლი მოდიოდა და ისე ციოდა, ძვლები გვეყინებოდა. იმ პერიოდში უკვე ქურდი ვიყავი და მეოთხე სროკს ვიხდიდი. ჩემთან ერთად ერთი პატარა ბიჭი იჯდა. ახლა ის თანამდებობის პირია და პირობითად მას მიხოს ვუნოდებ. ეს მიხო ადამიანის დაჭრისთვის იყო გასამართლებული და თორმეტი წელი ჰქონდა მისჯილი. სულ რაღაც ოცი წლის იყო და, მართალია, თბილისში დაიბადა და გაიზარდა, ვითომ ქუჩურიც ესმოდა, მაგრამ, გამოუცდელი იყო. სულ ვასწავლიდი ზონაში ქცევის წესებს და სხვადასხვა სიტუაციას ვუშიფრავდი, რომ რამე შარში არ გაბმულიყო. მიუხედავად ამისა, ერთ საღამოს მიხო ჩემთან მოვიდა და მითხრა:

– „სეკა“ ვითამაშე და თავანი დავიდე.

მიხოს სიტყვების გაგონებაზე ტვინში დამცხა, მაგრამ, არ შევიძინე და ვკითხე:

– რამდენი წააგე?

– ოცი ათასი მანეთი, – მითხრა მიხომ.

– როდის უნდა ჩააბარო?

– ზეგ, შუადღემდე.

ჩაბარების თარიღი რომ გავიგე, უფრო მეტად დამცხა, იმდენად, რომ ოცდაათგრაფუსიანი ყინვისა და სველი ქარბუქის მიუხედავად, თბილი ზუმლატი გავიხსენე და ვუთხარი:

– გაგიყდი? პირველ იანვარს, ამ სიმორზე, თანაც, ამდენ მასყუთს, ვინ ჩამოიტანს?

30 დეკემბრის საღამოს 10 საათი იყო და თავანის ჩაბარებამდე ზუსტად ოცდაათგრაფეტი საათი იყო დარჩენილი. ფულის ამ ვადებში ჩაბარება თითქმის შეუძლებელი იყო, ჩაუბარებლობა და „ფუფლო“ კი მიხოსთვის უმძიმეს შედეგებს გამოიწვევდა. თითქმის გამოუვალი მდგომარეობა შეიქმნა და მიხოს ვკითხე:

– რას აპირებ?

– რას უნდა ვაპირებდე, თავს მოვიკლავ და ამით მორჩება ყველაფერი, – მითხრა მიხომ. მე კი მივუგე:

– მაგარია ოცი წლის ასაკში თავის მოკვლა.

– აბა, რა ვქნა, ხომ არ გავქათმდები?

– ამაზე თავის დროზე უნდა გეფიქრა, – ვუთხარი მიხოს, – რამდენს გარიგებდი და გაფრთხილებდი, შენ კი მაინც გაები.

– მართალი ხარ, კობრა, ზოდიშს გიხდი, –



ამოილულულა მიხომ.

– ზოდიში რომ წამალი იყოს, ავთიაქმი გაიყიდებოდა, – ვუთხარი მიხოს და დავამატე: – თავანის ჩაბარებამდე ოცდაათგრაფეტი საათზე ნაკლებია დარჩენილი და, თუ სასწაული არ მოხდა, არაფერი გამოვა.

– სასწაულები კი არ ხდება, – ირონიულად მითხრა მიხომ.

– ღმერთს ნუ სცოდავ და იმაზე იფიქრე, რა უნდა ქნა, ოღონდ, თვითმკვლელობის გარეშე.

– რა უნდა ვქნა, კობრა, ჩამომტანი რომც იყოს, ოცდაათგრაფეტი საათის განმავლობაში ამხელა თანხას როგორ ვიშოვი? სანამ ჩემები რამეს გაყიდიან ან ახლობლები შემეგროვებენ, მინიმუმ ორი კვირაა საჭირო. ორ დღეში კი, თანაც, ახალ წელს, ასეთი რამ შეუძლებელია.

– ჰოდა, იმიტომაც ვამბობ, სასწაული უნდა მოხდეს.

– ვინ მოახდენს სასწაულს, – ხელი ჩაიქნია ყურებჩამოყრილმა მიხომ, – მე წავედი.

– ჯერ ერთი, რა ზრდილობაა, ზურგს რომ მაქცევ და მიდიხარ? – ვუთხარი მიხოს, – სასწაულებს კი ღმერთი ახდენს და შევედრე, რომ დაგეხმაროს. მე კი შევეცდები, რამე საშველი ვიშოვო, თუ, რა თქმა უნდა, ღმერთი მოისურვებს.

მიხო ისე იყო მომჩვარული და ყველაფერზე ხელჩაქეული, რომ ფეხზე დგომა უჭირდა. მან სველიანად გამოიღმა და მითხრა:

– მორჩა, ყველაფერი დასრულდა, მეტი აღარ შემიძლია.

მიუხედავად იმისა, რომ არ მიწოდდა ამის გაკეთება, უკიდურეს შემთხვევაში, გადაწყვეტილი მქონდა, მეთხოვა, რომ მიხოსთვის თავანი ერთი თვით გადაედო და თავებში მე ჩაწვდებოდი. თუმცა, ამის შესახებ მიხოსთვის არაფერი მითქვამს და ვუთხარი:

– შევეცდები, რომ ფულიც ვიშოვო და აქაც დროზე ჩამოვტანინო, მაგრამ, გარდა იმისა, რომ ვილა-ვილა-ცეცების ვალი გექნება, კაცური პირობა უნდა დადო, რომ აღარასოდეს იყომარებ და, საერთოდ, ბევრად უფრო დაკვირვებული იქნები.

– ახლა გადავჩრქე და მერე მე ვიცი, – ამოილულულა მიხომ.



– 60-იანი წლების დასაწყისში დაიწყო ძალიან დიდი კინოფესტივალები მოსკოვში. თქვენ ამ ფესტივალებზე სპეცკორესპონდენტი იყავით. გაიხსენეთ ეს, მეტად საინტერესო პერიოდი თქვენი ჟურნალისტური წარსულიდან.

– არაჩვეულებრივი მოვლენა იყო ეს კინოფესტივალები. შეიძლება ითქვას, მამინდელ, საბჭოთა კავშირში, რეჟისორების კედელი ახალგაზსნილი გახლდათ. ამ პერიოდს „დათობის პერიოდი“ ერქვა, – „ოტტოპელ“. თქვენ ვერ წარმოიდგენთ, რა ვარსკვლავები ჩამოდიოდნენ, როგორც კი ამ „ოტტოპელის“ „პრომოუშენი“ გაკეთდა დასავლეთში – ესე იგი, სოფი ლორენი, მარჩელო მოსტროიანი, თუ ფელინი... არაბაირი შეზღუდვა არ არსებობდა, არავითარი დაცვა. ახლა რომ დაპყვება ერთ ადამიანს 7 ათასი კაცი, მსგავსი არაფერი იყო. ყველანი ცხოვრობდნენ ჯერ სასტუმრო „მოსკოვში“, შემდეგ ამ ფესტივალმა გადაინაცვლა სასტუმრო „რასიაში“. ნებისმიერ უდიდეს ვარსკვლავთან შეგძლოდა დაგეგმვა, ან დაგერეკა ნომერი და შეთანხმებულიყო ინტერვიუზე.

მამამ მითხრა: შენთვის აუცილებელია ეს გამოცდილება. იყო მამის ასეთი მშვენიერი გაზეითი „ვეჩერნი ტბილისი“, სადაც ქალბატონი სოფა გველესიანი გახლდათ კულტურის განყოფილების გამგე. მან მითხრა: მე მინდა, რომ შენ იყო ჩვენი სპეციალური კორესპონდენტი ამ ფესტივალზე. უნდა გითხრა, რომ ჩემს არქივში არის უნიკალური ინტერვიუები.

– უცნაური კითხვარი მქონდა. ჩემმა პედაგოგმა მიხილ კვესელავამ რომ ნახა, მითხრა: ყოჩაღ, ამ კითხვარით შენ შეგიძლია, ნებისმიერი ადამიანი გახსნა მეორე კითხვადანვე. – როგორ არ დავინტერესდები ამ კითხვარით?

– პირველი შეკითხვა იყო ასეთი: არ დაფიქრდეთ, ისე მიამბეთ, პირველ შთაბეჭდილებაზე, რომელიც ბავშვობიდან გახსოვთ. ეს ბავშვობაში ადგებდა ისეთ ვარსკვლავებს, როგორც იყო – მონიკა ვიტი, ალბერტო სორდი, ბურვილი, სტენლი კრამერი – და ისინი მომენტალურად იხსენებდნენ. მერე გადავიდი იუკე რეალურ ცხოვრებასა და შემოქმედებაზე, კინოს პრობლემებზე...

– რომელიმე რესპონდენტის პასუხი თუ დაგამახსოვრდათ განსაკუთრებულად, მისი ბავშვობის შთაბეჭდილება-შეგრძნებებიდან?

– მახსოვს, ბურვილს ვკითხე: თქვენი ბავშვობის პირველი შთაბეჭდილება გაიხსენეთ-მეთქი და მიპასუხა: სილის განწნაო. იმიტომ რომ, სულ სახეში მიტყამდნენ. ძალიან ღარიბი ოჯახში გაეჩნდა და ძალიან ნუნკი ვიყავი, სულ გეშოდა, ომის დროს და ომის შემდეგაც. ამიტომ, ვიპარავდი საჭმელს, რის გამოც აქედან მამაჩემი მილანსუნებდა, იქიდან – დედაჩემი.

– თქვენი და ბატა ტიშკევიჩის მეგობრობაც ამ ფესტივალშიდან იღებს სათავეს?

– შეიძლება ითქვას. მამაჩემს ძალიან ახლო მეგობრობა აკავშირებდა ექი კავალეროფიანთან – უდიდეს პოლონურ რეჟისორთან, იქვე იყო ანჯეი ვიდა და მამის ბეატა ტიშკევიჩი მისი მეუღლე გახლდათ, – ულამაზესი ბეატა. ფესტივალების დასრულების შემდეგ, მამა ყველაზე დიდი ვარსკვლავები ჩამოყავდა ხოლმე თბილისში. ყველა რესპუბლიკა ჩხუბობდა, სიკო დოლიძეს ატანთ საქართველოში ყველაზე საპატიო სტუმრებსო. ბეატაც სწორედ ამ პერიოდში ჩამოვიდა. მამინ დაიწყო ჩვე-

რეჟისორ ქათი დოლიძეს წარმატებული ჟურნალისტული წარსული აქვს. ისეთი, რომლის მსგავსაც, ხელოვნებისა და კულტურის დარგში მოღვაწე ნებისმიერი ჟურნალისტი ინატრებს. ამჯერად, ჩვენი საუბარის თემა, მისი კარიერის ამ საფეხურს დაეთმობა.

რას ნერვ „დონ ჟუანი“ ნახვის შედეგად ამაიკული პრესა და იყო თუ არა შესწრება, რომ და ნიროს თუგანიშვილის თაბტუი სტუპრობისას ეს საპატაკლი არ აქვანეს

ნი მეგობრობდა, დიდ პოლონურ კინემატოგრაფთან და მის ვარსკვლავებთან. ექი კავალეროფიანი სიცოცხლის ბოლომდე მეძახდა: „მონიკა ცურკა“ – ჩემი ქალშვილი.

– მე ბავშვობაში დაბრუნებას არ ვთხოვთ, თუმცა დაუფიქრებლად კი მინდა, მიპასუხოთ, რომელია თქვენი ყველაზე დასამახსოვრებელი და დიდი შთაბეჭდილება ამ ინტერვიუებიდან?

– ბურვილი, მონიკა ვიტი, რა თქმა უნდა, სტენლი კრამერი, ექი კავალეროფიანი და ანჯეი ვიდა, საოცარი იყო ალბერტო სორდიც. მათ თავი დამამახსოვრეს თავისი გულწრფელობით, თანხი სიცილით, სიციცხლის სიყვარულით.

ალბერტო სორდიმ თავისი ბავშვობის ყველაზე დიდი ემოცია გააიგევა მიმშლითან. მახსოვს, სულ შვიდაო. სხვათა შორის, ერთად ვსადილობდით, როდესაც მადლედა ამ ინტერვიუს. ბოლოს მიუტანეს ნუშის ნამცხვარი. რომ მიირთვა, თეფშზე დარჩა ნამცეცები, უკაცრავად ამ ინტიმისთვის, მაგრამ უნდა ვთქვა: დაიხველა თითო, შეაგროვა ეს ნამცეცები და გადაუშვა თარში. ამის შემდეგ, თავი რომ ასწია და დაინახა

ჩემი გაფართოებული თვალები, სიცილით მითხრა: ეს იმის შედეგია. ვიცი, რომ არაფერი არ უნდა დაველოდო, ყველაზე დიდი მკრეხლობა საქმლის გადაგდება და ბოლომდე არ მიერთმევააო.

– თქვენ, სამოციანებიდან დაწყებული, ოთხმოციანების შუამდე, თითქმის ყველა სილამაზის ეტალონად აღიარებული ქალბატონი ნახეთ. მათ შორისაც დაგამახსოვრებოდათ რომელიმე განსაკუთრებული?

– ყველაზე დიდი შთაბეჭდილება ჩემზე მოახდინა სოფი ლორენმა. რომ ვუყუარებდი არასტანდარტული იყო ეს ქალი, რაღაც ღმერთივით. ჩემზე არავის მოუხდენია ასეთი შთაბეჭდილება. ერთი რამ ჩამყვან ხინჯად თუ ნადევლად, რომ ვერასოდეს ვნახე და ვერ გავიცანი ანა მანიანი. ალბათ, ეს იქნებოდა ჩემი ყველაზე დიდი შთაბეჭდილება ცხოვრებაში. როგორც შემდეგში, უზარმაზარი შთაბეჭდილება და შეიძლება ითქვას, ბედნიერება იყო, რომ დავეუშვებოდი ვანესა რედგრივს.

– კინოვარსკვლავების რადენიმე თაობას იცნობთ. თანამედროვე მსახიობებიდან ვისთან შეხვედრას ისურვებდით?

– სამოციანებით შეხვედრებიდა ალ პაჩინოს, რომელსაც ავცდი შემთხვევით, კევინ სპეისს, მერლ სტრიბს, არ მიყვარს ოთხი და ხუთდღიანი არტისტები... რა თქმა უნდა, ლეონარდო დიკაპრიოს, რომელიც ყველაზე უფრო საინტერესო და უნიკალური მოვლენაა ახალგაზრდებში... დე ნიროს, რომელსაც შეხვედით და ამ თეატრშიც გყავდა, მაგრამ ეს უცაბედი შეხვედრა იყო. ახლა ვიტყვი იმას, რასაც შეიძლება, არ უნდა ვამბობდე. რატომღაც კულტურის სამინისტრომ, თუ კინემატოგრაფისტთა კავშირმა გადაწყვიტა, რომ დე ნიროს უნდა

ენახა არა „დონ ჟუანი“, თუმანიშვილის აბსოლუტური შედეგის, არამედ – „წუთისოფელი“, ნუგზარ ლორთქიფანიძის, ბრწყინვალე, მართლა არაჩვეულებრივი სპექტაკლი. მაგრამ, მიმანია, რომ ის სპეციფიკურად ჩვენია. რომ გაიგო, უნდა იცნობდეს ქართულ მენტალიტეტს, ეთნოსს, ყველაფერს.

– გაგანდოთ დე ნიროს თავისი შთაბეჭდილება სპექტაკლის შემდგომ?

– ვერ აღიქვა. რაც არ უნდა კარგად გადაგვეთარგმნა მისთვის, თქვა, რომ ძალიან საინტერესოა, კარგი არტისტები არიან. ისიც გეკითხა, რომ ეს ეტუდების კრებულია, თუ... ეს იყო უზარმაზარი შეცდომა! დე ნიროს დე ნიროს ჟუანი“ ენახა, მერე ჩვენ სხვანაირი შეხვედრა გვექნებოდა – ისეთი როგორც მოგვიწყვეს ვამინგტონში, როდესაც ნავილეთ „ბაკულას ღორები“ და „დონ ჟუანი“. „დონ ჟუანი“ შემდეგ, ამერიკული პრესა ზურა ყიფშიძის შესახებ წერდა: ჩვენ შეგვიძლია გვყავდეს კევინ კოსტნერი და მელ გიბონი, მაგრამ ეს მსახიობი მათ მტერში ავიორავებსო. ასეთი კომპლიმენტი არ მიუღია არავის. შემდეგში „დონ ჟუანმა“ მოიარა მთელი მსოფლიო.

– არა მგონია, მოსკოვის ახალგაზრდა კინოფესტივალები თქვენს მიერ მოყოლილთან სახსენებელი იყოს...

– ახლა მოსკოვის ფესტივალები გადაიქცა ნიკიტა მხალკოვის პირად ღონისძიებად. უხდის მილიონ დოლარს რომელიმე მსახიობს, ვთქვით ჯეკ ნიკოლსონს. ნაიყვანს მერე თავის „ნიკოლსონი გორაზე“ და გაატარებინებს იქ დროს – აქმეც, არ ვიცი, პილენებს თუ უხას და მორჩა. კი, დიდი რეჟისორია, მაგრამ მოსკოვის ფესტივალები აღარ არის ხალხისთვის, რასაც ვერ ვიტყვით, მაშინდელ ფესტივალებზე. ის სულ სხვა იყო. იმიტომაც დაიჯერეს მამინ „დათობის“, რომელიც დამთავრდა იმით, რომ ფელინის „რეანახევარს“ რომ მისცა პირველი პრემია საერთაშორისო ჟიურიმ, ნიკიტა ხრუშჩოვმა თქვა: ეს რა ბოდევაო და ეკრანებზე აღარ გამოუშვა. ჩვენ მერე ჩუმად ვნახეთ, ესეც მამაჩემის დამსახურებაა. ჩამოქონდა ისეთი ფილმები, რომლებიც არავინ ნახულობდა. ამას ოფიციალურად ერქვა საინფორმაციო ჩვენებები, რეალურად კი აჩვენებდა მთელ თბილისს. „რეანახევარი“ 10 დღით დატოვა თბილისში და იქიდან ნივლი-კვილი ატანდა მოსკოვში, როგორც ბედავთო! ფესტივალზე, სიკო დოლიძე უზარმაზარ საქმეს აკეთებდა. ის იყო უდიდესი საზოგადო მოღვაწე. მან იცოდა, რომ მე ასეთი ნაცნობობა მჭირდებოდა. ბევრი რამ ჩემს შემდგომ ცხოვრებაში სწორედ ამ ეტაპმა განაპირობა. რომ იცოდეთ, წლების მერე, როცა მე ვუკავშირდებოდი ამ ვარსკვლავებს, ყველა მპასუხობდა. ფრანკო ნერო ჩემი ჩამოვიდა და ვანესამ გამაცნო 1994 წელს პეტრობურგში, ფრანკოს გაახსენდა, ჩვენი ინტერვიუ. შენ არ იყავი რომ კითხე, პირველი შთაბეჭდილებაო. რა მიპასუხა, ხომ იცით, ფრანკო ნერო, ჩემმაო.

– რას გულისხმობდა?

– მე ძალიან ღარიბი კარბინერის ოჯახში დავიბადე, ბატაკ ოფელში, ომის შემდგომი პერიოდი იყო... მერე ცოლზე თქვა, ვანესასათვის უდიდესი მსახიობების ოჯახში კი არ გავზრდილვარ, 3-4 წლის ვიყავი დაგრობიდი, დაგრობიდი და ჩავეარდი ჩემმაში. სულ მთლიანად ამ უბედურებაში ამოსვრილი ბებიაჩემმა თამბიბთ ამომართია და მამინ უთქვამს თურმე ჩემზე: ეს იქნება ძალიან ცნობილი და ძალიან ბევრი ფული ექნება ცხოვრებაშიო და მართალიც აღმოჩნდაო.



ბურვილს ვკითხე: თქვენი ბავშვობის პირველი შთაბეჭდილება გაიხსენეთ-მეთქი და მიპასუხა: სილის განწნაო



ჩვენი რესპონდენტი, ლუკა ბილაშვილი, ახალი თაობის მეღვინეა, რომელიც სამწლიანდ-ნახევარი სწავლობდა და მუშაობდა თავისი პროფესიით საფრანგეთსა და შვეიცარიაში. ის რამდენიმე თვის წინ ჩამოვიდა საქართველოში და ძმასთან ერთად, სამომავლოდ, საინტერესო გეგმები აქვს. არანაკლებ საინტერესო ინფორმაცია მოგვანოდა ლუკამ ფრანგულ და შვეიცარიელი მეღვინეების შესახებ, რასაც დღევანდელ ნომერში გთავაზობთ.

როგორ მოხვალ ლუკა ბილაშვილი ბუკავნილის მეღვინეობის უნივერსიტეტში და რატომ უკავნ ფრანგები ლინოში შაქარს

- თუ შეიძლება, გაცანი ჩვენი ჟურნალ-სტუდენტებს.

- არა. პროფესიონალი მეღვინე, 25 წლის. დავამთავრე თბილისის 55-ე სკოლა, შემდეგ - აგრარული უნივერსიტეტის კვების ტექნოლოგიის ფაკულტეტი და სპეციალობად მეღვინეობა ავირჩიე.

- რატომ გახდი მეღვინე, საგარეულო ტრადიცია განაგრძე?

- არა. პროფესიონალი მეღვინე არავინ გეყოლია გვარში, მაგრამ, მამაც და ბიძებიც მოყვარულების დონეზე ძალიან კარგად ერკვეოდნენ ამ დარგში და, მე და ჩემს უფროს ძმას ბავშვობიდან გვიჩვენებდნენ ღვინის სიყვარულსა და პატივისცემას.

- სანამ საფრანგეთში წახვიდდი, აქ თუ გიმუშავია შენი პროფესიით?

- აქ სტუდენტობის პერიოდში გავიარე რამდენიმე სტაჟირება. პარალელურად ვეუფლებოდი ღვინის ტექნოლოგიასა და დეგუსტაციის ხელოვნებას - ღვინის შემსწავლელ კერძო კურსებზე დავდიოდი.

- როგორ მოხვდი ბურგუნდიის მეღვინეობისა და მევენახეობის უნივერსიტეტში?

- აგრარული უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე გავიგე, რომ საფრანგეთის საელჩო აცხადებდა კონკურსს სამედიტორ პროგრამაზე სტიპენდიის მისაღებად რამდენიმე პრესტიჟულ სპეციალობაზე. ერთ-ერთი იყო მეღვინეობა, მივიღე ამ კონკურსში მონაწილეობა და გავიმარჯვე.

- ყველაზე ძალიან რომელი საგნის სწავლა გაგიჭირდა საფრანგეთში?

- თავიდან ენის ბარიერი მაინც მექონდა, ამიტომ, ყველაზე მეტად ბიოქიმიის სწავლა გაგიჭირდა. ეს იყო სამინილეობა.

- ინგლისური რომ გცოდნოდა, არ გაშიკვრივდებოდა - ახლა თითქმის ყველა ფლობს ამ ენას, მაგრამ, ფრანგული სად ისწავლე?

- მეშვიდე კლასამდე ვსწავლობდი სენტ ეგიჟიუსის სახელობის ქართულ-ფრანგულ კოლეჯში და მერე გადავედი 55-ე სკოლაში, მაგრამ, ფრანგული არ მიმიტოვებია.

- რომელ ქალაქში სწავლობდი?

- ბურგუნდიის დედაქალაქ დიჟონში.

- როგორი იყო სწავლება?

- თუ გულისხმობთ პროფესიონალიზმსა და სიმკაცრეს, ამ მხრივ ძალიან მაღალი დონე იყო. იმ პერიოდში აქაური და იქაური სწავლება ცადა დედამინასავით განსხვავდებოდა ერთმანეთისგან.

- პრაქტიკას თუ გადიოდით სწავლების პერიოდში?

- სწავლის დანებებამდე, სექტემბერში, აუცილებელი იყო ერთთვიანი სტაჟირება ღვინის მარაგში, ხოლო სასწავლო წლის ბოლოს - მინიმუმ სამთვიანი სტაჟირება. ამ სამთვიანი სტაჟირების გავლამდე უნდა ავერჩია სტაჟის თემა და, სულ ბოლოს, უნივერსიტეტისთვის უნდა დავგვეწერა ერთთვიანი ანგარიში, თუ რა ვაკეთებთ ამ თვეების განმავლობაში.

- სულ რამდენი წელი იყავი საფრანგეთში და სად მუშაობდი?

- საფრანგეთში სამწლიანდ-ნახევარი ვიყავი. სწავლის შემდეგ გავიარე ხუთთვიანი სტაჟი. შემდეგ გადავწყვიტე, რომ მეტი გამოცდილება მიმელო, ამიტომ, გავაგრძელე ვიზა და სხვადასხვა ღვინის ქარხანაში ვმუშაობდი დამ-

ხმარე მეღვინედ და მევენახედ.
- რით განსხვავდებიან ფრანგი მეღვინეები ქართველებთან?

- პროფესიონალიზმის თვალსაზრისით, მათ შორის დიდი განსხვავება არ არის, თუმცა, რადიკალურად განსხვავებულია ფრანგების მიდგომა დაქირავებული მუშახელისა და თავად საქმის მიმართ, ანუ, იქ მუშახელი გაცილებით უფრო მეტად არის დაფასებული სამუშაო პირობების შექმნით, დახურვით, უსაფრთხოებითა და ხელფასით, რაც, საბოლოო ჯამში, დარგის განვითარებას უწყობს ხელს.

- საქართველოში ვაზი საკულტო მცენარეა. საფრანგეთშიც ასეა?

- ჩვენთვის ვაზი, თუ შეიძლება ასე ითქვას, უფრო ღვთიური მცენარეა, რადგან, ჩვენს ისტორიასთან და რელიგიასთან არის დაკავშირებული, ფრანგებისთვის კი ვაზი არის მცენარე, რომელსაც უნდა მოუყარონ და პატივი სცენ, რადგან, ის აძლევს მათ საყვარელ სასმელს და მატერიალურ კეთილდღეობას.

- არის საფრანგეთში ჩვენებური ყურძნის ჯიშები? უფრო რომელ ჯიშს ანიჭებენ ფრანგები უპირატესობას?

- პირადად მე ქართული ჯიშები არსად შემხვედრია. უპირატესობას კი სხვადასხვა რეგიონში სხვადასხვა ჯიშს ანიჭებენ, მაგალითად, ბურგუნდიაში - პინო ნუარა და შარდონეს; ბორდოში - კაბერნე სოვინონს, სოვინონ ბლანსა და სხვა ჯიშებს.

- რით განსხვავდება ღვინის დამზადების ქართული და ფრანგული ტექნოლოგიები ერთმანეთისგან, რატომ ჩამოვრჩებით ფრანგებს ამ დარგში და, შენი აზრით, როდის დავენევი?

- ბოლო პერიოდში, ტექნოლოგიური თვალსაზრისით, ძალიან დაემსგავსა ერთმანეთს ქართული და ფრანგული მეღვინეობა, თუმცა, რა თქმა უნდა, არის განსხვავება, თუნდაც, ხარისხსა და წარმოების დონეში. ამ დარგში საფრანგეთში ძალიან დიდი კაპიტალია ჩადებული სახელმწიფოს მიერ და, შესაბამისად, ბევრად დიდი ციფრებით აღინიშნება მათი მოგება, რადგან, ფრანგული ღვინო, ცალკე აღებულ, უკვე არის მარკეტინგული ბრენდი, რომელსაც მსოფლიოს ნებისმიერ ბაზარზე არ აქვს გასაღების პრობლემა. ჩვენთან კი, სამწუხაროდ, არ იდება მეღვინეობაში სათანადო ინვესტიციები, ასევე, ჯერჯერობით, არის ბაზრის მოძიების სირთულეც, რის გამოც გვაქვს ის შედეგი, რაც გვაქვს. თუმცა, ხაზი უნდა გავუსვა, რომ ეს არის არა ღვინის ხარისხის, არამედ, მარკეტინგის პრობლემა. ფრანგებს კი დავენევი მაშინ, როცა გაიზრდება ამ დარგში ჩადებული კაპიტალი და მაღალ დონეზე დად-



ძროხის რქებს ამოავსებენ საქონლის ნაკელით და ინახავენ მინაში ჩამარხულს. შემდეგ ამ ნაკელს, რომელიც სხვა მასად არის გადაქცეული, წყალში ხსნიან და ამ ხსნარით წამლავენ ვენახს

გება მარკეტინგი.
- ფრანგები უფრო მეტ ღვინოს სვამენ თუ ქართველები?
- ფრანგები დღის განმავლობაში სვამენ ხშირად და ცოტ-ცოტას. ერთ სულ მოსახლეზე გათვლით, ისინი გაცილებით მეტს სვამენ, ვიდრე ჩვენ, მაგრამ, ერთ ჯერზე დალევამი ქართველებს ვერავინ შეეჯიბრება. ფრანგებს არ აქვთ ღვინის დაძალების და სასმელში ჩახრჩობის „ტრადიცია“.

- ფრანგებიც „აკეთებენ“ ღვინოს? ანუ, წყალს და შაქარს თუ ურევენ?

- ბურგუნდიაში და მეღვინეობის კიდევ რამდენიმე რეგიონში კანონით არის ნებადართული ღვინოში შაქრის განსაზღვრული რაოდენობის შეტანა ალკოჰოლის ანევის მიზნით, წყლის შერევა კი ყველგან კატეგორიულად აკრძალულია.

- არ არღვევენ ფრანგები ამ კანონს?

- მეოცე საუკუნის დასაწყისში ბევრი არღვევდა, მაგრამ, დროთა განმავლობაში ეს კანონი დაიხვეწა, თან, მაღალ დონეზე ხდება კონტროლი და ახლა აღარავინ არღვევს - არ უღირს, რადგან, რომ დაარღვიონ, ძალიან დიდი ჯარიმის გადახდა მოუწევთ.

- ხომ არ ნანობ, რომ დაბრუნდი?

- ხანდახან მართლაც ვენანობ. სიმართლე გითხრა, მეგონა, რომ ამ დარგში უფრო წინ წავედით, მაგრამ, მთლად ასე არ აღმინანდა.

- რა იყო ვაზის მოვლისა და ღვინის დაყენების ყველაზე არატრადიციული და უცნაური მეთოდი, რომელიც საფრანგეთში ნახე?

- ცოტა „შამანიური“ მეთოდის მომხრე ვაგხდები არა საფრანგეთში, არამედ - შვეიცარიაში. მე და ჩემი კოლეგა და მეგობარი, ნიკა ნატროშვილი, სტაჟირებაზე წავედით ბიოდინამიკურ მარაში, სადაც აბსოლუტურად განსხვავებული მიდგო-

მომხიბა მევენახეობისა და მეღვინეობის მიმართ. ერთ მაგალითს გეტყვით: ვაზის მოვლისას ისინი ხელმძღვანელობენ მთავრის კალენდრით და, ამასთან, ვენახის შესანამულად იყენებენ აბსოლუტურად განსხვავებულ პრეპარატებს, რომლებსაც თვითონ მევენახე ამზადებს. ერთ-ერთ პრეპარატს ასე ამზადებენ: ძროხის რქებს ამოავსებენ საქონლის ნაკელით და განსაზღვრული პერიოდით ინახავენ მინაში ჩამარხულს. შემდეგ ამ რქებს ამოიღებენ, ნაკელს, რომელიც რაღაც სხვა მასად არის გადაქცეული, ხსნიან წყალში და 15-15 წუთის განმავლობაში ურევენ ჯერ ერთი, შემდეგ კი მეორე მიმართულებით. ბოლოს ამ ხსნარს აზავებენ საჭირო რაოდენობის წყალში და ამ ხსნარით წამლავენ ვენახს.

- ამართლებს ეს მეთოდები?

- თუ ყველაფერი ზუსტად გააკეთე, ამართლებს.

- როგორია შენი სამომავლო გეგმები?

- მე და ჩემს ძმას გვინდა, რაჭმა გავაკეთოთ საკუთარი მარანი და ჩვენი ღვინო ჩამოვასხათ, რადგან, რაჭველები ვართ, მაგრამ, ამ სურვილის განხორციელებამდე კიდევ რაღაცები გვაქვს მოსაგვარებელი და, ამიტომ, შეიძლება, გარკვეული პერიოდით ისევ მომიწიოს საფრანგეთში წასვლა.

- არასდროს გიფიქრია იქ დარჩენაზე?

- არა. მე ჩემს ქვეყანაში მინდა ნორმალურად ცხოვრება.

- ხშირად გინევს დალევა და ბუერს სვამ ხომ?

- ამ საკითხში „ფრანგული სტილი“ მაქვს: ვსვამ მხოლოდ კარგ ღვინოს და ცოტ-ცოტას.



- დღეს, თითქმის ყველა არხზე გადის სხვადასხვა მუსიკალური შოუ. როგორ ფიქრობთ, რით არის „X ფაქტორი“ გამორჩეული?

გაბა ფალავანდიშვილი: როგორც „რუსთავი 2-ის“ მარკეტინგის სამსახური, გეტყვით, რომ არ ვიცი, რა შოუები და რამდენი გადის სხვადასხვა ტელევიზიაში, მაგრამ „რუსთავი 2“, როგორც ტელევიზია, ასეთი მეორე არ არსებობს. თუ ოდესმე რაიმე შოუ გაუკეთებია, ყველა საუკეთესო ყოფილა. თუ ვინმეს არ უნდა საუკეთესოს ყურება და ცუდი ურჩევნია, შეუძლია, უყუროს. თუმცა, არ მგონია, არსებობდეს ადამიანი, რომელსაც არ უნდა ყველაზე კარგის ყურება და ასეთი კი ჩვენს არხზეა. როგორც წამყვანი, ვიტყვი, რომ ეს არის არაჩვეულებრივი შოუ. მთელ მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესო, მასშტაბური კონკურსია. ჩვენ კი გვყავს არაჩვეულებრივი წამყვანი - ია.

ია სუსნიტაშვილი: იმდენი კომპლიმენტი მივიღე გეგასგან, რომ ალბათ, მეყოფა ერთი, 4-5 წელი.

- ეს სტიმულია თანამყვანის მხრიდან.

- რა თქმა უნდა, ძალიან დიდი სტიმულია.

გაბა: ია გინახავთ სადმე წამყვანის ამბულუამი?

- არა, თუ არ ჩავთვლით ადრინდელ სატელევიზიო გადაცემას და სხვადასხვა საღამოს.

ია: ეს იყო 2002 წელში და სულ სხვა რამ. თეატრშიც წამყვანია შემოქმედებითი საღამოები, მაგრამ ესეც სხვა რამაა. მინდა, ყოველგვარი ფამილარობის გარეშე აღვნიშნო, რომ ხარისხი, გუნდურობა, შოუ და ბევრი რამ აქვს ამ ტელევიზიას, რომელიც ჯერჯერობით ვერაფერს ნაართავა. ვერ გამოჩნდა კონკურენტი ტელევიზია, რომელიც შეძლებდა, მისთვის გაესწრო. რა თქმა უნდა, ამას საწყენად არ ვამბობ. პირიქით, მივსალმები იმ ფაქტს, რომ იყო ბევრი ტელევიზია, კონკურენცია, რაც თავისთავად, გამოიწვევს სულ მაღალი და მაღალი ხარისხის დადებას - ამას მაყურებლის პოზიციიდან ვამბობ. ისეთი დიდი სითბოთი, განწყობით დახმავდა ეს ხალხი, ისე მიმიღეს, რომ ეს ჩემთვის ბოლო დროს, ცოტა იშვიათია. ამან უფრო მეტი სტიმული მომცა, რადგან სექსტიკურად ვიყავი განწყობილი, ვამბობდი: ვერაფერს გავაკეთებ...

გაბა: თვითონ არ აფიქსირებს, რომ რეალურად „ვარსკვლავია“, „დივა“ და ამიტომაც არის, ყველაზე რეიტინგული შოუს წამყვანი.

- რატომ გააკეთეთ იაზე არჩევანი?

- იმიტომ, რომ საუკეთესოა.

ია: ფრთები გამოშვება და გავფრინდი.

გაბა: შეიძლება, ასეთი შოუს წამყვანის გამოცდილება არ ჰქონდა, ისევე, როგორც მე, მაგრამ ია არის ქალი, რომელიც წარმატებულია, ნიჭიერი, ლამაზი, მშვენიერი, ყველაფერი აქვს. სამწუხაროდ, ასეთი ბევრი არ გვყავს, ხოლო ასეთი განსაკუთრებული - საერთოდ არ გვყავს. ამიტომ, ჩვენთვისაც დიდი პატივი იყო, რომ დაგვთანხმდა.

ია: რომ დამირეკეს, მაშინვე ვიკითხე: ვინ იქნება თანამყვანი. კმაყოფილი და აღფრთოვანებული დავრჩი, როდესაც მითხრეს, რომ ეს იყო გაბა.

გაბა: თუმცა, მან არ იცოდა, რომ მე არ-

14 აპრილს „რუსთავი 2-ის“ თერაპი მეგა-შოუ „X ფაქტორი“ დაიწყო, რომელმაც შეიძლება ითქვას, მოლოდინს გადააჭარბა. ამ საქმეში ახალბედა ჟიური, ახალბედა წამყვანებთან ია სუსნიტაშვილთან და გაბა ფალავანდიშვილთან ერთად, საკმაოდ საინტერესო, კრიტიკული, გარკვეულნილად, ინტრიგულიც იყო, რამაც მონაწილეებთან ერთად, საბოლოო ჯამში, მაყურებელს სანახაობრივი შოუ აჩვენა.

ვინ ატარებს ექსპერიმენტებს გაბა ფალავანდიშვილზე და რით ღარჩა ალფრედოვანაბული ია სუსნიტაშვილი

ასდროს ცყოფილვარ წამყვანი.

ია: ჩემთვის, როგორც მსახიობისთვის, დიდი მნიშვნელობა აქვს პარტნიორს. წამყვანობა, თანამყვანობა, სცენაზე პარტნიორობა ძალიან მნიშვნელოვანი რამ არის. შეიძლება, ფიზიკურად გადადლილი იყო, რაღაც გტკიოდეს და ამ დროს დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ ვინ გიდგას გვერდით. შეგიძლია თუ არა, მას დაეყრდნო, თუმცა დაეყრდნო - არა პირდაპირი მნიშვნელობით...

გაბა: განსაკუთრებით, როცა ქუსლიან ფეხსაცმელებზე დგას მთელი დღე.

ია: ამ შემთხვევაში, ძალიან გამიმართლა, გვერდში მყავს მამაკაცი, თან ძლიერი მამაკაცი. გეგა ძალიან ყურადღებიანი ადამიანია, მზრუნველი: რამე ხომ არ გინდა, ხომ არ გცივა... ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ქალი ხარ და ეს ძალიან გსიამოვნებს. ეს არის ისეთი რამ, რაც ბევრს არ აქვს. ეს არის შინაგანი კულტურა, ინტელექტი, რაც თანდაყოლილია,



ია: „შეიძლება, ფიზიკურად გადადლილი იყო, რაღაც გტკიოდეს და ამ დროს დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ ვინ გიდგას გვერდით. შეგიძლია თუ არა, მას დაეყრდნო“

ამას ვერასდროს შეიძენ.

გაბა: ია რომ მიდგას გვერდში, რა თქმა უნდა, უნდა მივხედო და უნდა მოვუარო. ძალიან კარგ ხასიათზე მაყენებს, სადმე რომ „გაგჭედავ“, მეხმარება.

ია: თან, ისეთი კარგი იუმორი აქვს. გემრიელად, მსუყედ ხუმრობს, ინტელექტუალურად, რაც მე ძალიან მიყვარს და არასდროს მომეზღვრება.

- გეგა, შენ რატომ დათანხმდი წამყვანობას?

გაბა: საერთოდ არ მიფიქრია არანაირ წამყვანობაზე. ეს ჩვენი პროდიუსერების - დემნასი და გიორგის ერთ-ერთი ექსპერიმენტია, ისევე, როგორც ადრე, ჟიურიში ჯდომამ. ამ შემთხვევაში, გუნდური გადაწყვეტილება იყო. შესაბამისად, დემნასი და გიორგის დიდი ლოდინი არ დაესჭირებოდათ, ამისხსნეს - რა სჭირდებოდათ და დავთანხმდი. იმედა, ია მიშველოს, მასზე გადაიტანენ ყურადღებას, როცა მე რაღაც სისულელეს ვიტყვი.

- გეგა, რომ არ ყოფილიყო ია და ყოფილიყო სხვა წამყვანი, მაინც დათანხმდებოდა?

- ვერ გეტყვი ვერაფერს, მე სხვასთან არ მქონია გამოცდილება. პირველი გამოცდილება იასთან მქონდა.

ია: პირველი დღე იყო ჩემთვის ძალიან რთული. მანამდე, 9 დღის განმავლობაში, ქობულეთში ვიყავი გადაღებაზე. ყოველდღე დილის 6 საათზე ვდგებოდი, 14-საათიანი მუშაობის რეჟიმი გვქონდა. იქიდან ღამე ჩამოსულს,

მხოლოდ 2 საათი მეძინა და შემდეგ მქონდა 12-საათიანი ჩანერა, თან ქუსლებით. ეს დღე ბუნდოვნად მახსოვს.

გაბა: გმირულად გავუძელით. ჩემთვისაც ძალიან დაძლიებული იყო. გადაღებებზე არც მანამდე ვყოფილვარ, უძინარი კი თითქმის ყოველთვის ვარ. სამაგიეროდ, ქუსლებზე არ ვმდგარვარ.

- გეგა, ზოგჯერ არ გინდებდა ჟიურის წევრობა გაიხსნო და მონაწილისთვის არცთუ ისე სასიამოვნო კომენტარები გააკეთო?

- ვაკეთებ, არ ვიზღუდავ თავს, რასაც გვინდა, იმას ვაკეთებთ.

ია: როდესაც ფილემში ვთამაშობ, უმეტესობა ჯერ არ გამოსულა კინოგაქირავებაში, რადგან ფესტივალებზე „მოგზაურობენ“ წლებების განმავლობაში, მაგრამ ახლობლებისთვის ვანყობთ ხოლმე დახურულ ჩვენებას. ასეთ დროს რას ვუყურებ, არ მახსოვს. მეორედ, მესამედ უნდა ვუყურო და მერე უფრო გარკვევით დავინახავ ყველაფერს. ძალიან კრიტიკული ვარ, დედა სულ ამაზე მსაყვედურობს: მენ არასდროს მოგწონს შენი თავიო.

- გეგა, შენ ხარ თვითკრიტიკული?

გაბა: უფრო თვითირონიული ვარ. კრიტიკოსები სახლში ისედაც ბევრი მყავს. არ მოერიდებათ, ყველაფერს მეტყვია.

- თქვენი „X ფაქტორი“ რა არის?

გაბა: ჩემი „X ფაქტორი“ იაა.

ია: ჩემი - გეგაა.

გაბა: ჩვენ ერთმანეთი გვყავს.

- გეგა, ახალბედა მამა ხარ. ამ პროექტმა შენს პატარა გოგონას მამასთან ყოფნის დრო არ მოაკლო?

- მთლად ახალბედაც არ გამოვიდვიარ, მანამდე რაღაც გავიარე. რასაც უნდა აკეთებდე, ბავშვთან გატარებული დრო მაინც არ გყოფნის. საბედნიეროდ, ეს გადაღებები ყოველდღიური არ არის. ვცდილობ, ყურადღებიანი მამა ვიყო. ეს ის პერიოდია, როდესაც ბავშვები ყოველდღიურად იცვლებიან, გინდა დამახსოვრო, შესაბამისად, ვცდილობ, ჩართული ვიყო მის გაზრდაში.

- ია, შენი შვილი უკვე 6 წლის არის. არ აქვს პროტესტი იმის გამო, რომ მასთან ერთად არ ატარებ დიდ დროს?

ია: აქვს პატარა-პატარა პროტესტები, როდესაც დღის განმავლობაში დიდი სიხშირით არ ვნახავ. აქვს პრეტენზიები, მაგრამ ვუხსნი: უნდა ვიმუშაო, შენ ხომ ვიყავარ რალაცებები რომ გისრულდება, შენც ხომ უნდა იმუშაო.

გაბა: ერთხელ ჩემი შუათანა მეჩხუბა, რომელიც 8 წლის ხდება. მისხსნიდა, რაღაც თამაში როგორ უნდა მეთამაშო. რომ ვუთხარი: ია ხომ არ ვთამაშობ-მეთქი, მითხრა: აბა, რას აკეთებ, სულ რომ მუშაობ, რამე ისეთი არ უნდა გააკეთო. უფროსს არ აქვს პრობლემი.

ია: ლუკამ ვერაფრით გაიგო, შაბათ-კვირას რატომ მაქვს სექსტაკლები. ამბობს: ყველა ისვენებს ამ დედამინაზე და შენ რატომ მუშაობო.

ნათია შტიაშვილი



ანრი ჯონსაძე: ძალიან დიდი მადლობა ამდენი თბილი და ხარისხიანი შეფასებისთვის. მახარებს, თუ ასეთი ემოციები გამოიწვია თქვენში ჩემმა ახალმა კლიპმა. ძალიან დიდი მადლობა დღევანდელი დაუფინყარი საღამოსთვის – დიდი ხანია, ასეთი ბედნიერი არ ვყოფილვარ. მადლობა ყველა ჩემს მეგობარს, ვინც გვერდში დამიდგა. მე ყველაზე მდიდარი ვარ, რადგან თქვენ მყავხართ!

– შეკითხვა, რისი თქმა გინდოდა ამ კლიპით, უადგილო იქნება, რადგან, ყველაფერი ისედაც ცხადია, თუმცა, საინტერესოა შენული ახსნა იდეისა და გმირებისა.

– განა ყველა ქალი ქალია?! ისევე, როგორც ყველა კაცი არ არის კაცი და არც ყველა დედაა დედა. ეს სიტყვები ხშირად გვსმენია ან გვითქვამს და, შემთხვევა, რომელმაც ამ სიტყვებზე მძაფრად დამაფიქრა, სულ ცოტა ხნის წინ მქონდა. შედეგად კი მივიღეთ ის, რაც მივიღეთ.

– ვფიქრობ, ქალთა ძალადობის თემაზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებიც უნდა მოგეწვია და, საერთოდ, მგონია, რომ ამ კლიპით არაერთ ქვეყანაში მოგიწევს პრეზენტაცია – სემინარების გამართვა.

– თუ ვინმე სადმე მიიწვევს, ამ თემატიკას სიამოვნებით გაგმლივდი და თვით არასამთავრობოებსაც ჩავუტარებდი ტრენინგს, რადგან ჩემს ყველა გმირს, მიუხედავად იმისა, რომ რადიკალურად განსხვავებულები არიან, მაინც ერთი რამ აერთიანებთ – ეს არის ძალადობა.

– ია ნინიძის პერსონაჟი მონაზონი ქალია, რაც იმას ნიშნავს, რომ თავის დროზე იხიცი ძალადობის მსხვერპლი იყო...

– დიდი სიფრთხილით ვეკიდებთ ასეთ თემებზე საუბარს, მით უმეტეს – გადაღებებს, მაგრამ, ბევრი გამიგია და წამიკითხავს მონაზონი ქალების შესახებ, რომლებიც ძალადობის მსხვერპლნი იყვნენ და ამის შემდეგ დაუკავშირეს ცხოვრება ეკლესიას. რაც შეეხება შორენა ბეგაშვილს, ის საკუთარ თავს განსახიერებს – წარმატებულ ქალს, რომლის ცხოვრების გზაც სავსეა ცრემლით და მისი წარმატების ბედნიერი გზა ცრემლის ბილიკზეა ნავალი.

– კესარია აბრამიძის გამოჩენა ნამდვილი შოკი იყო.

– რისთვისაც, მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო კესოს. ულამაზესი ემპატიონური ქალი, რომელიც მთელი ცხოვრება რეჟებით ხელში დადის და კლიბის გმირების უბედურების (უბედურების – პირობითად) სათავეა, რომლის გამოც, შეიძლება, კაცმა ქალს დაარტყას და, ამის მიუხედავად, „დასინიაკებული“ ქალი უთოთი ხელში, ნინსაფარაფარებული დარჩეს ცარიელ ოთახში.

– კრისტი, შენ ერთადერთი ქალი ხარ, რომელიც არ ტირის და სასწრაფოვითილებში არ არის ჩავარდნილი. თავად როგორ დაახასიათებ შენს გმირს?

კრისტი ყიფშიძე: მე ვარ ძლიერი ქალი რეტროსტილში, რომელიც მამაკაც-

ანრი ჯონსაძის ვიდეორგოლებს დრამატიზმი არასდროს აკლდა, თუმცა, ეს ის შემთხვევაა, როცა მან გროტესკულ სტილზე, უსაზღვრო კარიკატურულ გაზვიადებაზე, პარადოქსებზე აგებული ფანტაზიით დეფორმირებულ სინამდვილეზე თქვა უარი და ნატურალიზმით გადმოსცა ძალადობის მსხვერპლი ქალების სუთი ისტორია. ეს უკანასკნელი ვიდეოკლიპი ერთ-ერთი საუკეთესოა მომღერლის რეჟისორულ შემოქმედებაში, რაზეც პრეზენტაციაზე დამსწრე შოუ-ბიზნესის წარმომადგენელთა გულწრფელი და მხურვალე აპლოდისმენტებიც მეტყველებს – სულბრითები ხომ ცნობილი ტაშქუნნი ხალხია და, ძირითადად, თითების ბალიშების ერთმანეთზე მიდებით შემოიფარგლებიან ხოლმე.

რამომ არის ქსეპია აბრამიძე ბაქა შალიკაშვილის, შორენა ბეგაშვილისა და კრისტი ყიფშიძის უბედურების სათავე და რას სთავაზობს ანრი ჯონსაძე ქალთა ძალადობაზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებს

ებით თამაშობს – ტელეფონზე ეფლირტაგება და ყველას უარს ეუბნება. პრინციპში, საკუთარ თავს ვთამაშობ.

– ცხოვრებაშიც ხშირად ამბობ მათზე უარს?

– ყოველ შემთხვევაში, ჯერ არ გამორჩენილა ის, ვისაც სერიოზულად შევხედავ-

ლექსებში, რაც გამოწვეულია საზოგადოებრივი მორალით. მე ვარ დათრგუნული ქალი ჩაკეტილ სივრცეში და საკუთარ თავს ვებრძვი. მაგრამ, როცა ყველა ემოცია პიკს აღწევს და ყვირის იწყებს, უკვე გვიანაა, რადგან, ამ დროს აღარავის ესმის, მაქსიმუმ, ბადრაგი და სხვა პატიმრები თუ გაიგებენ შენს ხმას. თუმცა, მათთვის შენი ტკივილი სულერთია თავიანთი ტკივილის ფონზე.

– ეს შენი პირველი დრამატული სახეა ეკრანზე?

– თეატრში არაერთი დრამატული სახე მაქვს შექმნილი, კინოში კი ეს სამწუთიანი ვიდეორგოლი ჩემთვის არის პირველი დრამატული ფილმი, რომელსაც აქვს დასაწყისი, განვითარება, კულმინაცია და დასასრული. ამიტომ, კიდევ ერთხელ უდიდესი მადლობა ანრის, რომ მომცა იმის შესაძლებლობა, რაც სხვა დროს სხვასთან არ მქონია. კიდევ, მადლობა იმისთვის, რომ მან სწორად და კარგად დაინახა და გადმოსცა ქალის, მათ შორის, აბორტის პრობლემა საქართველოში.

– შორენა, ვინ ხარ, რა ხარ და რა გინდა ცხოვრებაში?

შორენა ბეგაშვილი: მთელი ცხოვრება ვფიქრობ და ვანალიზებ ამ ყველაფერს და, შენ გინდა, რომ ახლა, ორ წუთში გაგირკვიო, ვინ ვარ და რა მინდა? *(იცინის)*.

– არა, შენ, შორენა ბეგაშვილი კი არა, კლიბის პერსონაჟი მაინტერესებს.

– კლიპში ვარ შორენა და ამით ყველაფერია ნათქვამი. მე მგონი, ყველაზე რთული დავალება შემხვდა, მაგრამ, კარგად გავართვი თავი.

– რთულია შორენას განსახიერება?

– აბა, იყავი შორენა, თუ ადვილია! *(იცინის)*.

– რა წინააღმდეგობების ან სირთულეების გადალახვა მომიწევს, რომ ვიყო შორენა, ან, ასეთი რთულია შორენა ბეგაშვილობა?

– ჯერ უნდა იყო! არ ვიცი, ძალიან რთულია. ბოლოქარი ცხოვრება ერთდროულად სიგიჟეა, საოცრება და, ამავდროულად, ყველაფერი ერთად ის, რაც ქალის ცხოვრებაში ხდება. კლიპზე მინდა ვთქვა, რომ ასეთი სერიოზული ნამუშევარი საქართველოში მე ჯერ არ მინახავს. პატარა ფილმს უდრის თავისი სერიოზულობით და, რეჟისორებმა რომ გაიღვიძონ, კარგი იქნება.

ბესო მახარაშვილი



ანრი ჯონსაძე: „ულამაზესი ემპატიონური ქალი, რომელიც მთელი ცხოვრება რეჟებით ხელში დადის და კლიბის გმირების უბედურების (უბედურების – პირობითად) სათავეა, რომლის გამოც, შეიძლება, კაცმა ქალს დაარტყას“

დი; ასე რომ, ვარ მარტო და თავისუფალი, მაგრამ, მე ყველასთვის არ ვარ (I'm not for everyone).

– „ბრუნო ბანანივით“ ყოფილხარ – not for everyone. გამოდის, რომ ანრიმ თქვენი პროტოტიპები გამოიყენა?

– ასე გამოდის, რადგან, ყველას პერსონაჟს რაღაც საერთო აქვს ჩვენს ცხოვრებასთან და, ალბათ, ამიტომ გამოვიდა

ანრი ჯონსაძე: „ჩემს ყველა გმირს, მიუხედავად იმისა, რომ რადიკალურად განსხვავებულნი არიან, მაინც ერთი რამ აერთიანებთ – ეს არის ძალადობა“

კლიპი ასეთი საინტერესო, რისთვისაც ანრის მადლობა მინდა გადავუხადო.

ბაქა შალიკაშვილი: მე ვარ რეჟებდამგმული პატიმარი ქალი გისოსებს მიღმა, რომელმაც ვერ აპატია... მაგრამ, ამ ფაბულას მეორენაირი ახსნაც აქვს – რომ ქალი ხშირად ხდება საკუთარი ვნებების პატიმარი, გისოსებს „შემოირტყამს“ გარშემო და არავის აძლევს შიგნით შეღწევის უფლებას, იკეტება საკუთარ კომპ-



როგორ გაუსრულა იველი ღვთისმშობელი ალმაგანაძე მხიარული მხარის ჯარით მთელი ალმაგანაძის მრავალრიცხოვანი კოალიცია

მთელ სამაჰმადიანოში, მთელ ალმოსავლეთში – ეგვიპტიდან ირანამდე – ყოველ ქვეყანაში, ყოველ ქალაქში, ყოველ სოფელში, ყველა სასახლიდან, ყველა მინარეთიდან, ყველა გზაჯვარედინზე, ყოველი სულთანი, ხალიფა, ამირა, ათაბაგი, ბეგი, ყადი და მოლა მოუწოდებდა ქუდზე, უფრო სწორად, ჩაღმაზე კაცს, საქართველოს წინააღმდეგ გალაშქრებისკენ

„სანამ საქართველო არ დაეცემა, არაფერი გვეშველება მუსლიმანებს: სანამ დავით მეფე ცოცხალია, ბედნიერი ვერ ვიქნებით თურქები, არაბები, სპარსები!“ – გაჰკვიოდნენ მუსლიმანური სამყაროს თავაკები.

არსად ჩანდა გამოსავალი. ქრისტიანულ სამყაროს და, განსაკუთრებით – საქართველოს, განადგურება ემუქრებოდა.

საქართველოს მესვეურები, ეკლესია და მეფე გიორგი მეორე მიხვდნენ, რომ საქართველოს ტახტს განსაკუთრებულად ძლიერი მპყრობელი სჭირდებოდა. გიორგი მეფის მხოლოდობილი ძეს, 16 წლის ჭაბუკ დავითს ეტყობოდა, რომ დავითს რჩეული იყო. ამიტომ, ქართულმა ორდენმა გიორგი მეორის თანხმობით, მეფედ აკურთხა დავით მეოთხე – „თვით მამამან (მეფე გიორგიმ) დაადგა გვირგვინი მეფობისა“.

ახალგაზრდა მეფემ ყმა-მოლაშქრეთაგან, უბრალო მოქალაქეებისა და მსახურეული აზნაურებისაგან ჯარის შეკრება დაიწყო. ნელ-ნელა წვრილნიდა მათ და გამარჯვებას აჩვენებდა. მთაში გახიზნული მოსახლეობა თანდათანობით დაუბრუნდა სახლ-კარს. მეფემ დაამარცხა მოლაღატე ფეოდალები; 1099 წელს ხარკი შეუნყვიტა თურქებს და ნელ-ნელა იბრუნებდა ტერიტორიებს: 1104 წელს აფხაზთა სამეფოს შემოუერთა ცახთა-ჰერეთი; 1110 წელს აიღო სამშვილდე, 1115 წელს – რუსთავი, შემდეგ წელს – ლორე და არაერთი სასტიკი მარცხი მიაყენა მტრებს.

1118 წელს დავით მეფემ ჩრდილოეთ კავკასიის ველებიდან საქართველოში ჩამოიყვანა 40 ათასი ყივჩაღური ოჯახი. ესენი იყვნენ დაქირავებული მეომრები თავიანთი ცოლ-შვილით, რომელთა ნაწილი დავითის სიკვდილის შემდეგ უკან დაბრუნდა; ნაწილი კი დავითის მიერ მათთვის გამოყოფილ მიწებზე დაშვილდნენ და საქართველდა, სომხეთის ტერიტორიაზე დასახლებული ნაწილი კი გასომხდა.

1096 წელს რომის პაპმა ურბან მეორემ უფლის საფლავის გასათავისუფლებლად ჯვაროსნული ომი გამოაცხადა, ყველა ევროპელს მოუწოდებდა მასში მონაწილეობისკენ და ცოცხლად მიტყვევება ალუთქა. „დეუს ლე ვოლტ (ღმერთის ნებაჲს)!“ შესახა ასი ათასმა, ზოგი ცნობით – სამასი ათასმა ევროპელმა და უზარმაზარი არმია იერუსალიმისკენ დაიძრა. გზად მათ შეუერთდნენ ბიზანტიის სამხედრო ძალა, სომხები, ასურელები და დავით მეოთხის ჯარისკაცები.

ჯვაროსნებმა აიღეს ანტიოქია, ეძვსა და, შემდეგ – იერუსალიმი.

მუსლიმანთაგან გათავისუფლებულ იერუსალიმში შეიქმნა სამეფო (სამთავრო), რომლის მეთაურმა, გოტფრიდ ბულონელმა, „უფლის საფლავის მცველის“ ტიტული მიიღო. დაარსდა სხვა სამთავროებიც.

მუსლიმანები ნელ-ნელა გონს მოვიდნენ და გააფთრებული ბრძოლა დაიწყეს ქრისტიანთა წინააღმდეგ. მუსლიმანთა შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდა თურქთა სახელოვანი მხედართმთავარი – ილაზი. მან 1119 წელს შეუტია ანტიოქიის ქრისტიანულ სამთავროს. ანტიოქიის მთავარი როჯერი და ბევრი ევროპელი რაინდი ჯვაროსანი დაიღუპა ამ ომში.

უკვე ამ დროისთვის იერუსალიმის მეფე იყო ბალდუინ მეორე. მან თავი მოუყარა ყველა ჯვაროსანს ილაზის წინააღმდეგ და ანტიოქიას მიუძღვნა. ჯვაროსნებმა შეძლეს ანტიოქიის შენარჩუნება, მაგრამ, დიდი ზარალი განიცადეს.

ჯვაროსნებმა იცოდნენ, რომ თურქთა შეტევები განახლებოდა, ამიტომ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ძლიერი მოკავშირის მოძიება. 1119 წელსვე, მეფე ბალდუინ მეორე ფარული ვიზიტით ეწვია დავით მეფეს ნაჭარბაგეში. და-

ვითის პიროვნებამ დიდად დაინტერესა ქრისტიანები არა მარტო ალმოსავლეთში, არამედ, ევროპაშიც. მასზე ლეგენდები ვრცელდებოდა. იერიას ჯვაროსნები განიხილავდნენ როგორც თავიანთ „წინა ბურჯს“.

1119-1120 წლებში, ქართული არმიის მიერ შევიწროებული და შემოზღუდული თბილისის მამადიანი მმართველები და „ბერები“ (უხუცესები) მუსლიმანთა ქვეყნებისკენ გაეშურნენ, მათთან ერთად იყვნენ განძელი და დმანელი თავაკებიც, რომლებმაც მინა და ნაცარი დაიყარეს თავზე, შარავ შეიღებეს ტანსაცმელი და ხელპირი და ვაგვით ეახლნენ სულთნებსა და მეთაურებს.

თურქ-სელჩუკებმა და არაბებმა გადანყვიტ-



ეს, უბირველეს ყოვლისა, საქართველოსკენ დაძრულიყვნენ გაერთიანებული ძალებით. მათ კარგად ესმოდათ, რომ ქართველ ხალხს, დავით მეფის მეთაურობით, გადანყვიტული ჰქონდა, შეექმნა უძლიერესი სახელმწიფო, რომელიც, არათუ ვინმეს დაემორჩილებოდა, არამედ, თავად გახდებოდა მტერთა დამპირებული და მოყვარეთა შეწვე. ქართველების დამარცხების გარეშე კი შეუძლებელი იქნებოდა იერუსალიმისა და ანტიოქიის დაბრუნება, ბიზანტიაზე შეტევა, ევროპისკენ ადგრა.

სწორედ ამიტომ, თურქ-არაბ-სპარსთა სამხედრო კოალიცია დაიდრა საქართველოსკენ და არა იერუსალიმისკენ.

კოალიციის ხელმძღვანელობდა ნეჯმ ად-დინ ილაზი, ბაღდადის გამგებელი, მარდინის ციხის მფლობელი, ალემოს დამპყრობი, ანტიოქიაში ჯვაროსანთა დამპირებული. დავით ალმაგანაძის თანამედროვე სომეხი ისტორიკოსის, მათე ურჰაეცის ცნობით, მუსლიმანთა ლაშქარი 560 ათას კაცს შეადგენდა. ასევე იმდროინდელი მოღვაწის, ანტიოქიის სამთავროს კანცლერის, გოტფრედის მონაცემებით, მუსლიმანთა ჯარი 600 ათასს ითვლიდა.

დავითის ისტორიკოსის სიტყვით, თურქ-არაბ-სპარსები იყვნენ „ვითარცა ქვიშა ზღვისა“. ისინი მოადგნენ თრიალეთს, მანგლისსა და დიდგორს.

ივანე ჯავახიშვილი და შოთა მესხია მიიჩნევენ, რომ მუსლიმანთა კოალიცია 300 000-ზე ნაკლები არ იქნებოდა. შეიძლება, ეს ცნობები მართლაც გადაჭარბებულია, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, მტრები ქართველებზე გაცილებით მეტნი იყვნენ.

მამადიანები ყარსი-თრიალეთის, დვინისა და განძის მხრიდან შემოსულნი საქართველოში და 1121 წლის 10 აგვისტოსთვის თავი მოუყრიათ მანგლის-დიდგორში. შესაძლოა, დავით ალმაგანაძემ მტრები ამ ტერიტორიაზე სხვადასხვა მანერით შემოიჭყუა.

სომეხი ისტორიკოსის, მათე ურჰაეცის თქმით, დავით მეფეს ბრძოლის ველზე გამოუყვანია 40 000 ქართველი, 15 000 ყივჩაღი, 500 ოსი და 100 ევროპელი ჯვაროსანი. ჩვენს ლაშქარს დიდგორის ველს ნიჩბისის გზით მიუახლოვდა და ორ მთას შორის დაბანაკდა. დავითს დასავლეთიდან უნდა შეეტია, დემეტრე უფლისწულს კი მოულ-

ოდნელად უნდა დაერტყა მთაზე გამოილი ტყიდან, რათა უკან დასახევი გზა მოეჭრათ მტრისთვის. ქართველთა ლაშქრის უკან, ხევი ხის ჯებირებით ჩახერგეს, რათა, რომც სდომოდათ ქართველებს, უკან დახევვა ვერ შესძლებოდათ. ეს იყო გადამწყვეტი ბრძოლა: ან გამარჯვება, ან სიკვდილი – სხვა გამოსავალი არ რჩებოდა. ამ ადვილს დღესაც „ჩახერგვას“ უწოდებენ.

ბრძოლის წინ დავით ალმაგანაძემ და სიტყვით მიმართა ჯარს:

„ეჲა, მეომარო ქრისტიანო! თუ ღვთის სჯულის დასაცავად თავდადებით ვიბრძობებით, არამც თუ ეშმაკის ურიცხვ მიმდევართა, არამედ თვით ეშმაკებსაც ადვილად დავამარცხებთ, და, ერთ რამეს გირჩევთ, რაც ჩვენი პატრონებისა და სარგებლობისთვის კარგი იქნება: ჩვენ ყველამ, ხელების ცისაკენ აპყრობით, ძლიერ ღმერთს აღთქმა მივცით, რომ მისი სიყვარულისთვის ამ ბრძოლის ველზე დავიხოცებით და არ გაიქცევით. და რათა არ შეგვეძლოს გაქცევა, კიდევაც რომ მოვიხდომით, ამ ხეობის შემოსავალი, რომლითაც შემოვსულვართ, რთა ხშირი ხორცებით შევკარით და, მტერს, როცა მოგვიანლოვება ჩვენზე იერიშის მოსატანად, მტკიცე ვუღლით, დაუნდობლად შეუჭებით!“

დიდგორის ბრძოლა ღვთისმშობლის მარხვის ხუთმბათს დღეს, 12 აგვისტოს მომხდარა.

როცა მეომარი მხარეები ერთმანეთის წინ დახვდნენ, მეფის ბრძანებით, ლაშქარს ორასი ქართველი ვაჟკაცი გამოეყო. ისინი მტერს მოუახლოვდნენ. ურჯულოებს ეგონათ, მეფეს უღალატეს და ჩვენს მხარეს გადმოვიდნენო, ამიტომ, დაუბრკოლებლად შეუშვეს თავიანთი განლაგებაში. ქართული საომარი ხელოვნების ოსტატებმა, უეცრად იშოშვლეს ხმლები და თავგანწირვით დაერივნენ მტერს. ამან არეულობა გამოიწვია მუსლიმანთა რიგებში – უკანა რაზმებს ეგონათ, დაეშარცხნენო და კისრისტეხით გარბოდნენ. ჭყლეტაში ბევრი დაიხოცა.

სანამ მტერი გონს მოვიდოდა, დავით მეფე და ქართველთა ჯარი მუსლიმანებს ეკვთა. გაჩაღდა დაუნდობელი ბრძოლა. ამ დროს მთიდან დაეშვა დემეტრე დავითის ძე თავისი ლაშქრით და ფლანგინად შეუტია მტერს.

სომეხი ისტორიკოსი მათე ურჰაეცი წერდა: ისეთი სასტიკი ბრძოლა იყო ორ მთას შორის, რომ, ლაშქართა საშინელი ხმაურისგან ეს მთებიც ხმაურობდნენო.

პირველივე შეტაკებამ ძლიერ შეარყია მუსლიმანთა რიგები და მათი დიდი ნაწილი გარბოდა, – გვიამბობს დავითის ისტორიკოსი. ბრძოლა სულ სამი საათი გაგრძელდა. მისივე სიტყვით, დავითზე ღვთის წყალობა იყო გადმოსული და თვით წმინდა გიორგი იბრძოდა ქართველთა მხარეს ურჯულოთა წინააღმდეგ, – ამის შესახებ ტყვედ ქმნილი მუსლიმანები გვიამბობდნენო.

მუსლიმანები გარბოდნენ, ქართველები კი მისდევდნენ, ჩხვდნენ ან იჭერდნენ. რვა დღე გაგრძელდა მათი დევნა. ველები, მთები და მდინარეები მოკლულთა მძორებით ავსებულა.

გოტფრედს და მათე ურჰაეცის ცნობით, 400 000 მუსლიმანი მოუკლავთ ქართველებს. არაბი ისტორიკოსი ალ-ფარიკი არ მალავს, რომ ქართველებმა უამრავი ტყვე აიყვანეს. ჩვენც დავივიწყეს მეომრები, მაგრამ, დავითის ლაშქრის დანაკლისი განსაკუთრებულად მცირე იყო მტერთან შედარებით.

„ძლევი საკვირველი“ დიდად მნიშვნელოვანი იყო იმდროინდელი მუსოლონისთვის. ქრისტიანები განწიკვდნენ პალესტინაში, ბიზანტიაში, მცირე აზიაში, საქართველო კი უძლველ ქვეყანად იქცა.



საქართველოს ტრადიციული ყოფა იცნობს ჩვეულებითი სამართლის რამდენიმე ვარიაციას, მაგალითად, ფშაურ სამართალს, ხევსურულ სამართალს, სვანურ სამართალს და სხვა. ჩვეულებითი სამართლის მრავალი ნუსხა შემორჩა ჩვენს დღევანდელ მონას ნარსულადან. ერთ-ერთია ფიცის დადების წესი. ქართული ჩვეულებითი სამართლის ტრადიციებსა და ფიცის აქტზე ვისაუბრებთ ისტორიის დოქტორთან, პროფესორ როზაბა გუჯაჯანიანთან ერთად.

რა ღაბვირთვა ჰქონდა ფიცს ქართულ სამართალში და როგორ უსწორდებოდა მის მიხედვით ქარლასს

როზაბა გუჯაჯანიანი: ფიცი ქართული სამართლის ნაწილია. ქართული სამართალი ჩვეულებითი სამართლის სახით არსებობს საქართველოში 1801 წლიდან. ის ამოქმედდა მას შემდეგ, რაც რუსეთი იპყრობს საქართველოს და აუქმებს ქართულ სახელმწიფო სამართალს.

ქართული სახელმწიფო სამართალი უძველესი ტრადიციების მქონეა. პირველი დოკუმენტი, რომელიც ქართული სამართლის შესახებ მოგვცემა, სწორედ ფიციზე გვესაუბრება. ეს არის ბექა აღბულას სამართლის წიგნი ჩადებული ძველი სამართლის ფრაგმენტით, რომელიც საუბარია ხატის ნაბანი წყლით შესრულებულ ფიციზე. თავისთავად, ეს ფაქტი ძალიან საინტერესოა, იმიტომ რომ, მოგვიტოვებდა, ჩვენს დროშიც კი ცოცხალი ტრადიციის, ხატის ნაბანი წყლით ფიცის დადების შესახებ. ამ ტრადიციის უძველეს ნარმომავლობაზე, და კიდევ იმიტომაც არის მნიშვნელოვანი, რომ ის, რაც დღეს ყოფაში ჩვეულებითი, ხალხური სამართლის სახით არის შემორჩენილი, ოდესღაც ქართული სახელმწიფო სამართლის ნაწილი ყოფილა.

ქართული სახელმწიფო სამართალი თანაარსებობდა საეკლესიო სამართალთან ერთად, ანუ სამართლებრივი განსჯა ხდებოდა სახელმწიფო სამართალთა, მაგრამ დამნაშავეს ეკისრებოდა სასულიერო სასჯელიც. ეს გამოხატებოდა, მაგალითად, ზიარების გარკვეული დროით აღკვეთით, საეკლესიო რიტუალებში მონაწილეობის აღკვეთით, განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შემთხვევაში კი, სრული მოკვეთითაც ეკლესიიდან და ასე შემდეგ. მას შემდეგ, რაც უკვე აღარ არსებობდა ქართული სახელმწიფო, ბუნებრივად, რუსეთის იმპერიამ ქართული სახელმწიფო სამართალიც გააუქმა, რომლის ბოლო კოდექსები ვახტანგ მეექვსის მიერ ჩატარებული რევიზიების შედეგად, ვახტანგ მეექვსის სამართალი არის ცნობილი. აქტიურდება ქართული ჩვეულებითი სამართალი, რაც განსაკუთრებით თვალსაჩინოა ქართველ მთიელებში. მთაში ამოქმედდა სამართლის ეროვნული ფორმები – ტრანსპორტირებული, ხალხური ელფერით შემოსილი, მაგრამ ძველი ქართული სახელმწიფო სამართლის გაგრძელება. დაეყარა რა რუსული მმართველობა, მოსახლეობა არ დაემორჩილა რუსულ კანონებს და თავისი მამაპაპული, ზეპირ მემკვიდრეობაში შემონახული ხალხური სამართალი გააგრძელა არსებობა. ქართული ჩვეულებითი სამართალი არსებობდა მთელი ცარიზმის პერიოდში და საბჭოთა საქართველოს პირობებშიც კი, ხოლო ზოგიერთ მხარეში, ახლაც ცოცხალია. მაგალითად: სვანეთში, ხევსურეთში, ნაწილობრივ ხევსა და ფშაგში, თუშეთში. ანუ მას დღესაც სასიცოცხლო ფუნქციები აქვს, იმიტომ რომ, საზოგადოების მხრიდან არის მოთხოვნა ამ სამართლის არსებობისა.

– ფიცის აქტზე და მის მნიშვნელობაზე რას გვიამბობთ?

– ვახუშტი ბატონიშვილის „წიგნი და ჩვეულებანი საქართველოსანი“ მოგვითხრობს, რომ ფიცის დადების წესი უძველესი დროიდან იყო ცნობილი ქართველებისთვის და მას ყოველდღიურ ყოფა-ცხოვრებაში სამართლებრივი აქტების დროს გამოიყენებდნენ. ძირითადად, ფიცი გამოიყენებოდა იმ დროს, როცა ობიექტური გამოძიებისთვის სხვა მასალები არ არსებობდა. ასეთ შემთხვევაში, ბრალდებულს, ან მხარალებულს დებდა ფიცს თავის მართლების მიზნით, რომ ის არ იყო დამნაშავე და ამგვარი ფიცის დადებას, ბუნებრივად, ახლდა დიდი შიში და

კრძალვა. მორწმუნე მოსახლეობის მხრიდან ფიცის გატყევა მომაკვდინებელ ცოდვად ითვლებოდა.

ფიცის დადება მნიშვნელოვანი იყო იმ შემთხვევაშიც, როცა რომელიმე დავა დასრულებოდა, ხალხური სამართლის მიხედვით დისჯებოდა დამნაშავე და დაეკისრებოდა გარკვეული გადასახადის გადახდა დაზარალებულის წინაშე. ამის შემდეგ, იმიტომ რომ, ამ ორ მოდავე ოჯახს შორის საბოლოო მშვიდობა ჩამოყალიბებულიყო, მაგალითად, სვანეთში, არსებობდა წესი, ორივე მხარის ეკლესიაში მისვლისა და დაფიცებისა, შემდგომ უთიერთეთრფილულებზე. ეს საჭირო იყო სოფლის მშვიდობიანობისათვის.

იმ შემთხვევებში, როცა განსაკუთრებით მძიმე საქმე იყო გამოსაძიებელი ხალხური სასამართლოში: ვთქვათ, მოკლულია ადამიანი, მაგრამ რეალურად გამოძიებისათვის თვითმხილველი არ არსებობს, რომელიც დადასტურებს ვინ მოკლა. მაგრამ, არის ეჭვები და ჭირისუფალი კონკრეტულ ადამიანს ასახელებს მკვლელებს. ასეთ შემთხვევაში, მკვლელობაში ბრალდებული და ბრალდებულები შემოიკრებიდნენ თავ-თავიანთ ნათესავებს და სამართლო გადაწყვეტდა, რომ ორივე მხარეს დაეფიცა. იმისთვის, რომ ფიცის საწოდოა უფრო უტყუარი გამდარიყო, მხარეები დაუხატებდნენ ერთმანეთს 6-6 ან 12-12 მოფიცარს, რომლებიც იმ ფიცის დამდებთან ერთად, თვითონაც დებდნენ ფიცს. როგორ უნდა ნდობოდნენ მხარეებს, რომ მისი ბრალდება გაეზიარებინათ და იმ 12 ადამიანს ხელი დაედო და დაედასტურებინა: ვიცი, ამან მოკლა! მკვლელობაში ბრალდებულსაც ასეთივე, 12 მოფიცარი უნდა ემოვა, რომელიც მასთან ერთად დაიფიცებდა მის უდანაშაულობაზე.

როდესაც მკვლელობა მოხდებოდა და დამნაშავე აღიარებდა თავის დანაშაულს, ასეთ შემთხვევაში, ხალხური ზემოქმედებით გზით, თაობიდან თაობაზე გადაცემით, ხალხური სამართლის მეშვეობით, სოფლის რეული პირები, რომელთაც კარგად იცოდნენ ხალხური სამართალი, ჩართვებოდნენ ამ საკითხის გადაწყვეტასა და მოგვარებაში. ისინი დეტალურად შეისწავლიდნენ პრობლემის მთელ არსს. მაგალითად: სვანური სამართალი კარგად ანსხვავებდა ნების მკვლელს, უნებლიეთ მკვლელისგან. მოგესხებოდა, დღევანდელ სასამართლოშიც ხდება ამ ყველაფრის გამოკვლევა. მაგრამ ვთქვათ, ხევსურეთში – მკვლელობა მკვლელობა იყო, არ ხარისხდებოდა. თუ ღვთის მუნეწით, ნაფიცი მედიატორებს დიდი ღვაწლითა და მეცადინეობით მივიღოდა საქმე იქამდე, რომ დამნაშავე აღიარებდა თავის დანაშაულს, დაუმტკიცებოდა მას ბრალდება, ამის მერე, უკვე მიდიოდა მუშაობა იმ მიმართულებით, დაზარალებული მხარე, მოკლულის ჭირისუფალი დაყვარებულებიანთა დამნაშავეს შერიგებაზე სასჯელის მოხდის შემდგომ, რათა სისხლის აღება არ გაგრძელდებოდა. ეს იყო ძალიან რთული პროცესი. მოგესხებოდა, ქართველები მთიელები, კავკასიელები ვართ და ამიტომ ძმის მკვლელს ჭირისუფალი იმეათადა თუ აპატიებდა

ჩადენილ დანაშაულს. ამას მოჰყვებოდა ძალიან მძიმე ფორმებით შურისძიება, რომელიც შეიძლებოდა, გადაზრდილიყო დანაშაულებების მთელ კასკადში. თუ ჭირისუფალს დაიყვარებდნენ შერიგებაზე, ქართული სამართლის ნორმების მიხედვით ხდებოდა, დანაშაულის სახეობის გამოკვეთა და რა სასჯელიც ეკუთვნოდა, ძველ საქართველოშიც იმას მიაკუთვნებდნენ, ცარიზმის პერიოდშიც და საბჭოთა პერიოდშიც.

ძველი ქართული სამართლის თანახმად, მომპარავს უნდა გადაეხდა შეიღვას ქონება, მოპარულის შესატყვისი. თუ ვთქვათ, ერთ ძროხას მოიპარავდა და დაუმტკიცებოდა, დაზარალებულისათვის 7 ძროხა უნდა გადაეხდა. ვახტანგ მეექვსის სამართალში საურავის რაოდენობა შემცირებულია, ამ დროს უფრო გაღარიბებულია მოსახლეობა და მოპარულის ანაზღაურება სამაგად ხდებოდა. ფულადი სასჯელი აუცილებლად მიესჯებოდა დამნაშავეს. ამ ყველაფრის გადახდის შემდეგ, უკვე თუკი დათანხმდებოდა დაზარალებული შერიგებაზე, სვანეთში ხდებოდა შემდეგი რამ: ორივე მხარე მიდიოდა ეკლესიაში და იფიცებდა ერთმანეთის ერთგულებაზე – რომ ამის შემდეგ, მათ შორის მტრობა დათმავრდა და დამყარდება მშვიდობიანობა.

– სასჯელის რა და რა ფორმები არსებობდა?

– სხვადასხვა სასჯელის ფორმა არსებობდა ძველ საქართველოში. მაგალითად, ხევსურეთში კაცის კვლა, საშინელი დანაშაული და ცოდვა, სამართლებრივი კუთხით ანაზღაურდებოდა 60 ძროხის ოდენობით. ეს ძალიან დიდი ქონება და ბუნებრივად, ამას ერთი მოსახლე ვერ გასწავებოდა. ამიტომ, სანათესავო გუგუფები ერთგვარობაში პრობლემის მოგვარებაში და ისინი მატერიალურად ეხმარებოდნენ



რაც უფრო ღამაში, კდემამოსილი და წარმოსადეგი იყო ქალი, მით მაღალ გამოსახვილს თხოულობდნენ მასში

თავის თანამომესს. მინდა, თქვენც ყურადღება გავამახვილო ერთ საკითხზე, რომელიც თითქმის ყველას ეშლება და არასწორადაა ინტერპრეტირებული. კერძოდ იმაზე, თუ რას ნიშნავდა ტერმინი „სისხლის აღება“ ქართული სამართლის მიხედვით და როგორ დამკვიდრდა ეს ტერმინი დღევანდელ ყოფაში. ქართული სამართლის მიხედვით, სისხლის აღება იყო ის, რაც დღეს არის, ფაქტობრივად, საპროცესო გარიგება. ანუ, სისხლის აღება ნიშნავდა: არა ერთი ადამიანის მიერ მეორეზე შურისძიებას, არამედ, ჩადენილი დანაშაულისთვის, დამნაშავეს მხრიდან დაზარალებულისთვის კომპენსაციის გარეშება. აი, ამ კომპენსაციას გამოხატავდა ქართული სიტყვა „სისხლის სწორი.“

– მამსადამე, ეს იყო დანაშაულისათვის ადეკვატური ფულადი საზღაური.

– დაბ. შემდგომში უკვე, ჩვენ დროში ტერმინმა „სისხლის აღება“ დაკარგა სამართლებრივი დეფინიცია და შეიძინა შურისძიების გამომხატველი აზრობრივი დამტოვება.

ქართული ჩვეულებითი სამართალი ძალიან ჰუმანური იყო. მაღალ დონეზე იყო ქალის უფლებებრივი მდგომარეობა დაცული. დღეს რომ გენდერული თემებია მოდური, ჩვენთვის ახალი არაფერია მასში. საქართველოში, ქალს მუდამ ჰქონდა სრული მეცოდეროების უფლება. მინის ფლობის უფლება, მისი მზითვები მისი პირადი კუთვნილება იყო და დაქვრივების შემთხვევაში, ის ხდებოდა მისი კერძო საკუთრება, რომელიც მის შვილებს შორის ნაწილდებოდა და ასე შემდეგ. ქართული სამართალი იცნობს ისეთ ჰუმანურ მოტივსაც, როცა მოვალე მეგალის გარდაცვალების შემთხვევაში, მეგალის

(გაგრძელება 78-ე გვერდზე)



ლიკა მებრძოვი: ვასო ორი წლის წინ გავიცანი საერთო მეგობრებისგან: იმის შემდეგ ვმეგობრობდით, ვმეგობრობდით და, ბოლოს, შეგვიყვარდა ერთმანეთი.

პასუხი: რომ დავინახე ლიკა, იმის მერე არ განერებულა ჩემი ტელეფონი - რეკავდა და რეკავდა: „ვასო, გადაღება დამთავრდა, რომ მოვიდე და განხარ?“ მე ცოტა დავიფასე თავი: „არ ვიცი, ჯერ „პაკაზი“ მაქვს, რომ მოვიცილი, გამოვალ“... - მოკლედ, ასე მოხდა ყველაფერი. სიმართლე, რომ გითხრა, მეგობრობიდან დაიწყო ურთიერთობა და მერე ნელ-ნელა გახშირდა ჩვენი შეხვედრები, ტელეფონზე დარეკვები: „რას შერები, საღამოს რა ექნათ“ - და ასე შემდეგ... თავიდან მეგობრებთან ერთად ვხვდებოდით, მერე, უეცრად მითხრა - არ შემოიძლია უშენოდ სიცოცხლე.

ლიკა: გამოუფტყდი სიყვარულში, მერე უკვე ქმრობა ვთხოვე.

მთელი საქართველო ეძებდა შენთვის საცოლეს.

პასუხი: ხომ გავიგია: „მოიცადე, მოიცადე...“ და, აი, შედეგიც.

ლიკა: მეგობრობის პერიოდში ერთმანეთს ძალიან კარგად ვუგებდით. შემდეგ, როგორც ვასომ თქვა, ჩვენი ურთიერთობა გახშირდა და, ბოლოს, გამომიტყდა სიყვარულში. ვერ ვიტყვი, რომ ეს ჩემთვის მოულოდნელი იყო, რადგან, ბოლო პერიოდში, სანამ ამ ნაბიჯს გადავდგამდით, უკვე სხვა ურთიერთობა გვქონდა: ხშირად დავდიოდით კინოში, სუშის საჭმელად - ორივეს ძალიან გვიყვარს. შემდეგ ერთდროულად გავვიჩნდა ერთმანეთის მიმართ გრძნობა, ოღონდ ერთმანეთისგან ჩუმად და მერე გაუფშხილეთ. მარტოები ვიყავით და მითხრა: სიტყვებით რამის თქმას, ჯობია, ყველაფერი ჩემი ქცევით დავანახებო. ამით ყველაფერს მიხვდი. მანამდე, ვასოს საქციელებიდან გამომდინარე, ყველაფერი ისედაც ნათელი იყო, ამის შემდეგ კი საბოლოოდ დავრწმუნდი მის გრძნობებში.

რით მოგანონა თავი?

ჩემი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანია, კარგად გრძნობდე თავს ადამიანის გვერდით. ურთიერთობაში მხოლოდ სიყვარული არ არის მთავარი, იმის იქით კიდევ ბევრი რამაა. ვასო მავსებს მე, ისევე, როგორც მე ვავსებ მას. ყოველთვის ბედნიერი ვარ ვასოს გვერდით და ამან განაპირობა ის, რომ არჩევანი მასზე გავაკეთე. არსებობს ბევრი რამ, რაც ორივეს მოგვზონს, გვიყვარს და ეს ურთიერთობას კიდევ უფრო მეტად გვიადვილებს. ხშირად ვსაუბრობთ იმაზე, რომ, ცოლ-ქმარი კი გავხდით, მაგრამ, ამავდროულად, კარგი მეგობრებიც ვართ, რადგან, ჩვენი ურთიერთობა სწორედ მეგობრობიდან დაიწყო. ერთმანეთისთვის რომ ვერ გავგვეყო, არც მეგობრობა იქნებოდა, არც შეყვარებულობა და არც ცოლქმრობა. თავიდან მართლაც მეგობრულად ვუფურხვებდი, არც მისგან მოდიოდა ინიციატივა - ეს ვოგო ჩემთან უნდა იყო, ჩემთვის არასდროს უგრძობი იქნებოდა. არასდროს განვიხილავდი მას, როგორც ჩემს „პაკაზონს“. იყო ყოველთვის მეგობარი, მაგრამ, მალე შეიცვალა ყველაფერი.

თქვენი შეყვარებულობის ამბავი ჟურნალისტებსაც გამოგვებარა. არ ცდილობდი თქვენი ურთიერთობის აფიშირებას.

ყოველთვის ვცდილობდით, საზოგადოების ყურადღების ცენტრში არ მოვხვედრილიყავით. ახლო მეგობრებმა, რა თქმა უნდა, ყველაფერი იცოდნენ. თან, ვასოს თემა ისე იყო - „ცოლი არ მოჰყავს“, „ვინ იქნება ვასო ფხაკაძის რჩეული.“ რადგან არ ვიცოდით, ჩვენი ურთიერთობა როგორ დამთავრდებოდა, ამიტომ, ვარჩიეთ ჩუმად ვყოფილიყავით. მერე, როდესაც ჩვენი ურთიერთობა გამყარდა, ასე თუ ისე, ვიცოდით, რა იქნებოდა მომავალში, გადავწყვიტეთ, ჩვენი ფოტო დავაგვიღო „ფეისბუქზე“. რამდენიმე თვე ვიყავით შეყვარებულები და მალევე მივიღეთ ერთად ცხოვრების გადაწყვეტილება. ორივე ძალიან კარგად ვიყავით და რილასთვის უნდა დაგვეცადა?! ამიტომაც გა-

ცოტა ხნის წინ პასუხი უხაკაძემ ცხოვრება „პირველ ვიცე-მის საქართველოს“ უმშვენიერეს ლიკა მებრძოვს დაუკავშირა. მათ ერთმანეთთან ორწლიანი მეგობრობა აკავშირებთ, რომელიც, საბოლოოდ, სიყვარულში გადაიზარდა და ვასო „თავისუფლებას“ ლიკას გამო შეელია. მე მათ კიდევ ერთხელ ვულოცავ დაოჯახებას და უდიდეს ბედნიერებას ვუსურვებ!


როგორ ეჩვენა პასუხი უხაკაძე სამი წლის განმავლობაში ლიკა მებრძოვისთვის „ცოლის“ დაქვანებას და როგორ მიიღეს მათ ოჯახის შექმნის გადაწყვეტილება

დავწყვიტეთ ასე.

ვასო, როგორ მიგაღებინა ლიკამ დაოჯახების გადაწყვეტილება?

პასუხი: რა არ ქნა, რა არ გააკეთა... ძალიან მიყვარს და ამიტომ. ადრე ინტერვიუებშიც ვამბობდი, თურქულ კანფეტს არ ჰგავს-მეთქი, გარედან რომ ლამაზია და შიგნიდან არ ვარგა. ბევრი მოდელი ასეთია. ერთ-ერთ გადაცემაშიც ვთქვით, სუფრის გამლა რომ არ იციან-მეთქი.

ლიკა: მინდა, აღვნიშნო, რომ სუფრის გამლა ვიცი.



ლიკა: „გამოუფტყდი სიყვარულში, მერე უკვე ქმრობა ვთხოვე“

პასუხი: იურისტია, ინტელექტი აქვს. დანიური, არა... ბელგიური შოკოლადია. იუმორის გრძნობა აქვს სუპერი, რაც ყოველთვის მინდოდა. სულ ვამბობდი: ჩემს ცოლს იუმორის გრძნობა რომ არ ჰქონდეს, დავიტანჯებო-მეთქი. მაგრამ, ამას ჩემზე კარგი იუმორი ჰქონია. ისეთ რაღაცეებს „არტყას“ ხოლმე, ცუდად ხსენებდი. მის ვამბობ: არ არსებობს პაპირი, რომელსაც მისადგომი არ აქვს; მთავარია, იცოდე, რომ, როცა ღელავს, არ უნდა მიუახლოვდე, რადგან დაგამტყნებს, როცა ჩადგება, დამშვიდდება, მაშინ უნდა მიხვიდე. ჰოდა, როცა დანყნარდა ზღვა, მეც მაშინ მივედი ჩემი ნავით.

მთელი სტრატეგია გქონია შემუშავებული.

რა თქმა უნდა. საჭირო დროს საჭირო ადგილას აღმოვჩნდი.

ლიკას მშობლებს, ალბათ, მოსწონთ სასიძო.

ლიკას მამას, ბატონ თემურზაზს, უყვარს ნადირობა, თევზაობა, ძაღლები ჰყავს. კახეთში რომ ჩავედი თოვლები დავათვალიერე. მომავალში ნადირობას ვგეგმავთ.

ოფიციალურად სთხოვე შეილის ხელი?

მანამდე ვიყავი კახეთში ჩასული, სიძის ამპლუაში არა. დედამისი გავიცანი, მამამისი... სიყვარულიც უთქმელად ავუსხენი. ვფიქრობ, ზოგჯერ, თქმას, ჯობია, ყველაფერი უსიტყვოდ, საქმით, ქცევით გააკეთო.

ლიკა: აღდგომას კახეთში იყო, მერე ერთად ნავედით ყვარულში.

პასუხი: აღდგომას კახეთში მეუფე მელქისედეკთან ერთად შეხვდით და მერე იქიდან ლიკასთან ნავედი.

ლიკა: მაშინ არ მომხდარა ხელის თხოვნა ან დანიშნვა. ჩემებმაც იცოდნენ ჩვენი ამბავი,

ვასოსებმაც, მაგრამ, მერე უცბად გადავწყვიტეთ, რომ ერთად უნდა გვეცხოვრა. დედის და მამისთვის ვუთხარი, ძალიან მალე გავთხოვდები-მეთქი. ცუდი რეაქცია არ ჰქონიათ, უბრალოდ, შევამზადე. მაგრამ, ეს „ძალიან მალე“ აღმოჩნდა 5-6 საათი და აეროპორტიდან დაფურეკე მამას: მამა, იცი, ვთხოვდები და თურქეთში მივდივარ-მეთქი.

პასუხი: ევროპაში გვიწოდდა ნასვლად, მაგრამ, საბოლოოდ, თურქეთში ნავედით. ზაფხულში ნავალი ევროპაში. ჯვარს რომ დავინერეთ და ხელს მოვანერეთ, მერე გვექნება თავლობის თვე, რომ აინია ცაში თვითმფრინავი, ვთქვი: „ესიო, უკვე ნავედით.“ თან, ბიჭებმა მითხრეს: ოღონდ შენ ცოლი მოიყვანე და, თუ გინდა, ერთი წელი ნუ ჩამოხვალ.

ლიკა: პირველი სამი დღე ხშირად იმეორებდა „ცოლი“, „ცოლი“. ვეუბნებოდი: ეჩვევი-მეთქი.

პასუხი: იცი, ტელეფონში როგორ მიწერია - „ცოლუა“.

ლიკა, შენ „ქმარუკად“ გინერია?

ლიკა: მე „ცოს“ ვეძახი.

პასუხი: ჩემი დისწილები პატარები, რომ იყვნენ, „ვასოს“ ვერ ამბობდნენ და „ცოს“ მეძახდნენ. ლიკაც ხომ პატარაა და ასე მეძახის.

როდის აპირებთ ჯვრისწერას?

ალბათ, უფრო, შემოდგომაზე. „რუსთავი 2-ში“ უამრავი სახლე გვაქვს, ბევრ რამეს ვინყებთ. ფილმის გადაღება იგეგმება და ფიზიკურად დრო არ გვაქვს. თან, ისე არ მინდა, რომ ჯვარი დავინერეთ და ორი კაცი მოვიდეს. ორგანიზება სჭირდება ყველაფერს, ხალხს უნდა ეცალოს ფიზიკურად.

ლიკას სუფრის გამლა სცოდნია, საქმელების მომზადებაც იცის?

ყველაფრის კეთება იცის ჩემმა ცოლმა. ისე, როცა მძია, უხასიათოდ ვარ, მაგრამ, ეს სამ წუთს გრძელდება - კარს შევალბე თუ არა, მაშინვე საქმეებს მანვლის. ნაყინის კეთება იცის, ყავას ადუღებს, ჩაქაფულს აკეთებს, მწვადს ნვავს. სანადიროდ რომ ვარ და მოვკლავ ცხოველს ან ფრინველს, მაშინვე ჩამოვა, გაატყავებს, გაუშტავს.

ნარმოვიდგინე, როგორ პუტავს მწყერს, თან - ათ ცალს.

მწყერს რომ პუტავს, თითო ბუმბულის გამოპუტავს წყველა რომ მოყვება: „შენ მოუკვიდე შენს პატრონს.“ ნარმოვიდგინე, ათ მწყერს რომ მოკლავ, რამდენი წყველა გაქვს?!

ლიკას მოდელია ხომ არ აუკრძალე?

რა საქმეც უყვარს, იმაზე თავი როგორ უნდა დავანებებინო?! შეიძლება, ისე ინტენსიურად აღარ იყოს ჩართული, როგორც ადრე, მაგრამ, მე მომწონს ის, რასაც აკეთებს. არ მიყვარს, შეყვარებულობის დროს ადამიანები სხვა-ნაირები რომ არიან და, მერე, ცოლქმრობისას რომ იცვლებიან. როგორც შეგიყვარდა, ისეთი უნდა გიყვარდეს. მეც ორი პროფესია მაქვს და მასაც - იურისტია და, ალბათ, ამ პროფესიას გაჰყვება, მოდელია კი მისთვის უფრო ჰობი იქნება - ეს ჩემი აზრია.

ლიკა: უცხეთოში დიდი ხნით მე თვითონაც არ ნავალ. უკვე ოჯახი მაქვს და ვასოს დიდი ხნით აღარ დავტოვებ. საქართველოში გავაგრძელებ მოდელიობას.

პასუხი: როცა მიღწევა ექნება ჩვენება, მეც ნავალ და ვუყურებ. ბოლოს რომ გამოიღებარ და შენ რომ ხარ „კუნური“ - ასე ექვნი.



მომღერალმა ნიკო ბერიძემ არაერთხელ მიიქცია მაყურებლისა და მსმენელის ყურადღება. პროექტი „ჯეოსტარი“ და „ორი ვარსკვლავი“ მის ცხოვრებაში გარკვეულ ადგილს იკავებს. მართალია, გამარჯვებული არც ერთ პროექტში ყოფილა და არც მეორეში, მაგრამ მაყურებლის სიმპათიად მაინც დაიმსახურა. ჩვენს რესპონდენტს საკმაოდ დიდი წარმატება და გამოცდილება მოუტანა მიუზიკლმა „ქეთო და კოტე“, რომელშიც მან კოტეს როლი შეასრულა.

ვის გაიხივალ ნაკრებულს „ორ ვარსკვლავი“ ნიკო ბერიძე და რა ოსვენას აისრულავს ის მალე გამოვლინდნენ ერთად

– მსმენელმა და მაყურებელმა „ჯეოსტარით“ გაიცნო. თუმცა, ბევრი იმასაც ამბობდა, რომ შემდგარ მომღერალს ამ პროექტში რა უნდაო.

– ამას კი ამბობდნენ, მაგრამ არანაირად არ ვეთანხმები. უცხოეთში არის კონკურსები, როცა შემდგარი მომღერლებიც მიდიან და იღებენ მონაწილეობას. ასე რომ, ამაში ვერანაირ პრობლემას ვერ ვხედავდი ვერც მაშინ და ვერც ახლა.

– მასხოვს, მაშინ იმასაც ამბობდნენ, ნიკო ბერიძე ოპერის მომღერალია და ეს მართალია?

– ეს, ალბათ, იმიტომ თქვეს, რომ „ქეთო და კოტეში“ ვმონაწილეობდი. სამწუხაროდ, ზოგმა ოპერა და მიუზიკლი ვერც კი განასხვავა ერთმანეთისგან.

– ანუ, ოპერასთან შეხება საერთოდ არ გქონია?

– ბავშვობაში 15-16 წლამდე ვმღეროდი. იმ პერიოდში, თან ვოკალური დავამთავრე და საოპერო მუსიკას შევეშვი. თუმცა, დღემდე ძალიან მიყვარს.

– გავიდა დრო და მეორე პროექტშიც გამოჩნდი. ეს არის „ორი ვარსკვლავი“, სადაც შენი მეწყვილე ნინო გაჩეჩილაძე იყო. ამ პროექტში ყველასთვის მოულოდნელად, უკვე როკერი ნიკო ბერიძე გამოჩნდი.

– მანამდეც როკერი ვიყავი, თუმცა ეს ბევრისთვის სახლე აღმოჩნდა. ხანდახან მიწვევს ისეთი ჟანრის სიმღერის შესრულება, რომელიც ნაკლებად ახლოსა ჩემთან, ვიდრე როკი. ალბათ, ამიტომაც გაუკვირდა ბევრს. ასე რომ, როგორც ვუსმენ სხვადასხვა ჟანრის მუსიკას, ისევე ვმღერი სხვადასხვა ჟანრის სიმღერებსაც. როკი კი ჩემთან ძალიან ახლოსაა.

– „ორ ვარსკვლავში“ მართალია, შენი და ნინოს ნევეილს საკმაოდ კარგი გამოხმაურება ჰქონდა, თუმცა რაღაც-რაღაცეებში, ჟიურის არ ეთანხმებოდით. ამაზე საუბრობდა ყველა. რა ხდებოდა რეალურად? ეს ტექნიკური პრობლემა იყო თუ მანერა ჟიურის მიერ მივიღებოდა საბოლოოდ?

– რა თქმა უნდა, ტექნიკური პრობლემებიც იყო, მაგრამ ისეთი მომენტებიც, როცა ჟიურის არ ვეთანხმებოდით. მართო ჩვენ კი არა, ყველა მონაწილე. არ მინდა, ცუდად გამოვიხატო ტელეკომპანია „იმედის“ წინაშე, მაგრამ ტექნიკურმა პრობლემამაც არაერთ ტურში იჩინა თავი. ცუდი გახმოვანება, ალბათ, იმიტომ იყო, რომ რეპეტიციებზე ვერ ესწრებოდა ხმის აწყობა და ასე შემდეგ. ჩემთვის არ იყო რთული ამ სიტუაციიდან თავი დამეპყრინა, უარეს პირობებშიც მიმღერია, მაგრამ არაპროფესიონალი მომღერლისთვის, ეს

ძალიან რთულია. ამიტომ, უფრო ვენერვიულობდი, თორემ ჩემს თავზე ნაკლებად.

– ამ ეტაპზე რა ხდება შენს ცხოვრებაში?

– ამ ეტაპზე ტელევიზიაში ვმუშაობ. ასევე, ვწერ ორ სხვადასხვა ჯგუფთან ერთად ორ სიმღერას. მისში ვგეგმავთ კლიპის გადაღებასაც.

– რომელი ტელევიზიის თანამშრომელი ხარ?

– აჭარის ტელევიზიის მუსიკალური პროდიუსერი ვარ. მუსიკალურად ვფუთავ არხს.

– ბათუმში როდის ბრუნდები?

– 17 მაისს მე და ჩემს ძმას ბათუმში სოლო კონცერტი გვაქვს (ინტერვიუ ჩანერლია 7 მაისს – ავტორი). ჩვენთან ერთად იქნებიან ასევე ჩვენი ორი მეგობარი – აჩიკო გოგიტიძე, რომელიც ოპერის მომღერალია და

აჩიკო ბერიძე, რომელიც, მგონი, ქართული სიმღერის ერთ-ერთი საუკეთესო შემსრულებელია. ბავშვობიდან ერთად მოვდივართ და ყოველთვის გვიწოდდა, ერთად ჩავგეტარებინა კონცერტი. აი, ასრულდა ოცნება და 17 მაისს გვაქვს საშუალება, ჩვენი მრავალწლიანი სურვილი დავიკმაყოფილოთ.

– ბევრისთვის სიურპრიზი აღმოჩნდა შენი ძმის გამოჩენა პროექტში „X ფაქტორი.“ ბევრმა და მათ შორის, არც მე ვიცო-



„ორ ვარსკვლავამდე“ როკერი ვიყავი, თუმცა ეს ბევრისთვის სახლე აღმოჩნდა. ხანდახან მიწვევს ისეთი ჟანრის სიმღერის შესრულება, რომელიც ნაკლებად არის ჩემთან ახლოს, ვიდრე როკი. ალბათ, ამიტომაც გაუკვირდა ბევრს

ნო, როგორც ჩანს, არ იყო ისეთი რეიტინგული პროექტი და არხი, როგორც სხვებია. „მაგთიფანში“ რომ მონაწილეობდა, სომ დამანყვიტა ნერვები და „X ფაქტორში“ უარესად დამანყვიტეს ნერვებს, ვიცი. საერთოდ, ჩემი ძმა, მგონი, ჩემი ნერვების დასაგლეჯად არის მოვლენილი ამ ქვეყანაზე.

– ალბათ, არანაკლებ სიტუაციაში იყო თავად, როცა შენ იყავი „ჯეოსტარისა“ და „ორი ვარსკვლავის“ მონაწილე.

– მე ისე ვანერვიულე, რომ ბატონებიც კი დაფმართე.

– კიდევ თუ გყავთ ვინმე მომღერალი?

– გენეტიკურად დედის მხრიდან იტალიელი ვართ. დედაჩემს სმენა ნამდვილად აქვს, მაგრამ მამაჩემს არა, რაღაც დიდმა გადაღარა ყურზე. თუმცა, კარგი მუსიკალური გემოვნება აქვს. ბებიამე კარგად უკრავს, დედაჩემსაც კარგი სმენა აქვს. მოკლედ, ოჯახში, მამაჩემის გარდა, ყველა მღერის, თუმცა პროფესიით მუსიკოსი არავინ ყოფილა.

– ალბათ, სასიამოვნო მოსასმენი იქნება ოჯახური სიმღერა.

– სხვათა შორის, არასდროს გვიმღერია.

– არც ძმებს ჩაგინერათი ღუეტი?

– დუეტი არასდროს გვექონია ჩანერლი, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ ჯგუფ „ჯეო პლანეტში“ ვმღეროდით ერთად. იქ კიდევ ერთი ვოკალისტი გვყავდა, „ვიოსის“ მონაწილე, თეო ჩიტვილი. ახლა კი უკვე მე და გიორგიმ გადაწყვიტეთ დუეტის ჩაწერა და იმ-

ედი მაქვს, კარგი გამოვა.

– ბათუმი ბევრი ნიჭიერი ადამიანის ქალაქია. რომ შეიკრიბოთ და ერთობლივად ჩანეროთ სიმღერა, დარწმუნებული ვარ, ძალიან კარგი შიტი შეიქმნება.

– კი, ძალიან მაგარი იქნება.

– ნიკო ბერიძე მუსიკალურ სამყაროში თავს ისე გრძნობს, როგორც თევზი წყალში.

– სხვა გზა არც მაქვს.

– რა მოგცა მიუზიკლმა „ქეთო და კოტეში“ როგორც მომღერალს?

– ბანალურად უნდა ვთქვა, მაგრამ ასეა. უპირველესად, ძალიან დიდი გამოცდილება და პოპულარობა. გავიცანი ძალიან მაგარი ხალხი.

– რა ხდება შენს პირად ცხოვრებაში?

– არც არაფერი.

– რატომ?

– არ ვიცი. ორი წლის წინ კი ხდებოდა, მაგრამ ამ ეტაპზე სიმშვიდეა. სიმპათიები და პატარ-პატარა გატაცებები კი არის, მაგრამ სერიოზული არაფერი.

– რომანტიკოსი ხარ?

– რომანტიკოსი არა, უფრო რეალისტი ვარ. თუმცა, არის ადგილები, სადაც ამის გამოძულავება შემძლია.

ჩემი ძმა, გიორგი, ჩემი ნაკრებულს დასაგლეჯად არის მოგვლილი ამ ქვეყანაზე

დი, რომ ასეთი კარგი ხმა ჰქონდა გიორგის. საერთო ჯამში, ძალიან მუსიკალური ოჯახი გაქვთ.

– გიორგი გასულ წელს „მაგთიფანის“ მონაწილე იყო და პროექტის გამარჯვებულიც გახდა. თუმცა, აქედან ის ბევრმა ვერ გაიც-



მბნული ატყბი

ჯეიზი: შრომას ყოველთვის ბედნიერება არ მოაქვს, მაგრამ შრომის გარეშე ბედნიერებას ვერ მოიპოვებ.

ამირსენი: ამბიციის გარეშე ადამიანი ვერაფერს წამოიწყებს. შრომის გარეშე ადამიანი ვერაფერს დაასრულებს, ჯილდოს არავინ გაჩუქებს, ჯილდო უნდა მოიგო.

თორ: არ დაიქირაოთ ადამიანი, რომელიც შრომობს ფულის გამო. დაიქირავეთ ის, ვინც შრომობს საქმის სიყვარულის გამო.

ლაროშუპი: ქებაზე უარის თქმა იმას ნიშნავს, რომ ორჯერ შეგაქონ.

პიორნი: თავისუფალი იყო, არაფერია, თავისუფალი გახდე - ყველაფერი.

სპინოზა: თავისუფალი ადამიანი არაფერზე ისე ცოტას არ ფიქრობს, როგორც სიკვდილზე, მისი სიბრძნე არა სიკვდილის, არამედ სიკიცხლის გააზრებაში მდგომარეობს.

როლანი: პატიოსნება - აი, ჭეშმარიტი მშვენიერება.

პაინსკი: პატიოსან ადამიანებს აქვთ ცუდი ჩვეულება: უტიფართა წინაშე თავს ხრიან.

მენანდრა: სამართლიანი ადამიანის ზნეობრივი პრინციპები სავსებით ცვლიან კანონებს.

ლარკინი: ჩვენი აზრების კონტროლის უნარი ზნეობრიობის კულტურის უმაღლესი სტადიაა.

პაპიუსა: საკუთარი კმაყოფილება ყველა სიმდიდრეთა შორის ყველაზე დიდი სიმდიდრეა.

ტილსტოი: როცა ისწავლი ბოროტი აზრებისგან თავშეკავებას, ბოროტი აზრებისგან თავს შეიკავებ.

პლავტუსი: ცნობილი ბოროტება ყველაზე ნაკლები ბოროტებაა.

სენეკა: ვინც იმას მისდევს, ვინც ეძებს, ის ვერაფერს იპოვნის, რადგან არაფერს ეძებს.

პუბლიციუსი: როდესაც გიყვარს, არ იცი, ხოლო როდესაც იცი, არ გიყვარს.

პლინიუსი: დაუმთავრებელი იგივეა, რაც არ დაგინყია.

კინტილიანა: ვისაც უნდა, იმას შეუძლია კიდევ.

პლათონი: არ შეიძლება ადამიანი ჭეშმარიტებაზე მაღლა დააყენოს.

ტაციტი: ჯარი, რომელიც არავის უნახავს, ყოველთვის საშიშია.

თალმული: ბელადი არ კვდება მანამ, სანამ მეორე ბელადი არ დაიბადება.

პლუტარქა: ლაპარაკს ადამიანებისგან ვსწავლობთ, დუმილს - ლმერთისგან.

პირაპლიტა: თვალდები უფრო კარგი მონებებია, ვიდრე ყურები.

არისტოტელე: ვისაც მონანიება არ შეუძლია, განუკურნებელია.

ბოეთა: ცუდია გემმა, რომლის შეცვლაც არ შეიძლება.

ნაპოლეონი: ჯარისკაცს თავისი სარდლის უფრო უნდა ემინოდეს, ვიდრე მტრის.

ბალზაპი: ჩვენ გაცილებით უფრო ვლიზინდებით ხოლმე, ვიდრე მოყენებულ ტყვიულს ვგრძნობთ.

პოლტარი: ქალი - ეს არის არსება, რომელსაც შეუძლია გამოპრანჭვა, ლაქლაქი და გახდა.

აქი ლაცი: მხოლოდ ქალს შეუძლია შეაჩეროს დრო.

თუ გაყოივსნოვთ

1. ძველ რომში ლაშქრობის დროს ლეგიონერები კარვებში ნაწილდებოდნენ, თითოში - ათ-ათი. მათ შორის ერთ-ერთი უფროსად ინიშნებოდა და მას ბერძნული წარმოშობის სიტყვით მიმართავდნენ. **რა ერქვა მას?**

2. 1892 წელს სახელმწიფო დასავლეთ სამოამ, ამერიკის შეერთებულ შტატებთან საგაქრო ურთიერთობების გასამყარებლად, შეიცვალა „დროის სარტყელი“. სწორედ ამიტომ, ამ წელს მათ ორი ერთი და იგივე თარიღი ჰქონდათ, რაც ორმაგად სასიამოვნო იყო ამერიკელთათვის. **რატომ?**

3. მას შემდეგ, რაც აკვილენის მცხოვრებლებმა გააძღვეს რომის იმპერატორის - მასიმინეს ალყა, გამარჯვების აღსანიშნავად ვენერას ტაძარი ააგეს. ტაძარი ჩვეულებრივია, თუმცა, ვენერას ქანდაკებას მსოფლიოში ანალოგი არ აქვს. **რით გამოირჩევა სკულპტურა?**

4. ძველი ინგლისური ტრადიციის მიხედვით, წმიდა მიხეილის დღეს მიღებული იყო წმიდა ადგილებზე სალოცავად უსცილებლად ცხენზე ამხედრებული ნასვლა. **რომელი დანაშაული არ ისჯებოდა ამ დღეს?**

5. რეკლამაში მწარმოებლები გამოხატავენ მათი პროდუქციის გამორჩეულად დადებით მხარეებს. **დაასახელეთ, რომელმა კომპანიამ გამოიყენა რეკლამაში პლაკატი, რომელიც კედელს არ ეკრობა და ვარდებზე?**

6. რომში არის წმიდა პავლეს ტაძარი, ცნობილი, როგორც „ეკლესია სამ შადრევანზე“, სადაც სამი წყარო მოჩუქნუხებს, თითოეულ მათგანზე კი სხვადასხვა ტონის თეთრი მარმარილოსგან გამოკვეთილი წმიდა პავლეს თავის

სკულპტურები დადგმული. როგორც ამბობენ, აქ წყალმა წმიდა პავლეს შეხების შემდეგ ამოხეთქა. **როგორ?**

7. ადრე მას ქალაქისგან აკეთებდნენ და მისი დაპატენტებიდან მხოლოდ 50 წლის შემდეგ მიხედნენ, რომ, შეიძლება, ის უფრო მოხერხებული გაეხადათ და 1937 წელს ცალკე პატენტაცია აიღეს - მათ სრულიად უბრალო დეტალი ჩართეს, რაც მას მოლუნვის შესაძლებლობას აძლევს... **რას?**

8. თავად იტალიელები მის ერთ-ერთ სახეობას „თეთრს“ უწოდებენ. ამ დროს თანამშრომლები ზუსტად ასრულებენ თავიანთ მოვალეობებს, ზედმინუვნი მიჰყვებიან ინსტრუქციას და ამით ამცირებენ საშუალოს ეფექტურობას. სხვა ქვეყნებში ამ სახეობას „იტალიურს“ ეძახიან. **რისას?**

9. 1958 წელს ერთ-ერთი ევროპული სახელმწიფოს სათავეში აირჩიეს 76 წლის ანჯელო რონკალი. აღსანიშნავია, რომ პრეტენდენტებს შორის მასზე უფროსებიც იყვნენ. ახალი მეთაური კი პოლიგლოტი იყო და ფლობდა ინგლისურს, ფრანგულს, იტალიურს, ბერძნულს, ძველებრაულს, თურქულს, ბულგარულს... და, ამ ქვეყნის სახელმწიფო ენას. **რომელს?**

10. მეგობრებმა საუკუნეში პარიზში სახლის მფლობელები გადასახადს იხდიდნენ სართულების მიხედვით. ერთმა არქიტექტორმა ეშმაკობა მოიფიქრა - სხვენს ფანჯრებს უკეთებდა და, ამრიგად, ის საცხოვრებლად ვარგისი სათავსო ხდებოდა, თუმცა, მასში მფლობელს ფულს არ ახდენდებდნენ. **დაასახელეთ ამ არქიტექტორის გვარი.**

პასუხები იხილეთ 58-ე გვერდზე

საქართველოს მეფეთაგან ყველაზე დიხანს ისოხნა

მეფე ფარნავაზა - 92 წელი. იმეფა ასევე ყველაზე დიხანს - 65 წელი, გამეფდა 27 წლის.

ვახტანგ გორგასალი - გამეფდა 45 წელს 15 წლის, იმეფა 45 წელი.

ბაგრატ მეორე „რევენი“ - იმეფა 57 წელიწადს 937-994 წლებში.

გუბაზ პირველი - ეგრის-აფხაზეთის მეფე 455-510 წლებში, იმეფა 55 წელი.

ლეონ მეორე - ეგრის-აფხაზეთის მეფე. 755-800 წლებში, იმეფა 45 წელი.

ლეონ მეორე - პირველი, ვინც მეფის ტიტული მიიღო აფხაზეთში.

არტიანი საქართველოს მეფე **ბაგრატ მესამე** - სრულიად საქართველოს მეფე 978-1014 წლებში. იმეფა 36 წელი.

ბაგრატ მეოთხე გიორგი პირველის ძე - 1027-1072, იმეფა 45 წელი.

დავით მეოთხე აღმაშენებელი - გამეფდა 16 წლის 1089 წელს, იმეფა 36 წელიწადს 1125 წლამდე.


ბაგრატ მეხუთე დიდი - საქართველოს მეფე 1360-1393 წლებში, იმეფა 33 წელს.

სიმონ პირველი დიდი - საქართველოს მეფე 1556-1600 წლებში. გამეფდა 19 წლის. იმეფა 44 წელი.

საქართველოს უკანასკნელის წინა დი-

დი მეფე ერეკლე მეორე, ჯერ კახეთის მეფე 1744-1762 წლებში, შემდეგ ქართლ-კახეთის 1762-1798 წლები - იმეფა 54 წელიწადს. სამი ცოლისგან ჰყავდა 23 შვილი, ხოლო მის შვილს გიორგი მეორემეტეს (საქართველოს უკანასკნელი მეფე) ჰყავდა 19 შვილი.

ლევან კახთა მეფე, გიორგი მეორის (ავგიორგის) ძე - იმეფა 54 წელი.



წინა ნომერში გამოქვეყნებული საქადრაკო ამოცანის პასუხი:
1. მფძმ-с7!
შეადგინა შირგილ სუსიტაშვილი



კლასიკური სიტუაცია. ქმარი ადრე დაბრუნდა სამსახურიდან. ხედავს ცოლი საძინებელშია.



– ძალიან ცუდად ვარ, აფთიაქში ჩადი, რამე გულის წვეთები და დამამშვიდებელი ამომიტანე, თორემ საღაცაა გული წამივა...

გამოვიდა საძინებლიდან და იქ შვილი დახვდა, თვალებით საძინებელი ოთახისკენ ანიშნებს:

– იქ ზურა ძიაა, საძინებლის კარადაში...

შებრუნდა ქმარი საძინებელში, გამოალო კარადა და მართლაც, იქ მეზობელი ზურაა...

– შენც მაგარი ხარ, ზურა, ცოლი მიკვდება, შენ კიდევ ბავშვს დამალობანას ეთამაშები?!

რა კარგად იწყებენ გოგონები: სიხარულო, სიცოცხლე, ერთადერთო, საყვარელო, ძვირფასო... შტერო, იდიოტო, საქონელო, საზიზზარო, მძულხარ!

– საცოდავო, მთელი სიცოცხლე რომ ეძებო, ჩემისთანას ვერ იპოვი!

– შენისთანას არც მოეძებნი...

– ფული მჭირდება, პილინგი უნდა გავიკეთო.

– ეს რაღაა?
– როდესაც ძველ კანს გადაიცვლი და ახალი, გლუვი, გადატყევილი ამოვა...
– მე კიდევ ფიქრობდი, რომ თქვენ, გველები, კანს უფასოდ იცვლიდით.

ეს ქალები სუფთა „გაიშნიკები“ არიან – ხასიათს გაგიფუჭებენ, ფულს წაგართმევენ და დამნაშავე კიდევ შენ ხარ...

როგორ არიან მონყობილი ქალები: 1. პოულობენ წერილმანს; 2. ბერავენ; 3. განიცდიან; 4. ყველას ტვინს უბურღავენ...

– მარო, წამო, ვანუაანთან წავიდეთ სტუმართა...

– დაგვპატიყეს, რო?!

– არა, მარა, თვითონ სანამ მამეტებთან, ჩვენ დავადგეთ თავზედა...

ცოლი: ო, ქმარი მოვიდა!
ქმარი (შემინებული): ხანდახან მაინც დაფიქრდი, ქალო, რას ამბობ, კინაღამ ფანჯრიდან გადავხტი...

შედის ტიპი ზომალაზიში.
– მოლაპარაკე ფრინველი ან რამე თუ გყავთ?

– ფრინველი არა, ორმოცფეხა გყავს... იყიდა კაცმა და საღამოს ეუბნება:

– კარგი ამინდია, წავედით სასეირნოდ. სიჩუმე.

– წავედით თუ არა.

კვლავ სიჩუმე...
– რა მოლაპარაკე შენ ხარ... მომატყუე, იმათი...

– აბა, აბა, ჩუმად, მივიღვართ, ვერ ხედავ,

ფეხზე ვიცვამ?!

ცოლმა დაქალებთან დალია და დილით ნაბახუსევზე სამინლად სტყევა თავი. მოკლედ კვდება და ქმარს ეკითხება:

– აუ, მითხარი, პახმელიდან როგორ გამოვიდე, შენ რას აკეთებ ხოლმე?

– შენს ლანძღვას ვუსმენ...

ქალები სამ კატეგორიად იყოფიან, თუმცა ძირითადად შერეული ტიპები გვხვდებიან:

1. ჭკვიანი და ლამაზი – „სნერვა“.
2. ჭკვიანი და კეთილი – ულამაზო.
3. კეთილი და ლამაზი – შტერი.
4. ჭკვიანი, კეთილი და ლამაზი – იდიოტებს ხვდებიან, რომლებიც მათ ვერ აფასებენ.

მსაჯმა ფეხბურთელს შეცდომით წითელი ბარათის ნაცვლად, პრეზერვატივი აჩვენა...



მატჩის ბოლომდე ვერავინ გაბედა წესის დარღვევა...

ამბობენ, მამაკაცი მტკიცე კედელიაო, თუმცა მე რომ ახლანდელ კაცებს ვუყურებ – სუფთა გიფსოკარდონია...

ცნობილი აქამიანთა ინამსხვილოური ვამონათქვამები

ნიგნის გამომცემელს, ბატონ N-ს, ერთი ნაცნობი შეხვდა და ჰკითხა:

– ახალ ნიგნს ხომ არ სცემო?

– გებჭდავ და არა ვცემო, – უპასუხა გამომცემელმა.

– არა. მე იმაზე მოგახსენებ, რომ ცოტა შეღავათი გამოდის შენი გამონაცემი.

– როგორ თუ შეღავათიო?

– ისე, რომ ჯერ ცენზორი ოთახში იღებს და მერე შენ ასილაქებ ტიკჭორასავით, მეტილა ცემა-გალახვა იქნებაო?!

ერთი კბილის ექიმი ცუდად იხსენიებდა აკაკის. როცა ეს აკაკის გადასცეს, იმან ღიმით თქვა:

– ნეტავ, რა დამიშავებია იმ ყმანვილისათ-

ვის? ალბათ, იმაზე მემდურის, რომ სალი კბილები მაქვსო.

აკაკის ჩაი მიართვეს სამეგრელოში. შაქარი დავინწყობდათ, თუ როგორღაც იყო, აკაკიმ ზედიზედ ერთი და იგივე სტაქნისთვის სამჯერ მოითხოვა შაქარი.

– რამდენიც უნდა შაქარი ჩაგდო, რაკი თქვენი ენა მოხვდება, გამწარდებაო, უთხრა პოეტს მასპინძლის ახალგაზრდა ქალმა.

ეროსი მანჯგალაძის იუმორს, იმპროვიზაციის უნარსა და ფანტაზიას ყველა იცნობდა, მით უფრო მიხილ თუმანიშვილი. ამიტომაც,



არასოდეს საყვედურობდა, თუკი ეროსის, მისდა უნებურად, პერსონაჟის ტექსტის გარდა, სხვა სიტყვებიც წამოსცდებოდა.

„ერთხელ, – იგონებდა ბატონი მიხეილი, – „ესმერალდას“ წარმოდგენის დროს შუქი გამოირთო.

გაისუსნენ სცენაზე მსახიობები, დარბაზში – მაყურებელი. ამ სიჩუმეში ვანიჩკა საყვარელიმე ეუბნება: განვგარძოთ, განვგარძოთ. ეროსის ხმა მოგესხენებათ... მანაც ჩუმად უპასუხა, მაგრამ მთელმა დარბაზმა გაიგონა: „რადიო ხარ, შე შობელძალლო?!“ – მაყურებელმა ხარხარი ატეხა.“



როგორ არეკა ბორია-ლენინს „ცეკას“ მლივანა ბინა

თბილისს არსადროს დაეინცნება უდავოდ ნიჭიერი, ყველასათვის საყვარელი კოლორიტი, ცხონებული ბორის ნიფურია. იუმორით დაჯილდოებული ეს საოცარი პიროვნება, ასე ვთქვათ, „უსასტიკესი“ მოხერხებით გამოირჩეოდა. ქართველები ამ თვისებას „მანს-მარიფათს“ ვეძახით, მიუხედავად იმისა, რომ „მანს-მარიფათი“ არაქართულია – ბორია ამას არ დაგიდევდათ.

ბორიას ბიძა, – მიმა ლენივლია, „ცეკას“ მდივნის კარგი მეგობარი გახლდათ. ერთხელ ბორიამ სთხოვა, ეშუამდგომლა მეგობართან და ბინა ეთხოვა მისთვის. ბორია მამინ დედ-მამასთან ცხოვრობდა კუჩაზე, პატარა ბინაში.



მამინდელმა „ცეკას“ მდივანმა, შოთა ჭანუყვაძემ, დაიბარა ბორია და ეკითხება:

– რაო, ბინა გინდა, ბიძიკო?

– გულით! – არ დამალა ბორიამ (არიკა, დაიძრა, მეონი, საქმეო).

– ცოლის შერთვას ხომ არ აპირებ, ბიძიკო?

– უბინაობას რა ვუთხრა, თორემ, ცოლის შერთვას რა უნდა, სიგრძე-სიგანეს დამინუნებენ თუ სწავლა-განათლებას?

– ჩემო ბორია, – დარიგა ჭანუყვაძემ, – ხომ გაგიცია, „მოყვარული ცოლ-ქმარი თოხის ტარზე“ დაეტყვაო.

ბორია რის ბორია იყო, დაბნეულიყო და კითხვას კითხვა შეეგება:

– თბილისში რამდენი მოყვარული ცოლ-ქმარი იქნება, შოთა ბატონო?

– რა ვიცი, შე კაცო, – დაიბნა შოთა, – რამდენიც გაგიხარდება, იმდენი.

– რა ვიცი, ბატონო, დავიღვა ჩემი დღე და მოსწრება თბილისის ქუჩებში და, ჯერ არც თოხი დამინახავს და არც თოხის ტარზე მცხოვრები ცოლ-ქმარი.

– ჰო, კაი, ვნახოთ... ვნახოთ, – შერცხვა შოთას.

ორი საათია, ველაპარაკებ და, ახლა მეუბნება – „ვნახოთ, ვნახოთ“, – გადართა ბორია.

– რა გითხრა, ბიჭო? – ეკითხება კაბინეტიდან გამოსულს მეგობარი, კუკურა მეფარძიე.

– თოხის ტარზე იცხოვრეთო... მაგი რო ახ-

ალმოყვანილ ცოლს ვუთხრა, ხო მხეთქ თოხი თავში და მართალიც იქნება!

– რაო?! თოხის ტარზეო?

– ჰო. ენახოთ... გამოიარო.

გაიარა ორმა თვემ და მიაკითხა ნიფურიამ ისევ.

– ცოლის მოყვანა მინდა, ბატონო შოთა და, ბინა... არ მაქვს, რა...

შოთას დაეინცნებოდა და ტრაფარეტულად უპასუხა.

– მოყვარული ცოლ-ქმარი ხის კენეროზე იცხოვრებს, რო იცოდე შენ...

ბორიამ ფაზჯირიდან გაიხედა.

ჩიტები საამოდ ჟღერდნენ ჭადრის ხეზე და ერთმანეთს ასკინტლავდნენ.

უსიამოვნოდ გააჟურჯოლა მსახიობს:

– ამთსავით ვასკლინტოთ მერე ერთმანეთს, ბატონო შოთა?

– გამოიარე ერთ-ორ თვეში.

ასე იყო (ვითომ ახლა უკეთესადაა) კომუნისტური რეჟიმის დროს – ბიუროკრატია იყო (ვითომ ახლა არაა) მაღალ რეგისტრში და ასე იყოლიებდნენ (ვითომ ახლა არა) მიხოვნელებს. მოკლედ, განამდა და განვალდა ცოლის შესართავად გამზადებულ-გახაზირებული ჩვენი ბორია, მაგრამ, სამწველი არსადან ჩანდა.

არ ჩანდა და, ჯინა-ჯიბში ჩაუფარა ჭანუყვაძეს: „რომ მივალ და მივალ, მერე რომ მეტყვი, მერე მოდიო და, კიდევ რომ მივალ და, მერე, კიდევ მოდიო... აღარ მობეზრდება?“

და, ერთ თვეში კიდევ მივალ.

მოსაცდელში ზის და ჭანუყვაძის კაბინეტიდან ბუზუტი ზაქარაძე გამოდის.

– რამ შეგანუხათ, ბატონო ბუზუტი? – მოესიყვარულა ეს, ბორია.

– ა, ბოშო, ავერ ვიყავი მე, შოთა ჭანუყვაძესთან, ჩემ მიერ შესრულებული სტალინის როლის სურათი ვაჩქევე ავტოგრაფით და ბინა გამომიყიდა.

ბორიას ბოლო სიტყვა თან გაჰყვა – სასწრაფოდ ჩაირბინა კიბეები და ქუჩაში გაეჯარდა.

ერთ დროს ლენინის როლი ჰქონდა ბორიას

შესრულებული. მივარდა სახლში, გაიკეთა ლენინის გრამ-პირიკები და ტაქსით მივარდა ჭანუყვაძესთან.

– თქვენ... ვინ... ბრძანდ... სად მიდ... – დაიბნა მდივანი.

– ლენინი ვარ მე და ჭანუყვაძესთან შემშვივით ახლავე, – მოითხოვა ლენინ-ნიფურია.

– ბატონ შოთას არ სცალია, დაელოდეთ, – თვალები დაუელამდა მდივანს.

– ხოსი! – გადართა ბორია-ლენინი, – რა გამოდის ახლა, თქვენი აზრით და გონებით? ამხელა სოციალისტური რეჟიმითა მოვახდინე, ამხელა გემზე, „ავრორაზე“, ქვემეხი მე დავაქუხე და თქვენ, ვილაც მოკვდავო... ხო, რა გქვია, გოგო?

– შორენა.

– ხო, შორენა, – მე მიკრძალავთ შოთასთან შესვლას? შვავს ეს რამეს?

შორენა ყოფილი პიონერი და მოგვიანებით – კომკავშირელი იყო და ცაიტნოტში აღმოჩნდა:

– ამხანაგო ლენინ, თქვენ ცოცხალი ხართ?

– აბა, რა მიგავს მკვლარს, გოგო, მე? – გადართა და რა გადართა ეს – ბორია-ლენინი.

– შებრძანდით, ბატონო.

აქეთ რომ შორენა მდივანია სასწრაფო მდგომარეობაში, „ლენინის“ დანახვაზე შოთა ჭანუყვაძე სულ გაგიჟდა. ჯერ პირფარეო გადაისახა, მერე – თფუიო! (ლენინს პირფარეო არ მიეწონებო) და ჩაესვენა საგარეოში.

– გისმენთ, ვლადიმერ ილიჩ!

– მე ბორია ვარ, ბატონო შოთა, არ შემინდეთ ახლა, – ამწვივებს ცონების დაკარგავად მისულ კაცს ბორია, – ის ბორია ვარ, ამას ნინათ ბინა რომ გთხოვეთ, – ბორია, ბორია... საგარეოში მისვენებულ კაცს ნელ-ნელა დაუბრუნდა გონი და აზროვნება. სასწრაფოდ აილო ტელეფონი და აღმასკომში (ახლა – „მერია“) რეკავს:

– რეზო ხარ? რეზო, თუ კაცი ხარ, სასწრაფოდ მჭირდება ერთი ბინა. გამომიყავი, თუ ძმა ხარ... ვისთვის? რა ვისთვის, შე ოხერი! ლენინია მოსული, ლენინი... რომელი და, ვლადიმერ ილიჩი, ლენინი! გეივ ახლა?!

– ...

– არ ვიცი არაფერი! არაფერი მაინტერესებს! სასწრაფოდ გამოუყავი ერთი კვი ბინა, სანამ ძერწისკი არ მოუყვანია, თუ არა... ბორიას მეორე დღესვე მისცეს ბინა, სადაც სიცოცხლის ბოლომდე ცხოვრობდა.

მოამზადა მუჰამად მარკვილიძემ

(73-ე გვერდიდან)

ქვერცხა და არსრულწლოვნებს სრულწლოვანობამდე ვალის გადახდას ვერ სთხოვდა, ვერც სახლს წაარმეგდა, ვერც მინას და საერთოდ, ვერავითარ ქონებას. მასწენდება, ერთ-ერთი კერძო საუბარი, სადაც ასეთი ფრანზა იოჰანეს ქალის სილამაზის აღანიშნავად: ის, ისეთი ლამაზი იყო, რომ მამამისი 18 ძროხად აფასებდა.

– **რომელ მხარეზე იყო საუბარი?**

– ქისტეტი ქალბატონი ამბობდა ამას. იქ ხომ ურვადის წესია. ანუ, ჩვენი, ქრისტიანების დაქორწინების წესი განსხვავდება მუსლიმების წესიგან. იქ ქალის გათხოვების წინ, ოჯახში წინასწარ მიმდინარეობდა საუბარი, თუ რა სახის და ოდენობის ურვადი უნდა გადაეხადა მის მთხოვნელს, საქმროს ოჯახს. ეს იმის მიხედვით იზომებოდა, თუ რა სოციალურ ფენას განეკუთვნებოდა ქალი და როგორი იურსახისა გახლდათ. რაც უფრო ლამაზი, კდემამოსილი და წარმოსადეგი იყო ქალი, მით უფრო მაღალ გამოსასყიდს თხოულობდნენ მასში. ეს გამოსასყიდი მისი არ იყო, ოჯახში რჩებოდა. განსხვავებით ჩვენგან, ქართველებისგან. აქ ყველაფერი ის, რასაც საქმროს ოჯახი საჩუქრის სახით გადასცემდა ქალის ოჯახს, იყო კერძო, ქალის საკუთრება და მას გათხოვების შემდეგ, ეს ყველაფერი თავის ახალ ოჯახში გადამოქონდა.

– **დაფიცების ფორმები როგორი იყო?**

რა დაზვირთვა ჰქონდა ვიხს ქართულ სამართალში და როგორ უსწორდავინა მის მიხედავით ქარაღას

– პირველი ფორმა უკვე ვახსენეთ, ხატის ნაბანი წყლით შესრულებული ფიცი.

ქართველთათვის, განსაკუთრებით ეს ითქმის ქართველ მთიელებზე. ხატი იყო განსაკუთრებული მონინების საგანი და ძალიან იმეფათად ხდებოდა მისი გამოსვენება ეკლესიიდან და უშუალოდ ხატთან შესრულებული ფიცის დადება. ასეთი მაგალითი რამდენიმე გვაქვს, რომელიც ტერფზე საერო საქმეებს მოიცავდა. მაგალითად, 1921 წელს, როდესაც კალის თემში წმიდა კვირიკეს მონასტერთან („ლაღურკა“) იკრიბება სვანეთის ყველა თემის ყველა სრულწლოვანი მამაკაცი, რომლებსაც უქვირვასეხი ხატის, შალიანის მეშვეობით დებენ ფიცს, რომ იბრძოლებენ ქვეყნის თავისუფლებისათვის. მეორე ასეთი ფაქტია, როდესაც მთელს სვანეთში დადო ფიცი – ეს უკავშირდება 1924 წლის ავიგსტოს მოვლენებს, საერთო ეროვნულ აჯანყებას. მამინაც ამ სახეობის ფიცი დადეს სვანებმა ისევ, წმიდა კვირიკეს მონასტერში, შალიანის ხატთან და დაიფიცეს, რომ ისევ აჯანყდებოდნენ რუსების წინააღმდეგ და განდევნიდნენ მათ საქართველოდან. ამ ორივე აჯანყებას ძალიან ფართო მასშტაბები ჰქონდა და რაღაც პერიოდის განმავლო-

ბაში, სვანეთში თავისუფალი საქართველოს პირველი რესპუბლიკის დროშაც ფრიალებდა. საბოლოოდ, სამწუხაროდ, დამარცხდა ის მხარეც, ისევე როგორც მთელი საქართველო.

არსებობდა ფიცის ისეთი სახეობაც, როდესაც მთელი მოდგმა იფიცებდა. ასეთ შემთხვევაში, თავის გამართლების დროს, მამაკაცი თავის ტერფზეზე დაიყენებდა მცირეწლოვანი ვაჟიშვილს და მთელი თავისი მოდგმით შედიოდა ფიცში, რომ დასჯილიყო ტყუილის შემთხვევაში არა მარტო თვითონ, არამედ მთელი მისი მოდგმა მემკვიდრეობითი ხაზით. ეს იყო მძიმე ფიცი.

– **არის კიდევ ერთი ფიცი, რომლის გამართვებელი ვარიანტი, ერთ-ერთ ძველ ქართულ ფილმშია, როდესაც მამაკაცი თავის თულავს იფიცებს. რელურად, რას მოიცავდა ამ ფიცის არსი?**

– მეცხრამეტე საუკუნის მხატვრულ ლიტერატურაში არის აღწერილი მსგავსი ფიცი. ძირითადად, ეს ეხებოდა სესხის აღებას, რის შემთხვევაშიც, გარანტორად სესხის ამღები საკუთარ კაცობას, პატროსებას, ულავამიდან ზენვის ამოგლეჯვით ადასტურებდა. ამას სამართლის ფიცთან საერთო არ აქვს.

საგელინიუმ აპარატი DRX9000™

გაღთაშა დისკის პათოლოგიების გურანალოა ოპერაციის გარეშე უსაფრთხოდ და უშედეგოდ!

აღნიშნული მეთოდით გურანალოა ხალხისაწვდომია, არ აღინიშნება გვერდითი მოვლენები და არ საჭიროებს წელით რეჟიმს.

* დისკოზი * არტროზი * აროლაფსი
* იმიაზი * ხარხარის ოსტეოპოროზი

კურსი - 800 ლარი,
ფასდაკლებით - 750 ლარი

**უმოკლეს ვადაში
ამასიმალური შედეგი
- მიენიშნება
დანახარჯით!**

მისამართი: კეკელიძის 14.
ტელ: 2 230 330/5 68 230 330
რუსთაველის 37.
ტელ: 2 932 934/5 77 230 330
WWW.SHINE.GE

Dental Team Clinics

კუპონის ნარდგანის
შემთხვევაში პირის
ღრუს სრული
სტომატოლოგიური
მონასრიგება 130
ლარად, 172 ლარის
ნაცვლად.

მის: ხეთაბურძის 6. ტელ: 218 01 18;
პაჭა-ფშაველას გამზ. 35. ტელ: 218 01 04;
მომ. 592 75 05 29; 571 28 00 40.

მედიკალინური კომპანია მერსი და ფარმაცეპოტის გარეშე გურანალოა კანის, თმისა და ფრჩხილების სრული გააჯანსაღებელი კურსი:

2 კოლმუნი მერსის სპეციალური
დრაჟეს-ს შედეგის მიიღებთ სარკად
მისამართს.

მერსის სპეციალური დრაჟე №60 (საკვები დანამადი)
მხოლოდ ფარმაცეპოს ქსელში

ფარმაცეპოტ

ინოვაცია!!!

ნაგამების გუნდური
დაგრაქება
80 ლარად

მის: არაყიშვილის 9: ტ: 2220212; 571220212
www.facebook/studiolini

ტურისტული საგენტო

გაზიგება 313 \$
მერსი 500 €
თურსი 325 \$

ფასდაკლება

ი. აბაშიძის №69 თბილისი საქართველო
ტელ: +995 322505008

1. ავიაბილეთები ყველა მიმართულებით 215-80-80; 236-40-11
2. ავტომანქანის გაქირავება, ტურები საქართველოში, სასტუმროს რეზერვაცია 218-22-44; 599 33-33-53
3. ავტოსადგური „ოკრიბა“ 234-26-92
4. ადამიანის უფლებები ცენტრი 237-69-50; 245-45-33
5. ავტომანქანების გაქირავება 595 33-21-00
6. აღსრულების ეროვნული ბიუროს საინფორმაციო სამსახური 274-96-49
7. გარემოს ეროვნული სააგენტო 243-95-32
8. აეროპორტის საინფორმაციო ბიურო 231-04-21
9. ბავშვთა უფლებების დაცვის საქალაქო ცენტრი 599 11-57-44
10. გაზი გამომცემი 292-32-46; 292-10-08
11. შპს ავადმყოფი გ. ჩაფიძის სახელობის გადამამუშავებელი კარდიოლოგიის ცენტრი 253-06-32
12. საქ. მთავარი პროკურატურის ცხელი ხაზი 240-52-22
13. გაზის საავარიო (ქალაქის) 14; 238-40-65, 238-56-16 (ცენტ. სადისპეტჩერო)
14. განათლების სამინისტროს კომუტატორი 231-89-40; ცხელი ხაზი: 220-02-20
15. გზებზე ტექნიკური დახმარება 599 25-42-54
16. ჯანდაცვის სამინისტრო (ცხელი ხაზი) 251-00-33
17. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ცხელი ხაზი 220-62-32
18. დამკრძალავი ბიურო, მუნიციპალური სანარმო „პერმისი“ 221-21-84; 221-25-84
19. კავკაზუს ონლაინი, დეკემბის გაგზავნა ტელეფონით 250-60-06
20. ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური 299-10-58; 299-11-21
21. „თელასის“ საინფორმაციო ცენტრი 225-52; 225-52-11; 277-99-77
22. „თელასის“ ცხელი ხაზი 277-99-99
23. შპს იმუნოზაციის ცენტრი 231-22-78
24. ოუსტიციის სამინისტრო 240-52-02
25. კატასტროფის მედიცინის ცენტრი. პაციენტების ტრანსპორტირება სტაციონარებიდან

ცნობარი

- 231-13-20; 231-13-21; 595 33-18-03; 0 790 50-10-50
26. საქართველოს ეროვნული კომუნიკაციების კომისია 238-61-40 (პრესსამსახური); 231-13-13 (ადმინ. დეპარტამენტი)
27. კონტროლის პალატა 243-81-81 (ცხელი ხაზი)
28. კანალიზაციის საავარიო სამსახურის ცხელი ხაზი 293-11-11
29. ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო 243-11-00 (ცხელი ხაზი)
30. მერიის ცხელი ხაზი 272-22-22
31. ნავთულის ავტოსადგური 274-83-03; 274-63-23 599 39-35-35
32. სახალხო დამცველი 291-38-14(15)
33. ვაჭლის ცნობათა ბიურო: 219-90-10
34. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური 112
35. საპატრულო პოლიცია 112
36. სასწრაფო სამედიცინო დახმარება 112
37. სასწრაფო სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით 24 საათის განმავლობაში 577 42-42-38, 235-32-33
38. საქართველოს მთავრობის კანცელარია 298-92-73 (ფაქსი), 228-22-88 (მისაღები)
39. საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესისა და ინფორმაციის დეპარტამენტი 294-50-00 შიდა 24 (02, 03)
40. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური 226-11-15 (კანცელარია)
41. სადღეღამისო სტომატოლოგიური კლინიკა, 222-67-22; 210-30-50; 599 57-64-12
42. სოფლის მეურნეობის სამინისტროს კანცელარია 237-80-44 (13)
43. საქართველოს სტანდარტების ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო 261-30-90; 261-30-21
44. საყოფაცხოვრებო და სამშენებლო ნარჩენების (ნაგვის) გატანა; შპს „თბილისერვის ჯგუფის“ დასუფთავების სერვისი, სანიტარული ქსელების ექსპლუატაცია 261-18-37, 261-18-11

45. სამედიცინო-საინფორმაციო სამსახური 225-22-33 (საინფორმაციო); 225-22-45 (ადგილზე მომსახურების განყოფილება, მედიკამენტების სახლში მიტანა)
46. სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის უვნებლობის ვეტერინარიის მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური, რეგისტრაციების და ნებართვების სამმართველო 291-91-67 (68)
47. საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი საქ-პატენტი 292-31-66; 291-71-80 (ცხელი ხაზი)
48. საქართველოს მომხმარებელთა ფედერაცია 299-78-57
49. ტაქსი გამოძახებით 293-91-00
50. ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი - 210-02-29; ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დახმარება, ცხელი ხაზი - 230-99-03.
51. შინაგან საქმეთა სამინისტროს ცხელი ხაზი 241-10-66 (კანცელარია, მოქალაქეთა და წერილების განყოფილება)
52. ფინანსთა სამინისტრო 226-14-12; 226-14-10 (კანცელარია); 226-24-09
53. ქორწინების რეგისტრაცია სილნალში 595 24-77-77
54. ლეთისმეილთა კავშირის ცხელი ხაზი (შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის) 225-01-45; 222-54-17
55. „ვაზტრანსგაზი“ 220-04-04 (გაზიფიციერების სამსახური)
56. „ვაზტრანსგაზის“ სადისპეტჩერო 231-04-04
57. „ყოფილი პოლიტატიმრები - ადამიანის უფლებებისთვის“ 599 37-40-20
58. შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის ცხელი ხაზი 126
59. შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის მთავარი სამმართველოს სამორიგეო 241-42-63
60. შინაგან საქმეთა სამინისტროს მორიგე 274-62-67
61. სააქციო საზოგადოება „ცენტრალური ავტოვაგაზი“ 275-34-33
62. ნარკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი, ნარკოლოგიურ-ამბულატორიული დაწესებულება 230-10-03 (რეგისტრატორი)
63. ნეალკანალის ცხელი ხაზი 293-11-11

83.47



როგორ ქვეყანაში
იპირება რომანტიკაში
შუტა პანთიაჰვილი და
რატომ გადაწყვიტა
მან ღრუბლის ყიდვა

83.22



როგორ შავიკინოთ კვირინი
სამოსი იაფად ინტარნეტში
„კროშილის“ გარეშე და
როგორ აქცია „მოდა
ონლაინის“ წამყვანმა ნატა
ზარნაქამ გატაცება თავისი
საქმიანობის ერთ-ერთ სფეროდ

ვინ ატარებს
ქსპერიმენტებს გეგა
ფალავანდიშვილზე
და რით დარჩა
აღფრთოვანებული
ია სუსიტაშვილი

83.70



საქართველო ბეჭედი და
თბილისი
www.tbilisele